

# სვანეთის ისტორიის ფუნდუსი





# სკანეთის ისტორიის ფუძვლები

წიგნი ღამბაჟა

შპს „2000“



თბილისი  
2011

წიგნი გამოდის მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსის, **მეუფე ილარიონის** (ქიტიაშვილი) ლოცვა-კურთხევით.

“სვანეთის ისტორიის ფურცლები” სამეცნიერო ნაშრომებისა და მხატვრულ-პუბლიცისტური ჟანრის წერილებისაგან შემდგარი კრებულია. იგი თემატურად მრავალმხრივია. ავტორთა კოლექტივი წარმოადგენს სვანეთის ისტორიის, ხელოვნების ისტორიის, ეთნოლოგიის და დიალექტოლოგიის ნაკლებად შესწავლილ პრობლემებს. აქვე წარმოდგენილია სვანეთისადმი მიძღვნილი მხატვრული უსსეები, ჩანახატები და ლექსები, სვანური ფულკლორის ნიმუშები და ფოტომასალა, რომელიც ავლენს სვანეთის წარსულისა და თანამედროვეობის საინტერესო პლასტებს. წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვისაც.

*რედაქტორი:* როზეტა გუჯჯაიანი, პროფესორი, ისტორიის დოქტორი

*სარედაქციო კოლეგია:* ნატო ასათიანი (პროექტის კოორდინატორი), თამაზ ბერაძე, გერონტი გასვიანი, კახა კვაშილავა, ზვიად კვიციანი, სოსო კვიციანი, ვახტანგ ლიჩელი, ქეთევან მანია, ნინო მინდაძე, მაია მიქაუტაძე, ერეკლე საღლიანი, ქეთევან სიხარულიძე, რევაზ შეროზია, ლია ჩლაიძე, მანანა ხიდაშელი, ქეთევან ხუციშვილი.

*რეცენზენტები:* ლია ახალაძე, პროფესორი,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

როლანდ თოფჩიშვილი, პროფესორი,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ბეჟან ხორავა, პროფესორი,  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: მარიამ ბუტიკაშვილი

კრებული გამოდის ბატონი ჯოყოლა ჩეგვიანის ფინანსური მხარდაჭერით.

ამონარიდი უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის  
საკვირაო ქადაგებიდან (2 ნოემბერი, 2002 წელი)

“სქანელი არის სათესარი, სსიქცდოვით და საშაყო ქოთხე სიქს-  
თეუცთაისი. აქ ცხოვრობენ ქართუედეუზი, რომეცთნიც სიქსუეუზის  
მანძილთხე იცაქცდნენ და იცაქს სიქსიქცთს, იცაქს კეხს სიქსს,  
კეხს ქეუქს. სიქსთიქცდო სიქსთიქცდოთ სიქსთიქცდო ამ ქოთხეს ანქათ  
თიქსი დიქთი სიქსიქცდო”.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ეს ამოუწურავი თემა და ყოველი ახალი გამოცემა დიდი შენაძენია ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის. სვანეთის ისტორია კვლავაც ელოდება მკვლევარს. უამრავი საკითხი შესასწავლია, ზოგიც ხელახლა გასანალიზებელი. ვფიქრობთ, აქ წარმოდგენილი გამოკვლევები ბევრი სიახლის შემცველია და მეცნიერული ობიექტურობითა დაწერილი.

კრებული გამოდის მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსის მუჟუფ ილარიონის (ქიტიაშვილი) ლოცვა-კურთხევით. მუჟუფ ილარიონის თანადგომას მუდამ გრძნობს სვანეთით დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოება. მოკრძალებულ მადლობას ვუძღვნით მუჟუფ ილარიონს იმ დიდი სულიერ ადმშენებლობისათვის, რაც მისი მობრძანების დღიდან შეინაშნება ეპარქიაში.

კრებულში წარმოდგენილია საინტერესო სამეცნიერო გამოკვლევები: სტატიები ეძღვნება სვანეთის – საქართველოს ამ მნიშვნელოვანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის – ისტორიის, ეთნოლოგიის, სელონების ისტორიის, დიალექტოლოგიის საკითხებს; სვანეთში დაცულ ქართულ ეპიგრაფიკულ მასალას, ფრესკებს; საგალობლებს; შესწავლილია სვანეთის ცნობილი ქართული ფეოდალური საგვარეულოს – ჩეგვიანების-რუნევიანების ისტორია; ყრცულ ისტორიულ-ეთნოლოგიურ ნარკვევში წარმოდგენილია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიის საგმირო ეპიზოდი – ხაღდეს აჯანყების პერიოდები. სამეცნიერო ბრუნვაში შემოდის სრულიად ახალი საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალა; ფართოდაა წარმოდგენილი ეთნოლოგიური და ლინგვისტური კვლევები და სხვ.

კრებულში ცალკე გამოიყოფა ორი რუბრიკა: I. სვანეთის საისტორიო წყაროები. ეს რუბრიკა შემოგთავაზებთ სვანეთში დაცული სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროების ხელახალ გამოცემებს. ამჟამად წარმოდგენილია პავლე ინგოროყვასა და გერონტი გასვიანის მიერ შესრულებული “სვანეთის სულთა მატინაეების” განმეორებითი გამოცემები. 2. “ქართული ეთნოლოგიური მემკვიდრეობა”. ამ რუბრიკით ამჟამად ვივლინებთ ამაღადარ ეთნოლოგს, ქალბატონ ლუბა ბოჭორიშვილს და ვაქვეყნებთ მის ნაშრომს “ოქრომჭვედლობა სვანეთში”.

კრებული გამორჩეულია იმ მხრივ, რომ მასში არა მხოლოდ უახლესი სამეცნიერო გამოკვლევებია თავმოყრილი, არამედ ნართულია მხატვრული შემოქმედებაც, მიძღვნილი სვანეთისადმი.

კრებულში წარმოდგენილია სვანეთის ორივე ეპარქიის მღვდელმთავართა და სასულიერო პირთა მოღვაწეობის ამსახველი მასალა.

კრებულის მომზადების პერიოდში ქართველმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა: მოულოდნელად გარდაიცვალა პროფესორი ვალერი სიდიოვაკა. ბატონი ვალერი ამ კრებულის გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი და ავტორი იყო, აქ წარმოდგენილია მისი ერთ-ერთი ბილწ ნაშრომი, რომელზეც განსაკუთრებული სიყვარულით მუშაობდა.

კრებულს ერთვის პროფესორ სოსო ჭანტურიშვილის ტკივილიანი ვახსენება. ბატონი სოსო ჭანტურიშვილი კრებულის რედ-კოლეგიის წევრი იყო. იგი მუშაობდა “სვანური საწესო სიმღერების” განახლებულ ვარიანტზე, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არ დასცადა, მან ნაადრევად დატოვა წუთისოფელი. დაგვიტოვა დიდი ტკივილი და სევდა.

კრებული გამოიცა ბატონი ჯოყოლა ჩევიანის ფინანსური მხარდაჭერით.

მზადდება “სვანეთის ისტორიის ფურცლების” II და III ტომეულები.

## სვანეთი

სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მადღამთიანი ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულია. იგი დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს. სვანეთი ზემო სვანეთად (ენგურის ხეობა) და ქვემო სვანეთად (ცხენისწყლის ხეობა) იყოფა. ასევე, ცალკე გამოიყოფა კოდორის ხეობის სვანეთი, სადაც სვანები XIX საუკუნეში არიან დასახლებული, მაგრამ უფრო ადრეც აქ სვანები მკვიდრობდნენ, რასაც ანტიკური წყაროებიც ადასტურებენ, რომლებიც სვანებს „მისიმინელებს“ სახელით მოიხსენიებენ. სვანების თვითსახელწოდება „მუშუან“ ბერძნულ ენაზე „მისიმინაღ“ გარდაიქმნა (ხ. ყაუხჩიშვილი, გ. მელიქიშვილი). ადმინისტრაციულად ზემო სვანეთი მესტიის რაიონში შედის, ქვემო სვანეთი – ლენტეხის რაიონში, ხოლო კოდორის (დაღის) სვანეთი – აფხაზეთში, გულრიფშის რაიონში. სვანეთს აღმოსავლეთით რაჭა ესაზღვრება, სამხრეთით – ლეჩხუმი და სამეგრელო, დასავლეთით – აფხაზეთი, ხოლო ჩრდილოეთით კავკასიონის მთაყარი ქედის იქითა მხარეს – ყარაჩაი და ბალყარეთი.

სვანები თავდაპირველად უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი. მათ თავის დროზე ეკირათ ლეჩხუმისა და რაჭის მნიშვნელოვანი ნაწილი. სვანები ცხოვრობდნენ დღევანდელი სამეგრელოს გარკვეულ ტერიტორიაზეც. სტრაბონი წერს, რომ სვანები კავკასიონის მწვერვალებზე, დიოსკურიის ზემოთ ცხოვრობენ, ე. ი. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეც ყოფილან განსახლებულები, რასაც უდავოდ მოწმობს ის სვანური ტოპონიმები, რომლებიც არაერთია აფხაზეთში და მათ შორის „სოხუმი“, რომლის თავდაპირველი სახელწოდება „ცხუმი“ იყო. სვანები განსახლებულნი ყოფილან ჩრდილოეთ კავკასიაშიც, მდინარეების – თერგისა და ყუბანის სათავეებში, სადაც ასევე დასტურდება სვანური ტოპონიმები. თერგის, ზასხანის და ყუბანის სათავეებში ამჟამადაც არის სვანური ტიპის სხვადასხვა შენობა-ნაგებობანი.

სვანეთის საერისთავო ჯერ დასავლეთ საქართველოს ვერის-ლაზიკისა და აფხაზეთა სამეფოს შემადგენლობაში არსებობდა, შემდეგ კი – ერთიანი საქართველოს მეფეებს ემორჩილებოდა. სვანეთი როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად საუკუნეთა მანძილზე საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. სვანებს ისეთივე დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ერთიანი ქართული კულტურის შექმნაში, როგორც საქართველოს დანარჩენი ეთნოგრაფიული ერთეულების წარმომადგენლებს. მიუხედავად იმისა, რომ სვანეთის მკვიდრნი ოჯახებში ერთ-ერთი ქართველურ შტო-დაილაქტზე მებრუნებდნენ, დღემდე შემორჩენილი ყველა საისტორიო საბუთი სვანეთში ქართულ ენაზეა შესრულებული და ბევრ მათგანში სვანები ღმერთს შესთხოვენ არამარტო თავიანთი თემისა და სვანეთის, არამედ „ერთობილი საქართველოს“ სიკეთეს.

სვანეთი თემებად იყოფოდა. ქვემო სვანეთი სამი თემისაგან (ლენტეხი, ჩოლური, ლაშხეთი) შედგებოდა. ზემო სვანეთი, რომელიც ბაღის ქედით ორ ნაწილად იყოფოდა, 12 თემის ერთობლიობას წარმოადგენდა. ბაღს ქვემო სვანეთი გვიანშუასაუკუნეებში დადგმულადგენების სამეფლობლო იყო და მასში ეცურის, ფარის, ლახამულის, ცხუმარის და ბენოს თემები შედიოდა. ე. წ. თავისუფად სვანეთში კი რვა თემი იყო: ლატალი, ლენჯერი, მესტია, მულახი (მულახ-მუჟალი), წვირმი, იფარი, კაღა და უშგული.



სვანეთი ქართული ეკლესია-მონასტრების განმთხცავი იყო. სვანეთში იმქნე-  
და დიდი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი. აქვე იწერებოდა და  
წერებოდა სასულიერო თუ საერო ჟანრის ხელნაწერები. ამავე დროს, სვანი ოსტატე-  
ბის მიერ დიდი რაოდენობითაა შექმნილი ოქრომჭკედლობის, კედლის მხატვრობისა  
და ხეზე კვეთის ნიმუშები.

სვანეთი კოშკების მხარეა, რომლებსაც თავდაცვის ფუნქცია ჰქონდათ. აქ ორ-  
სამდე კოშკს ითვლიან. სვანეთში ბევრ გვარს თავისი კოშკი ჰქონდა, რომელთა მშე-  
ნებლობაში მთელი სოფელი, თემი მონაწილეობდა. არანაკლებ საყურადღებოა კოშკე-  
ბის გვერდით მიდგმული ქვითკირის ორსართულიანი ძველი საცხოვრებელი სახლები.

შემონახულია ასამდე, ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში შესანიშნავად ჩაწერი-  
ლი ეკლესია. სვანური მცირე ზომის ეკლესიები ერთნაირი და დარბაზული ტიპისაა.  
ისინი ძირითადად IX-XV საუკუნეებშია შექმნილი და დამშენებულია ქართული  
წარწერებით. სვანეთი საქართველოს ერთადერთი ეთნოგრაფიული მხარეა, სადაც კუ-  
ლესიის გარეთა კედლებზე ფრესკები გვხვდება. ამასთანავე, გარე კედლებზე შესრუ-  
ლებული ზოგიერთი ფრესკა საეკლესიო-სასულიერო მოვლენასთან რთვია დაკავში-  
რებული. მაგალითად, ღაშთხვერისა და ჩაუაშის ეკლესიების გარე ფრესკებზე მოხე  
ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ რამდენიმე სიუჟეტია გამოხატული. სვანებს ჰქონდათ  
საერისთავო დროშა - *ღემი*.

სვანეთი მდიდარია მუსიკალური ფოლკლორით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სა-  
გალობლები (დიღე, დიდება, დიდება მთავარანგელოზებს, რძო, ჯგირაგ, კვირია, ბარ-  
ბაღ დოლაშ...), საგმრო და საწესო ფერხულები (თამარ დედფალ, მირმიქელა, ყანსაე  
ყიფიანი), ასევე, ლირიკული და სახუმრო სიმღერები. სვანურმა ყოფამ დღემდე შემოი-  
ნახა სიმღერის განსაკუთრებული სახე, სამგლოვიარო საგალობელი - „ზარი“, რო-  
მელსაც მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ. ზემო სვანეთის ყველა თემში მხოლოდ ამ  
თემისათვის დამახასიათებელი, ორიგინალური ზარი სრულდებოდა. სვანეთისათვის და-  
მახასიათებელია ეპიკური პოეზია - საგმრო ბალადები, რომლებიც ურითთაა.

სვანური სოფლები მჭიდრო დასახლებით გამოირჩეოდა. აქ მცირე დასახლებუ-  
ლი პუნქტები გვექონდა. მიწის ფართობი დიდი დასახლებული პუნქტების წარმოქმნის  
საშუალებას არ იძლეოდა. XIX საუკუნის ბოლოს სვანეთში ასორმოდეზე მეტი სოფე-  
ლი იყო.

მესაქონლეობა სვანეთში, მარცვლეულის მეურნეობასთან ერთად, სოფლის მე-  
ურნეობის მთავარი დარგი იყო. სვანეთი თითქმის ერთადერთი ისტორიულ-ეთნოგრა-  
ფიული რეგიონია, სადაც სათიბები ირწყევებოდა, რაც საფხულის განამავლობაში ბა-  
ლახის ორჯერ მოთიბვის საშუალებას აძლევდა აქაურ მკვიდრებს. სვანები მატელი-  
საგან ამზადებენ ქუდებს და ნაბდებს. სვანური ქუდები, რომლებიც მთელ საქართვე-  
ლოში მოწონებით სარგებლობდა და სარგებლობს, სამი ფერის (თეთრი, შავი და რუ-  
ხი) მზადდებოდა. აქ განვითარებული იყო მესაქონლეობა, ასევე, მეურნეობის დამხმარე  
დარგები: მეფუტკრეობა, მონადირეობა, მეთევზეობა.

მიუხედავად იმისა, რომ სვანეთი მაღალმთიანი ეთნოგრაფიული რეგიონი იყო,  
ის ჩაკეტილი, დანარჩენი საქართველოაგან მოწყვეტილი არ ყოფილა. სვანებს მჭიდ-  
რო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ საქართველოს სხვა მხარეებთან და  
ჩრდილოეთ კავკასიულ მთიელებთანაც იმ არაერთი გზა-ბილიკით, რომლებიც საუკუ-  
ნეების განმავლობაში იყო გაჭირვება-გაყვანილი.

სვანეთისათვის ნიშანდობლივი იყო გარე სამუშაოზე სიარული. მოსახლეობის  
ერთი ნაწილი - შრომისუნარიანი მამაკაცები სვანეთიდან დასავლეთ და აღმოსავ-



ლეთ საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიულ რეგიონში გადიოდა სამუშაოდ. სვანების გარე სამუშაოზე გასვლა გვიან გაჩენილი მოვლენა კი არ იყო, არამედ ის ისტორიის სიღრმეში იყო წარმოქმნილი და საქართველოს არც სხვა მთიანი ეთნოგრაფიული მხარეებისათვის იყო უცხო. სვანების გარე სამუშაოზე სიარული დაფიქსირებულია 1503 წლის საისტორიო საბუთში, რაც სვანეთის ბართან სამეურნეო-ეკონომიკური კავშირზე მეტყველებს. ამასთანავე, ეს იყო ერთგვარი წინაპირობა სვანეთის მოსახლეობის ბარში გადასახლებისა. გარე სამუშაოზე სიარული, რომელიც სახნაურო-სათესი მიწების სიმცირით იყო გამოწვეული, ხანგრძლივი ზამთრის პერიოდში ხდებოდა. გარე სამუშაოზე გასული სვანები ძირითადად მუშაობდნენ ხე-ტყის დამზადებაზე, სამშენებლო მასალის ხერხვაზე, ტყის გაჩეხვაზე. ბარადნენ ბაღებსა და ვენახებს, ჭრიდნენ თხრილებს და სხვ. საყურადღებოა, რომ 1909 წელს 1646 პასპორტი გაუციათ გარე სამუშაოზე გამსვლელთათვის.

ვახუშტის დახასიათებით, სვანები „არიან კაცნი დიდ-ტანოვანნი, ახოვანნი, დიდ-მძლედ მუშაკნი, ბართა ვერ შემართებულნი, მთათა სიმაგრეთა და ციხეთა შინა მაგარნი, სიკუდილის არა მომკვსენენი... სარწმუნოებით არიან იმერთა თანა ქართულითა და უმეცარნი აწ მისნიცა“. აკად. ნ. ბერძენიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა თავისუფალ მთიელთა, კერძოდ სვანთა უდიდეს პოლიტიკურ როლს ქვეყნის ცხოვრებაში („მოლაშქრენი მეფისა“) შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე. სვანეთს ჰყავდა მრავალი გამოჩენილი მოღვაწე. განსაკუთრებით აღსანიშნავია სვანეთის დაწინაურებულ ფეოდალურ საგვარეულოთა დიდი წვლილი ეკლესიათა აგების, მოხატვის, ხელნაწერთა დაკვეთისა და საერთო ეროვნულ-კულტურული აღმშენებლობის თვალსაზრისით. როგორც საისტორიო მასალა ადასტურებს ერთ-ერთი ასეთი გამოჩენილი საგვარეულო ჩეგიანთა//რუჩეგიანთა საგვარეულო იყო. მათი დიდი წვლილი სვანეთის დიდი ქრისტიანული კულტურის შექმნის კუთხით ასახულია წარმოდგენილ კრებულში.



ნაშრომი/რუხეზიანთა გვარის ისტორიის უპრცედეტი

ძველი სვანეთის წარჩინებულ გვარებს შორის ერთ-ერთია ჩეგინთა გვარი, რომელიც წერილობით წყაროებში XIV ს-დან რუხეზიანების სახელწოდებით გვხვდება. საკუთრივ ჩეგინები XI ს-დან მაინც დასტურდება და წარმოშობით იგი ბევრად უსწრებს წინ სვანეთის გვიანნამოყალიბებულ ისეთ გვარებს, როგორცაა დადუშქელიანები, გელგოვანები, ჯაფარიძეები და სხვ.

ჩეგინების თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილი (პადიში), მისი მიდამოები და მათ შორის ს. ხალდე უნდა იყოს - ეველა საისტორიო წყარო მათ შესახებ, მათ შორის, ზეპირგადმოცემები, ლეგენდები და თქმულებები ამ ადგილებს უკავშირდება. ჩეგინების ნაწილი ამჟამად ზემო სვანეთის კალას თემში ცხოვრობს.

ხალხური ეტიმოლოგიით „ჩეგი“, თითქოს, შედგება ორი ნაწილისგან: „ჩე“ (თეთრი) და „გი“ (შემოკლებით - გიორგი), ე.ი. მთლიანობაში „ჩეგი“ ნიშნავს „თეთრი გიორგი“-ს. ასეთი ეპითეტი წმ. გიორგისა უცხო არ არის ქართული სინამდვილისათვის<sup>1</sup> და, თითქოს, იგი გადასულა ამ გვარზეც, თუ საფუძვლად დადებია ამ გვარის სახელს. ეს მაინც ხალხური ეტიმოლოგიაა და მისი წარმომავლობის მეცნიერული საფუძვლები კიდევ საკვლეფია. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ჩეგინების გვარის არსებობა ჯერ კიდევ XI ს-დან დოკუმენტურად დასტურდება სვანეთში და იგი ერთ-ერთი უძველესია, არა მარტო სვანეთის, არამედ მთელი ქართული სინამდვილისათვის, დღემდე ცნობილ ქართულ საგვარეულოებს შორის.

ჩეგინ/რუხეზიანთა გვარის ისტორიის შესასწავლად მიიბრუნება შემდეგი საისტორიო წყაროები (ქრონოლოგიური თანმიმდევრობით):

- 1) ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერები ეკლესიის კედლის შელესილობაზე და ეკლესიისავე ფრესკულ მხატვრობაზე);
- 2) ეკლესიის კედლის ფრესკული მხატვრობა;
- 3) „მატიანე სვანეთისა კრებისა“;
- 4) ისტორიული საბუთები (ხელნაწერებზე მინაწერები);
- 5) საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებლები.

ცხადია, რომელიმე ძველი ქართული ისტორიული გვარის შესასწავლად ეს ცოტა არაა და მეტყველებს, ერთი მხრივ, ამ გვარის ძირმეფლობაზე და, მეორე მხრივ, მის გავლენაზე, ფართოდ გავრცელებასა და სახელგანთ ისტორიულ წარსულზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვარის თავდაპირველი ფორმა - ჩეგინები, მხოლოდ წარწერებითაა ჯერჯერობით ცნობილი და გამოვლინდა ბოლო ხანებში, ხოლო მისი შემდეგში ჩამოყალიბებული ფორმა - რუხეზიანები ცნობილია მხოლოდ რბილ საწერ მათგან.

<sup>1</sup> თეთრი გიორგობა, მახთან დაკავშირებული გადმოცემები და რიტუალები აღწერილი და შესწავლილი აქვს ა. ჯავახიშვილის (იხ. მისი, ქართველების წარმართობა, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979, გვ. 90-93). პირველად თეთრი გიორგობის მსგავსი დღესასწაული, რომელიც მთავრის თავიანთსეჟმას გამოხატავდა, აღწერილია ბერძენ ეპიგრაფს სტრაბონს (I ს.). აქუროს თეთრი გიორგობის ეთნოგრაფიული აღწერილობა და ანალიზი, ა. ზარაფიშვილის მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით, წარმოადგინა ი. ჯავახიშვილმა. მისი დასკვნით, საქართველოს სხვადასხვა ადგილას 14-15 აგვისტოს თეთრი გიორგობა იცინა... ეს ხატობა წარმართობისდროინდელ მთავრის ხატობის ალავას არის და თეთრი გიორგის მთავარი ღვთაების, მთავრის მაგიერი ადგილი უკავია“ (იქვე, გვ. 93).



ხალაზე (ეტრატი, ქადალდი) შესრულებული წერილობითი ძეგლებით და ცნობილი გახდა ჯერ კიდევ XIX ს-დან, სვანეთში დაცული სიძველეების შესწავლის დროიდან. ეს იმაზე მიუთითებს, რომ არ არის გამორიცხული ამ გვარის შესახებ საისტორიო მასალები (იხვევ, როგორც სვანეთის სხვა საგვარეულოებზე) მომავალშიც გამოვლინდეს და შეავსოს ჩვენი ცოდნა მათ შესახებ.

ცალკე უნდა აღინიშნოს, როგორც ჩევიან/რუქევიანების, ისე სვანეთის სხვა საგვარეულოების შესახებ არსებული, ან ზეპირგადმოცემებით შემონახული თქმულებების, ლეგენდების – ზოგჯერ პროზაულების და ზოგჯერ გაღეჟილების შესახებ, რომლებიც ერთად (ან თუნდაც, ცალ-ცალკე) შეკრება, დამუშავება და საისტორიო წერილობით წყაროებთან შეჯერება ან მათგან დამოუკიდებლად შესწავლა, აუცილებელია და მომავლის სამუშაოდ რჩება.

ზემოთ აღინიშნა, რომ ჩევიან-რუქევიანების თავდაპირველი საცხოვრისი ზემო სვანეთის განთქმული სოფელი ადიში (ჰადიში) და მისი მიდამოები უნდა ყოფილიყო და ამ მოსახრების საფუძველია ეკლესიის კედლის შედგენილობაზე თვალსაჩინოდ ამოკარული XI ს-ის შესანიშნავი წარწერა-მოსახსენებელი ჩევისა წმ. თეოდორესადმი დიპართით.

ეს ეკლესია მდებარეობს ს. ადიშის გარეთ, მისგან აღმოსავლეთით 5-ღე კმ-ზე. იგი ცნობილია „ჯგრაგ ლიხანიშის“ სახელწოდებით. აქ ყოველწლიურად ვაჟიანობის (ვაჟიშვილის შეძენის) აღსანიშნავად (ამიტომ მას ქულოსნების ეკლესიასაც უწოდებენ) ტრადიციული საეკლესიო-სახალხო დღესასწაული იმართება (2.VIII), რომელშიც მონაწილეობენ, როგორც სოფლის მაცხოვრებლები, ისე ადიშიდან წასულები, რომლებიც ამ გზით არ წყვეტენ მასთან კავშირს<sup>2</sup>.

„ჯგრაგ ლიხანიშის“ ეკლესია X ს-ის ნაგებობაა. მისი კედლები დაფარული ყოფილა ფრესკული მხატვრობით, რომელიც ასევე X ს-ით თარიღდება და რომელსაც მნიშვნელოვანი კტიტორული წარწერა ახლავს. იგი ფრაგმენტულია, გამოუქვეყნებელია და ჯერ კიდევ შესასწავლია. ეკლესიის მხატვრობა, ნაწილობრივ კედლის შედგენილობის ჩამოშლის და, ნაწილობრივ, კედლების კვამლისგან შეჭვარტლის გამო ან მთლიანად დაღუპულია ან ფრაგმენტულადაა შემორჩენილი.

ამ ეკლესიაში, ჩრდილოეთის კედელზე, მის მთელ სიგრძეზე გამართულია ხის თარო. მასზე ჩამოწყობილი იყო (1972) ეკლესიისათვის შეწირული სხვადასხვა ცხოველის, როგორც შინაურის, ისე ნანადირევის რქები – ბატკნის, ცხვრის, საქონლის, თხის, ციკნის, ხბოს, ჯიხვის, არწვის. ადრე ასეთი რქები, როგორც აქ, ისე სვანეთის სხვა ეკლესიებში დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა. სამწუხაროდ, მათი უმეტესობა, განსაკუთრებით დიდი ზომის რქებისა, სვანეთის ეკლესიებიდან აქამად გამქრალია (როგორც ჩანს, ადრევე გაქრა ისინი საქართველოს სხვა კუთხეების, ალბათ, უფრო მთის რეგიონების ეკლესიებიდან). „ჯგრაგ ლიხანიშის“ ეკლესიაში ადრე ამ რქების გადაწობა, მათთვის თავდაპირველი ადგილის შეცვლა აკრძალული იყო. მათი რაოდენობის მკვეთრად შემცირებისა და დარჩენილი რქების ნაწილობრივ გადაწობის შემდეგ (1990), კედლის შუაში, თვალსაჩინოდ ამოკარული ერთსტრიქონიანი წარწერა-გრაფიტიც გამოჩნდა – ადრე იგი რქებით იყო დაფარული. წარწერა ამოკარულია ეკლესიის ამ კედელზე წარმოდგენილი წმ. თეოდორეს ფრესკული გამოსახულების

<sup>2</sup> „ჯგრაგ ლიხანიშობის“ დღესასწაულის აღწერა და მისი ანალიზი იხ.: *მ. მაკალათია*, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში, *კრ. სვანეთი*, I, მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის, თბ., 1977, გვ. 28-30; *პ. ბუხნაშვილი*, „ლიხანიში“ – ძეგლი ჰადიშის (ზემო სვანეთი) თემში, *კრ. ამირანი*, VII, 2002, გვ. 7-19.



ზემოთ. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, იგი XI ს-სა და განსაზღვრავს მხატვრობის ზედა თარიღს. წარწერის ტექსტი ასეთია: „წმიდაო თ(ეოდორ)ე, შეიწყაღე ჩეგი“ (ფრჩხილებში ჩასმულია სიტყვების დაქარაგმებული, შემოკლებული ნაწილები)<sup>3</sup>.

წარწერა შინაარსით მოსახსენებელია ჩეგისა, რომელსაც მოქმედი ეკლესიის კედელზე (XI ს-ში „ჯგრაგ ღიწანიში“ ასეთი ნამდვილად იქნებოდა), მის თვალსაჩინო ადგილას, წარწერის შესრულება ეკლესიის წინაშე გაწეული გარკვეული სამსახურის (ძირითადად, შეწირულება) გამო მოუპოვებია, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა შემთხვევებში მსგავსი ფორმულით შედგენილი წარწერების ამოკვეთისას. ამასთანავე, მიმართვა წმ. თეოდორესადმი მაშინ, როდესაც თვით ეკლესია წმ. გიორგის სახელობისაა, ცხადია, განპირობებულია იმით, რომ წარწერა ამოკაწრულია ამ წმინდანის ფრესკულ გამოსახულებაზე. არ არის გამორიცხული, რომ ეკლესიის კვაშლისაგან შეტყვარტლული კედლების გულდასმით შესწავლა-დათვალიერებისას მსგავსი შინაარსის სხვა წარწერაც აღმოჩნდეს საკუთრივ წმ. გიორგისადმი მიმართვით, თუ, რა თქმა უნდა, ეს წარწერები ამ ეკლესიის კედლების ჩამოშლილ შედეგისაგანაა ერთად არ გაქრა.

„ჯგრაგ ღიწანიშის“ წარწერის ჩეგი, ჩეგიანთა გვარისეპონიმად, ამ გვარისათვის სახელის მიმცემად უნდა მივიჩნიოთ; უფრო ზუსტად – გვარი (ჩეგიანი) ანთროპონიმ ჩეგისგან წარმოიშვა.

აქ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი შემთხვევები – ეპონიმები და მათი მიხედვით ნაწარმოები გვარები, განსაკუთრებით მრავალადაა წარმოდგენილი სვანეთის წერილობით ძეგლებში, თუმცა, ასევე ცნობილია და გავრცელებული მთელ საქართველოში. XIII ს-ის II ნახ-ის წერილობით ძეგლში – „მატიანე სვანეთის კრებისა“, რომელმაც დედნის სახით მოაღწია ჩვენამდე, 100-ზე მეტი ასეთი შემთხვევაა წარმოდგენილი (აბულეთ – აბულეთიანი, ამროლა – ამროლიანი, ბეშქენ – ბეშქენიანი, გობეჩი – გობეჩიანი, დოდილ – დოდილიანი, კვანჭი – კვანჭიანი, მარუში – მარუშიანი, ტბელი – ტბელიანი, ხარიტონ – ხარიტონიანი და მრავალი სხვა<sup>4</sup>). ცხადია, ერთ-ერთი ასეთია ჩეგი და მისგან ნაწარმოები ჩეგიანი, თუმცა, „მატიანეში“ იგი არ იხსენიება, რასაც თავისი მიზეზი და ახსნა აქვს – მულახის, წურემის, ზეგენის, კალის და უშქულის (სოფლის სახელებს აღვნიშნავ იმ ფორმით, როგორც „მატიანეში“) მხოლოდ სახელებია ჩაწერილი კრების მონაწილე კონკრეტული პირების სახელების და გვარების აღნიშვნის გარეშე. ხოლო ჩეგიანთა თავდაპირველი საცხოვრებელი, ალბათ, XIII ს-შიც, კალა და მისი მიდამოები იყო, როგორც ზემოთ აღინიშნა. ხოლო კალა მოყოლილია „მატიანის“ იმ ნაწილში, რომელშიც კონკრეტული პირები არაა დასახელებული.

მაშასადამე, ჩეგი და მისგან ნაწარმოები ჩეგიანი სვანური გვარების წარმოების საერთო ნაკადში დგას და ჯერ კიდევ XI ს-დან დასტურდება. მართლაც, XII ს-ში ჩეგიანი უკვე გვარია და, როგორც ასეთი, პირველად დასტურდება ისევ ეპიგრაფიკულ ძეგლში – ადიშის (პადიშის) მაცხოვრის ეკლესიის ფრესკულ (სადებავით შესრულებულ) წარწერაში.

ადიშის მაცხოვრის ეკლესია, სადა დარბაზული ნაგებობა, სვანეთის ერთ-ერთი რიგითი ხუროთმოძღვრული ძეგლია, რომლის მსგავსი X-XI სს-ში მრავლად შენდუ-

<sup>3</sup> ვ. ხიფიანაძე, ადიშის XI საუკუნის უცნობი ნაკაწრი წარწერები, კრ. სვანეთი – ქართული კულტურის საგანგ, თბ., 2008, გვ. 253, 258-259.

<sup>4</sup> იხ. იქვე, გვ. 253-255.



ბოლა სვანეთშიც და მთელ საქართველოშიც, განსაკუთრებით მთიანეთში. მაგალითობის მოსაყენად შორს რომ არ წავიდეთ, ასეთივეა ადიშის ჩვენამდე მოღწეული სამი, სხვა ეკლესიაც. მაგრამ, მაცხოვრის ეკლესია მაინც გამორჩეულია – ფრესკული მხატვრობით, კტიტორის მოღწეული გამოსახულებით და მისი თანმხლები წარწერით, ნაკაწრი წარწერებით და დიდი რაოდენობის (40-მდე) ჯვარ-ხატებით, როგორც სვანეთში დამზადებულებით, ისე ბარიდან ამოტანილებით. ცხადია, მათი განხილვა ჩვენს ამოცანას არ შეადგენს და ამისი ადგილი აქ არ არის, მაგრამ რამდენიმე მნიშვნელოვან და გამორჩეულ, კედელზე ამოკაწრული წარწერის შესახებ მაინც უნდა აღინიშნოს.

კერძოდ, ეკლესიის კედლებზე ამოკაწრულია, სხვებთან ერთად (გიორგი ხატომიანი, ივანე ხეშვილელი), როგორც ჩანს, ადგილობრივი ხუცესის, ვინმე სინელის ხელთან დაკავშირებული ოთხი წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ა. XII სს-ისა<sup>5</sup>. ორი მათგანი, შედარებით ვრცელი ტექსტებით, ხუცეს *სინელის* მოსახსენებლებია. წარწერების ასოთა დახვეწილი გრაფიკიდან (გარდამავალი მხედრული) და გამართული ტექსტებიდან აშკარაა, რომ სინელი თავისი დროის კარგი მწიგნობრივ ყოფილა (მაგ., ერთ-ერთი მოსახსენებლის ტექსტი ასეთია: „ქ. მუჟფო მუჟფოთო და უფალო უფლებათაო, წმიდაო მაცხოვრო ადიშისაო, შეიწყალე სინელი, მწარედ ცოდვილი, დღესა მას საწინელსა განკითხვისასა. შენსა მას დიდებით მოსხვასა, მათ დიდთა დღეთა დაჯდომისა“). მაგრამ, კიდევ უფრო ღირსშესანიშნავია ამ სინელის სახელთან დაკავშირებული ადიშის მაცხოვრის ეკლესიის ორი სხვა წარწერა: ერთში აღნიშნულია მისთვის 400 აურას (წერილი ვერცხლის მონეტები), როგორც ჩანს, ეკლესიისათვის სხვადასხვა დროს შეწირულის მითვლის, ჩაბარების („გუითვალეთ“) შესახებ (ამ წარწერას ანალოგი მიეპოვება სვანეთშივე ჩაუაშის (მუჟალი) მთავარანგელოზთა ეკლესიის ერთ-ერთი წარწერის სახით<sup>6</sup>), ხოლო მეორეში (ადიშის მთავარანგელოზთა ეკლესიაში – „თარინგულ“) აღნიშნულია „ივანეს თავისპოვასა წინა დღეს“ (ახ. სტ. 7 მარტს) „თოვლმან სახლი დაარდვია და ძელნი დაღუწნა“<sup>8</sup>. როგორც ვხედავთ, წარწერა სვანეთში, კერძოდ, სოფელ ადიშში ადრე გასაფხულზე მოსულ დიდ-თოვლობას შეეხება, რომელსაც მატერიალური ზარალი გამოიუწვევია. როგორც ჩანს, ეს იმდენად მსოფლოდნელი და შთამბეჭდავი იყო, რომ ამის შესახებ ხუცესს ეკლესიის კედელზე წარწერა მოუთავსებია.

სამწუხაროდ, ხუცეს სინელის გვარი ჩვენთვის უცნობია – როგორც სასულიერო პირი, არსებული წესის შესაბამისად, იგი ამას წარწერებში არ აღნიშნავს. იქნებ, ისიც ჩვეიანის გვარისა იყო? მით უმეტეს, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ადიშის მაცხოვრის ეკლესია, XI-XII სს-ში მაინც, ჩვენთანა საგვარეულო ეკლესია, მათი საკუთრება ყოფილა. ამის უტყუარი მოწმობაა ამ ეკლესიაში არსებული კიდევ ერთი ეპიგრაფიკული ძეგლი – განმარტებითი წარწერა და ფრესკული პორტრეტი *მიქაელ ჩევიანისა*, როგორც ეკლესიის მხატვრობის კტიტორისა.

ეს წარწერა მოთავსებულია ეკლესიის სამხრეთი კედლის შიდა შედესილობაზე, დასავლეთის თაღელში, შესასვლელსა და თაღს შორის დარჩენილ ფართობზე გამო-

<sup>5</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ეპიგრაფიკული ძეგლები, ტექსტები გამოხატვმად მოაზრდა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო *ვალერი ხილოვაკაძე*, თბ., 1988, გვ. 232-235.  
<sup>6</sup> იქვე, გვ. 233-234, №4.  
<sup>7</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 371-372, №219.  
<sup>8</sup> იქვე, გვ. 235, №6. შდრ. იქვე, გვ. 212-213.



სახელი საერო პირის თავის მარცხნივ (მაყურებლისაგან). საერო პირის გამოსახულების ზომაა 85X59 სმ. როგორც ჩანს, იგი წარმოდგენილი იყო მთელი ტანით, რამ შედეგად ფრესკის ქვედა ნაწილით ამჟამად ჩამოშლილია და დარჩენილია გამოსახულების მხოლოდ 2/3. ფრესკაზე წარმოდგენილია ახალგაზრდა მამაკაცი, მუქი ჯდალი (მოწითალო) ფერის თმა-წვერით. თავზე პხურავს მრგვალი, ზემოთ წაწვეტილებული, წითელი ფერის, ბეწვშემოვლელი ქუდი. ტანთ აცვია ღურჯი ფერის წელში გამოყოფილი კაბა, რომელიც მაშინ გავრცელებული მოდის, სხვა დიდებულების ანალოგიური ტანსაცმლის მიხედვით, მუხლებამდე იქნებოდა დაშვებული. სახელორ ადგილას, მაჯასთან და მკლავზე შემკულია ოქრომკედელი ნაქარგით და ძვირფასი თვლების გამოსახულებით. ასეთივე ნაქარგი დაუყვება ტანსაცმლის წინა პირს მთელს სიგრძეზე. ეს ნაქარგი გულისხმობს გადახსნილია. მამაკაცი გამოსახულია ევდრების პოზაში, მიბრუნებით საკუროთხველისაკენ. ამიტომ, იგი ზურგშექცევით დგას მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის გამოსახულების მიმართ, რომელიც მოთავსებულია ეკლესიის კარების თავზე ორივე მხარეს წარწერით - „იესუ ქრისტე“. მისი ასეთი პოზა შინაარსობრივად მაცხოვრის მიმართ ზურგშექცევად არ უნდა გავიგოთ: იგი ევდრებით მიმართულია ეკლესიის ყველაზე წმინდა ადგილის - საკუროთხველისაკენ, მაშასადამე, მთელი ეკლესიისა და მასში გამოსახული ყველა წმინდანისაკენ, ხოლო მის ზურგსუკან და მადლა გამოსახული ხელთუქმნელი ხატი მაცხოვრისა არის მისი შემწე და მფარველი. ვფიქრობ, სწორედ ასე უნდა გავიგოთ ამ ერთობ უწყველი კომპოზიციის - კტიტორის და მის უკან გამოსახული მაცხოვრის იდეული შინაარსი<sup>9</sup>.

მამაკაცის გამოსახულება შემორჩენილია დამაკმაყოფილებლად - იგი ოდნავ შემკვარტლებულია და რამდენადმე დაზიანებულია სახე: გადაფხვილია თვალების და ცხვირის გამოსახულება ხელოვნურად, საგანგებოდ დაზიანების შედეგად. როგორც ჩანს, ეს მის მიმართ ბოროტგანმზრახველთა ნამოქმედარია, რადგან ფრესკა ისეთ „დაცულ“ ადგილასაა მოთავსებული, რომ სხვაგვარად, თუ არა საგანგებოდ, არ დაზიანდებოდა.

გამოსახულების მარცხნივ (მაყურებლისაგან), როგორც აღინიშნა, მოთავსებულია ღურჯ ფონზე თეთრი საღებავით საშუალო ზომის (სიმაღლე: 3-4,5 სმ), თანაბარი ასომთავრული ასოებით შესრულებული წარწერა (უჭირავს ფართობი: 20X18 სმ): „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ ჩევიანი, ამენ. † ესე“<sup>10</sup>.

წარწერა, პალეოგრაფიული ნიშნებით, და, შესაბამისად, ფრესკაც XII ს-ით თარიღდება.

მაშასადამე, ფრესკაზე წარმოდგენილია დიდებულის მდიდრული ტანსაცმლით მიქაელ ჩევიანი. უფრო მეტი, იგი წარმოდგენილია მადლი საერო თანამდებობის პირის ინსიგნიებით - სამკლავრით და ბეწვშემოვლელი ქუდით<sup>11</sup>. ვფიქრობ, ყველა

<sup>9</sup> შტრ. კტიტორი ქალის, როგორც ჩანს, სამცხელი აზნაურის მირჯანის ცოლის, სახელით *კრავის* ზურგშექცევით გამოსახვა ჩვეულებრივი დმრთისმშობლის მიმართ ვალის ეკლესიის (ადიგნის რ-ნი) აღმოსავლეთ ფასადის რელიეფზე (*რ. მეფისაშვილი*, ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, *ქართული ხელოვნება*, 3, თბ., 1950, გვ. 33, ტბ. 9:1).

<sup>10</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 80-81, №18 (იქვე გამოსცემათა სრული ბიბლიოგრაფია).

<sup>11</sup> ქუდის, როგორც კოსტუმის შემადგენელი ნაწილის, მათ შორის, ბეწვშემოვლელი ქუდის, როგორც ინსიგნიის ნიშნის შესახებ იხ. *ნ. ნოზიკაშვილი*, *ქართული კოსტუმი* (VI-XIV სს.), თბ., 1964, გვ. 131-135. აქ ავტორს მოხმობილი აქვს მიქელ ჩევიანის ქუდიც (გვ. 133, სურ. 82).

საფუძველი არსებობს იგი ცენტრალური სამეფო ხელისუფლების მიერ დანიშნულ ადგილობრივ მოხელედ – სვანეთის ერისთავად და, ამასთანავე, ერისთავთ-ერისთავის ტიტულის მატარებლად მივიჩნიოთ.

მაგრამ, დაეუბრუნდეთ წარწერას. იგი დაუშთავრებელია – მეოთხე სტრიქონი პირველივე სიტყვის შემდეგ შეწყვეტილია. აქ ზის ტექსტის დასაწყისის აღმნიშვნელი ჯვარი (†), შემდეგ ჩვენებითი ნაცვალსახელი „ესე“, ხოლო შემდეგ არც ადგილია და-ზიანებული და არც რაიმე ტექსტია სახეზე. ტექსტი, თითქოს, შეიძლება გაგრძელდეს ორნაირად – „† ესე (ეკლესია მან დახატა)“, ან „† ესე (არს ერისთავი)“. ნაკლებსავარაუდოა, თუ საერთოდ გამორიცხული არა, ასეთი გაგრძელება: „† ესე (არს იგი)“, თითქოს, დამატებით მინიშნება აქ გამოსახულ და წინმითავე ტექსტში დასახელებულ პირზე. შესამისაგან განსხვავებით, განვიხილოთ ტექსტის გაგრძელების პირველი ორი ვარიანტი, თუ რამდენად შესაძლებელია და საფუძველიანი ისინი.

ცხადია, „ესე ეკლესია მან დახატა“ სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მიქაელ ჩეგინი მხატვარიც იყო და მან მოხატა ადიშის მაცხოვრის ეკლესია. მსგავსი გამოთქმა გამოიყენებოდა იმათ მიმართ, ვისი ხარჯითა და სახსრებით მოხატებოდა ეკლესია, ანუ ვინ იყო მისი მოხატვის კტიტორი. შორს რომ არ წაივადეთ, ანალოგიური მაგალითები გვაქვს სვანეთის სინამდვილეში: ღენჯერის მხერის მთავარანგელოზთა ეკლესიის კტიტორი იველიანი კტიტორულ წარწერაში თავის გამოსახულებასთან აღნიშნავს – „ეკლესია ესე დავხატე“-ო<sup>12</sup>; მესტიის ღაღამის მაცხოვრის ეკლესიაში კტიტორის გამოსახულებასთან მოთავსებულ წარწერაში ნათქვამია – „ნექეს შეუნდოს ღმერთმან, მან დახატა ეკლესია ესე“<sup>13</sup> და სხვ. მაშასადამე, თუ ადიშის მაცხოვრის ეკლესიის წარწერას ზემოთ წარმოდგენილი პირველი გაგრძელება ექნებოდა, მაშინ „ესე ეკლესია მან დახატა“ ნიშნავს, რომ ეკლესია მისი შეკვეთით, მისი სახსრებით მოხატა.

რაც შეეხება ტექსტის მეორე სავარაუდო გაგრძელებას – „ესე (არს ერისთავი სვანეთისა)“, აქ საქმის ვითარება ასეთია: ზემო სვანეთში ერისთავის ინსტიტუტის, როგორც მმართველობის ფორმის არსებობა სადღეისოდ X-XI სს-დან დოკუმენტურად დასტურდება. ამის უტყუარი მოწმობაა „შუაგულ“ ზემო სვანეთში, მუკალის მაცხოვრის ძველის-ძველ (VIII ს-ის) ეკლესიაში<sup>14</sup> ვახტანგ ერისთავის და იოვანე ერისთავის X ს-ის II ნახ-ის მოსახსენებელი წარწერის არსებობა<sup>15</sup>. იგივე ვახტანგ ერისთავი დასახელებულია იქვე ამოკაწრულ კიდევ ერთ თანადროულ წარწერაში. არც ერთ ამ წარწერაში და, აგრეთვე, იმ წარწერებში სვანეთთან დაკავშირებული ერისთავები რომ იხსენიებინ, აღნიშნული არაა კონკრეტულად, რომ ისინი სვანეთის ერისთავები. როგორც ჩანს, ასეთი კონკრეტიზაცია საერთოდ არ იყო მიღებული, თუმცა, მომდევნო ხანის – XII ს-ის და შემდგომ, ვარდანისძეები სწორედ „სვანთა ერისთავებად“ იწოდებან<sup>16</sup>.

<sup>12</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 100.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 88.

<sup>14</sup> რ. მეფისაშვილი, ზემო სვანეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველი სამცნებრო სენია, 7-8 მაისი, 1971, სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, დაბა მესტია, 1971.

<sup>15</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 401, №265.

<sup>16</sup> თ. ქართუელიშვილი, სვანთა ერისთავების ვარდანისძეების გურიაში დამკვიდრების საკითხობათვის, კრ. სვანეთი – ქართული კულტურის სავანე, თბ., 2008, გვ. 264-273.



ერთი სიტყვით, თუ მიქაელ ჩეგიანის წარწერის გაგრძელების მეორე ვარიანტი ვივარაუდებთ, მაშინ მისი ერისთავობა აქ კონკრეტული რეგიონის გარეშე იქნებოდა აღიშნული.

დასანანი, რომ მიქაელ ჩეგიანმა, რომელიც ჩაცმულობის მიხედვით ერისთავი უნდა იყოს, ადგილი ვერ პოვა XI-XV სს. სვანთა ერისთავების რიგში<sup>17</sup>; თუმცა, ამჟამად დროს, ადგილი ვერ პოვეს X ს-ის II ნახ-ის ერისთავებმა ვახტანგმა და იოვანემ, რომლებიც ასეთებად წარწერებში არაორაზროვნად იწოდებიან.

დასანანი ისიც, რომ არც იოვანე ერისთავის და არც ვახტანგ ერისთავის გვარები წყაროებს არ შემოუნახავს – წარწერაში იგი აღნიშნული არაა. ფაქტია მხოლოდ ის, რომ მათი ერისთავობა სვანეთში უსწრებს მიქაელ ჩეგიანის სავარაუდო ერისთავობას.

ამით ამოიწურება ჩვენი ცოდნა „ადრეული ხანის“, ანუ XI-XII სს. ჩეგიანების შესახებ. XIII ს-ის II ნახევრამდე წყაროებში ჩეგიანებზე ცნობები არ შემონახულა, ხოლო XIV ს-დან გვარი რუჩეგიან/რუჩაგიანის ფორმით გვხვდება და ცნობებიც მათ შესახებ მეტია. რამ გამოიწვია გვარის დასახელების თითქოს უმნიშვნელო, მაგრამ არსებითი შეცვლა, საიდან განდგა ან რას ნიშნავს ეს წინსართი „რუ“, უცნობია. ცხადია, მას თავისი საფუძველი ექნებოდა, მაგრამ წყაროთა მოუღწევლობის გამო, ჩვენ იგი არ ვიცით. ერთადერთი არგუმენტი იმისა, რომ რუჩეგიან/რუჩეგიანები ჩეგიანების შემკვდრე ჩამომავლები არიან, ჩეგიანებში დამკვიდრებული ზეპირი გადმოცემაა, რაც თავისთავად ცოტა არ არის და მას, ცხადია, ანგარიში უნდა გაეწიოს; თუმცა, გვარის ფორმის ასეთი ცვლილების ახსნა არც მათ მოეპოვებათ.

რუჩეგიან/რუჩაგიანთა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის ქრონოლოგიური ორიენტირება სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილი ორი შესანიშნავი წყაროებითი ძეგლი – „მატიანე სუანეთისა კრებისა“ XIII ს-ის II ნახ-ისა<sup>18</sup> და ე.წ. „ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელი“ 1503 წლისა<sup>19</sup>. აღსანიშნავია, რომ პირველში საერთოდ არ იხსენიებიან არც დაღეშქელიანები, არც ჯაფარიძეები და არც გელოვანები, რადგან მათ მიერ სვანეთში გაბატონებული მფლობელობის მოპოვება XV ს-დან, უფრო მისი მეორე ნახევრიდანაა საგარეუდებელი. ასეთ შემთხვევაშიც, 1503 წლის სიგელში, რუჩაგიანი დაღეშქელიანის დონის და უფლებების მმართველად გვევლინება და რამდენადმე მასზე წინ მდგომადაც, რადგანაც საბუთის ტექსტში „სრულიად სუანთა ჩენილები“ წინამძღოლებად ჯერ რუჩაგიანია დასახელებული და შემდეგ დაღეშქელიანი, როდესაც მათ შუამავლობა სთხოვეს ჯაფარიძის მკვლელმა სვანებმა მამია დადიანის წინაშე იმერეთის მეფესთან აჯისათვის: „მერმე შევიყარენით სრულიად სუანთ ჩენილები და ვქენით ვაზირობა. მივედით ეცერს, რუჩაგიანსა და დაღეშქელიანსა შევეხუქუქა“

<sup>17</sup> შ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003, გვ. 224. აქ, სპეციალურ ნარკვევში სათაურით „სვანთა საერისთავო“, ჩამოთვლილია სვანთა ერისთავები XI-XV სს-ში, დაწვეული ბაკურიდან (X ს-ის ბოლო – XI ს-ის დასაწყისი) და აბესალომ გელოვანი (XV ს-ის ბოლო) დამთავრებული. ავტორის მიერ სადოქტორო დისერტაციად წარმოდგენილი ამ ნაშრომის ერთი ნაწილის – „ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში“ (ძვ. წ. III ს-დან – ახ. წ. X ს-ის ბოლომდე)“, თბ., 2004 წ., იხ. რეცენზია კრებულში „შოთა მესხია-90“, თბ., 2006, გვ. 514-526.

<sup>18</sup> კ. ინგოროვეა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, ტმქტები, 1. სვანეთის საისტორიო აქტები, 2. მატიაზე სვანეთისა კრებისა, თბ., 1941, გვ. 115-160.

<sup>19</sup> სვანეთის წყაროებითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატიანები, ტმქტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ედიშორი სილოგავამ, თბ., 198, გვ. 112-116 (იქვე საბუთის გამოცემათა სრული ბიბლიოგრაფია – გვ. 113).



ნით და დადიანთან გავგზავნეთ<sup>20</sup>. სამწუხაროდ, ამ რუწეგიანის სახელი (იხვევ, როგორც დადიშკელიანისა) წერილობით წყაროებს არ შემოუნახავს. არც საბუთის თარიღი - 1503 წელი, ე.ი. XV-XVI სს. მიჯნა, მიგვანიშნებს რომელიმე რუწეგიანზე. იქნებ, მისი სახელი ხალხურ გადმოცემებსა და თქმულებებში იყოს შემონახული, რაც ცალკე კვლევის საგანია.

ყველა რუწეგიანი, რომელიც „მატიანე სუანეთისა კრებისასაშია“ მოხსენიებული, ეცერის თემშია წარმოდგენილი. ამ თემის 364 ოჯახის თუ ცალკეული პირის (სხვათა შორის, ყველაზე მეტის, ანუ რიცხვმრავალის ვიდრე სვანეთის ნებისმიერი სხვა თემისა) მოსახსენებლიდან 10 თუ 11 ამ გვარის წარმომადგენელი, ან მისი ოჯახის წევრებს ეკუთვნის (10 თუ 11 იმიტომ, რომ ერთიან ცალკე დასახლებული რუწეგი (VII, 82) და იქვე რუწეგ რუწეგიანი (VII, 90) - შეიძლება ისინი ერთი და იგივე პირები იყვნენ.

კერძოდ, მათ შორის „ვინცა [...]მითგან ეცერს ამა კრებასა მოეგება და სული შეგუდრა“, დასახელებულია: ნიქო რუწეგიანი (VII, 55); რუწეგი (VII, 82); ინაი რუწეგიანი და მისი მუუღლე სახელის აღუნიშნავად (VII, 83); რუწეგ რუწეგიანი (VII, 90. შეიძლება იგივე VII, 82-ის რუწეგი); ბებე რუწეგიანი, მისი და (სახელის აღუნიშნავად), იქვე ვინმე გიორგი, ალბათ, მათი ოჯახის წევრი (VII, 127); გუნუ რუწეგიანი და მისი მუუღლე სახელის აღუნიშნავად (VII, 128); ბებე რუწეგიანი (VII, 132), ალბათ სხვა და არა ის, რომელიც დასთან და გიორგისთან ერთად VII, 127-ია დასახელებული; გუნუ რუწეგიანი და მუუღლე მისი მარიამი (VII, 231) - თუ ეს VII, 128-ში დასახელებული წყვილია, მაშინ მათი მოსახსენებელი „მატიანეში“ ორჯერ ჩაუწერიათ; ლხინაი რუწეგიანი (VII, 218); იოანე რუწეგიანი (VII, 335) და ფურდუხ რუწეგიანი (VII, 364).

მიუღი ამ სტატისტიკიდან ის დასკვნა კეთდება, რომ დაახ. XIII ს-ის II ნახდან გვარშეცვლილი მივჩიანები, ახლა უკვე რუწეგიანებად გადაკეთებულები, ეცერში დასახლებულან. როგვიანებით, გაურკვეველ ვითარებაში, ეცერში ჩასახლდნენ დაღმუქეიანები. მათ შორის დამოყვრებასაც არაერთხელ ჰქონია ადგილი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, მაგრამ ფაქტია, რომ XIX საუკუნისათვის დაღმუქეიანებმა რუწეგიანები ეცერიდან საოლოოდ განდევნეს (შეიძლება ცოტათი ამაზე ადრეც).

შეიძლება ჩევიანების ეცერში გადასვლა და ოდნავ შეცვლილი გვართი დამკვიდრება იმანაც განაპირობა, რომ XIII ს-ის II ნახვირიდან სვანეთი ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური მმართველობიდან თანდათან გამოვიდა მონღოლთა შემოსევა-გაბატონების შედეგად ქვეყნის ერთიანობის შერყევის გამო. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის აქ მმართველობის ადგილობრივი ფორმები და ინსტიტუტები ჩამოყალიბდა „ერთობილი სუანეთის მელომით“ სათავეში, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას, ალბათ, მაინც ემორჩილებოდა, ნომინალურად ამ კუთხის მიუდგომლობის გამო. ცენტრალური ხელისუფლება ამ დროს სამ სამეფოდ გაყოფილი ქვეყნის პირობებში დასავლეთ საქართველოს, რესპ. იმერეთის სამეფოს, კარი იყო, თუმცა, პრეტენზიები სვანეთზე კახეთის სამეფოსაც ჰქონდა, როგორც ამას ცხადყოფს კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1592-1601) დამისი ძის დავითის (1603, ან 1604) მიერ სვანეთისათვის შეწირული საეკლესიო ზარები<sup>21</sup> და მისი სასახლის, ალბათ, საზაფხუ-

<sup>20</sup> იქვე, გვ. 114.

<sup>21</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები, II გვ. 441-456. კახეთის მეფის ალექსანდრეს მიერ სვანეთისათვის შეწირულია ჩვენამდე მოღწეული 8 ზარი. ნიშნულ მოვიყვანო ერთ-ერთი მათგანის წარწერას (თავდაპირველად ადიშის წმ. გიორგის ეკლესიისათვის შეწირული ეს ზარი ამჟამად მესტიის მუზეუმში ინახება): „ჩვენ, მეფემან, პატრონმან ალექსანდრე, შეწირეთ სვა-



ლო რუხიდენციის ნანგრევები ს. ადიშში, სოფლიდან „ჯგრაგ ღიანიშისაკენ“ მინდვრის გზის ხელმარცხნივ.

ასეთ ვითარებაში სად და რთი განისაზღვრა ერთ დროს სვანეთის ერისთავად მოვლენილი ჩეგანის და მისი ჩამომავლების ფუნქცია გარკვეულია, თუმცა, ადიშის თემის ს. ხაღდეში მათ სამი კოშკი ჰკუთვნება (როგორც სვანეთის სხვა კოშკები, ალბათ, ისინიც XIV-XV საუკუნეებისა იყო), რომლებიც სვანეთის 1876 წლის აჯანყების ჩახშობის დროს რუსეთის ხელისუფლებამ ზარბაზნებით დაანგრია.

ახლა განვიხილოთ ის ისტორიული საბუთები, რომლებშიც რუხაგაიანები იხსენიებიან, ხოლო შემდეგ მათი საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებლები.

ერთი ასეთი საბუთია XIII-XIV სს. დათარიღებული „დაწერილი გიორგი რონაგიანისა მოხერის მთავარანგელოზისადმი“, რომელიც მიწერილია X -ის შესანიშნავი ხელნაწერის – კალის დეკციონარის ერთ-ერთი ფურცლის (245ე) აშიაზე<sup>22</sup>. საბუთი სამჯერაა გამოცემული (*ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროვეა, ვ. ხილოვაეა*) და მისი დათარიღება XIII-XIV სს. ერთხმად მიღებულია. საბუთისეული რონაგაიანი იგივე რუხაგაიანია, რადგან აქ ადგილი აქვს ო-ს და უ-ს მონაცვლეობას, რაც უცხო არაა ქართული წერილობითი ძეგლებისათვის და ცნობილია, სულ ცოტა, X სიდან მაინც გვიან შუა საუკუნეებამდე. რადგან ეს საბუთი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია, ტექსტს მოვიყვან სრულად, მთ უმეტეს, რომ იგი არაა ვრცელი:

„ქ. ესე ნიშანი დაგიწერე და მოგაკუნე მე, გიორგი რონაგაიანი და ჩემთა შვილთა, თქვენ, წმიდასა მთავარანგელოზსა მოხერისასა, მას ჟამსა, ოდეს ჰავისა ჟამისა შემოსლვაჲა ქუეყანაი დააშავა; მოგანდეუ ჩემი თავი და შვილნი – ვითაცა გამსახურებდეთ, ჰაგრეც გუწეალობდით.

ესე ნიშანი მე, ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ“.

გარდა გიორგი რონაგაიანის დასახელებისა, საბუთი მნიშვნელოვანია მასში წარმოდგენილი ორი საკვანძო საკითხით – რას ნიშნავს „ჰავისა ჟამისა შემოსლვა“, რაც გამხდარა საბუთის შედგენის მიზეზი და როგორც ასეთის კონტრდონისძიება – „მოგანდეუ ჩემი თავი და შვილნი“.

ფორმულა „ჰავისა ჟამისა შემოსლვა“ გვხვდება ამ საბუთის თანადროულ სხვა სვანურ საბუთებშიც. კერძოდ, მიქელაისძის დაწერილში მოხერის მთავარანგელოზისადმი აღნიშნულია, რომ „ოდეს ჰავისა ჟამისა შემოსლვაჲა ქუეყანა დააშავა, მოგანდეუ ჩემი თავი და შვილნი“<sup>23</sup>. საბუთი XIII-XIV სს. თარიღდება. იგი დაწერილია იმავე ნიკოლოზის მიერ, რომელსაც გიორგი რონაგაიანის საბუთი დაუწერია<sup>24</sup>. გარდა ამისა, თავის მინდობის სანაცვლოდ ორივე პირობის ერთნაირი ფორმულაა გამოყენებული – „ვითარცა გამსახურებდეთ, ჰაგრეც გუწეალობდით“. დამატებით მიქელაისძის საბუთში აღნიშნულია – „ამისთვის არცა მიქელაისძისა სამსახურსა მოუცტებით“. ვფიქრობ, ეს უკანასკნელი ფორმულა ორივე საბუთის შინაარსის გასაღებია და შემთხვევით არ

ნეთს, ადიშს, წმიდას გიორგის ზარი ესე ჩუენთვის სადღერძკედლოდ, გასამარჯვებულად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობლად, ამინ“ (იქვე, გვ. 445; იქვე – გამოცემათა ბიბლიოგრაფია). ეს ზარები, რომ სწორედ კახეთის მუფის ალექსანდრე II-ის შეწირულია, ამას ცხადყოფს ერთ-ერთ მათგანზე, კერძოდ, იენაშის (ლატალი) იონა წინასწარმეტყველის ეკლესიისათვის შეწირული ზარის წარწერაში დასმული თარიღი – „ქრონიკინისა ხმ“ (ე.ი. 288+1312, ანუ 1600 წ.) (იქვე, გვ. 449).

<sup>22</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 138-139, №38.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 138, №37.

<sup>24</sup> სამი სვანური მინაწერი საბუთის (სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, №36, 37, 38) დამწერი ნიკოლოზის შესახებ იხ. იქვე, გვ. 79.



არის, რომ მათ პ. ინგოროყვა ეკლესიისადმი ყმად თავის დათვლის საბუთებს უწოდებს<sup>25</sup>. ასეთი საბუთები იმავე ლატალის თემიდან, მოხერის (მუხერის, მხერის) მთავარანგელოზისადმი თავის დათვლის შესახებ კიდევ რამდენიმე ცნობილი - ივანე და ხუერგო გელოვანებისა<sup>26</sup> (სხვათა შორის, ეს საბუთიც XIII-XIV სს. თარიღდება, იგი ჯერჯერობით უძველესია, რომელშიც გელოვანები იხსენიებიან და ისინი მიქელაისძეებს თავიანთ პატრონებს უწოდებენ. ამ საბუთიდან ისიც ჩანს, რომ ძველი გელოვანების თავდაპირველი საცხოვრისი ლატალის ლაილის ხევი ყოფილა), შოშქო ქოცხიანისა<sup>27</sup> და მიქელაისძისა<sup>28</sup>.

გვიქრობ, რომ ყველა ამ საბუთის „პავის ეამის შემოსვლაში“ იგულისხმება საქართველოში მონღოლთა ბატონობის დამყარება და სახელმწიფოს ერთიანობის დარღვევის პროცესის დაწყება. ასეთ ვითარებაში სვანეთის ცალკეული საგვარეულოები, თითოეული ცალ-ცალკე და მათ შორის ჩეგანთა მემკვიდრე რუჩეგან/როჩაგანები ეკლესიას „აფარებენ“ თავს, მისი „თავდათვლილები“, მისი მსახურნი ხდებიან, თავიანთ პატრონად მას მიიჩნევენ.

ამასთან ერთად, გიორგი როჩაგანის მოხერის მთავარანგელოზისადმი თავდათვლილობის საბუთად ისიც ჩანს, რომ XIII-XIV სს. ჩეგან/როჩაგანთა ძველი საგვარეულოს ერთი შტო ლატალში დამკვიდრებულა, იგი აქაც წარჩინებლი საგვარეულო ყოფილა, რადგან სხვა წარჩინებულ საგვარეულოებთან (მიქელაისძე, გელოვანი, ქოცხიანი) ეკლესიის სამსახურში ჩამდგარა და პატრონად იგი გაუხდია.

აქ უსათუოდ უნდა გავიხსენოთ იმავე XIII-XIV სს. დათარიღებული, იმავე ლაილის (ლატალის) ხევის მუხერის მთავარანგელოზის ხატის შესანიშნავი წარწერა, რომელშიც ქვეყნის ერთიანობის იდეა გახსოვარი სიცხადით და სახელმწიფოებრივი მასშტაბურობით გამოხატულია:

„აქ წმიდაო მთავარანგელოზო მოხერისაო, ჴელთუქმარო, ადიდენ მეფენი ბაგრატუნნიანი და დადიანი, და დიდებულნი, და ერთობილი საქართველო და ერთობილი სუანი და ჴვეი ლატალისა“<sup>29</sup>.

ეს ხატი და მისი წარწერა იქმნება იმავდროულად, როდესაც ზემოთ დასახელებული საბუთები იწერებოდა. ხატის წარწერის „დიდებულნი“-ში უთუოდ, საბუთებში დასახელებული საგვარეულოთა წარმომადგენლები იგულისხმებიან, რომელთა შორის ღირსეული ადგილი უჭირავს ჩეგან/როჩაგანთა საგვარეულოსაც. აქ მოვლენებს ოდნავ წინ გაუუსწრებ და აღვნიშნავ, რომ აზნაურ ბაბიანის სახლის XVI ს-ის საგვარეულო მოსახსენებელში მისი მუდღე თაჯ რუჩეგანი, დასახელებულია როგორც „დიდებული“: „სულსა დიდებულსა მუდღესა მისსა თაჯ რუჩეგანსა, შუენდკენ ღმერთმან“<sup>30</sup>. მაშასადამე, დიდებულის წოდებას ჩეგან/რუჩეგანების საგვარეულოში არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც ატარებდნენ (აქ, ისიც უნდა აღვნიშნოს, რომ აზნაური ბაბიანის საკუთარი სახელია და არა სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ტერმინი).

ამის შემდეგ წყაროებში ცნობები რუჩეგანების (ძვ. ჩეგანების) შესახებ ცოტახნით წყდება, მაგრამ, სვანეთის ისტორიის შესანიშნავ წერილობით ძეგლში - საო-

X 33-181

<sup>25</sup> ა. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, გვ. 18-19; იგი წერს: „დაწერილი ყმად თავის დათვლისა ეკლესიისადა და ჴვეისადა“ (გვ. 18).

<sup>26</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 137-138, №36.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 139, №39.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 138, №37.

<sup>29</sup> *მ. ახალაშვილი*, X-XV სს. წარწერები სვანეთის ჴელური ხელთაგანების ძეგლებზე, თბ., 1987, გვ. 64-66 (იქვე, გამოცემათა ბიბლიოგრაფია).

<sup>30</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 272, №1.



ჯახო-საგვარეულო მოსახსენებლებში, რომლის სხვადასხვა ფენები XVI, XVI-XVII და XVIII სს. თარიღდება, ისინი კვლავ გამოჩნდებიან. უფრო მეტი, არათუ გამოჩნდებიან ცალკეული პირების სახით სხვა საგვარეულოთა მოსახსენებლებში, არამედ ცალკე მოსახსენებლებითაა წარმოდგენილი ბაძუ რუჩაგიანის (XVI-XVII სს.) და ახლავ რუჩაგიანის (XVIII ს.) სახლები.

სანამ მათ განხილვას შევუდგებოდეთ, ამ საგვარეულოს იმ წარმომადგენელთა შესახებ უნდა აღინიშნოს, რომლებიც სხვა საოჯახო მოსახსენებლებშია ჩართული.

უთუოდ დადიშგელიანთა და რუჩეგიანთა კეთილმოყვრობის დროს განეკუთვნება ისლამ დადიშგელიანის სახლის I და II მოსახსენებლები (ორივე გვიანდელია, XVIII ს-საა, მაგრამ, როგორც ჩანს, ახახავს ჯერ კიდევ ადრე არსებულ ვითარებას). კერძოდ, ისლამ რუჩეგიანის სახლის I მოსახსენებელში მის მთელ სახლობასთან (მეუღლე, შვილები, ძმები, ძმისშვილები, როგორც ჩანს, მათი ასაბია რატიანები, ნავარიანები) ერთად მოხსენიებულია რუჩეგიანთა გვარის სამი წარმომადგენელი: ისლამის გაზრდილი თაუსავ რუჩეგიანი<sup>31</sup>, რუჩეგიანი სახელის გარეშე (აქ ნაწერი დაზიანებულია)<sup>32</sup>, რომელიც დახასიათებულია, როგორც „უმფროსი მამაცი, დიდებული“ და ათაბუყუ რუჩეგიანი<sup>33</sup>. ეს რუჩეგიანები ისლამ დადიშგელიანის ამ I მოსახსენებელში ისეთ გარემოცვაში არიან მოხსენიებულინი, რომ ისინი უთუოდ ასაბიები („მტკრულ მიმყოლები, შეძწეები“ – საბა<sup>34</sup>), თანამდგომები არიან.

ისლამ დადიშგელიანის სახლის II მოსახსენებელში ცალკეა შეტანილი მეორე ადგილზე, ისლამის შედარებით ვრცელი მოსახსენებლის შემდეგ *მარისა რუჩეგიანის* მოსახსენებელი<sup>35</sup>. იგი უთუოდ ისლამ დადიშგელიანის მეუღლეა და არამარტო იმიტომ, რომ მეორე ადგილზეა სახლის წვეურთა და მის ასაბიათა გრძელ ჩამონათვალში, არამედ იმიტომ რომ პირდაპირ ასეთად იწოდება ციოყ დადიშგელიანის სახლის მოსახსენებელში: „სულსა ისლამს დადიშგელიანისა, შეუნდოს ღმერთმან; მის მეუღლეს მარისიან რუჩაგიანს, შეუნდოს ღმერთმან“<sup>36</sup> (ფვიქრობ, სახელების – *მარისა* და *მარისიან* და გვარების – *დადიშგელიანი* და *დადიშგელიანი* იგივეობის შესახებ საუბარი ზედმეტია). ეს მარისია რუჩეგიანი, უკვე სახელის ასეთი ფორმით, კიდევ ერთხელაა ჭეყან დაჩქელიანის სახლის მოსახსენებელში შეტანილი – „სულსა დიდებულს მარისია რუჩეგიანს, შეუნდოს ღმერთმან“<sup>37</sup>, ხოლო მის წინ აქვე დასახელებულია „დიდი ისლამ დაჩქელიანი“ და მისი „გამზადელი ყაღუ ჩხოშიანი“<sup>38</sup>. ეს კარგი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ დადიშგელიანი/დადიშგელიანი/დაჩქელიანი/დადიშგელიანი ერთი და იმავე საგვარეულოს სხვადასხვა ფორმებია.

კიდევ ერთ დადიშგელიანს, კერძოდ, თათარყანს, რომელიც დახასიათებულია, როგორც „კაი მეთოფე“, ცოლად ჰყალიბა რუჩეგიანთა სახლის ქალი: „სულსა თათარყანის, კაი მეთოფეს, შეუნდოს ღმერთმან; სულსა მის მეუღლეს ბურდუფხანს რუჩეგოფხეს, შეუნდოს ღმერთმან“, აღნიშნულია გელაქსან დადიშგელიანის სახლის II მო-

<sup>31</sup> იქვე, გვ. 277:7.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 277:13.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 277:16.

<sup>34</sup> *ს-ს. ორბელიანი*, ლექსიკონი ქართული, I, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით მოაშუადა, განმარტებულია და განმარტებულია ლექსიკონის საბიბლიოთეკის დადართო *ილია აბულაძეს*, თბ., 1991, გვ. 68.

<sup>35</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 278, №88.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 281, №11:13.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 286, №16:25.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 286, №16:20-24.



სახსენებელში<sup>39</sup>. აქ, უთუოდ, ყურადღებას მიიქცევს გვარის ფორმა *რუქეციხე*, მდებარეობით სქესის აღმნიშვნელი -ფხე<sup>40</sup> დაბოლოებით და მისი სახელი *ბურდუხანი*, ანუ იგი *ბურდუხანი*. როგორც ცნობილია, ასეთი იყო სახელი საქართველოს დედოფლის, მეფე გიორგი III-ის (1157-1184) მეუღლისა<sup>41</sup>. ეს სახელი სვანეთში XII ს-შივე გავრცელებულია, რადგან იგი დასტურდება „მატიანე სვანეთისა კრებისაჲში“ (XIII ს.), სადაც ვგვხვდებით რამდენიმე *ბურდუხანი*<sup>42</sup> და ერთიც *ბურთუხანი* – მეუღლე ხუცის ათანასე დეკანოზისა (მატ. XIIა:68).

როგორც ზემოთ აღინიშნა, გვიანი შუა საუკუნეების ჩვენამდე მოღწეულ 46 საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებელს შორის ორი რუქეციანთა სახლისაა – ერთია, ბაძუ რუჩაგიანის სახლისა და მეორე – ახლავ რუჩაგიანის სახლისა.

ბაძუ რუჩაგიანის სახლის მოსახსენებელში 27 პირის სახელია შეტანილი. ცხადია, ყველანი ბაძუს ასაბიბები ან თვისები (ნათესავეები) არიან; მათ შორის: კაკუნა, რუჩგენი, სოსია, აილარუყ, გუსდანი, დადაშ, კაჭუ და სხვ. რუჩაგიანები; ქალები – ანა, ოქოდუფხე, სათუთი, ელენე და სხვები. აქვე დასახელებულია „ბაძუს ბაბუა დიდი რუჩაგიანი“ და ორიოდე სხვა გვარის წარმომადგენელი, ოჯახის ახლობელი – აზაუ გუშინი და „დიდებული კაკუნა დაქლიანი“. ამ უკანასკნელის მოსახსენებლის შეტანა რუჩაგიანთა სახლის ერთ-ერთ საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებელში ამ საგვარეულოთა (რუქეციანების და დანქლიანების) მიყვრობა-ახლობლობის კიდევ ერთი მაგალითია.

ახლავ რუქეციანის სახლის მოსახსენებელმა, ბაძუ რუჩაგიანის სახლის მოსახსენებელსაგან განსხვავებით, მთლიანად მოადგინა – თავისი შესავალი ნაწილით: „*ესე არს ყოვლად წმიდია, უბიწოი კრებაი, რომელნი დასხნეს, განაწესეს წმიდა ესე მარტიანი დმრთისა სალოცველად, შულის (აღბათ – ხულის) სადიდებელად, სულისა სახსრად კრება შეკვიარეს*“<sup>43</sup>. აქ დასახელებულია ახლავის სახლის წევრები: სოსა, იელდარ, ბათარ, კერმუტ, ურუსყან, თათარსავ რუჩაგიანები, აგრეთვე, ოჯახის ახლობელი სხვა საგვარეულოების წარმომადგენლები – ფარანცხუ ონოფრიანი, ჩაგი ცალანი, გუტუ ცალანი და ვინმე აგლუნდა. რამდენიმე პირი დასახელებულია მათ მეუღლეებთან ერთად, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკუთრივ სახლის უფროსის<sup>44</sup> სოსა რუჩაგიანის მეუღლე *იბახთ გელუაფხე* – „სულსა სოსა

<sup>39</sup> იქვე, გვ. 286, №14:13.

<sup>40</sup> -ფხე (-ხე) ფორმანტს, როგორც ქალის აღმნიშვნელს და ამით დამთავრებული გვარების კვლევას საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს: *Н.Я. Марр, Яфетическое происхождение абхазских терминов родства, 1912, с. 432; И. Кипишидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, МЯЯ, VII, СПб., 1914, с. 400; ი. ყოფშიძე, რჩეული თხზულებანი, კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კორნელი დანელიამ, თბ., 1994, გვ. 604; И. Мегрелидзе, Женские фамильные окончания в южнокавказских яфетических языках и фольклоре. Сб. Памяти академика Н.Я. Марра, М.-Л., 1938; იხ., აგრეთვე, რ. თოფჩიშვილი, -ფხე (-ხე) სუფიქსის უცნობი ფუნქციის შესახებ ქართულ ანთროპონომიაში, კრ. *სვანეთი – ქართული კულტურის სავანე*, გვ. 177-183.*

<sup>41</sup> ამის შესახებ პირდაპირაა აღნიშნული „ისტორიანი და აზმანი შარავანდუდონში“: „ამის (გიორგი III-ეს) თვისა მეფობასა შინა მოპყარა ცოლი მამამან, ასული მეფისა ხუდდანისი, სახელით ბურდუხანი“ (ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რიონ მეტრეველი, თბ., 2008, გვ. 379:12).

<sup>42</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, გვ. 491 (პირთა სახელების საძიებელი).

<sup>43</sup> სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 297, №32.

<sup>44</sup> მართალია, ეს მოსახსენებელი ახლავ რუჩაგიანის სახლისაა, მაგრამ, როგორც ჩანს, სახლის უფროსი სოსა რუჩაგიანი იყო, რადგან მოსახსენებელ პირთა ხიის თავში იგი დგას, ხოლო მის შემდეგ მისი მეუღლე *იბახთ გელუაფხე*, როგორც ჩანს, ისინი ახლავის მშობლები იყვნენ.

რწმანიანისა, შუენდოს ღმერთმან; სულსა მის მეუღლეს იმახათს გელუაფხეს<sup>45</sup> შუენდოს ღმერთმან<sup>45</sup>. ეს ფაქტი ყურადღებას იქცევს იმით, რომ იმახათ გელუაფხე აშკარად გელოვანთა სახლის წარმომადგენელია; ე.ი. გვიანი შუა საუკუნეების დასასრულს (მოსახსენებელი XVIII ს-ით თარიღდება) რწმანიანთა და გელოვანთა სახლები დამოყვრებულან. ასევე, საყურადღებოა მანანუ რწმეციფხე, რომელიც თათარსავე რწმეციანის მეუღლე ყოფილა<sup>46</sup> და, მაშასადამე, ერთი გვარის ორი წარმომადგენელი დაქორწინებულა.

ამავე მოსახსენებლის მიხედვით, ისევე, როგორც დაღეშქელიანებს, რწმეციანებს პეოლიათ თავიანთი მეთოფეები, იგივე პირადი შეიარაღებული დაცვა. კერძოდ, თათარსავე რწმეციანის მეთოფეა ვინმე დაღაუ<sup>47</sup> (გვარის აღუნიშნავად), ხოლო ახლავ რწმეციანისა მირზა<sup>48</sup> (ასევე, გვარის აღუნიშნავად). ეს იმას ნიშნავს, რომ სვანეთში ცეცხლსასროლი იარაღი XVIII ს-ში და ამაზე ადრეც გავრცელებული ყოფილა<sup>49</sup> და მას პირად დაცვაშიც იყენებდნენ.

მართალია, ბაძუ რწმეციანის სახლის მოსახსენებლის შესავალმა ნაწილმა, ახლავ რწმეციანის სახლის მოსახსენებლისაგან განსხვავებით, თანაკლულად მოაღწია, მაგრამ მას შერჩენილი აქვს ერთი არსებითი მონაკვეთი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბაძუ რწმეციანმა „სრულიად სუანეთისა ხუცეცინი შეგეყარაო“. მსგავსი ფორმულები სხვა საოჯახო-საგვარეულო მოსახსენებლების შესავალ ნაწილებშიცაა ჩართული<sup>50</sup>, მაგრამ კრების დროს „სრულიად სუანეთის“, ე.ი. მთელი სუანეთის ხუცესთა მოწვევაზე მხოლოდ ამ მოსახსენებელშია აღნიშნული; ეს, ბაძუ რწმეციანისა და მისი სახლის გარკვეულ გამორჩეულობაზე, მთელი სუანეთის მასშტაბით გავლენასა და დაწინაურებაზე მეტყველებს. მას რამდენადმე შეეძრება შესავალი ფორმულები ორი სახლის – ჭყან დანქლიანის და ჯაყვთა ჩარკვიანის სახლის მოსახსენებლები. პირველში ნათქვამია – „სუანეთს ხუცეცი შეგეყარა – ზემო უშკულს, ქუქმო ლალავერს ყოველი აწვიეს“<sup>51</sup>, ხოლო მეორეში – „ზემო უშკულს ქუქმო ლალავერს ყულა აწვიეს“<sup>52</sup>; ასევე, „კრების შეყრაზეა“ ზოგიერთ სხვა მოსახსენებელშიც აღნიშნული, მაგრამ არსად არაა ნათქვამი, რომ „სრულიად სუანეთის ხუცეცინი შეყარესო“, როგორც რწმეციანთა სახლის მოსახსენებელშია, რაც, ვიმეორებ, მათ საერთო სვანური მასშტაბით საქმიანობაზე მეტყველებს.

გარდა ამ წყაროებისა, ჩეციან/რწმეციანთა სახლის და მისი ცალკეული წარმომადგენლების შესახებ საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობებია შემონახული ხალხურ გადმოცემებსა და თქმულებებში. მეტ-ნაკლები სისრულით ისინი თავმოყრილია

<sup>45</sup> სუანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 297, №32.5.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 297, №32:11,12.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 297, №32:13.

<sup>48</sup> იქვე, გვ. 297, №32:18.

<sup>49</sup> თოფის, როგორც საბრძოლო იარაღის, საქართველოში XVII-XVIII სს-ში გავრცელების შესახებ: ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III. ტანისამოსი, ქსოვილები, ხელსაქმე; IV. საომარი საჭურველი და სამხედრო საქმე, თბ., 1962, გვ. 246, 281.

<sup>50</sup> „ესე კრება შეგუყარა“ – ბურნაე ბაბიანის სახლის მოსახსენებელი (სუანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 273, №2); „კრება შეგეყარეს ღმრთის საღოცველად“ – გუტუ გურჩიანის სახლის მოსახსენებელი (იქვე, გვ. 275, №5); „კრება შეგეყარეს“ – ქაუზო გურჩიანის სახლის მოსახსენებელი (იქვე, გვ. 276, №6); „სულიხა საჭხრად კრება შეგეყარეს“ – მირზა დაღეშქელიანის სახლის მოსახსენებელი (იქვე, გვ. 279, №9) და სხვ.

<sup>51</sup> სუანეთის წერილობითი ძეგლები, I, გვ. 285, №16.

<sup>52</sup> იქვე, გვ. 303, №43.

ამ კრებულის ერთ-ერთ თავში, რომლის სახელწოდებაცაა „დიდი გვარის სახელოვანი გზა“. საისტორიო წყაროთა ორივე სახეობა – წერილობითი, რომელიც ამ წერილშია განხილული და ხალხური გადმოცემები და თქმულებები, რომლებიც დასახელებულ თავშია წარმოდგენილი, შესანიშნავად გადმოსცემს ჩეგვიან/რუჩეგვიანთა უძველესი გვარის (ხუდ ცოტა, X ს-დან მაინც) სახელოვან გზას და მათ წკლილს სვანეთის და საქართველოს ისტორიაში.

ჰადიშის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა

მაცხოვრის ეკლესია იფარის თემის სოფელ ჰადიშის მთავარი სალოცავია. სავარაუდოდ XI საუკუნეში აგებული, სვანეთისთვის ტიპური ეს დარბაზული ეკლესია ჩრდილოეთი მინაშენით<sup>1</sup>, მთის ფერდობს შეფენილი სოფლის ჩრდილოეთ მხარესაა აღმართული და, თითქოს, ზემოდან გადმოჰყურებს გარემოს. შედარებით მოზრდილი, იგი შირიმის დიდი კვადრებითაა ნაგები, რომელთა სუფთა, ძირითადად, თანაბარ რიგებად გამოყვანილი წყობა ეკლესიის სადა, შუემქობულ ფასადთა უმთავრეს მხატვრულ ეფექტს ქნის.

ჰადიშის მაცხოვრის ეკლესიაში საუკუნეების მანძილზე ინახებოდა 897 წელს შატბერდის ღავრაში გადაწერილი და მინიატურებით შემკული ოთხთავი, ერთ-ერთი ადრეული ჩვენამდე მოღწეულ დასურათებულ ოთხთავთაგან. სამეცნიერო ლიტერატურაში იგი ჰადიშის ოთხთავის<sup>2</sup> სახელითაა ცნობილი და ამჟამად მესტიაში, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია (საქართველოს ეროვნული მუზეუმი) დაცული. სვანეთის სხვა თემთა სოფლების მსგავსად, ჰადიშშიც რამდენიმე ეკლესია<sup>3</sup>, რომელთა საგანძური მაცხოვრის ეკლესიაშია თავმოყრილი – დღემდე თავდაპირველ ადგილზე დატოვებული, შირიმის კვარცხლბეკზე აღმართული, დიდი, საკურთხეველის წინამდებარე ხის, ვერცხლით მოჭედილი ჯვარი, სხვადასხვა დროის (XI-XII, XIII-XIV, XI-XVII სს.) ჭედური და ფერწერული ხატები<sup>4</sup>.

ისევე, როგორც სვანეთის ეკლესიათა უმრავლესობა, ჰადიშის მაცხოვრის ეკლესიაც მხატვრობითაა შემკული, რომელიც თამარ მეფის ეპოქას მიეკუთვნება და XII-XIII საუკუნეთა ქართული კედლის მხატვრობის მეტად საყურადღებო ნიმუშს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ზემო სვანეთში შემორჩენილ მრავალრიცხოვან მოხატულობათა შორის, ამ დროისა, ჰადიშის გარდა, მხოლოდ ვაშუშის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობაა, რაც კიდევ უფრო ზრდის სვანური ფერწერული სკოლის აყვავების ხანის (XI ს-ის ბოლო-XIII ს-ის დასაწ.) დამახრულებელ ამ ანსამბლთა მნიშვნელო-

<sup>1</sup> სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის იხ.: რ. მეფისაშვილი, ზემო სვანეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები. მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველი სამეცნიერო სესია. მოხსენებთა თეზისები, მესტ., 1971; რ. მეფისაშვილი, გ. ცინცაძე, ზემო სვანეთის X-XIV საუკუნეების ძეგლთა ფასადების ისტორიული აგებულების თავისებურებანი. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXVII სამეცნიერო სესიაში მოხდენილი ვახტანგ ბერიძის დახალების 70-ე წლისთავისადმი. მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისები, თბ., 1984; რ. მეფისაშვილი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა თავისებურება. გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXIX სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისები, თბ., 1993; გ. პატაშვილი, ზემო სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ტიპოლოგია. ლეკან რწყულიშვილი 100. სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2009.

<sup>2</sup> ადიშის ოთხთავი 897 წლისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ვ. გიუნაშვილმა, დ. თვალთვაძემ, მ. მანხანელმა, ზ. სარჯველიძემ და ს. სარჯველიძემ. ს. სარჯველიძის საერთო რედაქციით. ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა 10, თბ., 2003.

<sup>3</sup> მაცხოვრის ეკლესიის გარდა, ჰადიშში კიდევ სამი ეკლესიაა – თარინგულისა და ჯვრავისა თეთი სოფელში, და ჯვრავის მეორე ეკლესია, ე.წ. ლინანიში, სოფლიდან 4 კმ-ის დაშორებით, აღაპურ ველზე, რომელზეც ვაჟინობასთან დაკავშირებული დღესასწაული, “ლინანიში” ეწყობა ხოლმე.

<sup>4</sup> ჰადიშის ეკლესიათა, მათ მოხატულობათა და საგანძურის შესახებ, ბოლოდროინდელი პუბლიკაციებიდან, იხ.: რ. ყენია, ნ. აღადაშვილი, ზემო სვანეთი. შუა საუკუნეების ხელოვნება. საქართველოს მეფეზური II, თბ., 2000, ბიბლიოგრაფიის მითითებით.

ბას არა მარტო სვანური ფერწერული სკოლის<sup>5</sup>, არამედ, ზოგადად, თამარის ეპოქის ქართული კედლის მხატვრობის შესწავლისთვის.

ამჟამად ჰადიშის მაცხოვრის კვლევის მოხატულობა ძლიერაა დაზიანებული – ერთიანად გაშაგებულ კამარა-კედლებზე “ნეგატივით” მიჩანს სახარებისეულ სცენათა თუ ცალკეულ ფიგურათა ნაშთები, ზოგ ადგილებში კი მხატვრობა ერთიანად წარხოვლია. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც შესაძლებელია მოხატულობის პროგრამის შემადგენელ ხატებთან გარჩევა – ვედრება, სვანეთში უსაყვარლესი საკონქო კომპოზიცია<sup>6</sup> (ავსიდის კონქში) და წმ. მოციქულთა რიგი (ავსიდის კედლებზე); საუფლო დღესასწაულთა ციკლიდან: ხარება, ნათლისღება და ფერისცვალება (კამარის ჩრდილოეთ ფერდზე), შობა და ამადლება (კამარის სამხრეთ ფერდზე), იერუსალემად შესვლა და ლაზარეს აღდგინება (დასავლეთ კედელზე), მიძინება (სამხრეთ კედელზე); ამას გარდა, პირი ღმრთისა (სამხრეთ კედელზე) და თვალ-მარგალიტით მოთქვილი განედლებული ჯვარი (დასავლეთი კარის დიუნეტი); ასევე, მომგებლის, მიქაელ ზეგაინის, საქტიტორო პორტრეტი.

ამ მოკლე აღწერიდანაც ცხადი ხდება, რომ ჰადიშში მოხატულობის პროგრამისთვის სცენათა შერჩევა, ერთი შეხედვით, სავსებით ტრადიციულია, თუმცა, კვლევის ინტერიერში მათი განაწილება და პროგრამის კომპონირების წესი საკმაოდ უჩვეულო ჩანს ამ ეპოქისთვის. საქმე ისაა, რომ ამ დროისთვის ქართული კედლის მხატვრობაში უფრო ფართოდ დამკვიდრებული, სახარებისეული ისტორიის თანმიმდევრული “თხრობის” ნაცვლად, აქ სცენათა შერჩევა-დაჯგუფებაში აშკარად იხილება მხატვრის სურვილი გარკვეული თეოლოგიური იდეის საფუძველზე მათი გაერთიანებისა, ანუ, ისევე ჩნდება ის პრინციპი, რომელიც განასაზღვრავს მხატვრობის პროგრამის აგების თავისებურებას სვანეთის ადრეულ მოხატულობებში და შემდგომ საინტერესო განვითარებას XII საუკუნის სვანეთის ფრესკულ ანსამბლებში ჰპოვებს. მხატვრობის შემადგენელი ხატებანი შემდეგ იდეურ მახვილებს გვითვალსაჩინოებს: კამარასა და სამხრეთ კედელზე<sup>7</sup> – განკაცება (ხარება, შობა, ხელთუქმნელი ხატი) და თეოფანია (ნათლისღება, ფერისცვალება, ამადლება, მიძინება); საკურთხეველში – თეოფანიური დიდება, მეოხება-ხსნა (ვედრება, წმ. მოციქულთა რიგი); დასავლეთ კედელზე – თეოფანია, ხსნისა და დიდების იდეის აქცენტირებით (იერუსალემად შესვლა, ლაზარეს აღდგინება, ტრიუმფალური განედლებული ჯვარი)<sup>8</sup>. ნიშანდობლივია, რომ ჰადიშშიც,

<sup>5</sup> სვანური ფერწერული სკოლის შესახებ, იხ.: Т. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши. Избранные труды. Тб., 2007; მისივე, Основные этапы развития грузинской средневековой монументальной живописи. Избранные труды. Тб., 2007; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии, Тб., 1966; მათივე, Живописная школа Сванети, Тб., 1983.

<sup>6</sup> Н. Аладашвили, Композиция алтарной конхи в живописи Сванети, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1983; T. Velmans, L'image de la Deisis dans les eglises de Georgie et dans celles d'autres regions du monde byzantin, Cahiers archeologiques, 29, 1980-81.

<sup>7</sup> ჩრდილოეთ კედლის რეკონსტრუქციის გამოსახულებანი დაღუპულია.

<sup>8</sup> ამდენად, ამ შემთხვევაშიც, დასავლეთი კედელი საკურთხეველის პასუხად არის გააზრებული, ანუ, აქაც ვხედავთ ზემო სვანეთის მოხატულობათა ერთ-ერთ იმ დამახასიათებელ თავისებურებას, რომელსაც სვანური ფერწერული სკოლის განვითარების თითქმის მთელს მანძილზე ედევნება თვალს – იხ. აცის, იუხის (ორივე X ს.), ლაღამის ქვედა კვლევის I ფენის (XI ს-ის დასაწყისი), იფარისა (1096 წ.) და ნაკოფარის (1130 წ.), აფლისა და ნუზუნის II ფენის (ორივე XII ს-ის II ნახ.), წვირმის თარიღუხელ-ზაგარის (XIII ს.), მოხატულობანი; თავისებურ გამობატულებას ჰპოვებს ეს ტენდენცია ე.წ. პალეოლოგოსთა ხანის სვანეთის მოხატულობებშიც; მის ზვიან გამოვლენებას კი ნაქაშის მხატვრობაში (XVII ს.) ვხედავთ. უფრო დამწკვირვებით ამ საკითხის შესახებ, იხ. მ. ყენია, “ექსპატოლოგიური მონივრების” შესახებ XIV





უფლის გამოჩინებისა და განკაცების დოკმის წარმომჩენ ხატებათა (რასაც ხსნიან აქცენტორებაც ემატება) გაერთიანება-შეპირაპირება იმავე ზოგადი სულისკვეთების მიმანიშნებელია, რომელიც „წითელ ზოლად“ გასდევს ადრეული ხანის სვანეთის მოხატულობებს (და, ზოგადად, ამ დროის ქართულ კედლის მხატვრობას) და არც მომდევნო ეპოქებში კარგავს აქტუალობას. შესაბამისად, ჰადიშის მხატვრობის საერთო თეოლოგიური იდეა კვლავაც მაცხოვრის ორბუნებოვნების საგანგებო აქცენტორებას ეფუძნება, რომელიც თეოფანიური დიდების ზოგად-ტრიუმფალური ასპექტით გამოთლიანებული, ჰუმორიტი, მართლმადიდებლური მრწამსის აპოლოგიის კიდევ ერთ, თვალსაჩინო მაგალითად წარმოგვიდგება<sup>9</sup>.

ზემოთქმულის გარდა, ჰადიშის მოხატულობის მნიშვნელოვნებას ისიც განსაზღვრავს, რომ მან მხატვრობის მომგებლის, მიქაელ ჩევიანის ქტიტორული პორტრეტიც შემოგვინახა, რომელიც სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთში, კედლის თალით მოფარგულ არეზე, ეკლესიაში შესასვლელი კარის გვერდითაა გამოსახული. შუასაუკუნოვან ქტიტორთა უმრავლესობის მსგავსად, მიქაელ ჩევიანი სრული ტანით<sup>10</sup>, საკურთხევლის ტერც 3/4-ით შებრუნებული და მისკენ ვედრებად ხელემაპყრობილი წარმოგვიდგება, შესაბამისად, იგი ზურგშექცევით დგას კარის თავზე გამოსახული მაცხოვრის ხელთუქმნელი მოზრდილი ხატის მიმართ, რომელიც სამხრეთი კედლის ამ მონაკვეთის საერთო კომპოზიციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და, ერთი შეხედვით, საქტიტორო პორტრეტთან ერთობაში იკითხება. თუმცა, ვფიქრობ, ამ „უხერხულობის“ ახსნა მოხატულობის საერთო იდეური გადაწყვეტის ზემოთ ნაჩვენებ თავისებურებებში იხილება. მიქაელის ვინაობას ღამაზი ასომთავრულით გამოყვანილი წარწერა გვაუწყებს, რომელიც მიქაელის თავის მარცხნივ ოთხ სტრიქონადაა განაწილებული და, ქარაგმების გახსნის შემდეგ, ასე იკითხება: „ქრისტე შეიწყალე მიქაელ ჩევიანი, ამენ. ჯ ესე“<sup>11</sup>.

მიქაელის სახის დაზიანების მიუხედავად, შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ იგი შუა ხნისაა, კისრამდე ჩამოსული, წაწვეტებული, თითქოს, ორად გაყოფილი თხელი წვერით. ტანთ მას ქართველ დიდებულთა ტრადიციული სამოსელი მოსავს – წელში ძლიერად გამოყვანილი, გრძელხახველობიანი, ყელ-

საუკუნის საქართველოს სულიერ ცხოვრებაში, ლიტერატურა და ხელოვნება, 1990, № 2; მისივე, XII საუკუნის სვანეთის მოხატულობათა პროგრამები, ლიტერატურა და ხელოვნება, 1991, № 2; მისივე, ანსამბლის საერთო გადაწყვეტის ზოგი თავისებურება სვანეთის ადრეულ მოხატულობებში, ლიტერატურა და ხელოვნება, 1997, № 1-2; მისივე, მხატვრობის საერთო სისტემის გადაწყვეტის თავისებურებანი ადრეული ხანის სვანეთის მოხატულობებში, საქართველოს სიძველენი, 12, 2008; მისივე, ჩაუაშის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა, საქართველოს სიძველენი, 13, 2009.

<sup>9</sup> უფრო დაწვრილებით მხატვრობის პროგრამის აგების თავისებურებებზე სვანური ფერწერული სკოლის განვითარების ადრეულ ეტაპსა და აუქვეების ხანაში, იხ.: მ. ყენია, ადრეულ ქართულ მოხატულობათა პროგრამების თავისებურების გამო, საქართველოს სიძველენი, II, 2007; მისივე, ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების მოხატულობების საერთო იდეური გადაწყვეტის ერთი ტენდენცია. ქართული ხელოვნების ნარკვევები, III, თბ., 2004; მისივე, General Concept of the 12<sup>th</sup> and 14<sup>th</sup> Century Murals in Upper Svaneti (Georgia), ΛΑΜΠΗΔΑΝ, დელა მურიკის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, ტ. 1, ათენი, 2003; მისივე, სიტყვისა და გამოსახულების მიმართების საკითხისათვის ქართულ მოხატულობებში (იფარარის მხატვრობის მაგალითზე), საქართველოს სიძველენი, 4-5, 2003.

<sup>10</sup> ფიგურის ქვედა ნაწილი ამჟამად დაღუპულია.

<sup>11</sup> წარწერა აქ წყდება და დაუსრულებლადა დატოვებული. ჰადიშის მაცხოვრის ეკლესიის საქტიტორო წარწერის თავისებურებათა შესახებ იხ.: სვანეთის წერილობითი ძეგლები (X-XVIII სს.). ტ. II, გამგარაფიკული ძეგლები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1988.



თან მრგვალად ამოჭრილი კაბა, ოქრომკედითა და მარგალიტებით მდიდრულად შემკული განიერი სამაჯგუბით და მოზრდილი საყელოთი, რომელიც “სამკუთხედებად” ფიგურა გულისპირს; მარგალიტებიანი ოქრომკედის ასეთივე განიერი არშია კაბის ცენტრშიც კარგადაა შემორჩენილი და, ალბათ, მთელს მის სიგრძეს მიუყვებოდა, ქობამდე; კაბას განიერი სამკლავურებიც ამკობს, რომელიც სტილიზებული კუფური ორნამენტითა და მარგალიტისებრი წერტილებითაა შევსებული<sup>12</sup>. თავზე მიქაელს ასევე მდიდრული ქუდი ჰხურავს – მრგვალი ფორმის, სქელი გრეხილი თასით ოთხად გაყოფილი, განასკეული ყუნწით დასრულებული და შუბლთან ფაფუკ-გაწვეთვლებული.

მიქაელ ჩეიანის სამოსის თარგი, დეკორის ელემენტითა და თავსაბურავთა პარადულელებს ასოვებს XI-XIII საუკუნეების ქართველ უფლისწულთა და დიდებულთა შესამოსელში; ასე მაგალითად, წელში გამოყვანილი კაბა, მდიდრულად ორნამენტირებული არშითი (ცენტრში), სამაჯგუბით, “სამკუთხედებად” გულისპირზე გადმოფენილი საყელოთი და სამკლავურებით მოსაეთ დაეთ გარეჯის მრავალმთის უდაბნოს სამონასტრო კომპლექსის დმრთისმშობლის ტაძრის მთავარ ქტიტორ კახეთის დიდებულს (XI ს-ის დასაწყ.)<sup>13</sup>, ზემო კრიხის მხატვრობის მთავარ ქტიტორ რაჭის ერისთავს (XI ს-ის II მეოთხ.)<sup>14</sup>, გიორგი II-ს ატენის სიონის მოხატულობაში (1068 წ.)<sup>15</sup>, მეფე დემეტრე I-სა და სვანეთისა და არგვეთის ერისთავებს მაცხვარიშის მაცხოვრის ეკლესიაში გამოსახულ დემეტრე I-ის მეფედკურთხევის ცნობილ სცენაში (1140 წ.)<sup>16</sup>, ვარძიის დმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის მოხატვის თაოსან ქართლის ერისთავ რატი სურამელს (1184-1185 წწ.)<sup>17</sup>, წვირმის ჯგრაგ-ჩობანის ეკლესიის მოხატულობის მომგებელს (XII ს.), ლაშა-გიორგის ბეთანიაში (1207 წ.)<sup>18</sup>, მამის ეკლესიის მოხატულობის ქტიტორებს (XIII ს-ის

<sup>12</sup> სამკლავური მიქაელის მარცხენა მკლავზე ჩანს; მეორე, ვედრებად გაწვდილი ხელი მხოლოდ ილავის ქვემოთ იხილება.

<sup>13</sup> Т. Вирсаладзе, К вопросу о датировке первоначальной росписи северного придела главного храма монастыря Удубио в Давид-Гаредже, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე, 1968, №6; Г. Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979.

<sup>14</sup> ზემო კრიხში გამოსახულ რაჭის დანარჩენ სამ ერისთავსაც (ვნიანს, შოგას და მფოთე ქტიტორს, რომლის სახელი უცნობია) არსებითად, ისეთივე კაბები მოსაეთ, იმ განსხვავებით, რომ მათ კაბებს არშია შემოვლებულია, სამკუთხედად ჩატრილი გულისპირი აქვს, ყოველგვარი საყელოს გარეშე. ზემო კრიხის მოხატულობისა და ქტიტორთა იდენტიფიკაციის შესახებ, იხ.: Т. Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви Архангелов села Земо Криси. Избранные труды, Тб., 2007; Г. Алибегашвили, Светский портрет...

<sup>15</sup> ატენში გიორგი II ჯერ კიდევ უფლისწულია, რომელსაც მამა, მეფე ბაგრატ IV, აღსაზრდელად წმ. გიორგი მთაწმინდელს ანატრებს. ატენის სიონის მოხატულობის ანალიზისა და დეტალური საქტიტორო პორტრეტის ინტერპრეტაციის შესახებ, იხ.: თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა. ქართული მხატვრობის ისტორიიდან, თბ., 2007.

<sup>16</sup> მაცხვარიშში მეფისა და ერისთავთა სამოსი, შეიძლება ითქვას, იდენტურია; ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ერისთავებს სამკლავურები არ აქვთ, ოქრომკედის არშოები კი, განსხვავებული ორნამენტითაა შემკული. როგორც აღნიშნავს თ. ვირსალაძე, დემეტრე I-ის სამოსი ზუსტად ასახავს იმ კოსტუმს, რომელიც მას მეფედკურთხევის ცერემონიალის აღსრულებისას ეცვა და ამ ეპოქაში ქართველ წარწიხებულთა ჩვეულ, პარადულ სამხედრო შესამოსელს წარმოადგენდა. მაცხვარიშის მოხატულობის და მასში ჩართული ისტორიული სცენის ანალიზისთვის, იხ.: Т. Вирсаладзе, Фресковая роспись... в Мацхвариши...

<sup>17</sup> Г. Алибегашвили, Четыре портрета царицы Тамары, Тб., 1957; მისივე, Светский портрет...; მისივე, Роспись главного храма Успения Богоматери в Вардзиа. საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები. სპეცდოლოგიური კრებული 12, თბ., 1988.

<sup>18</sup> ბეთანიაში, ლაშა-გიორგი თამარ მეფის თანამოსაყდრედ არის წარმოდგენილი. ბეთანის მოხატულობისა და საქტიტორო პორტრეტის შესახებ, იხ.: Г. Алибегашвили, Четыре портрета...; მისივე, Светский портрет...; ე. პრივალოვა, ბეთანის ეკლესიის მხატვრობის შესახებ, საბჭოთა ხე-

შუახანა)<sup>19</sup>, ხობის ეკლესიის პირველად მომხატველ შერგილ დადიანს (XIII ს-ის ბოლო)<sup>20</sup> და ა.შ. რაც შეეხება მიქაელ ჩეგიანის თავსაბურავს, მის ახლო პარალელურად ვხვდებით ზემო კრიხის, უდაბნოს ღმრთისმშობლის ტაძრის, წვირმის ჯგრაგ-ჩობანის ქტიტორთა და ტვიბის ეკლესიის ქტიტორის, კვირიკე ასრჯიანის (XIII ს-ის დასაწყ.)<sup>21</sup> პორტრეტებზე. განსაკუთრებით ახლია მასთან ზემო კრიხის მთავარი ქტიტორისა და შოგაის ქუდები<sup>22</sup>, ხოლო წვირმისა და ტვიბის ქტიტორთა თავსაბურავებში, მსგავსებასთან ერთად, გარკვეული ნუანსური სხვაობაც შეინიშნება<sup>23</sup>.

პაღის მაცხოვრის ეკლესიის საქტიტორო პორტრეტთან დაკავშირებით, ერთ თავისებურებაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება – ესაა ის ადგილი ეკლესიის ინტერიერში, რომელიც მას ეთმობა. შუა საუკუნეების ქართულ ეკლესიის მხატვრობაში საყოველთაოდ დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, საქტიტორო პორტრეტებს, ჩვეულებრივ, ადვილად შესაძენებ და კარგად განათებულ ადგილას გამოსახადენენ ხოლმე – უფრო ხშირად, ეს ჩრდილოეთი ეკლესიის (დარბაზულ ეკლესიებში) ან ჩრდილოეთი მკლავის (გუმბათურ ტაძრებში) ქვედა რევისტრია, რომელიც ეკლესიაში შესვლისთანავე ხვდება ადამიანის თვალსაწიერში<sup>24</sup>.

ასე გამოისახებიან ქტიტორები უდაბნოს ღმრთისმშობლის ტაძარში, ზემო კრიხში, ბოჭორმაში (1104-1125 წწ-ს შორის)<sup>25</sup>, ფაენისში (XII ს-ის III მეოთხ.)<sup>26</sup>, ვარძის ღმრთის-

ლოვნება, 1980, №8; მისივე, Роспись Тимотесубани, Тб., 1980; მისივე, Новые данные о Бетании, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1983; მისივე, XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ქართული ეკლესიის მხატვრობის ზოგი საკითხისათვის, გ. ნუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი აკად. ვიოლეტი ნუბინაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1985.

<sup>19</sup> მიუხედავად იმისა, რომ, მამის ეკლესიის მოხატულობაში საქტიტორო პორტრეტი საკმაოდ დაზიანებულია, მხატვრობის მოშველებლთა სამოსის საერთო თარგისა და დეკორის დეტალების გარეშე მათაც შესაძლებელია. მამის ეკლესიის მოხატულობის შესახებ, იხ.: მ. ყვინია, XIII ს-ის მოხატულობის ქვემო სივრცეში, გ. აღიბეგაშვილის სხივისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1999.

<sup>20</sup> Г. Алибегашвили, Светский портрет...; თ. ვირსალაძე, შერგილ დადიანის დროინდელი XIII საუკუნის ეკლესიის მხატვრობა ხობში, საქართველოს სიძულენი, 11, 2007.

<sup>21</sup> ტვიბის ეკლესიის საქტიტორო პორტრეტების შესახებ, იხ.: სვანციანი, თეორიული ძეგლები... სამწუხაროდ, ტვიბის მოხატულობის სტილური თავისებურებანი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გ. სილოგავას მიერ შემოთავაზებული დათარიღება გავიზიარო.

<sup>22</sup> იგივეა ქუდის მომრგვალებული ფორმა, გრეხილი თანმიმ მისი ოთხ ნაწილად დაყოფა, განსაკუთრებით უნაწი; ერთადერთი სხვაობა ისაა, რომ, ოუკი მიქაელ ჩეგიანის ქუდს ბეწვი ერთიან ზოლად შემოუყვება ქვედა კიდურზე, ზემო კრიხის ქტიტორთა ქუდებზე, ბეწვი ქვედა კიდრდან დიაგონალურადაა აყოლებული ზემოთკენ. ვანიანისა და მუთოხე ქტიტორის ქუდები ასეთივეა, ოღონდ მათი ფორმა ოთხკუთხეანია. როგორც მართებულად აღნიშნავს თ. ვირსალაძე, ამ თავსაბურავთა საერთო იერი ჩაფხუტების მოგვაგონებს. იხ.: Т. Вирсаладзе, Фресковая роспись в... Земо Крихи...

<sup>23</sup> მარცხლია, ამ შემთხვევაშიც, ქუდების მომრგვალებული ფორმა აქვს და ქვედა კიდვს ბეწვი შემოუყვება, ქუდის ოთხ ნაწილად დამანაწილებელი სქელი გრეხილი თანხა აქ არ არის და მას მარგალიტებმოვლენი არ შია სცვლის; ოღნაე განსხვავებულია ქუდის დამახრულენილი ყუნწის ფორმაც – აქ იგი განსაკუთრებული არ არის. გარდა ამისა, კვირიკე ასრჯიანის ქუდზე, შუბლთან, მოზრდილი, ორნამენტური ელემენტი და მარგალიტებმოვლენი სამკუთხა ნაწილი მონანს და, მიქაელ ჩეგიანისა და წვირმის ქტიტორისგან განსხვავებით, ბეწვი (თანაც, უფრო განიერ ზოლად) ერთიანად არ შემოუყვება ქუდის ქვედა კიდვს.

<sup>24</sup> ამ საკითხს სავანეკოვო განიხილავს გ. აღიბეგაშვილი თავის მონოგრაფიაში, რომელიც ეძღვნება საერთო პირთა გამოსახულებებს შუა საუკუნეების ქართულ ეკლესიის მხატვრობაში. იხ.: Г. Алибегашвили, Светский портрет...

<sup>25</sup> როგორც დამაჯერებლად აჩვენა ა. ოქროპირიძემ, აქ, ჩრდილო-აღმოსავლეთ აფხილში, გამოსახული იყო წმ. მფევე დაგით IV აღმაშენებელი. იხ.: ა. ოქროპირიძე, კტიტორის გამოსახულებ-

მშობლის მიძინების ტაძარში<sup>27</sup>, ბერთუბნის დმრთისმშობლის ტაძარში (1112-1113 წწ.)<sup>28</sup>, მღვიმეში (1280-იანი წწ.)<sup>29</sup>, საფარის მონასტრის ე.წ. ღაბურისძეთა საძვალეში (XIV ს.-ის დასაწყ.)<sup>30</sup>, წალენჯიხაში (1384-1396 წწ.)<sup>31</sup>, ხობის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ეგვიპტეში (1384-1396 წწ.)<sup>32</sup> და ა.შ.

წრდილოეთის გარდა, ქტიტორთა პორტრეტებს სამხრეთი კედლისა (დარბაზულ ეკლესიებში) ან სამხრეთი მკლავის (გუმბათურ ტაძრებში) ქვედა რეგისტრებშიც გამოსახავენ ხოლმე, თუმცა, ეს პრაქტიკა, თითქოს, უფრო გავრცელებული XIII საუკუნისა მიწურულისა და ე.წ. პალეოლოგოსთა ხანის რიგ მოხატულობებში ჩანს – მაგალითად, ისტორიული პირნი ხობის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ეგვიპტეში<sup>33</sup>, ჭულეში, საფარის მონასტრის წმ. საბასა და დმრთისმშობლის მიძინების ეკლესიებში, ზარზმაში<sup>34</sup>, ნაბახტეში (1412-1431 წწ.)<sup>35</sup>.

ბა ბოჭორმის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში, ლიტერატურა და ხელოვნება, 1, 1990; მისივე, ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა. ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ., 1997.

<sup>26</sup> ფაენისის საქტიტორო პორტრეტის იდენტიფიკაციისას, ე.პრივალოვა გამოიქვამს ვარაუდს, რომ აქ, შესაძლოა გამოსახულნი ყოფილიყვნენ ფაენელთა სახელგანთქმული გვარის ბოლო წარმომადგენელი, ან პირველი სურამელი, ან, იქნებ, ვინმე თორელთა დიდი საგვარეულოდან. ფაენისის წმ. გიორგის მხატვრობისა და მის მიმგებულთა შესახებ, იხ.: Е. Привалова, Павнис, Тб., 1977. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო დამკვიდრდა მათი ფაენელებთან გაიგივება. იხ.: Г. Алибегашвили, Светский портрет...

<sup>27</sup> უკვე ნახსენებ რატი სურამელთან ერთად, აქ, წრდილოეთი კედელზე, ოღონდ მის აღმოსავლეთ მონაკვეთში (ანუ, მნიშვნელოვნებით უფრო აღმატებულ ადგილას), საკურთხეველის მომიჯნავედ, წარმოდგენილი არიან მეფე გიორგი III და თამარ მეფე.

<sup>28</sup> აქ გამოსახულნი არიან თამარ მეფე და ღამა-გიორგი. საქტიტორო პორტრეტების ანალიზისთვის, იხ.: Г. Алибегашвили, Четыре портрета...; მისივე, Светский портрет...; 3. Схиртладзе, Роспись пещерного храма в Бертубани. ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ., 1987.

<sup>29</sup> მღვიმეის ქტიტორთა გამოსახულებანი ამ ეკლესიის მოხატულობის უძველეს ფენას განეკუთვნება; თანმხლები წარწერები მათ სახელდება, როგორც: რატი კახაბერიძეს – მღვიმეის ეკლესიის აღმშენებელსა და რაჭის ერისთავს; ნიანია კახაბერიძეს; მის მეუღლეს რუსუდანს. როგორც ამ პორტრეტების ანალიზისას აღნიშნავს ი. გომელაური, რატი და ნიანია არიან კახაბერ კახაბერიძის (მეფისგან სამეხის განდგომისთვის დავით ნარინის მიერ დასჯილი რაჭის ერისთავის) ძენი. ქტიტორთა იდენტიფიკაციისთვის, იხ.: ი. გომელაური, მღვიმევი. XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, თბ., 1982.

<sup>30</sup> საფარის მონასტრის სამრეკლოს I სართულზე, წმ. მარინეს პატარა კაპელაში წარმოდგენილ ისტორიულ პირთა თანმხლები წარწერებიდან სრკვევა, რომ ისინი არიან ღაბურ ღაბურისძე (სამცხის ათაბაგის, ბუკა მარდატურთუხუცესის, მსახურთუხუცესი) და მისი ძმები ნიკოლოზ და სუმბატ, რომელთაც ბექამ ეს სათავისი საძვალედ უბოძა. იხ., ე. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955; ქ. მიქელაძე, XIII-XIV საუკუნეების საძვალეთა მოხატულობის ზოგადი თავისებურება, ძველის მეგობარი, 1999, №3 (106); მისივე, საფარის მონასტრის სამრეკლოს მოხატულობა. ქართული ხელოვნების ნარკვევები, III, თბ., 2004.

<sup>31</sup> ტაძრის წრდილო-დასავლეთ მკლავთაშორის სათავსში წარმოდგენილი არიან სამეგრელოს მთავარი, ვამეყ დადიანი, მისი მეუღლე მარეხი და უფროსი ვაჟი ალექსანდრე (?). წალენჯიხის ტაძრის მოხატულობისა და მისი მომგებლის შესახებ, იხ.: И. Лордкипанидзе, Роспись в Цаленджиха, Тб., 1992.

<sup>32</sup> აქ სამეგრელოს მთავარი, ვამეყ დადიანი მეუღლესთან ერთადაა გამოსახული. ხობის ტაძრის ამ ეგვიპტის მოხატულობის შესახებ, იხ.: И. Лордкипанидзе, Роспись придела Вामека Дадиани в Хоби. Средневековое искусство. Русь. Грузия, М., 1978.

<sup>33</sup> შურგელ დადიანთან ერთად აქ მათი ოჯახის წევრებიც არიან წარმოდგენილი – მეუღლე ნათელა, ვაჟი ცონტე და ასული თამარ.

<sup>34</sup> თოხივე ამ ეკლესიაში სამცხის ათაბაგის სარგის (ბერობაში საბა) ჯაყელისა და მისი ოჯახის წევრები არიან წარმოდგენილი, შესაბამისად, მოხატულობებიც, ძირითადად, ამ ცნობილ ისტორიულ პირთა მოღვაწეობის ხანის მიხედვით XIV ს.-ის დასაწყისით თარიღდებოდა. იხ.:

გაქაქს შემთხვევები საერო პირთა ორ კედელზე გამოსახვისა (უფრო ზუსტად, ეს ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლებია), როდესაც წარჩინებულ ფეოდალებთან ერთად, ეკლესიათა მოხატულობის პროგრამებში სამეფო პორტრეტებიცაა შეტანილი და ასეთ შემთხვევებში, სამეფო პორტრეტებს მნიშვნელოვნებით გამორჩეული ჩრდილოეთი კედელი ეთმობა, ხოლო ფეოდალთა პორტრეტებს – უფრო მიკროკლასობის, სამხრეთი კედელი. ასეა განაწილებული ისტორიულ პირთა პორტრეტები ბეთანიაში<sup>36</sup> და ყიცივისში (1205-1210 წწ.)<sup>37</sup>, უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში (1289-1295 წწ.)<sup>38</sup>. როგორც სწნას, იმავე ხერხს მიმართავენ ჩოლოყ ერთი ფეოდალური ოჯახის წევრთა მნიშვნელოვნების განსხვავების ხაზგასასმელადაც – ამის მაგალითად სორის ქტიტორთა პორტრეტები (XIV ს-ის დასაწყ.) შეიძლება გავიხსენიოთ<sup>39</sup>.

ზემოთ მსჯელობის კონტექსტში ზემო სვანეთის საქტიტორო პორტრეტებზე დაკვირვება მეტად საინტერესო სურათს გვიჩვენებს – თუკი XII და XIII საუკუნეთა მოხატულობებში მათთვის არც მთლად ტრადიციულ ადგილს ენიჭება უპირატესობა, ე.წ. პალეოლოგოსთა ხანისა და XV საუკუნის მოხატულობებში ეს პორტრეტები კვლავ ტრადიციულ ადგილს იმკვიდრებს ეკლესიათა ინტერიერში.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვახსენო ქტიტორთა დასავლეთ კედელზე გამოსახვა წვირმის ჯგრაფ-ნობანსა და ჭოსხელში. ამ ადგილას საქტიტორო პორტრეტების განთავსების მაგალითები საკმაოდ იშვიათია ქართულ კედლის მხატვრობაში – რუსი-

ვ. ბერიძე, დასახ. ნაშრ.; ვ. ხუციშვილი, საფარის კედლის მოხატულობა, თბ., 1988; Г. Алибегашвили, Светский портрет... Заруби, Зулესა და საფარის მოხატულობათა ბოლოდროინდელმა კვლევამ, რომელიც კვლავაც გრძელდება, რთი ახალი ხაკითხებისა წამოჭრა და, წინასწარული მონაცემებით, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ დათარიღებაში გარკვეული კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოაქვინა. იხ.: შ. ჯანჯღალია, ზარუზის მოხატულობის თარიღისათვის, საქართველოს სიძველენი, 10, 2007.

<sup>35</sup> აქ გამოსახული არიან მუყე აღმქანდრე I და მისი თანამკეცხდრე ქუცნა ამირჯიბი, მისი მეუღლე რუსა და ოთხი ვაჟი. ნაბახტუვის მხატვრობისა და საქტიტორო პორტრეტის ანალიზისთვის, იხ.: ო. ლორთქიფანიძე, ნაბახტუვის მხატვრობა, თბ., 1973.

<sup>36</sup> აქ ჩრდილოეთ მკლავში გამოსახული არიან მუყე ვითრე III, თამარ მუყე და ღამა-გიორგი, ხოლო სამხრეთ მკლავში – ტაძრის მაშენებელი მანდატურთუხუცესი სუმბატ ორბელიანი (ბერობაში სიმეონ) და მისი ვაჟი ღამაბრე. იხ.: Г. Алибегашвили, Светский портрет...; უ. პიბვალია, ბეთანიის კედლის მხატვრობის...; მიხევე, Новые данные о Бетании...

<sup>37</sup> აქაც ჩრდილოეთ მკლავი ერთობა ვითრე III-ის, თამარ მუყისა და ღამა-გიორგის პორტრეტებს, სამხრეთ მკლავში კი წარმოდგენილი იყო ტაძრის უშუალო ქტიტორი – ჭყონდიდელი ანტონ ვლანისთავისძე. იხ.: Г. Алибегашвили, Светский портрет...; შ. დიდებულისძე, ყიცივისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის ფერწერული ანსამბლის მხატვრული ხაზე (XII-XIII სს-თა მიჯნის ქართული კედლის მხატვრობის მიმართა ბიზანტიურ ფერწერასთან). ხელოვნებისთმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მისაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ., 2006.

<sup>38</sup> აქ ჩრდილოეთ კედელზე მუყე დემეტრე II თავდადებულია გამოსახული, ხოლო სამხრეთ კედელზე – ეკლესიის მაშენებელი, თანვე ვისიკოსი, დემეტრე II-ის სულიერი მოძღვარი. ზარების ეკლესიის მოხატულობისა და საქტიტორო პორტრეტების თავისებურების შესახებ, ბოლოდროინდელი პუბლიკაციებიდან, იხ.: შ. ბულია, სამწირველოები მონასტრში: უდაბნოს ხარების ეკლესია და მისი მოხატულობა. სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი. საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბ., 2001.

<sup>39</sup> სორის ეკლესიის მაშენებელ-მოხატველ რაჭის ერისთავთა, ჭარელისძეთა, პორტრეტების ვრცელი რიგი (მის თავში მთავარი ქტიტორი, არჩილ (?) ჭარელისძეა ეკლესიის მოძღვარი ხელში), ანუ, ძირითადი საქტიტორო პორტრეტი, სამხრეთ კედელზეა გამოსახული, ხოლო ქველი ჭარელისძის მუხლმოდრეკილი, მავადრებელი ფიგურა (ისეთივე საშობით მოხიდი, რაც სამხრეთი კედლის ქტიტორები) ამ რიგისგან განცალკევებით, ჩრდილოეთ კედელზეა წარმოდგენილი. სორის ეკლესიის მოხატულობისა და ქტიტორების შესახებ, იხ.: ი. ჭიჭინაძე, სორის მოხატულობა, თბ., 1985. ბოლო დროს სორის მოხატულობისთვის ახალი თარიღი – XIV-XV სს. ხახელდება. იხ.: ზ. ხიხიტიაძე (ი. ჭიჭინაძის მონაწილეობით), სორის ეკლესია, თბ., 2009.



რის (ისტორიული არტოხანი) წმ. შიოს ეკლესიის მოხატულობა (1249-1258 წწ.), სადაც დავით ულუ და დავით ნარინი არიან გამოსახულნი<sup>40</sup>, გელათის ღმრთისმშობლის ტაძრის სამხრეთი კარიბჭის მოხატულობა (XIV ს.), სადაც მეფე ბაგრატ V-ა წარმოდგენილი<sup>41</sup>, გელათის იმავე ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი ეგვიტრის მოხატულობა (XIII ს-ის ბოლო), სადაც დასავლეთი ეკლესია მეფე დავით ნარინისა და მისი თანამეცხედრის, მიხეილ VIII პალეოლოგოსის ასულის, პორტრეტებს ეძიება<sup>42</sup>.

რაც შეეხება ე.წ. პალეოლოგოსის ხანის მოხატულობებს, ქტიტორები მათში, საზოგადო წესის მიდევნებით, ან ჩრდილოეთ ეკლესიებში არიან გამოსახულნი, როგორც შალვა ქირქიშლიანი ლადამის მაცხოვრის (ზედა) ეკლესიისა (XIV ს-ის შუახანა) და ფარის სვიფის ჯგრაგის ეკლესიაში (XIV ს-ის ბოლო)<sup>43</sup>; ან ორ ეკლესიებში ნაწილდებიან, როგორც ღვთისმშობლის მეფე კონსტანტინე I და ადგილობრივი დიდებული ბეშქენი ვაჟთან ერთად ენაშის ანის ეკლესიაში (XIII-XIV სს-თა მიჯნა)<sup>44</sup>, იველიანები მხერის ეკლესიაში (XIV ს-ის შუახანა)<sup>45</sup>. ტრადიციის ერთგულება XV საუკუნის მოხატულობებშიც იხილება, როდესაც საქტიტორო პორტრეტი ან ეკლავაც ჩრდილოეთ ეკლესიებში თავსდება, როგორც ანტონ და მიქელ უფრიანთა გამოსახულებანი უღვალის ჯგრაგის ეკლესიაში<sup>46</sup>, ან ეკლესიის სამივე ეკლესიის შემოუყვება, როგორც, გვიანი შუა საუკუნეების ე.წ. ხალხური ნაკადის მხატვრობისთვის დამახასიათებლად, იყენებ წარმოდგენილი პირნათელ ჯაფარიძე (ვაკებისა და ქალიშვილების თანხლებით) და დემეტრე ჩართილანი ღვთისმშობლის ღვთისმშობლის ეკლესიაში<sup>47</sup>.

<sup>40</sup> ბ. ლევაძე, ქტიტორთა გამოსახულებები რუისპირის წმ. შიოს ეკლესიაში. ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია მიმდინარეობს ღმრთისმშობლის დაბადების 80 წლისთავისადმი. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1989.

<sup>41</sup> ქ. მიქელაძე, დავით ნარინის ეგვიტრის მოხატულობა გელათის მონასტრის მთავარ ტაძარში. ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ., 2001; ნ. კუმარაშვილი, გელათის ღვთისმშობლის ტაძრის მოხატულობათა თავისებურებანი (ტექნიკისა და სტილის ურთიერთმიმართება). ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ., 2006.

<sup>42</sup> ქ. მიქელაძე, დავით ნარინის ეგვიტრის მოხატულობა...; ნ. კუმარაშვილი, დასახ. ნაშრ.

<sup>43</sup> საქტიტორო პორტრეტების ანალიზისთვის იხ.: მ. ყენია, საქტიტორო პორტრეტი ზემო სვანეთის მხატვრობაში, საბჭოთა ხელოვნება, 1991, №7; სვანეთის წერილობითი ძეგლები...; მ. ბერძნეშვილი, სვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV-XV საუკუნის სვანეთის სოციალური ისტორიისათვის. ქართული წყაროთმცოდნეობა II, თბ., 1968; ნ. როფიკაშვილი, ქართული კონსტრუქციები (VI-XIV სს.), თბ., 1964.

<sup>44</sup> მეფის პორტრეტი, ტრადიციისამებრ, ჩრდილოეთ ეკლესიებში, საკურთხეველის მომიჯნავედაა განთავსებული, ხოლო ბეშქენისა და მისი ვაჟისა - უფრო შიკარალებულად, სამხრეთ ეკლესიებში, ეკლესიაში შესასვლელი კარის ვეკრდით. ქტიტორთა იდენტიფიკაციისთვის იხ.: მ. ყენია, სახელოვნებო პორტრეტი იენაშის ანის ეკლესიის მოხატულობაში, საქართველოს სიძველენი, 2, 2002.

<sup>45</sup> მიქელ იველიანი, როგორც ეკლესიის მამულებელ-მომხატველი და ჯგრაგ-ხატებით შემამკობელი, ანუ მთავარი ქტიტორი, მეუღლესთან ერთად, ჩრდილოეთ ეკლესიაში წარმოდგენილი, ხოლო მისი ვაჟი, ასევე მეუღლესთან ერთად - სამხრეთ ეკლესიებში. საქტიტორო პორტრეტების ანალიზისთვის იხ.: მ. ყენია, საქტიტორო პორტრეტი...; სვანეთის წერილობითი ძეგლები...; მ. ბერძნეშვილი, დასახ. ნაშრ.; ნ. როფიკაშვილი, დასახ. ნაშრ.; ვ. კავლელაშვილი, მხერის ეკლესიაში გამოსახულ ქტიტორთა იდენტიფიკაციის საკითხისათვის. საერთაშორისო სიმპოზიუმი - ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი. მოხსენებათა თეზისები, თბ., 2000; მისივე, სურტილები და სვანეთის საისტორიო აქტების ქრონოლოგიის საკითხები. ნარკვევები, II, თბ., 1996, ნარკვევები, V, თბ., 2004.

<sup>46</sup> მ. ყენია, საქტიტორო პორტრეტი...; სვანეთის წერილობითი ძეგლები...

<sup>47</sup> ღვთისმშობლის საქტიტორო პორტრეტები ამჟამად ძლიერაა დაზიანებული, თუმცა გასულ საუკუნეში ჯერ კიდევ გაორწივდა მათი რიგი. მთავარი მომგებელი, პირნათელ ჯაფარიძე და მისი უფროსი ვაჟები (დოდოლა და ივანე) ჩრდილოეთ ეკლესიებში იყენებ გამოსახულნი (მათი



დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ პადიშის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა, აქ-  
 კარად მაღალი პროფესიული განსწავლის, ნიჭიერი ოსტატის ნახელავი, შუა მხატვარ-  
 ნების ქართული კედლის მხატვრობის უდაოდ მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია,  
 მისი მომგებლის, წარჩინებული სვანი დიდებულის, მიქაელ ჩევიანის სახელისა და  
 დეაწლის საუკუნოდ უკვდავმყოფელი.<sup>1</sup>

პორტრეტები ამჟამად აღარ არსებობს); პირნათელის უმცროსი ვაჟისა (ასლანი) და დემეტრე  
 ნართოლანის პორტრეტები დასავლეთ კედელზე ახლაც გაირჩევა; პირნათელის ქალიშვილ-  
 ბი (ჯიმაღში, ყორყოი, მარიამი [ან მარეხი] და მეოთხე ასული, რომლის სახელი უცნობია)  
 სამხრეთ კედელზე იყვნენ წარმოდგენილნი (ამჟამად მათი პორტრეტები ღამისაა გაქრობის  
 პირზეა). ღვთაგის მოხატულობის შესრულების დრო აზრთა ცხოველ სხვადასხვაობას იწ-  
 ვევს და მას ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებულ ეპოქებს აკუთვნებენ XIII-XIV სს-თა  
 მიჯნიდან დაწყებული, XVII ს-ის ჩათვლით. დეტალური არგუმენტაციისთვის, იხ.: ნ. ჩოფი-  
 კაშვილი, დასახ. ნაშრ.; მ. ბერძინაშვილი, დასახ. ნაშრ.; ვ. სილოგავა, ქტიტორთა ფრესკული  
 წარწერები ზემო სვანეთში. სვანეთი I. მასალები მატერიალური და სულიერი კულტურისა-  
 თვის, თბ., 1977; ელ. კაველაშვილი, ღვთაგის მოხატულობის ქტიტორთა პორტრეტები.  
 მაცნე, ისტორიის... სერია, 1980, №1; სვანეთის წერილობითი ძეგლები...; იუ. ხუსკივაძე, ქარ-  
 თულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების "ხალხური" მოხატულობანი, თბ., 2003. მე. მ. ბერ-  
 ძინაშვილისა და იუ. ხუსკივაძის მიერ შემოთავაზებულ დათარიღებას ვიზიარებ.

ძართულ შვიდალურ საგვარეულოთა ისტორიიდან  
 (ჩევიანები, რუშევიანები)

ქართული ტრადიციული კულტურა მრავალი სხვადასხვა ელემენტისაგან შემდგარი ერთობლიობაა. კულტურის ელემენტთა შორის მნიშვნელოვან ღირებულებასა და მღერად მენტალურ ფასეულობას წარმოადგენს ქართულ გვარ-სახელთა ტრადიციული სისტემა. ქართულ საგვარეულოთა შესახებ შემონახული საისტორიო და ეთნოგრაფიული მასალა ძვირფასი წყაროა საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიისა და კულტურის განვითარების დინამიკის წარმოჩენის კუთხითაც.

ძველ ქართულ საგვარეულოთა ერთი ნაწილი, რომელიც წერილობითი წყაროებითა და ეთნოგრაფიულ მასალით სენაეთშია დაფიქსირებული, შუკვ გადაშენებულია (ამროლიანი, ბაბიანი, ბაბილოვანი, თეტენიანი, სანთელიანი, კვირიკიანი, უხურემიანი, დოღელიანი, ვახდაგიანი/ვახთაგიანი, კუჭაისძე, თომანიანი, მახვილიანი, მახუჯკვიანი, მარცხიანი, დემეტრელიანი, სვიფლიანი, ქირქიშლიანი, შქერიანი...). ბუნებრივია, ყოველი გვარის გაქრობა სერიოზული დანაკლისია ქართული კულტურისათვის, რადგან გენეალოგიური ისტორიები მნიშვნელოვან სემეენტს ქმნის ზოგად კულტურაში და თავისი ინდივიდუალური ქვერადობით მრავალფეროვანს ხდის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალას.

სენაეთის ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა შორის, გამორჩეული ადგილი უკავია ჩევიანთა//რუშევიანთა საგვარეულოს.

ჩევიანი ეპონიმიური წარმოშობის გვარია, სახელ „ჩევი“-დან მომდინარეა, სუფიქსი კი ტრადიციული ქართული ფორმატია – ანი (იანი). სახელი ჩევი სახელი მიჩანს X-XI საუკუნეების წარწერაში, რომელიც შესრულებულია ზემო სენაეთის სოფელ პადიშის ჩანის წმიდა გიორგის ეკლესიის ეკლესიაზე. ჩევიანთა საგვარეულო მრავალი საუკუნის შემდეგაც ცოცხალია და აგრძელებს არსებობას. დროთა განმავლობაში საისტორიო და ეთნოგრაფიული მასალა აგლენს ამ საგვარეულოს განშტოებას „რუშევიანის“ ფორმით. ცნობილია, რუშევიანთა ფეოდალური საგვარეულო დიდ როლს ასრულებდა შუასაუკუნეების სენაეთის ყოფაში. ჩევიანთა გვარის ეს განშტოება გვიან შუასაუკუნეებში წყვეტს არსებობას. მისი ფუქემდებული საგვარეულო „ჩევიანები“ კი ამჟამადაც არსებობენ.

პადიშის ჩანის წმიდა გიორგის ეკლესიას სენაეთის ტრადიციულ ყოფაში „ჯგირაგ ჩანიშ“-ს უწოდებენ. ცნობილია „ჯგირაგ“ ქართული ენის სენურ კილოებში წმიდა გიორგის ხალხური სახელია, „ჩანი“ კი ტოპონიმი. წარწერა ამოკაწრულია ეკლესიის ეკლესიაზე წმიდა თეოდორეს ფრესკული გამოსახულების ზემოთ. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, იგი XI საუკუნით თარიღდება. წარწერის ტექსტი ასეთია: „წმიდაო თ(ეოდორ)ე, შეიწავაჲ ჩევი“. ამ ეკლესიას დღესაც მნიშვნელოვანი სულიერი და სოციალური ფუნქცია აკისრია. აქ ყოველ წელს კვირიკობის დღესასწაულის მომყოლ ხუთშაბათს აღინიშნება ხალხური დღეობა „ჩანის წმიდა გიორგობა“ (სენურ კილოებზე: „ჯგირაგ ღინანიში“). დღეობა სანახაობრივადაც გამოჩნეულია სხვა დღეობათაგან, რადგან მას ახლავს განსხვავებული ელემენტი: მომლოცველები ეკლესიისაკენ მიემართებიან მაღალ აწეული გრძელი აღმებით, რომელთაც მადლობის ნიშნად სწირავენ ეკლესიას. მადლიერებას ძირითადად გამოხატავენ ის მლოცველები, ვინც ამ ეკლესიას ვაჟიანობა შესთხოვა და სურვილი აუსრულდა. ეს მომლოც-





ველები სამი წლის განმავლობაში, მადლიერების ნიშნად, მოდიან ჩანიში და მატყვე/ მიაგებენ ჩანის წმიდა გიორგის. ამავე ეკლესიას შესთხოვეს მრევლი ვაჟიშვილები/ ჯანმრთელობას და მშვიდობიანობას.

ეს საყდარი IX-X საუკუნეებში აგებულად ითვლება. ეკლესიას ამკობს ფრესკები, რომლებსაც სვეციალისტები X საუკუნით ათარიღებენ. ფრესკათა დიდი ნაწილი დაღუპულია.

ჩეგიანთა გვარის ეთნარქად, შესაძლოა, სწორედ ეს ჩეგი იქნას მინიჭული.

გვარი ჩეგიანი, დღეს ხელთ არსებული მასალით, პირველად ვიქსირდება XII საუკუნეში. ამ საგვარეულოს წარმომადგენელი ჩეგიანი იხსენიება ადიშის (პაღოშ) მაცხოვრის ეკლესიის ფრესკაზე. ადიშის მაცხოვრის ეკლესია X, სავარაუდოდ, საუკუნის ძეგლია. დრბაზული ეკლესიაა. ეკლესიას ამკობს ფრესკები და მის კედლებზე დაცულია ქტიტორის ფრესკული გამოსახულება, წარწერა, ასევე, ნაკაწრი წარწერები. ეკლესიაში დაცულია ათეულობით სიწმიდე.

ქტიტორის ფრესკული გამოსახულება და წარწერა, რომელშიც ჩეგიანი იხსენიება. მოთავსებულია ეკლესიის სამხრეთ კედელზე. წარწერა გვამცნობს: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ ჩეგიანი, ამენ. † ესე“. წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XII საუკუნით თარიღდება (ვ. სილოგავა). ფრესკაზე გამოსახული საერო პირი – მიქაელ ჩეგიანი – მაღალი ფეოდალური წრის წარმომადგენლადაა მინიჭული (მ. ყენია).

განვითარებული შუახაუკუნეების განმავლობაში სვანეთის წერილობით ძეგლებსა და ეთნოგრაფიულ მასალაში აქტიურად ფიგურირებს რუჩეგიანების ფეოდალური საგვარეულო. ეთნოგრაფიული მასალით, რუჩეგიანები ჩეგიანთა საგვარეულოს განშტოებაა.

რუჩეგიანთა საგვარეულოს ერთი – ყველაზე ძლიერი შტო – ზემო სვანეთის ბალსქვემო ნაწილში ცხოვრობდა. ეს საგვარეულო სოციალურად დაწინაურებულ ფენად ითვლებოდა, მათ, ტრადიციულად, “ვარგ”-ებს უწოდებდნენ. სოციალური იერარქიის აღმნიშვნელი ეს ტერმინი იხსენიება ქართულ საისტორიო წერილობით წყაროებშიც: “ჩვენ ერთობილმან ჴეუმან, ვარგმან და გლეხმან...” (სილოგავა 1986: 107); “ჩვენ ხეუმან ერთობლილმან მესეტისამან, ერთობილთა დიდთა და მცირეთა, ვარგთა და გლეხთა ყოველთა...” (ინგოროყვა 1941: 53-54).

აზრობრივად “ვარგ”-ი, ცხადია, კარგს, ვარგის ნიშნავს. ეს ტერმინი სვანეთში დამკვიდრებული და შემორჩენილი ძველი ქართული სახელწოდებაა და იგი სოციალური სტატუსის – წარჩინებული, დაწინაურებული ფეოდალური წოდების აღმნიშვნელია, სავარაუდოდ, სამეფო აზნაურის სტატუსისა (ჯავახიშვილი 1928: 40; ჯანაშია 1959: 135; გასვიანი 1991: 102-103; სილოგავა 1986: 31; მარგიანი 1981: 121-122).

ვარგებად იწოდებიან სვანეთში გელოვანები, რუჩეგიანები, დაღეშქელიანები, გარდაფხაძეები, ჩარკვიანები, ყოფიანები, გოშთელიანები, ჟორჟოლიანები, დეგდარიანები, იოსელიანთა და ჯაფარიძეთა თითო შტო და სხვა.

სამართლებრივი ხასიათის “დაწერილებით” აშარაა, რომ “ვარგ”-ების სისხლის საფასური დიდად განსხვავდებოდა რიგითი მეომეგების ხასისხლო გადასახადისგან: “აწ... ჩვენ ღორთქიფანიძეთა... და ჩვენ ხაღდეშეფთა... თუ ესე პირი გაგიტეხთ, ოთხისა ვარგისა კაღელისა სისხლი მიხეზგავდებლად დაეიუროთ” (სილოგავა 1986: 219).

რუჩეგიანები, ეთნოგრაფიული მასალით, ზემო სვანეთის ბალსქვემო ნაწილში რამდენიმე რეზიდენციას, ციხე-კოშკს, დიდძალ სახნაუ-სათეს მიწას და ტყეებს ფლობდნენ. ისინი ცხოვრობდნენ ეცვრში (ისკარი, ლადრერი), ბუჩოში (ნაშთქოლი), ცხუმარსა (მაგარდელი, ლეზგარა) და ჩუბეხეში (ლაშხერი).

რუმეგიანთა ზოგიერთი ნამოსახლარი ნანგრევების სახით არის შემორჩენილი (ლაღრერი, მაგარდელი, ნაშთქოლი, ღამხერი), სხვაგან კი კვალიც გამჭრალია და ეს არ არის გასაკვირი, ცნობილია, რინგეიანთა მიწა-წყალს დადემუქვლიანები დაეპატრონენ, რომლებიც, ამავე დროს, ანადგურებდნენ რინგეიანთა სახლკარს, ხოლო მათ ნასახლარებზე თავიანთ ყმებს, სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებს ასახლებდნენ (ქაღანი 1978: 96).

რუმეგიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები ხშირად იხსენიებიან შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში, გვარი რამდენიმე ფორმით გვხვდება: რუმეგიანი, რუნაგანი, რონაგანი. ეთნოგრაფიული მასალით კი, რუმეგიანებს, ქართული ენის სვანურ კილოებზე უწოდებენ "რინქეიანებს" // "რინქანებს" // "რინგეიანებს". ამჟამადც მთხრობელები ამ გვარს ძირითადად გამოითქვამენ როგორც: "რინგეიან"-ს ან "რინქეიან"-ს.

რუმეგიანები იხსენიებიან XII-XIII საუკუნეების ძეგლში "მატიანე სვანეთისა კრებისად" (ინგოროყვა 1941), ე. წ. ჯაფარიძეთა სახისხლო სიგელში (ინგოროყვა 1941), "სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატიანეში" (გასვიანი 1972: 101-123; სილოგავა 1986).

წერილობითი წყაროებით მრავალი რუმეგიანის სახელია ცნობილი. რუმეგიანის ფორმით ფიქსირდება შემდეგი სახელები: ათაბუყ, ახლაგ, ბათარ, გული, თათარსაგ, თაუსაგ, თაჯ, იელდარ, კერმუგ, მარხიხა, ნაუსაუ, სოსა, ურუსყან. რონაგეიანის ფორმით: გიორგი (სილოგავა 1988: 538-560). რუნაგეიანის ფორმით იხსენიებიან: აიღარუყ, ანა, ბაძუ, ბებუ, გოგია, გუგუჩაი, გუნდი, გუსდან, გუშუ, დაღაშ, დოღა, ელენე, იოვანე, ინაი, კაჭუ, ლხინაი, მარხიან, ნიქო, ოტია, ოქოდუფხე, რუნაგ, რუნგენ, სოსია, უთქში, ფურდუხ, ხოსი, ხუცი.

ეთნოგრაფიული მასალით რუმეგიანების ტრადიციული სახელები ყოფილა: სორთმან, გუგნა, ვოთარ, ყირიბ, იღამაშ, როსტომ, მარხი, იმახთ (დაეითიანი, 1955, 35).

შემონახულია ლატალის ლექციონარზე შესრულებული (XIII-XIV სს.) "დაწერილი გიორგი რონაგეიანისა მოხერის მთავარანგელოზისადმი": "მოგახსენე მე, გიორგი რონაგეიანმა და ჩემთა შვილთა, თქვენ წმიდასა მთავარანგელოზსა მოხერისას, მას ჟამსა, ოდეს პავისა ჟამისა შემოსლვამა ქუეყანაი დაღაშავა, მოგანდევ ჩემი თავი და შვილნი; ვითარცა გამსახურებდეთ, პაგრეც გუწყალობით" (სილოგავა 1986: 138-139). ამ სახის XIII-XIV საუკუნეების სხვა რამდენიმე მინაწერიც არის შემონახული. როგორც ჩანს, ამ პერიოდში სვანეთშიც გავრცელდა პავი ჟამის (შავი ჭირის) ეპიდემია. ცნობილია, რომ სვანეთში მხერის მთავარანგელოზს და წმიდა ბარბარეს დღესაც ყველგან სხვადასხვა ეპიდემიებისაგან დაცვას (მინდაიქ 2008).

რუმეგიანები იხსენიებიან 1490-1503 წლებს შუა შედგენილ დოკუმენტშიც, რომლის სრული სახელწოდებაა "წიგნი სახისხლო საქმისა ბელას-ზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის". წიგნში ასახულია ბაღს ზემო სვანეთის ხევთა რჩეული წარმომადგენლების მცდელობა მეფისაგან პატიების გამოთხოვნის შესახებ. ამ სათხოვრით, "ჩენილები" სწორედ რუნაგეიანს და დადემუქვლიანს მიმართავენ, რადგან, როგორც ჩანს, ყველაზე დაწინაურებულ საგვარეულოებს იმ დროის სვანეთში ეს გვარები წარმოადგენდნენ: "და მერმე შევიყრენით სრულიად სუანთ ჩენილები და ვქენით ვაზირობა. მივედით ეკერს, რუნაგეიანსა და დადემუქვლიანსა შევეხუყვნით და დადიანთან

<sup>1</sup> სახელწოდება პირობითია. შვარქვა ე. თავაიშვილმა. მატიანე დედნიდან გადაწერილი ასლია და ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში.



გავგზავნეთ... ამისი აჯა ვსთხოეთ, რომ მეფეთა-მეფეს პატრონს აღუქსანდრესთა  
ეთხოვნა" (ინგოროყვა 1941: 32).

XV საუკუნის ბოლოს შედგენილ საბუთში რუხეგიანებისა და დადუშქელიანების გვერდიგვერდ მოხსენიება, ნიშნავს, რომ ამ დროს ისინი თანაბარი ძალაუფლებისა და სოციალური სტატუსის მქონენი არიან.

რუხეგიანების რამდენიმე "სახლი" და წარმომადგენელი დასახელებულია "სვანეთის მეორე მატიანეშიც", რომელიც ძირითადად გვიანშუასაუკუნეებით თარიღდება (ინგოროყვა 1941; გასვიანი 1972: 101-123; სილოგავა 1986).

საგულისხმოა ერთი თავისებურებაც: ეთნოგრაფიულ მასალაში (გადმოცემები, ხალხური ლექსები, სიმღერები), რომელიც აღწერს სვანეთის დიდგვაროვანთა უოფაცხოვრებას და ისტორიას, ხშირად დადუშქელიანებსა და რუხეგიანებს ერთმანეთში ურევენ. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია წყვილობით წყაროებსა და გამოცემებში დაფიქსირებული პირების იდენტიფიკაცია, ამ მასალის ურთიერთშეჯერება.

რუხეგიანების ქრონოლოგიურად ყველაზე ძველ და აქტიურ მტრად ეთნოგრაფიული მასალით ისლამ დადუშქელიანი მოჩანს. თავიდან იგი რუხეგიანებს დაუმარცხებოდა და სვანეთიდან განუდევნიათ. ეს ისტორია ცნობილ სიმღერაშია აღწერილი: დენილი ისლამი ყაბარდოში, ბერიანში გადასულა, ზახსანის თავად ურუსბიევთან შეუფარებია თავი. მრავალწლიანი დიდი ხვეწნა-მუდართით ჩერქეზები დაუთანხმებია და მათი (ქაშვარ) ჯარით სვანეთში გადმოსულა. აქ იგი რიხეგიანებს შებრძოლებია, მაგრამ მათი საბოლოოდ დამარცხება მაინც ვერ მოუხერხებია:

"ამხტარა ციხეში,  
შეჰბია რუხეგიანებს:  
ქვემო რუხეგიანებო,  
თქვენი თეთრი ციხე  
ურჯულობით საესეა;  
ზემო რუხეგიანებო,  
ჩამწკრივებული თქვენი სასახლე  
რამშბედაურით საესეა"

(სვანური პოეზია 1939: 116-117).

ისლამს, გადმოცემით, მემკვიდრეებისთვის ანდერძი დაუტოვებია, როდესაც რუხეგიანებს საბოლოოდ ამოწყვეტთ, მოდიოთ ჩემს საფლავთან და ამის შესახებ ხმამაღლა ჩამომახეთო (გაბლიანი 1925: 62; გაბლიანი 1927: 19-20).

ისლამი დადუშქელიანთა ჩვენთვის ცნობილი ერთ-ერთი მამამთავრის ფუთას ვაკია. ისლამს, ეს სახელი, სავარაუდოდ, ყაბარდოში (ქაშავ) შვარტქეს, რადგან ქრისტიანულ სვანეთში მას ასეთ სახელს არ დაარქმევდნენ. ერთი გადმოცემით, ისლამი ეცერის თემის ქურაშის წმიდა გიორგის ეკლესიაშია დაკრძალული. სხვა გადმოცემით კი ბენოს თემის, ჭოხუღდის მაცხოვრის ეკლესიაში.

ცნობილ სიმღერაში "ვიციბილი და მაციბილი" ასახულია ბატონ-ყმობის უღლის გადაღების მოსურნე, თავისუფლებისთვის მებრძოლი ძმების ვიციბის და მაციბის (ზოგიერთი გადმოცემით, ისინი გვარად კიბოლანები იყვნენ) ბრძოლა ეცერელი რუხეგიანების ან დადუშქელიანების წინააღმდეგ. სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად მიჩნეულია, რომ ვიციბი და მაციბი დადუშქელიანებს ებრძვიან, მაგრამ სიმღერის უმრავლეს ტექსტში მხოლოდ რიხეგიანები იხსენიებიან, სხვა ვარიანტში კი - დადუშქელიანებიც:

“თორმეტი წელი ეცვრა-ცხუმარი  
უნაგუეთესავად დაგვიტოვებია,  
თავი უსისხლეგლად არა გვრჩება,  
შვიდი კერა რიჩქიანები  
ნახშირ-ნაცრიანად აგვიკლია”

(სვანური პოეზია 1939: 78-79).

გადმოცემით, ძმები ლადრერის (სხვა გადმოცემით, ისკარის) რუჩეგიანებისეულ საგუშაგო კოშკში შეიპარნენ და გამაგრდნენ. ისინი მთელი 12 წლის განმავლობაში უწვედნენ რუჩეგიანებს/დადეშქელიანებს წინააღმდეგობას. აქ ჩვენთვის საყურადღებოა, რომ ამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, ობიექტური გარემოება დიდი ხნის მტრებს – დადეშქელიანებსა და რუჩეგიანებს დროებით აერთიანებთ: ისინი ერთობლივად ებრძვიან და 12 წლის თავზე საბოლოოდ ამარცხებენ ამოხსებულ ძმებს. ამ დროს, სიმღერის ტექსტის თანახმად, ეცვრულ რუჩეგინთა/რიჩეგინთა რაოდენობა შეიღ კომლს მოითვლიდა (გაბლიანი 1925: 62-63). სიმღერაში მოხსენებული სორთმანი, ჩემი აზრით, რუჩეგინი უნდა იყოს და არა დადეშქელიანი. ამ მოსაზრებას უფრო მართებულად მიიჩნევს ბესარიონ ნიჟარაძე: “სიმღერის სორთმანი რიჩეგინების გვარისაა, რადგანაც სადადიშქელიანო სვანეთის ბატონები ესენი იყვნენ უწინ, სანამ დადეშქელიანის წინაპარი გაჩნდებოდა სვანეთში” (ნიჟარაძე 1964: 98-99).

შემდეგი ტრაგიკული შინაარსის გადმოცემა, რომელიც, სავარაუდოდ, უკვე XVIII საუკუნის II ნახევრის ამბებს ასახავს, აღწერს დადეშქელიანთა და რუჩეგინთა მორიგი სისხლიანი შეტაკების ამბავს: აღდგომის დღესასწაულისთვის დადეშქელიანებს, რომლებიც ეცერის თავში ბარში ცხობრობდნენ, სტუმრად ქვემო ეცერში მცხოვრები რუჩეგინები მიუწვევიათ. ცხადია, რუჩეგინები მტერს ვერ უნდობოდნენ და ამიტომ დადეშქელიანებს მათთან თავიანთი გვარის 12 წარმომადგენელი გაუგზავნით მიველდებად. ამის შემდეგ ზუსტად ამდენივე რუჩეგინი მამაკაცი ბარში ასულა დადეშქელიანებთან. ამასობაში ვინმე გულბოროტი კაცი – რუჩეგინების კარისკაცი/მურიქიფე ციქვლიდი<sup>2</sup> (იგი იმერეთიდან მოსულა, ცალანებთან ყოფილა შეხიზნული და მათი გვარი მიუღია) ქათმის სისხლით მოსვრილი და ატირებული დადეშქელიანებთან მოსულა და უთქვამს ქვემოთ, ლადრერში რუჩეგინებმა თქვენნი მოგვარეები დახოცესო. აღფრთოვანებულ დადეშქელიანებს თორმეტივე რუჩეგინისთვის იქვე მოუღიათ ბოლო. ამასობაში ციქვლიდი ბარშიდან ლადრერში ჩასულა და რუჩეგინების ამოხოცვის ამბავი მოუყოლია. ცხადია, რუჩეგინებსაც დაუხოცათ მათთან მყოფი თორმეტივე დადეშქელიანი. ხოცვა-ჟლეტა გაგრძელდებულა, რის შემდეგაც დადეშქელიანთა გვარში მხოლოდ მცირეწლოვანები დარჩენილან, რუჩეგინებში კი ორი მამაკაცი გადარჩენილა, რომლებიც ამ დროს ღენხუმში ყოფილან სტუმრად (დავითიანი, 1955: 87-91). ამ ამბის განსხვავებული ვარიანტი დაფიქსირებული აქვს ე. გაბლიანს: ისლამ დადეშქელიანის შვილმა “დიდმა ოთარმა” მოისყიდა ციქვლიდ ცალანი. აღდგომა დღეს, ტრადიციულად ისკარელი და ლადრერელი რიჩეგინები ერთმანეთს სტუმრობდნენ. ლადრერის რიჩეგინებმა მიიწვიეს 12 ისკარელი რიჩეგინი, ასევე ისკარელებმა – 12 ლადრერელი რიჩეგინი. როდესაც ყველანი შეთვრნენ მოსყიდულმა ცალანმა ტანთ ხბოს სისხლი წაიცხო და ლადრერის რიჩეგინებს აცნობა, ისკარში თქვენი ძმები ამოხოცესო. შემდეგ გაიქცა ისკარში და ამათაც უთხრა, ლადრერში თქვენები დახოცესო. ორივე ადგილას საშინელი ჟლეტა დაიწყო და საბოლოოდ ერთ

<sup>2</sup> გადმოცემის ზოგიერთი ვარიანტით, იგი, დადეშქელიანებისაგან იყო მოსყიდული.

საათში 24 რინგეიანი მაკაკაცი დაიღუპა. ასეთი გაუგონარი ცოდვის საფასურად ცივილიზმა ოთარ დაღეშქელიანისგან 27 კომლი გლეხი მიიღო ფარის თემში (გაბლიანი 1927: 19-20).

ე. გაბლიანის მიერ ჩაწერილი გადმოცემით, გადარჩენილა მხოლოდ ორი ძმა რინგეიანი – ახლაგი და ხაუთი, რომელთაც თავი შესტისი თემისთვის შეუფარებიათ. მათ თავი, ძველი ქართული სამართლებრივი წესის<sup>3</sup> თანახმად, წმიდა გიორგის “ეკლესიას შეახვეწეს და შეაბეს ერთი ხარი”. მესტიელებმა ისინი მიიღეს და თავისი მფარველობის ქვეშ სოფელ ლაღაშში დაასახლეს, მაგრამ იქაც კაცო შემოაკვლათ და ყაბარღოში გადაიხვეწნენ, სადაც დღემდე არსებობს მათი გვარი (გაბლიანი 1925: 62-63).

ამ გადმოცემისეული ახლავ რინგეიანი იხსენიება წერილობით წყაროში, “სულთა II მატანიეში”: ახლავ რუნგეიანის მოსახსენებელში ჩამოთვლილნი არიან მისი ოჯახის წევრებიც: იმახათ გელუაფხე, სოზარ, ახლაფ, იელდარ, ბათირ, კურშუგ, ურუსკან, თათარაუ, მანანურ. შემდეგ კი ჩამოთვლილნი არიან მსახურეული პირები: მეთოფე დადაუ, მეთოფე მირზა, მელქიფხე გუტუ ცაღანი და სხვა (ჯასუიანი 1972: 115). საყურადღებოა, რომ გადმოცემისეული მოღალატე, ცაღანი მართლაც რეალურად არსებულა, ვინაიდან იხსენიება წერილობით წყაროშიც. ეს მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართულ ეთნოლოგიაში გამოთქმულ დაკვირვებას, რომ სწორედ გადმოცემების საშუალებით შეიძლება აეხადოს ფარდა ისტორიის არაერთ საკითხს (თოფჩიშვილი 1998: 143).

რ. ხარაძისა და აღ. რობაქიძის მასალით, დაღეშქელიანების სვანეთში გაბატონებაზე, ეცერის ვარგები რინკიანები/რუნგეიანები იყვნენ. რინგეიანები ლადრურში ცხოვრობდნენ. მათი უკანასკნელი წარმომადგენელი – სორთმანი ვიცებისა და მაცების მოუკლავთ. ამის შემდეგ რუნგეიანების მიწას დაღეშქელიანები დაპატრონებიან და იქ პაკელიანები დაუსახლებიათ. რუნგეიანების ძველი ნასახლავეი ახლაცაა შემორჩენილი. შემდეგში დაღეშქელიანებს რინგეიანების ნამოსახლარზე იმიტომ დაუსახლებით სხვადასხვა გვარის ხალხი (პაკელიანები, აფრასიძეები, სტეფლიანები), რომ შემნიებიათ ერთი რომელიმე გვარის გამდიერებისა (ხარაძე, რობაქიძე 1964: 107-108).

დაღეშქელიანებმა თანდათანობით ამოუწვევტიათ ეცერში, ფარში, ცხუმარსა და ბენოში მცხოვრები რუნგეიანები.

მ. ქაღდანის მასალით, რუნგეიანები (რინგან) მეტად ძლიერი ბატონები ყოფილან. მთელი ცხუმარის თემი მათი საბატონო ყოფილა. რინგეიანთა კოშკები და სახლები მდგარა ლეზგარაში, მაგარდელში და ჩაგაშში. რინგანების სხვა ნათესავეები (“მერმე ნათი”) განსახლებულნი ყოფილან ბენოსა და ფარში. ამ დროს ეცერ-ცხუმარის მებატონეობას ერთმანეთს ეცილებოდნენ რინგანები და დანქელანები. რინგანების უფროს კაცს გუგნა ერქვა. მის ცოდს – იმახათი. გუგნა გამორჩეულად ახოვანი და ძლიერი კაცი ყოფილა. მას დანქელანთაგან მოსალოდნელი თავდასხმის შიშით დიდი ზარბაზანი შეუქენია (ჩამოტანია “უსურმანიდან”). ზარბაზანიდან გატყორცნილი ყუმბარა ცხუმარის თვით ყველაზე შორს მდგომი კოშკების სათოფურებამდე აღწევდა, რის გამოც ოთარ დანქელანი თავდასხმას ვერ ბედავდა. თანაც გუგნას სამ კოშკში 60-60 მეციხოვნე ჰყოლია განლაგებული. ამიტომ ოთარს მოუსყიდავს ერთი ზაგარელი კაცი, რომელსაც თანდათანობით გუგნა დაურწმუნებია, რომ 120 მეციხოვნის შენახვა დიდ ხარჯთან იყო დაკავშირებული და საჭირო იყო ზარბაზნის ისე გადაკე-

<sup>3</sup> “ხართ შეხვეწისა” და “ეკლესიის შეუვალობის” ძველი ქართული წესის შესახებ იხ. გუჯჯუიანი 2006: 74-80; გუჯჯუიანი 2007: 191-198.



თუბა, რომ მისი გამოყენება მხოლოდ რამდენიმე კაცის მეშვეობით ყოფილიყო შესაძლებელი. გუგნას დუთხოვია გუშაგები, მოუყვანია ხელოსნები ბეჩოდან. ხელოსნებს ზარბაზანი კი დაუშლიათ, მაგრამ ვეღარ გადაუკეთებიათ და ზარბაზანი მწყობრიდან გამოსულა. მოღალატეს ამის შესახებ სწრაფად უცნობებია დადუშქელიანებისთვის, მათაც არ დააყოვნებიათ და ცხუმბრელ რიგვიანებს თავს დასხმიან. რიგვიანები ამოუწყვეტით და მათ სამფლობელოებსა და ციხე-სასახლეებსაც თვითონ დაპატრონებიან (სვანური პროზაული 1957: 81-82).

ცხუმარის თემში რუხევიანებს ერთ-ერთი სასახლე მაგარდელშიც ჰქონიათ. რიგვიანთა ამ შტოს "სორთმან"-ის სახელი რქმევია ("სორთმანშერ"). ოჯახის უფროსი აზნავიერი ყოფილა, მას სამი ვაჟი ჰყოლია: აყმურზა, ისლამი და ციოყი. ისინი მეტად მკაცრი მებატონენი ყოფილან და სოფელს მათი უღელი დიდად უმძიმდა. ცხუმბრელ მილდიანებსა და რიგვიანებს შორის მტრობა ჩამოვარდნილა. მილდიანები ეცვრის დადუშქელიანებთან მისულან და ამ მტრობის შესახებ მოუყოლიათ. დადუშქელიანებს მილდიანებისთვის დიდალი ტყვია-წამალი გამოუტანებიათ. რამდენიმე ხნის შემდეგ მილდიანებს სამივე რიგვიანი (აყმურზა, ისლამი და ციოყი) მოუკლავთ, რის შემდეგაც რიგვიანები ცხუმბრიდან აყრილან და ბეჩოს თემის სოფელ ნაშთქოლში გადასახლებულან, მაგრამ იქაც მკვლელობა მოსვლიათ, საბოლოოდ კი ამომწყვდარან (სვანური 1978: 184-185).

შემონახულია დადუშქელიანთაგან ფარის რუხევიანების ამოწყვეტის ისტორიაც: ფარელი რიგვიანების შტოს "ყირიმი"-ს სახელი რქმევია. მათი სასახლე სოფელ ლამხერში მდგარა. ოჯახში რვა მამაკაცი ჰყოლიათ და დიდალი მიწა-წყლის მფლობელებიც ყოფილან. ესენი კონკრეტულად ციოყ დადუშქელიანს ამოუხოცავს მეტად მუხანათური ხერხით და თან ხატზე დადებული ფიციც გაუტეხავს. ცოცხლად მხოლოდ ერთი რუხევიანი (როსტომი) გადარჩენილა, იგი უსგვირელებს გაუხიზნავთ ღუნხუშში. შემდეგ როსტომი ოპიტარაში დასახლებულა და გამრავლებულა (დავითიანი 1955: 92-94).

წერილობითი წყაროებითა და ეთნოგრაფიული მასალის ურთიერთშეჯერებით შესაძლებელია რუხევიანთა სულიერი და სოციალური ყოფის ზოგიერთი დეტალის აღდგენა.

რუხევიანებს დოკუმენტებში წინ უძღვით ტერმინი "დიდებულსა": "დიდებულს ბაძუს რუჩავიანს", "ანას დიდებულს რუჩავიანს" და ა. შ. (სილოგავა 1986: 296).

წერილობითი მონაცემებით დასტურდება ეთნოგრაფიული მასალა, რომ რუხევიანები და დადუშქელიანები მხოლოდ ვარგებზე – დაწინაურებულ საგვარეულოთა წარმომადგენლებზე ქორწინდებოდნენ: დოკუმენტებიდან ჩანს, რომ რუხევიანთა ასულები გათხოვილები არიან დადუშქელიანებზე: ციოყ დადუშქელიანის მოსახსენებელში იხსენიება დადუშქელიანთა რძალი მარინაი რუჩავიანი (გახვიანი 1972: 118); ასევე, მარიხა/მარიხაი რუჩავიანი (სილოგავა 1986: 278, 286), ასევე, ისლამ დადუშქელიანის მეუღლე მარიხაინ რუჩავიანი (სილოგავა 1986: 281); ასევე, თათარყან დადუშქელიანის მეუღლე ბურდუფან რუჩავიფხე (სილოგავა 1986: 284); ბაბიანებზე: "ბატონსა დიდებულსა აზნაურს – დიდებულსა მეუღლესა მისსა თავს რუჩავიანისა" (სილოგავა 1986: 272); ჩარკვიანებზე: "ბატონს მირზას ჩარკვიანს, მის მეუღლეს გუნდის, დიდებულ რუჩავიანს" (სილოგავა 1986: 303). ან ქორწინდებოდნენ გვლოვანებზე: "იმახათ გვლუაფხე", მეუღლე სოსა რუჩავიანისა (სილოგავა 1986: 297) და სხვა.

გვარსახელთა ერთმა ნაწილმა სვანეთში შემოგვიანხა ქართული ანთროპონიმული მოდელის საინტერესო თავისებურება, რომელიც გამოვლენილია რ. თოფჩიშვი-

ლის მიერ: “ფორმანტების მიხედვით ქართველებიც მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან კაცისა და ქალის გვარებს. ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა მეტყველებისა და ეთნოგრაფიული ყოფისათვის. მხედველობაში გვაქვს (-ფხე) სუფიქსი, რომლითაც... ქართული გვარსახელებისათვის დამახასიათებელ სუფიქსებს (-ძე, -ელ, -ია, -ან) ცვლიდნენ, როდესაც მდებრობითი სქესის წარმომადგენელს ახსენებდნენ ან მიმართავდნენ” (თოფჩიშვილი 2008: 177). ამავე დროს, რ. თოფჩიშვილმა გამოიკვლია, რომ სვანეთში -ფხე ფორმანტი არა მხოლოდ გვარსახელებს აწარმოებდა, არამედ ქალის სახელებსაც (თოფჩიშვილი 2008: 179). ეს დაკვირვება დადასტურდება რინჯვიანთა შესახებ არსებული დოკუმენტებითაც: თათარიან დაღეშქელიანის მეუღლე ბურდუფხან რუჩევიფხე; იმახათ გელუფხე, მეუღლე სოსა რუჩევიანისა და სხვა (თოფჩიშვილი 2008). აქვე მოჩანს სხვა თავისებურებაც: რუჩაგიანთა შორის მეორდება გვარის ფუძე “რუჩაგ”, “რუჩეგ” სახელადაც (სილოგავა 1986: 296). ეს მომენტი დამახასიათებელია ქართული საგვარეულოებისათვის, მაგალითად, გუჯაჯიანებში ძველად ხშირად მეორდებოდა ორი სახელი: “მახუჯუგ” და “გუჯაჯიან”. მახუჯუგ-ი/მახუჯუგიანი, გადმოცემით, მათი გვარის ძველი ფორმა ყოფილა, ვიდრე ამ საგვარეულოს დაღეშქელიანები ეცერიდან განდევნიდნენ დღევანდელი ბაღყართის ისტორიულ ქართულ ტერიტორიაზე (XVII ს.), საიდანაც ისინი მოგვიანებით (XVIII ს.) ისევ დაბრუნებულან ეცერში, უკვე გუჯაჯიანის გვარსახელით. ასევე, სახელი “ხერგიან” მეორდება ხერგიანთა გვარში და ა. შ.

წერილობით წყაროებში მოჩანს ქართული ფეოდალური საზოგადოების კიდევ ერთი თავისებურება: დიდგვაროვანი თავიანთ შვილებს გასაზრდელად ნაკლებ დაწინაურებული სოციალური ფენის წარმომადგენლებს აძლევდნენ. დოკუმენტში იხსენიება ბაძუ რუჩაგიანის გამზრდელი: “სულისა მისისათვის სულთიად სუანეთისა ხუცეცნი შეგიყარა. ბაძუ რუჩაგიანისა, მის გამზრდელსა ოდიშარს” (სილოგავა 1986: 296).

რინჯვიანების სულიერი სამყაროს დასახასიათებლად საყურადღებო მასალას ვვაწვდის მათგან ეკლესიისთვის გადაებული დიდძალი შეწირულობები, აგრეთვე, ერთ-ერთი რინჯვიანის დახასიათების შემდეგი კონტექსტი: “კაკუნას, ღმრთის მოშიშ კაცს საყურადღესა” (სილოგავა 1986: 296).

წერილობითი წყაროები ვვაწვდის მნიშვნელოვან მასალას რინჯვიანთა სოციალური ყოფის შესახებაც. მათ ჰყოლიათ მსახურეული ფენა: “მის მეთოფეს დადაუს”, “მის მეთოფეს მირხას”, “მის მეღვიფხე გუტუს ცვლანისა” (სილოგავა 1986: 297) და ა. შ.

ამრიგად, ჩვეიანთა და რუჩევიანთა ქართული საგვარეულოს შესახებ არსებული წერილობითი წყაროებით და ეთნოგრაფიული მასალით ვლინდება მათი ადრეული შუასაუკუნეებიდანვე სვანეთში ცხოვრება და მოღვაწეობა.

IX–XII საუკუნის ძეგლებით ვლინდება ჩვეიანთა საგვარეულოს არსებობა სვანეთში და მათი მძლავრ ფეოდალურ წოდებასთან მიკუთვნებულობა. XIV საუკუნიდან წერილობითი ძეგლებით დასტურდება ამ საგვარეულოს არსებობა რუჩევიანის ფორმითაც. მათ ძირითად საცხოვრისად XIV–XVIII საუკუნეებში ზემო სვანეთის ბალსქეჟო ნაწილი მოჩანს. ფრამენტული ცნობებით, რუჩევიანთა საგვარეულო სოციალურად დაწინაურებულ ფენად ითვლებოდა და ეს დაფიქსირებულია წერილობით წყაროებშიც, გამოხატულია მატერიალური კულტურის ძეგლებითაც (ნამოსახლარები, ნასახსახლეუბები...) და ეთნოგრაფიული მასალითაც. ტრადიციულ ყოფაში რუჩევიანებს “ვარგ”ებს უწოდებდნენ. სოციალური იერარქიის გამოხატველი ეს ტერმინი სვანეთში შემონახული ძველი ქართული სახელწოდებაა და იგი სოციალური სტატუსის – წარჩინებული, დაწინაურებული ფენის, სავარაუდოდ, სამეფო აზნაურის სტა-



ტუსის ადმინისტრაცია. რიზგვიანები, ეთნოგრაფიული მასალით, ზემო სვანეთის ბაღ-სქვემო ნაწილში რამდენიმე რეზიდენციას, ციხე-კოშკს, დიდძალ სახნავ-ხათეს მიწებს და ტყეებს ფლობდნენ. ისინი ცხოვრობდნენ ეცერში (ისკარი, ლადრერი), ბენოში (ნაშ-თქოლი), ცხუმარსა (მაგარდელი, ლეზგარა) და ჩუბეხევში (ლაშხერი). საგვარეულო იხსენიება შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში (XII-XIII საუკუნეების ძველი "მატიანე სვანეთისა კრებისაჲ", ე. წ. ჯაფარიძეთა "ხასისხლო სიგელი" (1503 წ.), "სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატინე" (XVII-XVIII სს.) და ა. შ) რამდენიმე ფორმით: რუნგვიანი, რუნგვიანი, რონგვიანი. ეთნოგრაფიული მასალით და ქართული ენის სვანური დიალექტით, გვარის სათემო სახელი ძირითადად გამოსთქმის, როგორც "რინგვიანი". მრავალფეროვანია რუნგვიანებთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალა: საგვარეულო ისტორიები, ხალხური სიმღერები, რიზგვიანებისა და დადუშქელიანების ბრძოლის ამსახველი გადმოცემები და სხვა. საისტორიო დოკუმენტებისა და ეთნოგრაფიული მასალის შეჯერების შედეგად შესაძლებელი გახდა გადმოცემებში მოხსენიებული ზოგიერთი რიზგვიანის იდენტიფიკაცია "მატიანისეულ" რუნგვიანებთან. აღწერილია დადუშქელიანთაგან რიზგვიანების ეტაპობრივი შევიწროებისა და საბოლოო დამარცხების ისტორია. გამოვლინდა რიზგვიანთა ფეოდალური სახლის სოციალური და სულიერი ყოფის ზოგიერთი ასპექტი.

დღეისათვის ჩვენთან/რუნგვიანთა საგვარეულო არსებობას აგრძელებს "ჩვენანის" ფორმით.

**დამოწმებული ლიტერატურა:**

1. გაბლიანი 1927 - ე. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927.
2. გაბლიანი 1925 - ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925.
3. გასვიანი 1972 - გ. გასვიანი, სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატინე, - მაცნე ისტორიის... სერია, №2, თბ., 1972.
4. გუჯუჯანი 2007 - რ. გუჯუჯანი ეკლესიის "შეუკვალობის" წესი საქართველოს ტრადიციულ ყოფაში, - კრ., მარიამ ღორთქიფანიძე 85. თბ., 2007.
5. გუჯუჯანი 2006 - რ. გუჯუჯანი, ჩვეულებითი სამართლის ისტორიიდან (ხართ შეხვეწნის წესი), - ქართველური მემკვიდრეობა, X, ქუთაისი, 2006.
6. დავითიანი 1955 - ა. დავითიანი, სვანეთის საისტორიო აშუები, 94. 1955. არქივი ინახება ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.
7. თოფჩიშვილი 1998 - რ. თოფჩიშვილი, ზეპირი საისტორიო წყაროები, კლიო, №3, თბ., 1998.
8. თოფჩიშვილი 2008 - რ. თოფჩიშვილი, -ფხე (-ხე) სუფიქსის უცნობი ფუნქციის შესახებ ქართულ ანთროპონიმიაში, - კრ., სვანეთი ქართული კულტურის სავანე, თბ., 2008.
9. ინგოროყვა 1941 - პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ., II, თბ., 1941.
10. მარგანი 1981 - ხ. მარგანი, სვანური საბუთების შესწავლის საკითხისათვის, - მრავალთავე, IX, თბ., 1981.





11. მინდაძე 2008 – ნ. მინდაძე, წმინდა ბარბარე სვანეთის ტრადიციულ კულტურას შიშ  
– კრ., სვანეთი ქართული კულტურის სავანე, თბ., 2008.
12. ნიჟარაძე 1964 – ბ. ნიჟარაძე, იაღბუხის გარშემო (დღიურიდან), ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964.
13. სვანური 1978 – სვანური ენის ქრესტომათია, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 21, თბ., 1978.
14. სვანური პოეზია 1939 – სვანური პოეზია, I, თბ., 1939.
15. სვანური პროზაული 1957 – სვანური პროზაული ტექსტები, II, ბალსკვემოური კილო, თბ., 1957.
16. სილოგავა 1986 – ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1986.
17. სილოგავა 1988 – ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, თბ., 1988.
18. ქაღდანი 1978 – ა. ქაღდანი, კოშკების სამყაროში, თბ., 1978.
19. ხარაძე, რობაქიძე 1964 – რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964.
20. ჯავახიშვილი 1928 – ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაწ. I, თბ., 1928.
21. ჯანაშია 1959 – ს. ჯანაშია, შრომები, III, თბ., 1959.

სვანები: სანცოზრისი, ღელანა, ღილაქტაბი

სვანთა დამოწმება ისტორიულ წყაროებში.

ერთ-ერთი უძველესი ქართველური თემის<sup>1</sup> - სვანების - ძირითადი საცხოვრისი - სვანეთი - მდებარეობს დასავლეთ საქართველოში კავკასიონის კალთებზე; კერძოდ, ზემო სვანეთი (მესტიის რაიონი) - მდინარე ენგურის ზემოწელში, ქვემო სვანეთი (ლენტეხის რაიონი) - ცხენისწყლის ზემო წელში, დაღის სვანეთი (ზემო აფხაზეთი, გულრიფშის რაიონის ნაწილი) - კოდორის ხეობის ზემო წელში. ეკომიგრანტ სვანთა ნაწილი კომპაქტურად ცხოვრობს იმერეთისა და ქართლის სხვადასხვა სოფელში. სვანეთს სამხრეთით და დასავლეთით ესაზღვრება ღეჩხუმი, სამეგრელო და ქვემო აფხაზეთი (ისტორიული ეგრისი), აღმოსავლეთით - რაჭა, ჩრდილოეთით კი - ზაღესართი და ყარაჩაი-ჩერქეზეთი. თურგის, ბახსანისა და ყუბანის სათავეებში დღემდე მრავლად შემორჩენილი ტოპონიმები და სვანური ტიპის სხვადასხვა შენობა-ნაგებობანი ცხადყოფს, რომ სვანები კომპაქტურად განსახლებულნი ყოფილან ჩრდილო კავკასიაშიც (ქართული და უცხოური წყაროების მიმოხილვისათვის იხ., რთოფნიშვილი, 2002, გვ. 78).

სვანები პირველად სტრაბონთან (I ს.) ჩანან (ხოანას); მაშინაც ისინი კავკასიის მთებში ცხოვრობდნენ; ისტორიულ წყაროებშიც არის ცნობები, რომ თავდაპირველად სვანები განსახლებულნი იყვნენ აგრეთვე კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზეც - თურგსა და ყუბანს შორის არსებულ ტერიტორიაზე; მაგ., მენანდრე პროტექტორი (VI ს.), რომელიც, აღწერს რა ბიზანტიისა და სპარსეთის დავას სვანეთის გამო, ვრცლად იძლევა სვანთა დახასიათებას (გეორგიკა, 1936, გვ.231); მისი ცნობით, სვანები კავკასიის მთების გარშემო ცხოვრობენ; შდრ., აგრეთვე, პრისკე პანიონელი (V ს.): "დიდი უთანხმოება აქონდათ სვანთა ტომთან რომაელებს; სვანებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს სემატის (დაზთა სარდლის?) წინააღმდეგ" (გეორგიკა, 1961, გვ. 261); სვანთა საცხოვრისის ძველი საზღვრების შესახებ იხ., აგრეთვე, თ. მიბნუანი, 1993; ზ. რატიანი, 1995, გვ. 57-61).

სარწმუნოა, რომ სვანებს ადრიდანვე კავკასიონის სტრატეგიული გადასასვლელუბი ეჭირათ; დიდი იმპერიები სწორედ ამიტომ ცდილობდნენ საქართველოს მთიანეთის ამ ნაწილის გაკონტროლებას; მაგ., ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დიდხანს გრძელდებოდა დამპირისპირება სვანეთის დანარჩუნების გამო (იხ. გეორგიკა, 1936, გვ. 213-233). სვანები, როგორც საქართველოს სახელმწიფოს უპირველესი მცველები, საქართველოს მოსახლეობას ჩრდილოეთიდან იცავდნენ ბარბაროსებისგან; შეგვიძლია

<sup>1</sup> თემი - ერის ერთი ნაწილი, ერთი ენისის შიგნით არსებული ლოკალური ჯგუფები (შდრ.: ენისი - თემი - პიროვნება ისე მიემართება ერთმანეთს, როგორც ენა - კალი - ილიო-ლექტი); მაგ., ეთნოლოგიური თუ ლინგვისტური ასპექტით, ქართველი ერის ცალკეული თემები: აჭარლები, გურულები, ჩადმათუშები, წოვათუშები, იმერლები, ინგილოები, მგურელები, ღაზები, მთიულეები, იმერხველები, მაჭახლები, სამცხელები, შავშელები, დღვანელები, ტაოლები, მოხველები, სვანები, ფერულდნელები, ჯავახები, ხვესურები, ქართლელები, ფშაველები, კახელები, რაჭველები, ღეჩხუმელები... საბასთან თემი განმარტებულია, როგორც "ქვეყნის ერთი ნაწილი", დამუხინაშვილიან - როგორც "ხალხი ერთი თემისა" ("народ одной области"); ჩუქურთის საინტერესო მნიშვნელობით დამოწმებულია ქართული ერის განმარტებით ლექსიკონშიც: "ამ თემში გურიის თემი შეიყრის თავს ჩვენს სოფელში" (გნანოშვილი). საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების მოსახლეობის აღხანიშნავად თემს იყენებენ მიხაკო წერეთელი, ივანე ჯავახიშვილი და ნიკო ბერძენიშვილი...

ვთქვით, რომ ჩრდილოეთის ტრამალების ურდოებისგან საქართველოს დასაცავად სუბითი როლი ენიჭებოდა /ენიჭებოდა/ კავკასიონის ჩაკეტვას; ბერძნულ-ბიზანტიური, ზოგადად, ცივილიზებული სამყაროსთვის კავკასიონი მიიჩნეოდა ცივილიზაციის მიჯნად /პლინიუს უფროსი/; შესაბამისად, ოდითგანვე სვანები არამხოლოდ საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს, არამედ ივილიზებული სამყაროს საზღვარს იცავდნენ...

ივ. ჯავახიშვილი თავისებურად განმარტავს რა პლინიუსის ცნობას ("მდინარე ხობი კავკასიის მთებიდან ჩამომდინარეობს და სვანეთის მიწაზე დის"), დაასკვნის: სვანები დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზეც ცხოვრობდნენ; მისი აზრით, ამასვე ამტკიცებს გეორგრაფიულ სახელგებზე დაკვირვებაც, მაგ., ლენხუმი, ლეპანიღე და სხვა; შემდეგ სვანების მიწები კოლხებს ანუ მეგრელებს დაუკავებიათ (ივ.ჯავახიშვილი, 1908, გვ. 46-47). მსჯელობა ვერდნობა ამიერკავკასიაში ქართველთა ტალღოვნად მოსვლის მოსაზრებას (ივ. ჯავახიშვილი, 1908, გვ. 28, 50-55) და ეხმიანება დაუსაბუთებელ ე.წ. "ქართიზაციის" თეორიას. დღეს გაცილებით მეტი არგუმენტები ეძებნება კავკასიაში ქართველთა ავტოქთონობას; ნათლადაა გარკვეული ე.წ. "ქართიზაციის" უსაფუძვლობაც (საკითხის ისტორიისა და მსჯელობისათვის იხ., ა. ჯავახიძე, 1996; ა. ჯავახიძე, 2003; ტ. ფუტყარაძე, 2005), შესაბამისად, უფრო კრიტიკულადაა განსახილველი პლინიუსის ცნობაც და ე.წ. ქართველთა მიგრაციის ტალღოვანი თეორიაც. ადვინაშავთ იმასაც, რომ ღუ-პრეფიქსი არამხოლოდ სვანური, არამედ საერთოქართველური მონაცემი ჩანს.

ჩვენი აზრით, პლინიუსის ცნობის სხვაგვარი განმარტებაც შეიძლება:

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის წყაროებში, არაიშვიათად, ერთმანეთს ფარავს ტერმინები: სუანი, სანი, სუანოკოლხი, ეგერსვანი... ჩანს, სტრაბონისა და პლინიუსის დროს ტერმინი სვანი იმ რამდენიმე ქართველური ტომის (ეგრისის ნაწილის, დეკლეთის, სკვიშიის, საკუთრივ სვანეთის მოსახლეობის...) გამაერთიანებელი კრებითი სახელია, რომელთაც რომაელები ვერ აკონტროლებდნენ (შდრ., ამ დროს რომაელთა გავლენის ქართველურ ველს დაზიკა პქვია). დაუმორჩილებელ ქართველურ ტომთა სახელად სვანების სახელის განზოგადება ადბათ განაპირობა სვანების სიძლიერემ და მათ მიერ კავკასიის სტრატეგიული უღელტეხილების ფლობამ (კავკასიონის ისტორიული როლის შესახებ ვრცლად იხ., გ. ქავთარაძე, 1997; გ. ქავთარაძე, 2006).

**სვანები სხვა წყაროებშიც ჩანან:**

პროკოპი კესარიელი (VI ს): "მარტო ეს ღაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სემინიაცა (ცხუმების მხარე – ლენხუმი/თაქვერი – ტ.ფ.) და სვანიაც და, ამრიგად, მოხირისიდან იბერიამდე მთელი მიწა-წყალი გამოეცალათ ხელიდან რომაელებსა და ღაზთა მეფეს" (გეორგიკა, 1965, გვ. 202).

**სვანები – იბერიული ტომი და ოქროს საწმისი.**

სტრაბონის მიხედვით, სვანები გამოირჩეოდნენ სიმამაცით და დიდი ფიზიკური ძალით. სტრაბონის ცნობითვე, სვანებს ჰყავთ ბასილევსი და 300 მამაკაცისგან შემდგარი საბჭო; საჭიროების ჟამს გამოიყვანენ 200000-კაციანი ღაშქარი. სტრაბონის ცნობათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ოქროს საწმისის მითის დაკავშირება სვანების საცხოვრისში არსებულ მდინარეებთან; კერძოდ, სტრაბონი იმოწმებს შემდეგი სახის ძველ ცნობას (მოგვყავს ინგლისურ და რუსულ თარგმანებთან შეჯერებული ტექსტი):

"ოქროს საბადოების გამო, რომლისგანაც წარმოიშვა მითი ოქროს საწმისის შე-



სახებ, დასავლეთის იბერების ანალოგიით, სვანებს ზოგი აღმოსავლეთის იბერებსაც უწოდებს, რამდენადაც ოქროს საბადოები არის ორივე იბერიაში” (რუსული თარგმანისათვის იხ., სტრაბონი, 1964, გვ. 473, XI, II, 14-19).

ტერმინები: კავკასიის იბერია და აღმოსავლეთის იბერები პირველად ჩნდება ძვ.წ. IV-II საუკუნეების ავტორებთან: მეგასთენესთან, თეოფრასტოსთან, დიონისე პერიეგეტთან... მაგ., პლუტარქეს ცნობით, კავკასიის მთავარი ერები აღბანელები და იბერები არიან: იბერები ბინადრობენ დასავლეთით მესხეთის (ეფფრატ-ტოროს-მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ) მთებთან და პონტოს ზღვასთან, აღბანელები კი - აღმოსავლეთით, კასპიის ზღვასთან. შდრ., აგრეთვე: ვატიკანში დაცული "საეკლესიო ანალები" მიხედვით, კოლხეთი ზემო იბერიაა:

"იბერიის იმ ნაწილმა, რომელიც პონტოს ზღვასთან მდებარეობს და კოლხიდად იწოდება, სახარება ჯერ კიდევ იმპერატორ ტრაიანეს (98-117) დროს მქადაგებელი პაპი წმ. კლემენტის (პაპობის წლები - 88-97) შემწეობით მიიღო... რაც შეეხება ქვემო იბერებს, რომლებიც კავკასიის მთებთან, კასპიის ზღვის ახლოს ცხოვრობენ, თვლიან, რომ მათ ქრისტიანობა იმპერატორ კონსტანტინეს დროს მიიღეს" (ი.ტაბაღუა, 1984, გვ. 171)...

სხვა წყაროთა მიხედვითაც ჩანს, რომ უცხოური წყაროების კოლხი და იბერი სხვადასხვა პერიოდში მთელ ქართველურ მოდგმას მიეპარებოდა (დროის გარკვეულ მონაკვეთებში უცხოური ქორინიშები: კოლხა და იბერია სრულიად ქართლის სინონიმებია); შესაბამისად, ოქროს საწმისისა და კოლხიდას შესახებ არსებული ბერძნული ტრადიციების გათვალისწინებით უნდა დავასკვნათ: სტრაბონისდროინდელი ღაზების, სვანებისა და სხვა ქართველური თემების საერთო წინაპრების - კოლხების - ქვეყანაში, ანუ აღმოსავლეთ იბერიაში - შავი ზღვისპირა იბერიაში, ანუ ქართული წყაროების ძველ ქართლში (სადაც ოდიტგანვე შედიოდა ვერის-აფხაზეთიც, სვანეთიც, მესხეთიც და დღევანდელი ქართლ-კახეთის პროვინციაც), მოიპოვებოდა ოქრო, რამაც საფუძველი დაუდო მიტს ოქროს საწმისის შესახებ. ასევე, რამდენადაც ძვ.წ. დასასრულს ბერძნულ სამყაროში მითური აია-კოლხეთის ცენტრად ქუთაისი იყო წარმოდგენილი, ლოგიკურია, რომ I საუკუნეში სწორედ ამ ქალაქს დაუკავშირდა ოქროს საწმისისა და ფაზისის თემა. ფაზისი კი სათავეს იღებს კოლხეთში/აიაში - იბერიული ტომის - სვანების საცხოვრისში.

**სვან- ფუძის ისტორიის საკითხი.**

სამეცნიერო ლიტერატურაში ნათლადაა გარკვეული სვან- ფუძისგან წარმოქმნილი ვარიანტების ფონეტიკური საფუძვლები:

საერთოქართველური სვან- → ზანურ-სვანური შუან (→ თეთისახელწოდება: მუ-შუან-) → ზან. შონი; საერთოქართვ. სვან- → აფხაზ. ა-შ ან-უა...

უფიქრობთ, თემონიმი სვანი მომდინარეობს \*სან- ფუძის დაბიალიზებული \*სუან- ვარიანტისგან, რომელიც, ჩანს, საერთოქართველურშივე არსებობდა; სწორედ ამ დაბიალიზებული ბგერის მეზობლობას უნდა შეეწყო ხელი \*შან-/შვან- > შონ- პროცესისთვის.

ვერაუდლობთ: სუან-, ზან- და ჭან- ფუძეებისთვის ამოსავალი უნდა იყოს სან-.

შდრ.: ერთი მხრივ, წინაენისმიერ ერუ თანხმოვანთა მონაცვლეობით წარმოქმნილი ვარიანტები: სან-, ზან-, ჭან-, \*წან- (წან-არ-?); მეორე მხრივ, კი: ს-ს დაბიალიზაციით (თუ დაბიალიზებული ს-სგან?) მიღებული სან- > სვან-/შონ-(მუ)შუან- და

შონ- ფუძეები.

შენიშვნა: ჩვენი აზრით, საერთოქართველური ა ხმოვანი ინტერკონსონანტურ პოზიციაში ზანურში იმ შემთხვევაში გვაძლევს ო რეფლექსს, როდესაც წინამავალი თანხმოვანი ლაბიალურია ან ლაბიალიზებულია (ლაბიალუარზებულია): წინაენისმიერი ან უკანაენისმიერი თანხმოვნების ლაბიალუარზებული ალოფონები წარმოადგენენ ბაზას ზანურის ა > ო პროცესისთვის; შდრ.: ქართვ. კაცი > ზან. კოჩი, მებრამ: ქართვ. ლავიწი > ზან. ლაბურჯი/ლაბერწი; ქართვ. საღავე "ავშარა" > ზან. სადიო; ქართვ. გაცნობა > ზან. გაჩინეფა; ქართვ. ადარუბინებს > ზან. ოღარებაფუანს; ქართვ. ამზადებს > ზან. ზადუნს; ქართვ. ზადი > ზან. ზანდი "ჩირქი"; ქართვ. კაკალამი > ზან. კაკლიანი; ქართვ. კაკანი > ზან. კაკაფი; ქართვ. კავი/კაკვი > ზან. კაკვი; ქართვ. კალთ > ზან. კალუ; ქართვ. კანი > ზან. კანი; ქართვ. კარი > ზან. კარუ; ქართვ. კალთა > ზან. კართუ და მრავალი სხვა. ამგვარი სიტყვები ზანური ლექსიკური მარაგის უდიდეს ნაწილს შეადგენს, ამდენად, ულოგიკო იქნება, ისინი ქართული სალიტერატურო ენიდან "ნასესხობად" ჩაითვალოს; ამ რიგის ფორმები საერთოქართველურიდანაა მომდინარე (ამ საკითხის შესახებ ვრცლად სხვაგან გვაქვს მსჯელობა).

სუნ- ფუძე სხვა შემთხვევებშიც დასტურდება:

თემონიმი სოუანოკოლხოი დასტურდება კლავდიოს პტოლემეისთან (100-178): სუანოკოლხები ცხოვრობენ ჰენიოხებსა და მდინარე კორაქსს (ბზიფს) შორის; დაახლოებით ამ ადგილებში არიან და სხვა ავტორები სანიგებს ასახელებენ (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.160-162). რამდენადაც პტოლემეისი სუანოკოლხებს კოლხეთს გარეთ ათავსებს, გაჭირდება იმ აზრის გაზიარება, რომ ისინი ის სვანები არიან, რომლებიც კოლხეთში ცხოვრობენ (შდრ., თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.161).

პტოლემეისის სახელმძღვანელო ძირითადად მიჰყვება ფსევდო-სკილაქსს, არიანესა და პლინიუსს (თ.ყაუხჩიშვილი, 1976, გვ.164); ბუნებრივია, ის იცნობს სტრაბონსაც; გამოიმდინარე აქედან, უნდა დავეუშვათ, რომ იგი ეთნონიმ სანიგებს გააზრებულად ცვლის სუანოკოლხებით, რომლითაც, ჩანს, იგი აღნიშნავს ძველი კოლხების მემკვიდრე ერთ-ერთ ტომს; ამგვარი ხაზგასმა იმიტომ გახდა საჭირო, რომ, პტოლემეისის მიხედვით, სუანოკოლხები ცხოვრობენ მისეული კოლხეთის გარეთ – სარმატიასში. საყურადღებოა ისიც, რომ ჰეკატაიოს მილეტელი (ძვ.წ. 549-472) დღევანდელი მდინარე ბზიფის რაიონში ასახელებს კოლხურ ტომს – კორაქსებს (შდრ., მისი აზრით, კოლხები ბზიფის აუზსა და დიოსკურიას შორის არიან). სუანო-კოლხებს სვანებისა და მეგრელების შერევით წარმოქმნილ ტომად მიიხსენებს იე-ჯავახიშვილი (1960, გვ.429).

3. ინგოროყვას აზრით, სვანო-კოლხების აღმნიშვნელი უნდა იყოს საკუთრივ ქართული წარმომავლობის ტერმინი ვგურ-სვანი, რომელიც გვხვდება სომეხ ისტორიკოს ფავსტოს ბიზანტიელთან (პინგოროყვა, 1954, გვ.145).

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კომპოზიტები უნდა ასახავდეს ზანურ-სვანურის დიალექტური ერთობის პერიოდს – ძვ.წ. დასასრულს (როცა აღმოსავლეთელი ქართველისტების და მათი უცხოტომელი მუხობლებისათვის დასავლეთელი ქართველობა ერთიან ქართულ თემად გაიზარებოდა (საგანგებოდ აღუნიშნავთ: ქართველურ ენობრივ ერთეულთა დაშლის დევეტერსის სკემასთან შედარებით გაცილებით არგუმენტირებულია არნაიქიბაზას მოსაზრება; დაწვრილებით იხ., მ.ქურდიანი, 1996; ტ.ფუტყარაძე, 2005, გვ. 270-308).

აქვე განსახილველია მუშუან- და მისიმიან- ფორმათა მიმართებაც:

აგათია სქოლასტიკოსი (VI ს.) ვრცლად მსჯელობს მისიმიელთა შესახებ; მისი ცნობით, ეს ხალხი კოლხთა/ლაზთა მეფის ქვეშევრდომია, მსგავსად აფსილეებისა, ოღონდ განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს (ე.ი. გამოდის, რომ აგათიას ცნობით, აფსილეები ლაზებისგან განსხვავებულ ენაზე არ ლაპარაკობდნენ). აგათიასვე ცნობით, მისიმიელები აფსილთა ტომზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობენ, ოღონდ აღმოსავლეთით; აგათიას მისიმიელები მიაჩნია კოლხთა და აფსილთა ნათესავად; ს. ყაუხჩიშვილის ლოგიკური ვარაუდით, მისიმიელები/მისიმიანები სვანური ტომია (გეორგიკა, 1936, გვ.86, 161-162, 172, 347-348).

მისიმ- ფუქე შეიძლება დავაკავშიროთ სვანთა თვითსახელწოდებასთან; შესაძლოა, წარმოდგენილი ბერძნული ფორმა სვანური მუშუან- ფუქის დამახინჯებული ვარიანტი იყოს: მუშუან - > \*მუშუნ- > მიშინ-/მისიმი; შდრ.: ქვემო სვანური - მუშუან, ბალსხემოური - მუშან, ბალსქვემოური - მუშნი, ლატალური - მუშუან/მუშან; მუშან ფორმისთვის ამოსავალი შეიძლება იყოს მო-შან-: მო-შან/მო-სან; შდრ.: მო-ფრანგუ, მო-ხეუ.

შდრ., პ. ინგოროყვა, 1954, გვ.144:

"\*მ- სიმი-ანი-თ თავისი გრამატიკული გაფორმებით წმინდა ქართულ ტიპს წარმოადგენს: მ- თავიედური პრეფიქსია, რომელიც ერთვის ეთნიკურ სახელებს, ხოლო -ან-, ასევე, ეთნიკური სახელების დეტერმინანტი სუფიქსია<sup>2</sup>.

ქართველთა (/სვანთა) დედაენა და სვანური კილოები.

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი კამათის საგანია ქართველთა დედაენის ისტორიის დათარიღება. ჩვენი აზრით, ქართველი ერის უძველესი ენა - საერთოქართველური ენა - არსებობდა ძვ.წ. მეორე ათასწლეულიდან (ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში უნდა არსებულებოდა ქართველურ-კავკასიური ენა, რომელსაც, სავარაუდოა, ენათესავებოდა შუმერული, ხურიტული და ხათური ენები; ვრცლად იხ., ტ.ფუტკარაძე, 2005, ფუტკარაძე, 2006).

ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულიდან საერთოქართველურს უშუალოდ აგრძელებს ძველი ქართული სამწიგნობრო ენა, რომელიც ქართველურ თემთა (მათ შორის სვანთა) დედაენა და ზოგადქართული კულტურის ენაა; მისი აღრეული ვარიანტი ძველი ქართული ხანმეტი ენის სახელითაა ცნობილი (დასტურდება აღრეული ქართული ქრისტიანული ტექსტების სახით).

ქართველთა დედაენის არქაული სახისთვის დამახასიათებელი ფუქეების გარდა (რომლებიც, არაიშვიათად, ფონეტიკურადაა სახეშეცვლილი), სვანურში შემონახულია ბევრი საერთოქართველური ენობრივი მოვლენა; მაგ., წყვილბაგისმიერი სპირანტი /უს უმარცვლო ვარიანტი/ და კ ბგერები, ერგატეის -მან ნიშანი (\*მარე-მან-ემ), ზმნათა უთემისნიშნო ვარიანტები, ხ- პირის ნიშანი და სხვ. აქ სამაგალითოდ განვიხილავთ ხანმეტობას:

ხუთივე თანამედროვე სვანურ კილოში (ბალსხემოურში, ბალსქვემოურში, ლენტეხურში, დაშხურში, ჩოღლურულში) კარგადაა შემონახული ხ- პრეფიქსი, რომელიც ბუნებრივი იყო არქაული ქართული სამწიგნობრო ენისთვის (შდრ., ხანმეტობის კვა-

<sup>2</sup> პ. ინგოროყვას საყურადღებო ვარაუდით (1954, გვ.142), მისიმიანეთის ძველი სახელია კოლაეთი, რამდენადაც ანტიკურ წყაროებში კოლორის ხეობაში მოსახლე ტომს ეწოდება კოლიკე.

ლი ჩანს ასევე, ხევესურულსა და თუშურში); კერძოდ:

ახ.წ. V-VII საუკუნეების ქართული ხანმეტი ტექსტების ნორმის ანალოგურად სვანურში ხ- პირის ნიშანი დაცულია ხმოვნით დაწვებულ ზმნებთან სუბიექტურ მეორე და ობიექტურ მესამე პირში (ხ-იშიხი "იწვი", ხ-ასყი "აკეთებ", ხ-ატბიდე "ათბობ"... ხ-ალატ "უყვარს", ხ-აჟუდი "აძღვეს", ხ-აგდი "ყიძნება"...). იგივე ხ- პრეფიქსი უნდა გამოიყოს პირველი პირის ხ+უ- სეგმენტში: საერთოქართველურისა და სამწიგნობრო ქართულის მსგავსად, სვანურ კილოვებშიც პირველი პირის ნიშანია ჟუ, რომელიც არაბაგისმიერი ხმოვნების წინ დაცულია უცვლელად, ბაგისმიერი ბგერების მეზობლად იკარგება, ხოლო თანხმოვნით დაწვებულ ზმნებში შემონახულია ინფიქსის სახით (მსგავსი დისტრიბუცია ჩვეულებრივია სხვა ქართველურ კილოვებშიც). რაც შეეხება ხ+უ- სეგმენტის ხ-ს, ლოგიკური ჩანს, დავეუშვათ: ხ- პირველი პირის ზმნურ ფორმაში არსებული ირიბი ობიექტის ნიშანია; დროთა განმავლობაში, სვანურ ფორმებში ხუ- ერთიან მორფემად გადააზრინდა და სხვა შემთხვევებშიც განსოგადაღა.

რატომ არ შენარჩუნდა ხანმეტობა სხვა ქართველურ კილოვებში?

ბასუხი მარტივია: განვლილი 15 საუკუნის მანძილზე სამწიგნობრო ქართულის გავლენა უფრო აქტიური იყო ცენტრალურ, ვიდრე განაპირა ქართველურ კილოვებზე. შესაბამისად, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრთან მუდამ ახლოს მყოფი ცენტრალური კილოები (ქართლური, კახური, იმერული...) მიჰყვებოდნენ სამწიგნობრო ენის ნორმების ცვალებების დინამიკას; შდრ.: ქართული სამწიგნობრო ენა ნორმირებულია და, შესაბამისად, მდგრადი (ინარჩუნებს საერთოქართველურის ძირითად ნიშნებს), თუმცა, ხალხური მეტყველების გავლენით (მწერალთა მიერ გამოყენებული დიალექტური ფაქტების სიხშირის პროპორციულად) საერო მწერლობის ენა (სასულიეროს-გან განსხვავებით) გარკვეულწილად მაინც იცვლება; თავის მხრივ, ხალხური მეტყველება (განსაკუთრებით ცენტრალური კილოები) განიცდის სამწიგნობრო ენის გავლენას... რამდენადაც, ინტენსიური ურთიერთობა არ არის სამწიგნობრო ენასა და განაპირა ქართველურ კილოებს შორის, ლოგიკურია, განაპირა ქართველურ კილოებში ბევრი არქაიზმიც ვეჭონდეს (საერთოქართველურთან მეტად დაშორების მიუხედავად) და ბევრი ინოვაციაც (აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე პირობებში სამწიგნობრო ენის ინტენსიური გავლენით, განაპირა კილოებიც თბობს თავის პოზიციებს); შდრ.:

საქართველოს განაპირა (სახსავდრო) კუთხეებში, სხვა ქვეყნების მოსახლერე მხარეთა მსგავსად, დიდია მეზობელ ნათესავ, თუ უცხო ტომთა გავლენა (ურთიერთგავლენა!) ინტენსიური ურთიერთობების გამო; არაიშვიათია, სუპერსტრატული მოვლენებიც: სიხლისძიებას გამოქცეული გვარები სახლდებოდა საქართველოს მთიანეთში; მიგრანტები თანდათან ქართველდებოდნენ, მაგრამ თავიანთი ენისა თუ წეს-ჩვეულებების კვალს ტოვებდნენ ავტოქთონი ქართველების მეტყველებასა თუ ყოფაში; შესაბამისად, განაპირა რეგიონებში უფრო იცვლებოდა ზეპირი მეტყველება, თუმცა, ამავე დროს, ამავე პირობებში (სალიტერატურო ენის ახალი ნორმების ნაკლები გავლენის გამო) დიდხანს ინახება არქაიზმებიც.

სვანეთში ქართველთა საშინაო მეტყველების (დიალექტების) სერიოზული ცვალებების ფონზე საერთოქართველურისა და არქაული ქართული სამწიგნობრო ენის სტაბილურობა (უცვლელობა) განაპირაში ძლიერმა საღვთისმსახურო ტრადიციამ: სვანეთში წარმართული შელოცვებიც კი დღემდე არქაული ქართულთაა შემონახული, რაც, ამავე დროს, ადასტურებს ქრისტიანობამდელი საერთოქართველური საღვთისმეტყველო ენის არსებობას (ვრცლად იხ., ტ.ფუტკარაძე, ევლიანი, ნ.ნაკანი, რ.ხაჭაპურიძე, 2001).



ბევრი სხვა ფაქტიც ცხადყოფს, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე სვანები თავიანთ დედაენაზე – საერთოქართველური ენის უშუალო მემკვიდრე სამწიგნობრო ენაზე – სხვა ქართველებთან ერთად ქმნიდნენ დიდ ეროვნულ კულტურას; შესაბამისად, აშკარაა, რომ საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე სვანეთი ოდითგანვე იყო დიდი ქართული კულტურის სვანე. გარდა ამისა, ქვეყნის გაჭირვების უამს მთის ქართველური მოღვმის გაუტეხლობა და კავკასიონის ბუნებრივი ზღუდეები ქმნიდა ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის მყარ გარანტიას; სვანეთში დღემდე მძლავრია სახალხო განძის საიდუმლოდ შენახვის ტრადიცია.

სვანეთის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ბურჯის, მოშლას საგანგებოდ შეეცადა მეფის რუსეთი:

XIX საუკუნეში რუსეთისთვის მეტად აქტუალური იყო სვანეთში არსებული კავკასიონის უღელტეხილები (დღევანდელი რუსეთი ფორჯერობით როკის გვირგვინით არის გარანტირებული); ამიტომაც იმპერია შეეცადა არამხოლოდ აქაური ქართველობის ფიზიკურ დამორჩილებას, არამედ გადაბირებას და ცნობიერ გადაგვარებას; კერძოდ: სასულიერო პირების ფორმით მთაში ასული იმპერიის ემისრები ქადაგებდნენ, რომ სვანები ქართველები არ არიან, რომ მათი დედაენა არის არა ქართული, არამედ – სვანური; შესაბამისად დაიწვეს კიდევ სხარების თარგმნა ერთ-ერთი სვანური კილოს ბახაზე, მაგრამ მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი ქართველობა იოლად მიხვდა დამპყრობლის მზაკვრობას: მტერი სვანებს ართმევდა მრავალსაუკუნოვან მწიგნობრულ დედაენას – ისტორიულ კულტურას, უკარგავდა სახელმწიფოებრივ წარსულს და ვითარცა ველურებს, XIX ს. ბოლოს უქმნიდა ანბანს და უთარგმნიდა სახარებას. თუ არა სვანმა კაცმა, უკეთ სხვამ ვინ იცის, რომ ენა დედაა ერისა და წინაპრების მიერ შექმნილი რაც უფრო დიდი ისტორიის მქონე სამწიგნობრო ენა აქვს ადამიანს, მით უფრო ღირსეული და ამაყია. XIX საუკუნეში რუსეთის მიერ გაუქმებული იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; რუსეთისგან დანიშნულმა სასულიერო პირების ამ ავანტიურამ კი სვანებს სასულიერო პირებისადმი ნდობა დაუკარგა.

იმპერიის მრავალმხრივი აქტიურობის მიუხედავად, სვანებმა – კავკასიის სტრატეგიული უღელტეხილების გამოცდილმა მცველებმა – ბოლო საუკუნეებშიც წარმატებით დაიცვეს ქართული ენობრივ-ეროვნული იდენტობა და ცივად გამოუხურეს კარი იმპერიის მზაკვრულ შემოთავაზებას. საკითხის ისტორია ვრცელადაა წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში (თ.გვანცელაძე, მ.ტაბიძე, რ.შეროზია, რ.ჯანტურია, 2001; ტ.ფუტყარაძე, 2005; მ.ტაბიძე, 2005; თ.გვანცელაძე, 2006...). აქ სამაგალითოდ წარმოვადგენო მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს დიდი საზოგადო მოღვაწეების – ბესარიონ ნიჟარაძისა (წმინდა ილია მართალის თანამოაზრის) და ივანე მარგვიანის წერილებიდან; ქვემოთ წარმოდგენილი ფრაგმენტები დღესაც აქტუალურია, რამდენადაც ახლაც არაიშვიათია სხვა ქართველებისგან სვანების გამოიჯენის მცდელობა და ახლაც აქტიურობენ ქართველობის ენობრივ-ეთნიკურად დაშლის მოსურნენი, ახლაც ცდილობენ ქართველურ კილოებზე თარგმნონ წმინდა წერილი, რათა ამ კილოების სამწიგნობრო ენებად გამოცხადდნენ სამწიგნობრო წარსული წაართვან სვანებს, ლაზებს, მეგრელებს და ამ გზით დაშალონ წვენი ერი. შესვენებად იმასაც რომ, ქართულ მასმედიაშიც და საექვო ღირებულების სამეცნიერო პროდუქციებშიც, არაიშვიათად, შეგნებულად გამოიყენება ისეთი არაადეკვატური შესიტყვებები, როგორიცაა: სვანები – უმწიგნობრო ენის მქონე ხალხი, სვანი კრიმინალი, სვანი ეროვნება, სვანური კულტურა, სვანური ეთნოსი, სვანოლოგია და სხვ. შდრ., შ. ნიჯარაძე და ი. მარგვიანი სამართლიანად თვლიდნენ, რომ სვანთა დედაენაა ქართული, ხოლო სვანური მეტყველება



ქართულის განშტოებაა, ნაირსახეობაა, დიალექტია და არა ცალკე ენა.

ბესარიონ ნიჟარაძე ("რა ენაზედ აღიდებდნენ და აღიდებენ სვანები ღმერთსა", გაზეთი ივერია, 4 თებერვალი, №28, 1904):

"სვანური ნამდვილად ქართულია, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილია, მაგრამ ზოგიერთები ვერ შეპირებებიან ამ აზრს და გაიბახიან, სვანები სულ სხვა ხალხიო! ნეტვე ვიცოდე, ვისთვის ან რისთვისაა საჭირო ის დაუინება და სვანების გასხვისტომება..." სვანეთში დვთის დიდგმა ძველთაგანვე ქართულს ენაზედ სწარმოებდა და ესლაც სწარმოებს. რომელ მათთვის უცხო ენას შეეძლო ქრისტიანობის დაცვა ამ მივარდნილს ქვეყანაში, თუ არა, ისევე ქართულსა, რომელიც სვანებს დედაენად მიანინათ?!"

სვანურის ქართულობის დასადასტურებლად ბესარიონ ნიჟარაძემ შეადგინა ლექსიკონი, სადაც აწვევს, რომ სვანური სიტყვა-ფორმები ძირითადად საერთოქართულ ძირებს იმეორებს და სვანური ქართული სამწიგნობრო ენის საგანძურია, რამდენადაც ბევრი ძველი ქართული სიტყვა სწორედ სვანურ კილოებშია შემონახული... აქვე აღვნიშნავთ, რომ ახლახან გამოიცა ბესარიონ ნიჟარაძის დიდი შრომით შექმნილი ლექსიკონი, სადაც სალიტერატურო ქართულს მიწერილი აქვს ბალსხემოური დიალექტის ფორმები/ვარიანტები; იქვეა რუსულენოვანი თარგმანები. ამ ქართულ(სვანურ) - რუსული ორენოვანი ლექსიკონის გამოსაქვეყნებლად მომზადებისთვის დიდი დეაწლი გასწია ქანა ლელა ნიჟარაძემ, თუმცა, სამწუხაროდ, წიგნის სათაური დაიკარგა (არ აისახა!) ბესარიონ ნიჟარაძის მთავარი მიზანი: სვანური ნამდვილი ქართულია! მეტიც, ბნიარაძის ხელნაწერის ჩვენების საწინააღმდეგოდ, ამ ლექსიკონს გამოემკვმებმა რატომღაც დაარქვეს "ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი" და წინასიტყვაობაშიც, ბესარიონ ნიჟარაძის პოზიციის საპირისპიროდ, ნაშრომი სამენოვან ლექსიკონად მონათლეს; ამით მიიქჰალა ბესარიონ ნიჟარაძის ნაანდერძვეი გზაც და ლექსიკონის ძირითადი სათქმელიც: სვანური იგივე ქართულია.

ილია ჭავჭავაძისა და ბესარიონ ნიჟარაძის დიდებული თანამებრძოლი იყო ივანე მარგინი; იგი წერდა [სვანური "ენა" და ახალი აშორღია, "შინაური საქმეები, №25, 1911]:

"თუ რომელიმე მეცნიერი აქამდისინ ზერეღედ უყურებდა ამ საკითხს და სვანებს შეცდომით თიშავდა ქართველებისაგან... დღეს ამ გვარი გარეწრობით ვერავის ვერ დაუბნეღებს თვალებს... საზოგადოება... ყოველთვის აფასებდა... ამგვარ ვაგბატონთა "პოლიტიკანობა-გაიძვერობას"... "ნუ სწუსღები, ბ. წერეთეღო, ჩვენ გასაგებ ენაზედ ვადიდებთ ღმერთსა... ქართული ენა ჩვენთვის ღვიღღი ენაა, გასაგებიცა და საუკუნობისაგან ნაკურთხიც"... "სვანური კილოკაგებისა და ქართული ენის შეღარება უნდა მოხდეს არა XIX სის მიწურუღის გამარტრებულ-გადარბიბული საღღტრატული ქართუღის მიხეღვით, არამეღ ძვეღი ქართული ენის საფუძვეღზე". "სვანური ენა" (თუ შეიღღება ასე ვუწოღოთ), რომელიც პირვეღს გაგონებაზედ უცხო ენად ეწვეღება კაცს, თითქმის იგივე ქართული ენაა. სამი მეღთხეღი სვანურის სიტყვების, ნამღვიღად ქართული სიტყვებიღ"...

ჩვენს ქვეყანას დიდი ზიანი მიავენა ათეიზმაც და საბჭოურმა სამეცნიერო თეორიებმაც, რომლებიც მეტნაკლებად აშუამადღაც ზემოქმეღებს საზოგადოებაზე; თუმცა, საქართვეღოს მართღმღადიდებღური ეკღესიის აგტოკეღვღლისა და საქართვეღოს დამოუკიდებღობის აღღგენის შემღღე უკვე აღეკავტურად გაიზარება საქართვეღოს, საქართვეღოს ყვეღა კუთხის და, ზოგადად, ქართული ენობრივ-კულტურული ისტორია; სვანეთის ეკღესიებშიც მტეცეღვღ დაბრუნღა მოღღვარი, სვანეთის ისტორიული როღის უკეღ წარმოენეღც მოხღდა. თეიღმყოფადი საქართვეღო და კავკასიონი დღეს ისევე მიღწავს თუ აერთებს რღ სხვადასხვა სამყაროს (გეოსტრატეგიულად საინტერე

ხო საქართველო/ამიერკავკასია კაცობრიობისთვის ახლაც არსებით გზაჯვარედინ-ზეა); გასული საუკუნეების მსგავსად, დღესაც, მკაცრი და ღამაზი ქართული მხარე - სვანეთი - საქართველოს უღალატო მეციხოვნე და ქართული კულტურის სავანეა.

### დამოწმებული ლიტერატურა

1. გეორგიკა, 1936 - გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შე-სახეზე), თბ., 1936.
2. გეორგიკა, 1961 - გეორგიკა, თბ., 1961.
3. გეორგიკა, 1965 - გეორგიკა, თბ., 1965.
4. თ. გვანცელაძე, 2006 - თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველო-ლოგიაში, თბ., 2006.
5. თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, 2001 - თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე, რ. შეროზია, რ. ჭანტურია, დვთისმსახურებისა და სასულიერო განათლე-ბის ენა, როგორც რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელების საშუალება; ქართველური მემკვიდრეობა, V, ქუთაისი, 2001.
6. რ. თოფჩიშვილი, 2002 - რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია და სა-ქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2002.
7. თ. მიბზუანი, 1993 - თ. მიბზუანი, "სვანი" და "სვანეთი" ტერმინთა ეტიმოლოგიი-სათვის; საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.
8. ზ. რატიანი, 1995 - ზ. რატიანი, წყაროთა დადადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995.
9. სტრაბონი, 1864 - Страбон, География, М, 1964.
10. ი. ტაბაღუა, 1984 - ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნოსაცა-ვებში, თბ., 1984.
11. მ. ტაბიძე, 2005 - მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხი საქართველოში, თბ., 2005.
12. ტ. ფუტყარაძე, 2005 - ტ. ფუტყარაძე, ქართველები, ქუთაისი, 2005.
13. ტ. ფუტყარაძე, ე. დადიანი, ნ. ნაკანი, რ. ხაჭაპურიძე, 2001 - ტ. ფუტყარაძე, ე. და-დიანი, ნ. ნაკანი, რ. ხაჭაპურიძე, შულოცვების ენა ქართველური დიალექტების მი-ხედვით, ქართველური მემკვიდრეობა, V, 2001.
14. გ. ქავთარაძე, 1997 - გ. ქავთარაძე, საქართველო და კავკასიონი (საქართველოს სახელმწიფოებრივი კონცეპციისათვის), მნათობი, №3-4, გვ. 147-163; მნათობი, №5, გვ. 103-121, 1997.
15. გ. ქავთარაძე, 2006 - G. Kavtaradze, Caucasian Georgia - A Bridgehead or a Stronghold of the Modern Geopolitical Games. A Look from the Historical Perspective, - Amirani, XIV-XV, Montréal - Tbilisi, 2006, pp. 134-140 (რეზიუმე ქართულ ენაზე); [www.geocities.com/komblegz/games.htm](http://www.geocities.com/komblegz/games.htm)

16. გ. ქავთარაძე, 2006 – გ. ქავთარაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები, თბ., 2006.
17. მ. ქურდიანი, 1996 – მ. ქურდიანი, საერთოქართველური ენა და მისი დიფერენციაციის თანამიმდევრობის პრობლემა; ქართველური შემკვიდრეობა, I, ქუთაისი, 1996.
18. თ. ყაუხჩიშვილი, 1957 – თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.
19. თ. ყაუხჩიშვილი, 1967 – თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967.
20. თ. ყაუხჩიშვილი, 1976 – თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.
21. ი. ჯავახიშვილი, 1908 – ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ., 1908.
22. ი. ჯავახიშვილი, 1960 – ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტფ., 1960.
23. ა. ჯაფარიძე, 1996 – ა. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.I-III, თბ., 1996.
24. ა. ჯაფარიძე, 2003 – ა. ჯაფარიძე, ორი თეორია ქართველი ხალხის წამოყალიბების დროის შესახებ, თბ., 2003.

ხალდეს აჯანყება  
(ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი)

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საუკუნის პირველი ნახევარი გამოირჩევა (1802 წლის კახეთის, 1804 წლის მთიულეთის, 1812-1813 წლების კახეთის, 1819-1820 წლების საეკლესიო ბუნტი დასავლეთ საქართველოში და სხვ.).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უფრო სტრატეგიული ხასიათი მიიღო, მთავარი აქცენტი ეთნიკური თვითშეგნების აღორძინებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას მიენიჭა. თუმცა ამ პერიოდსვე მიეკუთვნება აჯანყება სვანეთში, გამორჩეულად კი სოფელ ხალდეში 1875-1876 წლებში. ხალდეს აჯანყებას წინა აჯანყებების მგავსად მკვეთრად გამოხატული ანტირუსული ხასიათი ჰქონდა და მიზნად ისახავდა როგორც ეროვნულ, ასევე სოციალურ პრობლემათა გადაჭრას.

უეჭველია ქართველი საზოგადოება ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სვანეთში განვითარებულ მოვლენებს, ქობაგობდა კიდევ, რაც დადასტურდა მოგვიანებითაც, აჯანყებულთა სასამართლო პროცესზე.

ხალდეს აჯანყების შესახებ არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა. ამ თემას გვერდს ვერ აუვლის ვერც XIX საუკუნეში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მკვლევარი და ვერც საქართველოს ამ მშვენიერი კუთხის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული ისტორიკოსი თუ ეთნოლოგი.

ცნობილია, რომ რუსეთი საქართველოს დაპყრობა-ანექსიას მეთოდურად და თანამიმდევრობით აწარმოებდა. ქართლ-კახეთის დაპყრობისა და იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდგომ საქართველოს სამეფო-სამთავროებთან დაიღო ეწ. მფარველობითი ხელშეკრულებანი. რუსებმა საქართველოში ფეხის მომაგრებისთანავე კი ძალით თუ ფარისევლობით დაიწვეს ფორმალური სამთავროების სახით არსებული ავტონომიების გაუქმება: 1829 წელს გურიაში, 1857 წელს სამეგრელოში, 1859 წელს სვანეთში, ხოლო მოგვიანებით, 1864 წელს – აფხაზეთში.

ის, რაც რუსებმა მოახერხეს საქართველოს სხვა კუთხეებში, ვერ განახორციელეს სვანეთში, რადგანაც სამთავროს გაუქმების შემდეგაც ვერ შეძლეს რეალურად ამ კუთხის პოლიტიკურად და განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკურად დაქვემდებარება. რუსები სწორედ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან შეეცადნენ თავიანთი ჩანაფიქრის განხორციელებას. ეკონომიკურ ათვისებაში იგულისხმებოდა სვანეთის რესურსებისა და განსაკუთრებით ტყეების განაჩაგება; საგანმანათლებლო ღონისძიებებში – სვანების ქართული ორგანიზმისაგან მოწყვეტა და რუსიფიცირება, ტრადიციულის აღმოფხვრა, ხოლო სოციალური თვალსაზრისით სრულიად უცხო და მიუღებელი ადამიანების დანერგვა. ასევე, გლეხობის გადასახადებისაგან გათავისუფლება და დათრგუნვა (გასვინი, 1979, 55). ბალსქვემო სვანეთში რუსებს აღნიშნულის განხორციელებაში, ფაქტობრივად, ხელს უწყობდა იმ დროისათვის კოლაბორაციონისტად ქცეული ადგილობრივი თავადი თენგიზ დადეშქელიანი.

საოკუპაციო მმართველთა მხრიდან ყველაზე ცინიკური იყო სვანი მოსახლეობის ღოთობაში დადანაშაულება და რუსებისთვის აგრერიგად ნაცნობი სენისგან ტრადიციების ერთგული სვანების „განთავისუფლების“ მცდელობა. ამ მიზნით სვანეთის

ყველა სოფელში აღირიცხა არყის სახდელი ქვაბები (გელოვანი, 2003, 297) და გამოხდაზე დაწესდა ბაუი (?).

ყოველივე ეს, ბუნებრივია, იწვევდა სვანეთის ამაყი მოსახლეობის უკმაყოფირობას, რაც თანდათანობით გროვდებოდა, ბოლოს ერთიან მრისხანებაში გადაიზარდა და, ფაქტობრივად, ასაფეთქებლად საბაბს ელოდებოდა.

სვანეთის წინააღმდეგობის კულმინაციას წარმოადგენდა ხალდეს აჯანყება, რომელსაც ბიჭი მისცა 1875 წლის მისში ხალხში გავრცელებულმა რუსეთის ადმინისტრაციის განზრახვამ, აეზომათ, გლეხთა მიწები მათზე გადასახადების დაწესებისა და გაზრდის მიზნით.

რუსული ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი სოფელ ბეჩოში იყო განათახებული. სწორედ იქ გაიგზავნა ყოველი სოფლიდან არჩეული თითო წარმომადგენელი, გავრცელებული აზრის დასადასტურებლად, რაზეც ბოქაულისგან, ანუ სვანეთში რუსული ადმინისტრაციის წარმომადგენლისგან დადებითი პასუხი მიიღეს.

რუსეთის ხელისუფლებისაგან დაგუემილი კონფლიქტის პროვოცირება, ფაქტობრივად, თვით თენგიზ დაღეშქელიანისგან მოდის. ამ აზრის ერთ-ერთი დამადასტურებელია ხალდეს აჯანყების მონაწილის ეახზულთა შერეაშიძის წერილი, რომელიც გაზეთ „გოლოსის“ კორესპონდენტის, ა. ისარდოვისთვის გადაეუცა და მას მაშინვე გამოუქვეყნებია 1876 წელს (გელოვანი, 2003, 299). აქედან ჩანს, რომ თენგიზ დაღეშქელიანს ბალსზემოთა მოსახლეობისთვის გამოუცხადებია, რომ მათთვის უნდა აეზომათ მიწები, რომლებიც არც მეტი, არც ნაკლები, უნდა გადაეცეს ხაზინასო. ეს კიდევ არაფერი. მოსახლეობას მისთვის უნდა მიეწოდებინა ცნობები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობით ჰყავდათ პირუტყვი ხარ-ძროხა-ცხენით დაწყებული, ძაღლითა და კატით დამთავრებული (მათზეც გადასახადების დაწესებისათვის).

ხალხს ამ გაუგონარი განზრახვის გამო თხოვნი მიუმართავს დაღეშქელიანისა და ბოქაულისთვისაც, რომ შუამავლად ჩამდგარიყვნენ მთავრობის წინაშე და განემარტათ, რომ მოსახლეობას არ გააჩნდა არავითარი სახსარი ამ სახის გადასახადების გადახდისა. მათ კი ცეცხლზე ნავთი დაუსხამთ და მოუთხოვიათ არაყსა და თუთუნზე აქციზების დაწესება (ეს უკვე მართლაც ხელისუფლების უგვანო გადაწყვეტილება იყო).

ამის შემდგომ კიდევ უფრო განსაკვიფრებელი ამბავი ხდება, რომელიც არანაირ მორალსა და ზნეობაში არ ჯდება, არც ზოგადად მიღებულ კოდექსში და მით უფრო არც სვანეთში დამკვიდრებულ ტრადიციებში. თენგიზ დაღეშქელიანმა მოსახლეობას მიმართა და დაამშვიდა, – თქვენ ნუ გადაიხდით ნურაფერს, რასაც თქვენგან მოითხოვენ და მეც თქვენ გვერდით დავდგებიო. თუმცა კი თვითონ აღნიშნულის საპირისპიროდ მოიქცა – მალევე უარყო თავისი სიტყვა-დაპირება, ხალხი კი ფაქტობრივად იმდის ანაბარა მიატოვა. ამის შემდეგაც კიდევ ერთხელ იყო ცდა თენგიზ დაღეშქელიანის შუამავლობისა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად (გელოვანი, 2003: 299), მან კი აჯანყებულები ბუღის ამბრა მიატოვა, რათა რუსეთის იმპერიული ზრახვა აღსრულებულიყო.

ფაქტობრივად ამით დაიწყო სვანეთის აჯანყების პირველი ეტაპი. 1875 წლის მაისში ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბალსზემო სვანეთში დაიწყეს მოსახლეობის მფლობელობაში არსებული კერძო მიწების აღწერა. ამის გამო კი სვანეთის მოსახლეობის მღელვარება აჯანყებაში გადაიზარდა და სწორედ მის ჩასახშობად, მოთავეთა გამოსაყვანად და დასასჯელად შემოუძღვევნენ რუსულ ჯარს ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი მაღაფეკვი და გენერალი ციტოვიჩი.

როდესაც ეცნობი სვანეთში განვითარებულ მოვლენებს, აღნიშნული ორი წლის განმავლობაში, ეცნობი პირველად საარქივო წყაროებს, ეთნოგრაფიულ მონაცემებს,



ისტორიოგრაფიულ მასალას, კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ საქართველოს მთაში და ამ შემთხვევაში სვანეთში, როგორი მოწესრიგებული და რეკლამენტირებული სოგადოებრივი ყოფა, სოციალური ურთიერთობანი. აზნაურმა თავისი ფუნქცია იცოდა, გლეხმა და მით უფრო ოჯახის უფროსმა, რომელიც მცირე სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, - თავისი, მთლიანობაში სოფელსაც საკუთარი ფუნქცია ჰქონდა გათავისებული. კერძოდ, როდესაც სიტუაცია დაიძაბა, სვანეთის მოსახლეობა ტრადიციული, მამაკაპული სიბრძნით მოქმედებდა: თითოეული ნაბოჯით ყოველმხრივ ცდილობდა, სამართალი მოეძიებინა და მოვლენათა დრამატულად განვითარება აეშორებინა თავიდან.

მიწების აზომვა თავდაპირველად გადაწყვედა ლატიაში, მულახსა და მესტიაში. ორგანიზებულად შეიკრიბა გლეხობა. ყველა თემის გლეხობის აზრის გამომხატველი იყო მულახელთა გადაწყვეტილება: „შევატყობინოთ ჩვენი აზრი თავისუფალი სვანეთის სოფლებს. ვაცნობოთ, რომ თუ მთავრობას ნამდვილად განზრახვა აქვს, მიწები დაბეგროს, არზა მივართვათ არ ინებოს ამის სისრულეში მოყვანა. თუ თხოვნით არაფერი გაგვივიდეს, მაშინ ძალადობა გაეწიოთ“ (ნიკარაძე, 1964: 173). შეთანხმდნენ და ბალსზე მო სვანეთის შეიარაღებული მამაკაცები კალაში შეიკრიბნენ კვირიკეს სალოცავთან.

მჭკვერმეტყველებით გამორჩეული ყოფილა დარბაისელი და საყოველთაოდ პატივცემული ყასბულათ შერვაშიძის მიმართვა შეკრებილებისადმი. როდესაც ამ საკმოდ ვრცელ სიტყვას ეცნობი, უნებლიეთ პარალელს ავლებ ცნობილ რიტორებთან. თუნდაც VI საუკუნეში მოღვაწე აიეტისა და ფარტაძის საყოველთაოდ ცნობილ ორატორულ გამოსვლებთან ეგრისში დიდი ომიანობის დროს. ყასბულათის სიტყვის ფრაგმენტი კი ასეთია: „ჩემზე უფრო მოხუციანი ურევია ამ ყრილობას და ისინი ჩემზე უკეთ იტყვიან, რომ ვისაც ჩვენი დამონება და ხელში ჩაგდება მოუნდობენ, ყველანი ჩვენი მსხვერპლნი გამხდარან: თოფი და ხანჯალი ყოფილა ჩვენი დამცველი! სვანეთის სალოცავმა გვაშოროს, რომ თოფი და ხანჯალი დაგვჭირდეს ახლაც. ამგვარი საქმის მოსურნე არავინ ვართ. პირველად როდესაც გვარწმუნებდნენ, რუსების ხელში უფრო ბედნიერი იქნებითო, რუსის მთავრობა ავაშენებთო, ჩვენ ეს დაეჯიკრეთ, რადგან გვარწმუნებდნენ და მართალი გვეგონა. გვეუბნებოდნენ, ავაშენებთო, პირიქით კი ბეგარა ჩვენგან წაიღეს! ჯერ ჩვენთვის უნდა შეეძინათ რაიმე და მერე მოეთხოვათ, თორემ ისე გამოდის, ცხვარი თხას მიადგა მატყლის სათხოვნელადო. მიწები უნდა ავიზომოთ... ხმა დადის, მათი დაბეგრა უნდათო. თუ ეს ხმა მართალი გამოდგა, მაშინ სიცოცხლის პირი არა გვაქვს და მუდამ წვალებას ის გვირჩევენია, ერთ დღეს გათავადეთ. ჯერ ზუსტად შევიტყუოთ, რაშია საქმე. მოვახსენოთ მთავრობას და მის პასუხს მოვუცადათ. მერე კი ჩვენი ვიღონოთ“ (გელიგანი, 2003: 301; „ნოვოე ობოზრენიე“, 1894). ყასბულათის სიტყვა საყოველთაოდ თანხმობით მიუღიათ. კვირიკეს ეკლესიიდან გამოუტანიანათ სათაყვანებელი შალიანის ხატი და ერთგულების ფიცი დაუდიათ. შალიანის ხატს კი უაღრესად დიდი ძალა და სოციალური მნიშვნელობა ჰქონდა (გუჯავაძე, 2008: 177). უაღრესად ღრმა და საინტერესოა რიტუალური ფიცის დადების: ორმა მამაკაცმა ჯოხის თავსა და ბოლოს მოჰკიდა ხელი, შემდეგ კი ამ ჯოხის ქვეშ სათითაოდ გაიარა თავყრილობის ყველა მონაწილემ. ჯოხის ქვეშ გავლა უკვე ფიცის მიღების დასტური იყო.

ურთიერთსაწინააღმდეგო ხმების პროვოკაციული გამაგრებლებებიც გამოიძებნენ. ამიტომ იყო, რომ გადაწყვედა ბაღისა და ლატფარის უღელტეხილების ჩაკეტვა. რუსულმა ადმინისტრაციამ სერიოზული და მრავალრიცხოვანი სამხედრო ექსპედიცია მიაშინადა თბილისსა და ქუთაისში. ქართველი საზოგადოება გულისყურით ადგენებდა თვალყურს განვითარებულ მოვლენებს, ხოლო გახეთი „დროება“ დაწერილებით

ინფორმაციას იძლეოდა ამ სამხედრო ექსპედიციის დაკომპლექტების შესახებ (1875 წლის №№39, 93, 94; 1876 წლის №№77, 83).

დიდი ჯარი მიადგა ქვემო სვანეთის კარიბჭეს გენერალ ციტოვიჩის წინამძღოლობით და ლეჩხუმში, მურში დაბანაკდა. რუსულმა ადმინისტრაციამ გადაწყვიტა მოლაპარაკების საშუალებით განეხორციელებინა თავისი მიზნები. სხვათა შორის, ამ მოლაპარაკებათა თვითმიზნუვლი, მომსწრე და თარჯიმანი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოღვაწე სვანეთიდან დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე, რომელიც ქართული ეთნოგრაფიის სათავეებთან იდგა და შესაბამისად მრავალ ცნობას პირველწაროდან გადმოგვცემს (ნიჟარაძე, 1964).

მოლაპარაკების შემდეგ უპრობლემოდ, ლეჩხუმის გზით უფროსი გრინევსკი და მისი თანხმლებნი გადავიდნენ ლაფტარის უღელტეხილზე და მივიდნენ სოფელ ლაღორში, ხოლო შემდგომ უკვე რუსთა რაზმიც ჩავიდა ბენოში, სადაც ფაქტობრივად მოლაპარაკების პრობების დარღვევით შეუპყრიათ მათი შეფასებით ბუნტის მოთავეები. ამ საქმეში თავისი უკეთური როლი კვლავ დადუშქვლიანმა შესრულდა. სამხედრო ექსპედიცია დატუსაღებული სვანი თავგაცებით ქუთაისში დაბრუნდა, სადაც ისინი სატუსაღოში გამოამწყვდიეს. მეფის ადმინისტრაციამ სხვადასხვა სახის სასჯელი დადო შეპყრობილთ. სწორედ აჯანყების ამ პირველ ეტაპს ემსხვერპლნენ უდიდესი მოღვაწენი ყასბულათ შერვაშიძე და გინადრუყ ფარჯიანი, ბიტი იოსელიანი და სხვები.

წინ იყო მომავალი 1876 წელი და სვანეთის აჯანყების მეორე ეტაპი, უფრო დაუნდობელი და სასტიკი, რომელსაც ემსხვერპლა ერთი ლამაზი სვანური სოფელი ხაღდე.

1876 წელს მოვლენები შემდეგნაირად განითარდა: წინა წელს რუსული ხელისუფლების მიერ აჯანყების მეთაურებად, ანუ ბუნტისთავეებად გამოცხადებული 19 კაციდან სამი არ ენდო მუხანათ რუსებს, არ გამოცხადდა მათთან, არ ჩაბარდა და ვერც შეიპყრეს. ისინი იყვნენ ხაღდელები გურმან გახვიანი და ჩარვაზ ჯოხაძე, მულახელი შახუბათ ქურდიანი, რომელთა მოხელთება და შეპყრობა მეფის ნაცვლის განკარგულების მიუხედავად ერთი წლის განმავლობაში ვერაფრით ვერ შეძლეს. სწორედ ამის გამო ლეჩხუმის მახრის უფროსმა გრინევსკიმ გადაწყვიტა, უშუალოდ ეხელმძღვანელა სადამსჯელო ექსპედიციისათვის და დიდი რაზმით გაემურნენ ხაღდეკენ. ხაღდეში მისვლამდე ჯერ მულახში შეჩერდნენ შახუბათ ქურდიანის შესაპყრობად. ცხადია, შახუბათი თავის მურყვაბ-მამიებში არ გაჩერდებოდა. რუსებმა კვლავ უდიდეს ხერხს მიმართეს: შეიპყრეს მისი ორი, სრულიად უდანაშაულო ვაჟი და კალაში წაიყვანეს. აქედანვე გაგზავნეს მოლაპარაკებლად მღვდელი ალექსი ბაქრაძე და მამისახლისი მარგველანი.

ბესარიონ ნიჟარაძის გადმოცემით, გრინევსკიმ მოითხოვა, დამნაშავენი გადმოგვეცითო. ხაღდელებს საკმაოდ დიპლომატიურად და ორპარტოვანად შეუთვლიათ, ჩვენი ხელით ვერ დავიჭერთ და ვერ მოგვგვრით, თქვენ კი თუ შეძლებთ, შეიპყართო. ბაქრაძისა და მარგველანის „მოციქულობაში“ რომ ვერ გაჭრა, უშუალოდ ბესარიონ ნიჟარაძისთვის უთხოვიათ ამ მისიის შესრულება. მისი პირით მოსთხოვა გრინევსკიმ სოფელს, მასთან გამოცხადებულიყვნენ. სოფელმა კი შეუთვალა, მას შემდეგ, რაც მამის გამო უსამართლოდ შეიპყრეს მისი ორი ვაჟი, უსაფრთხოების არავითარი გარანტია არა გვაქვსო.

სხვათა შორის, ბესარიონ ნიჟარაძე ხაღდელებს გრინევსკისთან გამოცხადებას ურჩევდა, რადგან იცოდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელს მთლიანი გადაბუგვა ელოდა.

აღდედა ხაღდე. ავმა წინათგრძნობამ შეიპყრო სოფელი. ბევრმა მოსახლემ სოფლიდან ცოლ-შვილის გახიზვნა დაიწყო, რადგან კარგად იცნობდნენ უკვე რუსებს და იცოდნენ, რომ ისინი უკან არაფერზე დაიხვედნენ.



ასე რომ, ხალდელებმა არც რუსები შეუშვეს სოფელში და მით უმეტეს, არც თოითონ გამოეგებნენ გრინვესკის. მით უფრო, რომ ავი გამოცდილება ჰქონდათ უკვე ვინც შარშან ქუთაისს წაიყვანეს, ყველანი ნაგბაში (ცხეპში. – ნ. შ.) დაიხოცნენ. იქ სიკვდილს კი აქ სიკვდილი გვირჩევნიაო“ (ნიჟარაძე, 1964: 194). ეს მოხდა 31 ივლისს. ამრიგად, სადამსჯელო რაზმი თავის მეთაურებთან ერთად ხალდეს მისადგომებთან ყურყუტებდა.

გაყალბებით გამოირჩევა მაშინდელი რუსული პრესა, რომელიც ამ მოვლენებს ასახავს: „როდესაც ხალდელებმა გაიგეს სოფელთან მასრის უფროსის, პრისტავის და საელდათების თანხლებით ადგილობრივი რაზმის მეთაურის მისვლა, ხალდელები გამოეგებნენ მოწიწებითა და ქედმოსხრით. ღრმა პატივისცემის ნიშნად ხელები და სერთუკიც დაუკოცნენ გრინვესკის“ (ისარლოვა, 1899: 403).

ერთი ინციდენტი გრინვესკისა და ბენოში განლაგებული რუსული რაზმის უფროს ლეუსს შორისაც მოხდა მედიდურობისა და პირველობის ამბიციის გამო. ბესარიონ ნიჟარაძის გადმოცემით, ლეუსი უკადრისობდა მასრის უფროსის პირველობას და გადაწყვეტ, შემტევე მოქმედებებს მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისევე ბენოში დაბრუნებით იმუქრებოდა. გრინვესკი კი აცხადებდა, რომ საჭიროების მიხედვით მოვიხმართ ბენოს რაზმსაც და მის უფროსსაცო.

სხვათა შორის, გადმოცემებისა და ხალდეს გმირი დამცველების შთამომავალთა ინფორმაციით, ხალდელები მთლად კმაყოფილნი არ დარჩენილან ბესარიონ ნიჟარაძის შუამავლობითა და მედიატორობით. მართალია, სოფელი არ გამოჰყვა მას გრინვესკისთან შესახვედრად, მაგრამ ხალდელთა ერთი ნაწილი, ძირითადად ნათესავები მანც დაუთანხმებია შეხვედრაზე (მთხრობელი ჯოყოლა ჩეგიანი) იმ პირობით, რომ ხალხი გაჩერდებოდა ჯარისგან ერთი ვერსის სიშორეზე და შეხედდებოდნენ მხოლოდ გრინვესკის. მაგრამ ბესარიონ ნიჟარაძის მცდელობა ამო გამოდგა, შუამავლობამ უქმად წაიარა, შეხვედრა არ შედგა, რადგან სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა დაპირისპირება გრინვესკისა და ლეუსს შორის. რაც შეეხება ბესარიონ ნიჟარაძის შუამავლობას, იგი რეალურად მხოლოდ ინფორმაციის ერთგვარი გამცველი იყო და მისი მინიმალური და მწირი კომპეტენციის პირობებში თანამემამულეებს მეტს ვერც ვერაფერს გაუკეთებდა დიდი სურვილის მიუხედავად.

ასე რომ, ერთმანეთის ჯიბრზე და ერთმანეთზე გულმოსული გრინვესკი და ლეუსი ჯარით ხალდესკენ გაემართნენ თანხლებუ პირებთან ერთად. ესენი იყვნენ: ბოქაული მიქელაძე, ექიმი ბელსკი, თარჯიმანი ბაქრაძე, მამასახლისი მარგველანი და დენწიკი ასათიანი (ნიჟარაძე, 1964: 196; ჩარკვიანი, 1967: 206).

ამრიგად, 1-ელ აგვისტოს გრინვესკი შეიარაღებული ჯარითა და ამალით ხალდეს მიადგა. ხალდე, როგორც აღენიშნეთ, პატარა სოფელი იყო. ოჯახების რაოდენობა სხვადასხვა ვერსიით თექვსმეტიდან ცხრამეტს შეადგენდა (ჩარკვიანი, 1967: 206; გულოვანი, 2003: 313).

როგორც ბესარიონ ნიჟარაძე გადმოგვცემს, ხალდეში 19 მოსახლე ცხოვრობდა. ხალდელები ამაყი, მარდი და ჯაფის ამტანები იყვნენ. ტანადობით, თამაშ-ლხინით, სიმღერა-ფერხულით მთელ სვანეთში ტოლი არ ჰყავდათ. სოფელში ოთხი გვარი მოსახლეობდა: გასვიანი, ჯოხაძე, ქოქიანი, ჩეგიანი და ჩოფლიანი. ამათგან ქოქიანების კომლი გასცილებია იქაურობას და აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

სხვა ვერსიით, რომელსაც გვაწვდის ხალდეს დამცველთა ერთ-ერთი შთამომავალი ჯოყოლა ჩეგიანი, ხალდეში ოთხი გვარის წარმომადგენელი 19 დიდი ოჯახი სახლობდა: 7 კომლი ყოფილა გასვიანებისა, 4 – ჩოფლიანები და 5 – ჯოხაძეები, ხოლო





3 კომლი ჩეგანებისა. როგორც მოხრობელები ვადმოგვეცემენ, ამათ გარდა მეხუთე ვეპარც ყოფილა ხალდეში. ორი კომლი ქონქიანებისა, მაგრამ ამ ვეპარმა დაფიცებაში არ მიიღო მონაწილეობა და ხალდე დაუტოვებიათ (მოხრობელი ჯოყოლა ჩეგანი). ჩეგანების თითოეულ ოჯახს თავისი კოშკი ჰქონია. 4 კოშკი ვასვიანებისა ყოფილა, 3 ჯოხაძეებისა, ხოლო 2 - ჩოფლიანების. ასე რომ, ხალდეში სულ 12 კოშკი ანუ მურყვამი მდგარა. ცხადია, თავისებურ სიმაგრეს წარმოადგენდა სვანური ქვითკირის სახლიც ანუ ლუშნუ ქორი და განსაკუთრებით მანვიბი.

ხალდე მტრის შესახვედრად მოეშადა. შეიარაღებული მამაკაცები, რომელნიც სხვადასხვა ვერსიით 37-დან 40-მდე ყოფილან, კოშკებში განლაგდნენ, ხოლო დარბაი-სელი მოხუცი სოფლის შუაგულში, სვიფში ელოდნენ მშვიდობიანად მტერს და მქონდათ მცირელი იმედი იმისა, იქნებ საქმე კეთილად მოგვარდესო.

პირველი ხალდეში გრინვესკი შევიდა თავისი მხლებლების (ექიმი ბელსკი, მამა-სახლისი მარგველანი, კადელები გოგი ხარძიანი, გოგი გამყრელიძე და ისლამ მარ-გველანი) თანხლებით. ჯარის ერთი ნაწილი ხალდეში გაიშალა, მეორე ნაწილი კი სოფელთან განლაგდა და ალყაში მოაქცია იგი.

დარბაისელმა მოხუცებმა სცადეს მშვიდობიანად მორიგება, ტრადიციულ სვა-ნურ ვახშამსაც დაჰპირდნენ. ისიც გამოეცხადეს, რომ დევნილების (ძებნილების) დაცვასა და ხელის დაფარებას არც აპირებდნენ, ისინი სოფელში არც არიან, ყარა-ჩაეთის მიმდებარე მთებში გაიხიზნენ თავიანთი საქონლით და ბუნებრივია, სოფელს არ ძალუქს მათი ვადმოცემაო (ისარლოვი, 1899: 405; გელოვანი, 2003: 313).

შეიარაღებული ხალდელები თავდაცვით პოზიციებზე განლაგდნენ, თუმცა ორი მათგანი, ძმები გეგი და გიერგ ვასვიანები კოშკებს გარეთ აღმოჩნდნენ. ერთი ვერსი-ით, მათ ვერ მოასწრეს შეხიზვნა (ჩარკვიანი, 1967: 207), მეორე მონაცემებით კი ჯარს შეეგებნენ. ლუქსმა კი რვა ჯარისკაცს უბრძანა მათი შეყვრობა. ერთი მალევე ააგეს ხიშტებზე, მეორემ კი ხანჯალი იშიშვლა და სამი ხალდათი გაიყოლა, თუმცა მეოთ-ხემ იგი იმსხვერპლა.

ეს ყველაფერი ხალდეს დამცველთა თვალწინ მოხდა. ბუნებრივია, საპასუხოდ სროლა გაისმა ვასვიანებისა და ჩეგანების კოშკებიდან. ბადრი, შავხან და ბულა ვასვიანებმა მოკლეს წერას ატანილი მაიორი ლუქსი და დაჭრეს ბოქაული მიქელაძე. ჩვენი ინფორმატორის (მოხრობელის) დიდმა ბაბუებმა მოში და გუა (გოგი) ჩეგანებმა პირდაპირ მასრის უფროსი გრინვესკი ამოიღეს მიზანში. მას გარდაუყვანი სიკვდილი-ელოდა, მაგრამ რატომღაც თავი გამოიღო კალის მამასახლისმა მარგველანმა, ცოც-ხალ ფარად დაუდგა და მის წილ ტყვიას ემსხვერპლა.

თორმეტივე კოშკიდან დაიწყო სროლა რუსების მიმართულებით, რომელნიც, თავის მხრივ, ყველა შესაძლო შენობას ეფარებოდნენ. სროლა დადამებამდე გაგრძელ-და. რუსების მხრიდან ორი კაცი დაიღუპა (ლიუბლინსკი და ივანოვი) და ცხრა დაიჭ-რა. ხალდელები კი მამა-პაპათა კოშკებმა საიმედოდ დაიცვეს.

შუღამების შემდეგ რუსთა რაზმმა ლალხორში გადაინაცვლა. გრინვესკი ჩეგია-ნების თოფს კი გადაურჩა, მაგრამ იმ ღამეს ვასვიანების შურისძიებას ემსხვერპლა. გრინვესკიმ, დაჭრილმა მიქელაძემ, ექიმმა ბელსკიმ, ბაქრაძემ, ასათიანმა და დევდეთ პირველმა (პირველადემ) სოფლის აღმოსავლეთით მდებარე ჯოხაძეების, კერძოდ ესპა-ნე ჯოხაძის ოჯახს შეაფარეს თავი (გულბანი, 1966, 51-85). სწორედ აქ, დამით ემ-სხვერპლდნენ შესისხლეთა რისხვას. ისინი მოკლულ ხალდელ ვასვიანთა ნათესავებმა ამოხოცეს. ამ შურისძიების მოთავენი ყოფილან ხიშტებზე აგებული გეგი და გიერგ ვასვიანების ძმა ბულა ვასვიანი და მათი ბიძაშვილი ჩოფა ვასვიანი.



მსხვერპლთაგან მხოლოდ დაჭრილმა ბაქრაძემ დააღწია თავი, ჩააღწია ქუთაისში და წერილად მოახსენა ყველაფერი ქუთაისის ვიცე-გუბერნატორს მალაფევს. მთონვერისით, დველეთ პირველიც გადაურჩა შურისმაძიებლებს (კოჭლავაშვილი, 1945: 158).

ერთი სიტყვით, პირველ დღეს ხალდელებმა დიდი სიზმაცე და ვეპაცობა გამოიჩინეს ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ისიც იცოდნენ, რომ ამ ყოველივეს არაფერ შეარჩენდათ. დაახლოებულ დახოცილი მომხდურნი, თავიანთი ცოლ-შვილი ნათესავებში გახიხნეს და დაიწყეს მზადება გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

ხალდელებმა სოფელი მიუვალ ციტადელად აქციეს, მაგრამ სვანეთის წინა წლის მღელვარება და აჯანყება უკვე ჩამცხრალი იყო და სოფელი ხალდეებისპირ აღმოჩნდა მტერთან. გადმოცემით ხალდელებს მიშველებიან სვინილდ ჯაფარიძე და შურათბი ჩართოლანი მესტიიდან.

ხალდეში მომხდარი არანახული და არგაგონილი შეტაკება პრესტიჟის შელახვა და სასტიკი გამოწვევა იყო რუსეთის ხელისუფლებისათვის. რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის ომებში გამარჯვებული, კავკასიის მთიელი მოსახლეობის დამპარცხებული რუსული არმიის უძლეველობას და რუსი სალდათის სახელს სერიოზული დარტყმა მიაყენა ერთი ქართული, პატარა, მაგრამ ამაყი სოფლის ხალხმა. სვანეთმა ამით დიდი მხნეობა აჩვენა საქართველოს. პასუხად რუსულმა ადმინისტრაციამ მიყენებული სირცხვილის ჩამორეცხვა უღმობელი და სასტიკი გადაწყვეტილებით განიზრახა: აღეგაგა პირისაგან მიწისა მთებში შეყუჟული ხალდე. ასეთი იყო რუსეთის მთავარი შტაბისა და მისი გენერალიტეტის მტკიცე განზრახვა. შეიქმნა სვანეთში გასაგზავნი მძლავრი სამხედრო ძალა ომის წარმოების ყველა წესის გათვალისწინებით, სხვადასხვა სახეობის რაზმით, საველე ლაზარეთით, სამხედრო ადლით, ერთი თვის სამყოფი სურსათ-სანოვავით და საომარი აღჭურვილობით (კოჭლავაშვილი, 1945: 206; ჩარკვიანი, 1967: 211). საბოლოო მიზანს არც მალაფენენ: ალყაში მოექციათ სოფელი ხალდე და იქიდან ცოცხალი არ გაეშუათ არც ერთი სულდამგულა.

მიფლიანობაში ხალდეს სადამსჯელო ექსპედიციაში მონაწილეობდა ალექსანდრეპოლის 161-ე ქვეითი პოლკის ოთხი ასეული, ქუთაისის გუბერნიის ქვეითი მილიციის ორი რაზმი, 39-ე საარტილერიო ბრივადის სამთო ბატარეის ოცეული, მესანგრეთა ასეული, გურიის მილიციისა და ბენოს სამხედრო ნაწილის რაზმები. ქუთაისთან კავშირის დასამყარებლად მოეწყო კახაკთა ხუთი საგუშაგო. ოპერაციას ხელმძღვანელობდა გენერალი ციტოვიჩი.

გულდაგულ მიიწვედნენ ხალდესკენ თავისი საცეცებით დამსჯელნი. გზა ქვემო სვანეთის გავლით არჩეს. ქუთაისიდან 12 აგვისტოს ჩოლურს მიაღწიეს, ჩოლურის თემის სოფელ ჭველევიდან საურმე გზა გაიყვანეს ლატვარის უღელტეხილზე, 19 აგვისტოს ლატვარის უღელტეხილი გადალახეს და ასე მიაღწენ ხალდეს სანახებს, სადაც თავად თენგიზ დაღესტქელიანის მიერ მთავრობის დასახმარებლად გამოყვანილი რაზმი დახვდათ. 20 აგვისტოსთვის განლაგდნენ სოფლის პირისპირ იმ ადგილზე, რომელიც მიჯვარიშის სახელითაა ცნობილი. ეს იყო სტრატეგიული ადგილი, საიდანაც ხელის გულივით ჩანდა მთელი სოფელი. სწორედ აქ მოაწყვეს დამყრობლებმა საარტილერიო მოედანი სამთო ქვემეხებისათვის. ალყის მოწყობა საბრძოლო ტაქტიკის ყველა წესით დაღესტქის მიმდინარეობდა, საფარი ზღუდეების, სანგრების, თხრილების ჩათვლით.

უშუალოდ ბრძოლის დაწყების წინ მტერმა ხალდელებს მოციქულები გაუგზავნა და დანებება მოსთხოვა. ცხადია, თავდასაცავადგამზადებულმა სოფელმა უღტიმბრტუმი არ მიიღო და უღმობელი ბრძოლაც დაიწყო. სწორედ ამ დღეებში, ხალხში იშვა სვანური საგმირო-პეროიკული სიმღერა „გაულ გაცხე“. ეს ფერხული-სიმღერაა, რომელიც ასა-



ხავს ხალდეში განვითარებულ მოვლენებს, მოციქულების გაგზავნას, დანებების მოთხოვნას, ხალდელთა უარს და იმ სასტიკ და თავგანწირულ ბრძოლას, რომელიმე ტარა სოფლის, ხალდესს სახელი გმირობისა და გაუტყეხლობის სინონიმად აქცია.

პროფ. გერონტი გასვიანის (რომელიც ამ სოფლიდან არის წარმოშობით) მონაცემებით, მტერი ხალდესს სამი მხრიდან უტყვედა: სამხრეთიდან – მიჯვრიშ-ლაშარის მხრიდან - 6 ქვემეხით; დასავლეთიდან – იფრალის, კრაბზუგარის, ვანიაშის გზით და აღმოსავლეთის მხრიდან (გასვიანი, 1991: 136).

პირველი იერიში და ცეცხლის წვიმა ხალდელებს 21 აგვისტოს დაატყდათ თავს, მაგრამ უშედეგოდ. მომდევნო დღეს ხალდელებმა კვლავ საბაზუხო ცეცხლი გახსნეს. ამჯერად მიზანში სარტილური ბატარეა ამოიღეს. ერთ-ერთი კოშკიდან გასროლამ მიზანს მიაღწია და ტყვია მეზარბაზნეს მოხვდა. ამ ფაქტს მიხრბობლი, ჯოჯოლა ჩევიანი წინაპართა ნაამბობზე დაერდნობით ასე გადმოგვცემს: მიჯვრიშიდან ქვემეხების სროლა ხალდესს დამცველებს დიდ ზარალსა და ნგრევას აყენებდა. მაშინ ამოუღია მიზანში ჩემი ბაბუის მამის – ივანეს ძმის, ხალდელთა ერთ-ერთ თავკაცს მომი ჩევიანს ერთი, გამორჩეული, დაუოკებელი მეზარბაზნე და ზუსტი დამიხნებით შუბლი გაუგლეჯია მისთვის. წყობილებიდან გამოსული მეზარბაზნის ნაცვლად ვინმე თავაძე და გოლეთიანი დაუქნებია ქვემეხთან ციტოვინს. არ ვიცი არ იცოდნენ სათანადო სროლა, არ ვიცი არ სურვილი არ ჰქონდათ ზუსტი დამიხნებისა, ფაქტი ის არის, რომ პირდაპირ არ ისროდნენ. ამით გაგულისებულ გენერალ ციტოვინს იქვე დაუხცოცავს ორივენი მიჯრით.

სოფელი კვლავ თავგანწირვით იბრძოდა. ხალდელებმა გადაწყვიტეს როგორმე ქვემეხები გამოეყვანათ მწყობრიდან. გამოიყო კიდეც თავდადებულთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ გურმან, კაციანე და ბადრი გასვიანები, ნარგაზ და ჯოხან ჯოხაძეები და გიორგი ჩოფლიანი. ადგილმდებარეობის, მოხერხებული გზების კარგად ცოდნის წყალობით გულადმა ხალდელებმა მოახერხეს შეუმჩვენვლად და მოულოდნეოდ თავის დასხმოდნენ მოძალადეთა შუაგულს. სიცოცხლეს გამოსასალმეს სამი მებრძოლი, ხოლო ოთხი დატრეს. მაგრამ სამწუხაროდ, დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს, ანუ მწყობრიდან ვერ გამოიყვანეს „მოთავარი მტერი“ – ქვემეხები (გულგონი, 2003: 116).

სწორედ ქვემეხების უღმობელ ცეცხლში იყო გახვეული ხალდე 23 აგვისტოსაც, რამაც ის გამოიწვია, რომ დღის ბოლოს მოხუცებისა და ქალების ერთმა ნაწილმა დატოვა სოფელი და სამხედრო ბანაკისკენ გაეშურა. ალყა უფრო და უფრო ვიწროვდებოდა და შემხუთველ საღატესავით შემოაწვა თავისუფლებისმოყვარე ხალდესს.

გადამწყვეტ იერიშზე მომხდურნი 26 აგვისტოს გადავიდნენ. ხალდესს ცეცხლის სეტყვა დაატყდა. ამავე დროს დაიწყო იერიში უშუალოდ სოფელზე ორი მხრიდან და ხალდესს უბან-უბან ხელში ჩაგდება. აქაც მთავარ წინააღმდეგობად მომხდურთ სოფლის დამცველთა გულადობა და ქართველ კირითხურთა შედეგები – კოშკ-მურყვამები გადაეღობა. ამასობაში გმირ დამცველებს ტყვია-წამალიც ელევათ, ამიტომ გადაწყვიტეს ალყის გარღვევა და უცილობელი სიკვდილისგან თავის დაღწევა. ერთმა ნაწილმა სასწაულებრივად მოახერხა კიდეც ეს.

სვანური კოშკები შეუდრეკლად იღებდნენ თავის თავზე მტრის ქვემეხების ცეცხლს. ამიტომ იყო, რომ მათ წინააღმდეგ სხვა ხერხი იხმარეს. კოშკების ასაფეთქებლად ციტოვინის ბრძანებით საგანგებო დონისიძებებს მიმართეს მეთრე დღეს. ორი კოშკი შიგნიდან გამოწვეს. კოშკების ერთ ნაწილს ძირში მიყარეს ძირიანად მჭკრილი მორები, ცეცხლი ააბრიალეს და კედლები დაუსუსტეს. მეთრე ნაწილს ოთხივე კედლის ძირში დენთი და ლალუმი შეუღაგეს და ისე ააფეთქეს. გამაყრუებელი ხმაურით აფეთქებულა ლალუმი. საოცარია, მაგრამ მათ ზღუდე-კედლებს ვერაფერი დააქ-



ლო ავეთქების სიმძლავრემ და როგორც მედგარი კაცები, ისე წაქცეულა კედლებად დაუბზარავი მურყვამები. გმირი კოშკების ბედი, გმირმახალდელებმაც გაიზიარეს ვაჟკაცურად შეაკედნენ მტერს.

ქვიტიკირის სვანურ საცხოვრისებს, ღუშნუ ქორ-მანებებსაც იგივე ბედი ეწიათ. მიწასთან გაასწორეს ძელური ნაგებობა-ჯარგვალებიც და ცვეცხლს მისცეს ბარბაროსულად. ცვეცხლს მისცეს მოსამკელი ყანებიც და ხალდელთა ცოლ-შვილი შიმშილისთვის გაწირეს. რუსებმა ააფეთქეს ხალდეს მაცხოვრის ეკლესიაც.

როგორც ყოველივე ამის მომსწრე და უშუალო თვითმხილველი ბესარიონ ნიჟარაძე აღნიშნავს, ერთი დღის წინათ ღამაში ხალდე ახლა უკვე ნაგრევების გროვას წარმოადგენდაო (ნიჟარაძე, 1964, 198).

სოფელს ნაწილ-ნაწილ თავდაღწეულმა ხალდელებმა მყინვარებს შეაფარეს თავი. მათ სვანებმა კოჯაშ შტავლარ ანუ კლდის მერცხლები უწოდეს, ხოლო დიდმა გალაკტიონმა ასე უმღერა კლდეს შეფარებულ გმირებს: „რა გინდათ მთებში, რას ერჩით მერცხლებს?“.

გადმოცემის მიხედვით (ჯოყოლა ჩეგიანი) თენგიზ დაღეშქელიანის რაზმმა მყინვარებში მიიწყვდია ხალდელი ცხრა ვაჟკაცი. გამოსავალი აღარ იყო. მაშინ მიუძარტავს თანამოძმეებისთვის მომი დათას ძე ჩეგიანს: „მინც ვიდუპებით, უკანასკნელად გავთბოთ და გავარღვიოთ ალყაო. მუჯრები დატყხეს და ცვეცხლი იმით აანთეს. ცოტათი გამთბარან, სიცოცხლის ნიშატი და წყურვილი დაბრუნებით გათოშილებს და ალყა გამოსურღვევიათ. სადაც ალყა გამოურღვევიათ, იქ მულახელები მდგარან და მათ, ფაქტობრივად, გამოურტარებით თანამოძმენი. თ. დაღეშქელიანს კი კალელებისთვის დაუბრძლებია აჯანყებულთა გაქცევა და ამიტომ კალელები ქცეულან რისხვის ობიექტად.

მეფის მთავრობამ კვლავ ვერაგობას მიმართა. დეენილთა ცოლ-შვილი შეუყურიათ და მათი დახოცვით იმუქრებოდნენ. თენგიზ დაღეშქელიანს მინც არ ჩაბარდნენ. ერთ-ერთი ვერსიით (მთხრობელი ჯოყოლა ჩეგიანი) ჩამოსულან ქუთაისში (სხვა ვერსიით, ლენტეხში, სამაზრო ცენტრში), გუბერნატორთან. ეხოში ნაძვის ხე მდგარა, თოფი მასზე გადაუტეხავთ -და „გაულ გავესს“ სიმღერით ჩაბარებიან გუბერნატორის აღმინსტრაციას.

### გაურ-გავხე

მიჯვრის ზეგანზე (მთაზე) რუსის ღაშქარი  
 შეკრებილა, მიჯვრის მთაზე  
 შეკრებილა ლენხუმის აზნაურობა,  
 თათბირობდნენ ხადეს დაქცევაზე.  
 მოისაქმეს ხალდეს დაქცევა.  
 სასტიკად იბრძოდნენ ხალდეს ვაჟკაცები,  
 ყველაზე კარგად გურმან და ჭოხანი:  
 ვისაც ესვრიან, თავში ახვედრებენ,  
 რუსის ჯარს თავსა სჭრიდნენ.  
 წყალში ყრიდნენ  
 ქულები კალის ბავშვებს გამოქონდათ [მდინარიდან].

*ღაშხეთი, სოფ. სასაში, 1936 წელი, -  
 სვანური პოეზია, I, ტფ., 1939. გვ. 62-63.*



ასე დამთავრდა სვანეთის აჯანყების მეორე ეტაპი – ხალდეს აჯანყება სოფლებში სრული განადგურებით. მთელი უძრავი ქონება ხომ გაუცამტკვერეს ხალდელ აჯანყებულებს და მათ ოჯახებს, საოჯახო ნივთებსა და პირუტყვს კი აჯანყების ჩახშობაში მონაწილენი დაეპატრონნენ.

რაც შეეხება სოფელ ხალდეს, რომელმაც შეაზანზარა კავკასიის სამეფოსნაცვლო და მისმა ექიმ იმპერიის დედაქალაქამდე მიიღწია, მასთან დაკავშირებით ხელი-სუფლებას თავისი ანგარიში ჰქონდა.

გადაბუკულ და გაცამტკვერებულ ხალდეში მეფის მთავრობამ აკრძალა დასახლება. ხალდელთა ოჯახები ნათესავეებს იყენენ შეხიზნული როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში. ასე, მაგალითად: მომი ჩევიანის ძმას ივანეს (ანუ ჩვენი მიხრობლის, ჯოყოლა ჩევიანის ბაბუის ძამას) ცოლი ქვემო სვანეთიდან, ჩოღურის თემის სოფელ მუწლიდან ჰყოლია, კვასტიანების ქალი. ასე რომ, ჩევიანების ოჯახის წევრები კვასტიანებს შეუფარებიან.

მხოლოდ 1880 წელს მიიღეს ხალდელებმა კვლავ თავიანთ სოფელში დასახლების უფლება. თუმცა ხელახლა, ფერფლიდან აღდგენილ სოფელს ხალდეს ნაცვლად ახალი იფრარი დარქვეს. სოფელი ნელ-ნელა გაშენდა და 1892 წლისთვის აქ უკვე 15 მოსახლე იყო (ნიკარაძე, 1964: 199; ჩარკვიანი, 1967: 217), მაგრამ მიხედვად ამ აკრძალვისა, სოფელს მაინც ხალდეს ეძახდნენ და შემდეგ ოფიციალურადაც აღდგა ეს სახელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხალდეს აჯანყების მიმდინარეობას ქართველი საზოგადოება გულდასწყურით ადევნებდა თვალს. ასევე, ქართველი ინტელიგენციის ყურადღების ცენტრში იყო შეპერობილ აჯანყებულთა სასამართლო პროცესი. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები გარდა მორალური მხარდაჭერისა, უშუალოდ მონაწილეობდნენ პროცესის მიმდინარეობაში, როგორც მსჯავრდადებულთა დამცველები.

საზოგადო მოღვაწეთაგან, ვინც პირველმა აღიმაღლა ხმა აჯანყებულთა დასაცავად, ნიკო ნიკოლაძე იყო, რომელმაც თავისი პუბლიცისტური წერილებითა და კორესპონდენციებით გამოავლინა აჯანყების რეალური ფესვები და მიზეზები. მის წერილებში ნათლად გამოჩნდა სვანეთის მოსახლეობის ტრადიციული წესების, ჩვეულებების გაუთვალისწინებლობა და იგნორირება ოფიციალური ადმინისტრაციის მიერ აქ გატარებული თუ გასატარებელი ქმედებებისა და გადაწყვეტილებათა დროს.

ასევე, სვანების წეს-ჩვეულებებისა და ადათების გაუთვალისწინებლობაზე მიაპყრობდა ყურადღებას დიდი აკაკი წერეთლი, რომელმაც სასამართლო პროცესზე იკისრა საზოგადოებრივი დამცველის როლი.

მაღალი პროფინანსიანი შიში იცავდნენ აჯანყებულებს ოფიციალური დამცველები ლ. ლოლაუა, დ. ლორთქიფანიძე, აღმაზოვი, დრობიშჩევი. სწორედ მათმა ერთიანი და ფართო საზოგადოებრივმა რეზონანსმა აიძულა რუსული ადმინისტრაცია თავდაპირველი სასჯელი – ჩამოხრჩობა კატორღით შეეცვალათ, ასევე, შეემცირებინათ გადასახლების ვადები. თუმცა განაჩენი მაინც უსამართლო და მძიმე იყო. განაჩენი ზოგიერთი ცვლილებით დაამტკიცა კავკასიის არმიის მთავარსარდალმა 1877 წლის 8 იანვარს. საბოლოო განაჩენი ასეთი იყო: გურმან, ბუღა, ჩოფა გასვიანებსა და ჯოხან ჯოხაძეს მისეაჯათ ქონებაზე უფლების ჩამორთმევა და განუსახლვრელი ვადის “კატორღული შრომა” საბადოებში. ბადრი, გიერგ, შავხან, ბექა, კაცია, გიერგ, კასტილიანე გასვიანებს, გეგი ჩოფლიანს, ჩარგაზ, ესპანდრ, ლემინ ჯოხაძეებს, მომი, ხერდუ, გუა ჩევიანებს ქონებაზე უფლების ჩამორთმევა და გადასახლება ციმბირში; ბითე, გუა გასვიანებს, ბადილა, ზურაბ ჯოხაძეებს, ერკმან ჩევიანს, ავადმყოფობის გამო სასამართლო პროცესზე არმიყოფ პატიმარ გიორგი ჩოფლიანს მისეაჯათ გადასახლე-



ბა და დასახლება იმპერიის რომელიმე სამხრეთის გუბერნიაში. ზურაბ გასვიანს, რომელიც, ასევე, ავადმყოფობის გამო არ ესწრებოდა სასამართლო პროცესს, გადასახლება ციხისნაცვალად შორეულ მხარეში.

არაადამიანური პირობების გამო გადასახლებულთაგან მხოლოდ ჩოფა ჩოფლიანი და მოში ჩეგიანი დაბრუნდნენ ცოცხალი.

სწორედ მოში ჩეგიანი, ეს გაუტეხელი მუამბოხე იყო პირველთაგანი, რომელმაც გადასახლებიდან დაბრუნებულმა ახალი სული შთაბერა ხალდეს. ქვემო სვანეთში, ჩოღურის თემის სოფელ ზაგალოდში შეხიზნული ოჯახი ამოიყვანა და ხელახლა დაანთო კერაზე ცეცხლი. მისი ინიციატივითვე აღუდგენიათ მაცხოვრის ეკლესია და სახელოვანმა სოფელმა ახალი სიცოცხლე დაიწყო. მოში ჩეგიანსვე აუგია ფეხის ეკლესია და დეთისმშობლის ეკლესია ივარის თემში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გერონტი გესვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979.
2. არჩილ გელოვანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში. თბ., 2003.
3. ბესარიონ ნიჟარაძე, სვანეთის ადვლეგა 1875-1876 წლებში. წიგნში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“, II, თბ., 1964.
4. გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, 1894, №3378.
5. როზეტა გუჯავჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან (სვანეთი), 2008.
6. გაზეთი „დროება“, 1875, №№39, 93, 94; 1876, №№77, 83.
7. ავტორის საველე მასალა, მთხრობელი ჯოყოლა ჩეგიანი, 2011.
8. ალექსანდრე ჩარკვიანი, სვანეთი, თბ., 1967.
9. გ. გულბანი, 1875 წლის მღელეარება სვანეთში. წიგნში „ეს იყო მთაში“, თბ., 1966.
10. ალექსანდრე კოჭლავაშვილი, გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სვანეთში 1875-1876 წლებში, „საისტორიო მონაბე“, ტ. I, 1945.

„კვირია“ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში

„კვირია“ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში საგალობელს აღნიშნავს.

ტერმინი „კვირია“ რამდენიმე ვარიანტით დასტურდება: კჭირია, კირია, კვირიოლ... ამოსავალი ფორმა ჩანს კვირია, რომლისგანაც ვი > უ პროცესით (ღაბიადიზებული კომპლექსის ტრანსფორმაცია პალატალიზებულ ხმოვნად) მიიღება კჭირია; დეღაბიადიზაციით – კირია<sup>1</sup>, ხოლო -ოლ- კინიობით-ადერსობითი სუფიქსის დართვით – კვირიოლ<sup>2</sup>; შდრ., ივანე ჯავახიშვილი აფიქსირებს კვირია ფორმას (ჯავახიშვილი 1979 101-105).

საგალობლის რამდენიმე ვარიანტია შემონახული:

საგალობელის ერთი ვარიანტი დიდი საუფლო დღესასწაულების, სათემო-სატაძრო დღეობების, საწყის სუფრის დაწყების წინ, ლიკურიელის, ბერიკაობა-ყვენობისა (მურყეამობა, აღბა-ღაღალი...) და ლაშთხვევის ბარბარობისა და ა. შ. რიტუალების დროს აღველინება, მას პირობითად საზეიმოს/სადღესასწაულოს უწოდებენ; თავის მხრივ, ამ ვარიანტს კიდევ რამდენიმე სახესხვაობა უდასტურდება. „კვირიას“ მეორე ვარიანტი სამგლოვიაროა და გასვენების დღეს წარმოითქმება, ხოლო მესამე („კვირიოლა“) იგალობება დარ-ავდრის გამომწვევი რიტუალების დროს.

საგალობლის ყველა ვარიანტს საერთო აქვთ წარმომავლობა, ასევე, სვანეთის სასიძღვრო ფოლკლორისთვის დამახასიათებელი კომპლექსური მრავალხმიანობა, სვანური საერო-საგალობლებისთვის ხშირად ცვალებადი ზომა, ქართული სიმღევა-გალობლისთვის დამახასიათებელი სამხმიანობა, ვერტიკალურად და ღინიადურად ქართული წყობა და მრავალი მარტივად თუ რთულად შესაძინევი საერთო მუსიკალური თვისება.

ბუნებრივია, ეს საგალობელი ადრეული ფენებიდან იღებს სათავეს. ცხადია, იგი სხვადასხვა ეპოქის კულტურულ პლასტებში არსებული საგალობელია, რომელიც ჩვენს დრომდეც ცოცხალი სახით მოვიდა და დღესაც რელიგიური ყოფის აუცილებელი ელემენტია

კვირიასთან დაკავშირებით ორი საყურადღებო მომენტი იკვეთება: საგალობლის შემსრულებელთათვის საგალობელი მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანულ აღმსარებლობასთანაა დაკავშირებული და ღვთისადმი ადვლენილ სადიდებელს წარმოადგენს. მეცნიერთა მიერ კი საგალობლის არქაული ძირებიცაა გამოვლენილი და მათი აზრით, საგალობელი წარმართული ღვთაებისადმი მიძღვნილი. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ სახელის (კვირია) მქონე ღვთაებასაც აფიქსირებს სვანეთის ყოფაში: „კვირია – ბუნების მაწარმოებელი ძალა“ (არაყიშვილი: 1950: 21), „სვანების პანთეონის მთავარი ღვთაებები – კვირია, ჯგრაგ, ლამარია ... სვანების ღვთაებათა პანთეონში კვირიას ეჭირა ერთი მთავარი ადგილი...“ (მამალაძე: 1972: 197) და ა. შ. შესაბამისად, მკვლევართა აზრით, ღვთაება კვირიას არსებობა სვანეთის ტრადიციულ ყოფაში, დადასტურებულ ფაქტადაა მიჩნეული.

<sup>1</sup> არ გამოირიცხება ასეთი გზაც: ამოსავალია კირია, რომლისგანაც ეს განვითარებით მიღებულია კვირია, ამ უკანასკნელისგან კი ქართული ენის სვანურ დიალექტებში იოლად წარმოიქმნება პალატალურხმოვნიათი კჭირია.

<sup>2</sup> კონსულტაციისათვის მადლობას მოვასხენებთ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს.

ჩვენი დაკვირვებით, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალით არსად ჩანს ამ ხელწოდების ღვთაება სვანეთში.

„კვირიას“ ღვთაებად გამოცხადების მიზეზი, ვფიქრობთ, იყო XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისისთვის დამახასიათებელი კვლევის ევოლუციონისტური მეთოდი, როდესაც ყოფაში მოქმედი რომელიმე დღეობა ან რიტუალი, მიიჩნეოდა გადმონაშთად, რომლის მიხედვითაც კეთდებოდა დასკვნები განვითარების უფრო ადრეული საფეხურების შესახებ. ამ მეთოდით, საკვლევი მოვლენის რეკონსტრუქცია და პიპოტეტურად მთელი კულტურული ეპოქების ან სოციო-კულტურული სტადიების აღდგენა ხდებოდა. სავარაუდოდ, ასე წარიმართა ამ კონკრეტული საგალობლის კვლევაც.

სამეცნიერო ლიტერატურში ღვთაება კვირიას არსებობის შესახებ მსჯელობა გაშლილია ძირითადად ბერიკაობა-ყვენობის ლოკალური ვარიანტების დროს შესრულებული საგალობლის – „კვირიას“ – საფუძველზე. ჩვენც ამ საკითხით ვიწყებთ საუბარს.

ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, ვისაც სამეცნიერო ბრუნვაში შემოაქვს მასალა ღვთაება „კვირიას“ შესახებ, ივანე ჯავახიშვილია. იგი ყვრდებოდა ა. ონიანის ეთნოგრაფიულ ჩანაწერებს, სადაც, საუბარია მხოლოდ საგალობელზე: დიდმარხვის პირველ, ე. წ. შავ ორშაბათს, ღაშხეთის თემის სოფელ ვახუნდერში იმართებოდა მურყვამობის დღესასწაული, სადა „კვირიაა ღერთა-ს სიმღერა, ანუ საგალობელი“ სრულდებოდა. „ონიანის სიტყვით, არც ერთი სასოფლო ლოცვა არ იქნება, რომ პირველად „კვირიაა“ არ თქვან. კვირიას თქმის დროს ყველანი პირს აღმოსავლეთისაკენ იხამენ და საგალობელს ისე ამბობენ ხოლმე. ეს საგალობელი ღვთის დიდი სავედრებელია და მისი წარმოთქმის დროს ყველა ქედმოხდილია და პირჯვარს იჭერს. ეს საგალობელი მარტო მოხუცებს-და ახსოვთ და მას ესხდა ყველანი ვერ იტყვიან... კვირიას შესახებ ცნობაც ამით თავდება. ონიანს სამწუხაროდ არაფერი აქვს ნათქვამი, ან ამ საგალობელს რა პირობებში და როგორ წარმოსთქვამენ, ან თვით საგალობლის სიტყვები რა ნაირია, ან ამ საგალობლის წარმოთქმას რა მოჰყვება ხოლმე, ან დასასრულ კვირიაა რა ღვთაებად ეხატებათ სვანებს და რას შესთხოვენ მას?“ (ჯავახიშვილი: 1979: 104-105). ამის შემდეგ მკვლევარი სვანურ კვირიაა-ს უკავშირებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კვირიას და დაასკვნის, რომ შესაძლოა, „მურყვამობა სქესობრივი სიყვარულისა და შეიღოსნობის მფარველი ღვთაების „კვირიაა“-ს დღესასწაულის ნაშთი იყოს“ (ჯავახიშვილი: 1979: 110).

ივანე ჯავახიშვილის ამ მოსაზრებას შემდგომში იხიარებს თითქმის ყველა დაინტერესებული მკვლევარი, მათ შორის, ეთნომუსიკოლოგთა ერთი ნაწილიც.

ღვთაება კვირიას შესახებ ვრცელი მსჯელობაა ჯ. ონიანის სადისერტაციო ნაშრომში, რომელშიც აღწერილია ბერიკაობის ზოგიერთი ლოკალური სვანური ნაირსახეობა ჟაბეშისა (ზემო სვანეთი) და ღაშხეთის (ქვემო სვანეთი) მაგალითზე: ყველიერის ადების დროს სოფელ ჟაბეშში იმართებოდა დღეობა „აღბა-ღაღრალი“, რაც სალიტერატურო ქართულით „ადების სიმღერა“-ს ნიშნავს. ჟაბეშელები თოვლის ორ კოშკს აშენებდნენ. ერთი კოშკი უფრო დიდი იყო და მისი აგება კვირისათვის უნდა დასრულებულიყო. თითბრის ბუნიკით და ფერადი ნაკრებით მორთულ ჯოხს – „დროშას“ – ამ კოშკში ჩაახობდნენ. პარასკევსა და შაბათს კოშკთან კვირიას იგალობებდნენ. კვირას ყაენობის რიტუალი იმართებოდა. მასში შემდეგი პერსონაჟები: დღეოფალი, საქმისაი, ყაენი, დელოფლის მოახლეები და ა. შ. მონაწილეობდნენ. დღეობა მთავრდებოდა კოშკის დროშაზე წამოცმული ქუდის ჩამოგდებით (ონიანი: 1969).





ქვემო სვანეთში დღეობას მურყვამობა-კვირიეობა ერქვა და იგი გრძელდებოდა ყველიერის ხუთშაბათიდან კვირამდე. დღეობა კვირიას საგალობლის შესრულებით იწყებოდა. მას მდღესასწაულენი ორ გუნდად გაყოფილნი ასრულებდნენ და შემდეგ ცდილობდნენ თოვლის კოშკის გადაქცევას მოპირდაპირე მხარისაკენ (ონიანი: 1969).

ჟ. ონიანის ნაშრომზე დაყრდნობით ი. სურგულაძე გამოთქვამს აზრს, რომ „საინტერესოა ყველიერის სანახაობა სვანეთში, სადაც ამ დღესასწაულის არქაული ვერსიებია შემონახული. აღსანიშნავია, რომ ყველიერის მასკარად-თამაშობანი სვანეთში ღვთაება კვირიას სახელზე სრულდებოდა...“ (სურგულაძე 2003: 107-108).

თითქმის ასეთივე შინაარსისაა ვ. ბარდაველიძის მიერ ღვინჯერის თემში ჩაწერილი საგალობელ კტირიას შესრულების ერთი დოკალური ვარიანტი: საგალობელი აღველინებოდა ბარბარობის დღესასწაულზე სოფელ ღაშთხევერში. „ღაშთხევერის თარინგუხელის მარეები უდესიანები და ჯაჯვანები ბარბალობას აღმართავდნენ დიდი თოვლის კოშკს, რომელსაც შუაგულში ხეს დაატანდნენ და მის წვერზე ხის ჯვარს დაამაგრებდნენ. ბარბლ შ დილით ყოველი ოჯახიდან მიემართებოდნენ ღმერთების და არყით თარინგუხელის ეკლესიაში და იქ ყველდებოდნენ თარინგუხელს სოფლის მშვიდობიანობას... გარს უფლიდნენ თოვლის კოშკს და კტირიას მღეროდნენ“ (ბარდაველიძე 1939: 11). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ბარდაველიძე მხოლოდ საგალობელ კტირიას ახსენებს და არა ღვთაება კვირიას.

ძირითადად აი, ეს გახლავთ ის მასალა, რომლის საფუძველზეც კვირია სვანეთის ერთ-ერთ ღვთაებადაა მიჩნეული.

განვიხილოთ სხვა შემთხვევები საგალობელ კვირიას აღვლენისა:

ვ. ბარდაველიძე „კვირიას“ განმარტავს შემდეგნაირად: „კტირია ძველებური საგალობელი“ (ბარდაველიძე: 1939: 11). უკვე ითქვა, ეს საგალობელი (სადღესასწაულო) სრულდებოდა ყველა საუფლო და სათემო-სატაძრო დღესასწაულზე და მას მოჰყვებოდა მთავარანგელოზებისა („ლილე“) და წმ გიორგის („ჯგრაგ“) სადიდებლები.

„კვირიას“ გალობდნენ აღმოსავლეთის მიმართულებით მუხლზე დაჩოქილი, ქუდმოსხილი მგალობლები.

კვირიას შესრულების წესს თითქმის ყველა ეთნომუსიკოლოგი ერთნაირად აღწერს:

მაგალითად, შ. ასლანიშვილი საწესო სიმღერებს ორ ჯგუფად ყოფს:

1. საწესო სიმღერები (“ჯორული”, “ჯგრაგი”, “გა”, “კვირია”...), რომელთაც კულტის მსახურნი ასრულებენ.
2. საწესო სიმღერები, რომელთაც ხალხი ასრულებს.

“პირველი ჯგუფის სიმღერები ხალხის ფართო მასებში არაა ისე გავრცელებული... ამ სიმღერებს მხოლოდ დრმად მოხუცები მღერიან... ამ საწესო სიმღერებს ასრულებენ მხოლოდ გარკვეული საკულტო რიტუალის დროს და სუფრის დასაწყისში, როგორც გარკვეულ სარწმუნოებრივ აქტს” (ასლანიშვილი: 1954: 256).

თ. მამალაძის აზრით, “სიმღერები, რომლებიც ეძღვნებათ სვანური პანთეონის მთავარ ღვთაებებს – კვირიას, ჯგრაგს, ღამარიას... – ამჟამად ქორეოგრაფიული ნაწილის გარეშე სრულდება. მუხლებზე დაჩოქილნი, აღმოსავლეთისკენ პირშებრუნებული, ქუდმოსხილი კაცები მღერიან. ცნობების თანახმად, საგალობლების შესრულების უფლება, ძველად, მხოლოდ საზოგადოების გარკვეულ წევრებს ჰქონდათ. კვირიას შესრულების წესი და დრო აღწერილი აქვს ბევრ ავტორს, რომლის შესახებაც აღნიშნულია, რომ სვანეთში არც ერთი რელიგიური დღესასწაული არ ტარდება ისე, რომ, იქ კვირიას საგალობელი არ შესრულებულიყოს. თვით საგალობლის სახელწოდ-

დებაც საფუძველს იძლევა, რომ ეს სიმღერა-გალობა და შეძახილები სვანებმა შექმნეს ღვთაება კვირიას სადიდებლად” (მახალაძე: 1972: 197).

ვ. ახოზაძემ კალის წმიდა კვირიკეს („ლაგურკა“) ეკლესიასთან ჩაწერა კვირიას საგალობელი (ორხმიანი). მთხრობელის ინფორმაციით, „კვირია მხოლოდ კვირიკეს ეკლესიას ეკუთვნის. მას ეკლესიიდან დროშის (ხატის) გამოსვენების დროს მღეროდნენ (თორმეტჯერ) და დროშას სიმღერითვე ჩაასვენებდნენ უკან“ (ახოზაძე: 1957: 10).

ნ. მაისურაძის დასკვნით, „სვანურ ეთნოგრაფიულ მასალაში ყურადღება მიიქცია ღვთაება კვირიასადმი მიძღვნილი სიმღერის შესრულების წესმა. მას ორ ჯგუფად გაყოფილი შედგენასწაულები ორპირულად ასრულებენ. მაშასადამე, იგი ოდესღაც საფერხულო წყობას შეიცავდა. „კვირიას“ მუსიკალური ტექსტების არქიტექტონიკის სიძველე და ზემოხსენებული შესრულების წესი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი წარმართული ხანიდან მომდინარე საფერხულო სიმღერაა. ნიშანდობლივია, კვირიას ეტიმოლოგიური მსგავსება კერასთან, კვერთან (ნაცარში გამოძცხვარი პური), რაც ხაზს უსვამს კვირიას გენეტურ კავშირს ცეცხლთან“ (მაისურაძე: 1989: 37-38).

ფიფქობოტ, ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალა ადასტურებს მხოლოდ საგალობლის და არა ამ სახელის მქონე ღვთაების არსებობას.

საგალობლის მეორე ვარიანტი – ვ. წ. სამგლოვიარო „კვირია“, სრულდება გასვენების დღეს სამჯერ. საგალობლის ეს სახესხვაობა მსგავსებას ავლენს ზარის სარიტუალო დატვირთვასთან, რადგან ძველად „სვანეთში „ზარს“ მხოლოდ ტირიღის მნიშვნელობა არ ჰქონია, იგი ჰიმნიც ყოფილა. იგი სრულდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა გარდაცვლილი იყო ღრმა მოხუცი, რომელსაც არ განუცდია უმცროსი თავისიანების დაკარგვა. ამ შემთხვევაში ზარს ამბობდა მისი გვარის ხალხი, მხოლოდ მოხუცები: გასვენებამდე, გამოსვენების დროს, სასაფლაოზე შესვლის და დასაფლავების დროს. ამჟამად ეს წესი დარღვეულია“ (ახოზაძე: 1957: 21).

ზარის შესრულების რიტუალის ზემოთ აღწერილი დეფინიცია, ჩვენი აზრით, „კვირიას“ ესადაგება, რადგან ზარი კი წარმოითქმება ნებისმიერი გარდაცვლილის გასვენებაში, სადაც კი ზარის მოქმედები შეძლებენ შეკრებას. კვირია კი მხოლოდ მორწმუნე მოხუცებულის გარდაცვალების შემთხვევაში აღველინება, თანაც, ამ დროისათვის გარდაცვლილის ყველა შვილი ცოცხალი უნდა იყოს.

ვ. ბარდაველიძის მასალით, „კვირიას“ საგალობელი სრულდებოდა ლიფანაღის საწესო ციკლის (მიცვალებულთა მოსაგონარი დღეების) დასასრულსაც: ხულების „გაცილების“ შემდეგ სოფლის ახალგაზრდობა იკრიბებოდა და ლიკურიელის რიტუალი სრულდებოდა. ახალგაზრდები საეკლესიო დროშას (დურშაი) ან დიდ ჯვარს გამოიტანდნენ ეკლესიიდან, მეთაურს ანთებულ სანთელს და ზარს დააჭერინებდნენ ხელში და კვირიას გალობით შემოეველიდნენ მთელ სოფელს. ყოველი მოსახლის კართან ჯერ ზარს აახმიანებდნენ, შემდეგ საგალობელს იგალობებდნენ. „ჯერ გუნდის მეთაური მთელ საგალობელს იგალობებდა და შემდეგ დანარჩენი ბავშვები კვირიას გარკვეულ ნაწილს გალობდნენ. გალობის შემდეგ გუნდის მონაწილეებს ხილითა და სხვადასხვა საჭმელ-სასმელთ, პურით, ხორციით ახანუქებდნენ. ბავშვები ოჯახს დალოცავდნენ:

„ადამიანი და საქონელი გამრავლებულიყავით...“.

ბოლოს ეკლესიასთან შეიკრიბებოდნენ, სადაც ლოცვის დასასრულს საზეიმო ტრაპეზი იმართებოდა (ბარდაველიძე: 1953: 289).

ვ. ბარდაველიძის მოყავს კვირიას ამ ვარიანტის ტექსტი: „ლამარია, ამ სახელს ვაძრულებ და ძროხა გაუმრავლდეს, კაცი გაამრავლდეს... დამე ნააზრუვი, დღისით ნაქნარი, კმელა სვიანი, ყველა ბარაქიანი გახადე, სირიააან, კირიააა“ (ბარდაველიძე: 1953: 289).

თანამედროვე მასალითაც ლიკურიელ-ის რიტუალი ლიფან ღის ციკლს მოჰყვება. ცნობილია, ტრადიციულად, ნათლისღების წინა დღეს ზემო სვანეთში თავ-თავიანთ ოჯახებს მცირე ხნით (მომყოფ ორშაბათამდე) „სტუმრობენ“ წინაპართა სულები. ლატალის მასალით, სულებს „იწვევენ“ ეკლესიის დასავლის კარებიდან. ამ მიზნით, ყოველი ოჯახის უფროსი აიღებს სინით სუფისკვერებს/ღემჭირებს და ზედაშეს და მიდის ეკლესიის დასავლის კარებთან. იქ გულმხურვალე ლოცვით შესთხოვს მაცხოვარს თავისი წინაპრების სასუფეველიდან გამოსვლას. ამის შემდეგ იგი მიემართება შინისაკენ და თან ლოცვას წარმოთქვამს. ამავე დროს, შესთხოვს თავის მიცვალებულებს, გაეყვნენ უკან. სახელში ახვედრებენ სუფრას სამარხო კერძებით. მეორე დღეს – ნათლისღებას – განსაკუთრებული სადღესასწაულო სუფრა იშლება. ოჯახის წევრები მთელი დამეების განმავლობაში ართობენ „სტუმრებს“, ყვებიან ზღაპრებს, მღერაინ და უკრავენ ჭუნირზე. ორშაბათ დილით სულაებს „აცილებენ“. ოჯახის უფროსი აიღებს ხელში თაფლიან რქეს და გზადაგზა აწვევებს, თან ლოცულობს: „ქრისტე მაცხოვარო, შეიწყალე ჩვენი მიცვალებულების სულები, იქ ამყოფე, სადაც ბამბად თოვდეს და რქედ წვიმდეს...“. იგი, ასევე, გზას ულოცავს სულაებს – „მშინიან გზები გქონოდეთ“-ო. ამ გაცილების შემდეგ ეკლესიის დასავლის კარებიდან გამოაქვთ ხის ჯვარი რომელიც კარებთან ინახება და მხოლოდ ამ დღეს შეიძლება მისი გამობრძანება. ჯვრით ხდება ოჯახების დალოცვა. მთელი სოფლის კაცები შეიკრიბებიან და ოჯახებს დაივლიან, ამ დროს ოჯახის წევრები შიგნით არიან შეკეტილები და ელოდებიან მომლოცველებს. მომლოცველები გარედან კარებს მიაბჯენენ ჯვარს და ერთ-ერთი კაცი იწებს დალოცვას: წმინდაო გიორგი ამ სახლს ხარი და ძროხა უმრავლდეს, მათი მომწველი კაცი, ყანა და მინდორი დაულოცე, ვაჟები გაუმრავლდეს, ყველაფერი გაუსხვიანე, ყველაფერი გაუბარაქიანე. ამ ბოლო ფრაზის შემდეგ მთელი სოფელი ხმამაღლა და ერთხმად გაიძახის, „სირიან კვირიაა“. ამ დალოცვის შემდეგ შიგნიდან ოჯახს გამოაქვს სუფრა და გუნდი საგალობელის თქმით ხვდება გარეთ. ამ დღეს იგალობება: კვირია, დიდებოთა და ჯგერგიშ. ფინალი ამ რიტუალისა სრულდება ეკლესიაში სადაც უკვე მთელი სოფლის დალოცვა ხდება და სწორედ ეკლესიაში იგალობება სადღესასწაულო „კვირია“, ჯვარი ბრუნდება განსაკუთრებულ ადგილზე. მომდევნო ლიკურიელამდე ჯვარი ხელშეუხებელია.

კვირიას ერთი ვარიანტი „კვირიოლას“ სახელითაა ცნობილი. „არსებობს სვანეთში საგალობელი, რომელსაც კვირიოლას ეძახიან (ეცერში). მას უმთავრესად ხშირი წვიმების დროს ასრულებენ. ამ სიმდერით სამჯერ შემოუკვიდნენ ეკლესიას, შეწირულს მიაართმევდნენ. მათ სჯეროდათ, რომ ამის შემდეგ გამოიდარებდა“ (მამალაძე: 1972: 198; ჭანტურიშვილი: 1969).

“კვირიას ევედრებიან ამინდსაც. ამინდის რიტუალის შესრულებისას აუცილებლად ითვლება კვირიას საგალობლის შესრულება; კვირიას კულტმასახურების სვანურ ვარიანტში ძალზე დიდი ადგილი ეჭირა სქესობრივი სიმბოლიკის და ნაყოფიერების კულტის ელემენტებს, რომლებიც განსახდურავდნენ კიდევ ამ ღვთაების ბუნებას. სვანური კვირია განსაკუთრებული მთვლენაა ქართველთა რელიგიაში“ (სურგულაძე: 2003: 242-243).

ეცერის 2003 წლის მასალით, კვირიოლას რიტუალის შესრულებას წინ დიდი მოსამზადებელი პროცედურები უძღვდა. რიტუალის ჩატარების აუცილებლობა უამინ-



ლობამ განაპირობა. ფაქტიურად, მთელი ივლისის განმავლობაში წვიმდა. მოსახლეობა წუხდა, ნათესებსა და ნათიბს წახდენის საფრთხე ემუქრებოდა. სოფელმა დახმარებისთვის მიმართა ცნობილ მომღერალს მუშნი გურჩიანს. მუშნიმ ჩამოიარა ეცერის თემი, შეკრიბა ხალხური სიმღერების მცოდნე პირები და გადასცა სოფლის სათხოვარი. ამის შემდეგ ის 7 მამაკაცი, ვისაც ამ რიტუალში უნდა მიეღო მონაწილეობა, სამი დღე მარხულობდა. ეს სამი დღეც გადაბმულად წვიმდა. კვირას ადრე დილით მგალობლები შეიკრიბნენ ეცერის თემის სოფელ ბარშის წმიდა ბარბარეს ნაეკლესიართან და დაიწვეს კვირიოლას რიტუალი. მათ სამჯერ იგალობეს კვირიოლა და ასევე, სამჯერ შეევედრნენ კვირია-მაცხვარს გამოდარებას: პირველად წმიდა ბარბარეს ნაეკლესიართან, შემდეგ წმიდა გიორგისა და ღვთისმშობლის ეკლესიების ნანგრევებთან და ბოლოს ეცერის თემის მთავარ ტაძართან – ფხვტრერის მთავარანგელოზების ეკლესიასთან. ნაშუადღევს მგალობლები ბარშში ამობრუნდნენ. მათ სოფელმა სახეიმო ტრაპეზი დაახვედრა. მეორე დღეს გამოიდარა.

ასეთია ეთნოგრაფიული მასალა და როგორც ვხედავთ, ფაქტობრივი მასალით/ეთნოგრაფიული მონაცემებით არსად დასტურდება ამ სახელის მქონე ღვთაება, არც მისდამი მიძღვნილი დღეობა თუ რიტუალი – ყველა შემთხვევაში „კვირია“ მხოლოდ და მხოლოდ საგალობლის სახელია და ძველად იგი იგალობებოდა დიდ დღესასწაულებსა და მნიშვნელოვან სათემო დღეობებზე. თავისთავად საგალობელი კი მიმართულია არა ე. წ. ღვთაება „კვირიას“ მისამართით, არამედ “კირიელისონის” ხალხური ნაისახეობას წარმოადგენს და უფლისადმი მიძღვნილი სავედრებელია.

სვანური მასალით იკვეთება სხვა საყურადღებო მომენტიც, მაგალითად, ეცერული “კირიოლას” შემსრულებლები, კოთხვაზე, თუ ვის უგალობდნენ, გეპასუხობდნენ, რომ კირია-მაცხვარს უგალობდნენ. საყოველთაოდაა ცნობილი ივანე ჯავახიშვილის დაკვირვება, რომ “კვირია” ძველს მცირე ახიის საბერძნეთში გავრცელებული სახელის „კირია“-სგან იყოს წარმომდგარი, რომელიც „უფალსა“ პნიშნავდა“ (ჯავახიშვილი: 1979: 116). ამ საკითხს ივანე ჯავახიშვილი სხვაგანაც უბრუნდება და უშვებს, რომ შესაძლოა „კვირია“ კვირა დღის სახელიდანაა წარმომდგარი, რადგან ამ ღვთაებას შვიდეულის ეს დღე ეძღვნებოდა<sup>3</sup>. რომ კვირადღე ქრისტიანული „შემოქმედი ღმერთისსათვის არის განკუთვნილი“, ანუ „კვირია“ ქრისტიანული თეონიმია, რომელმაც შეცვალა ამ ღვთაების თავდაპირველი წარმართული სახელი (ჯავახიშვილი: 1950: 204). ჩვენი აზრით, ივანე ჯავახიშვილის ეს დასკვნა გასაზიარებელია სვანურ ტრადიციასთან მიმართებითაც. ამასთანავე, ვიზიარებთ მკვლევარ ა. ლეკიაშვილის დაკვირვებას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყოფაში დაფიქსირებული „კვირია“ არა წარმართული ხანის ღვთაება, არამედ მაცხოვარის ხალხური ეპითეტია (ლეკიაშვილი: 1986; ლეკიაშვილი: 1987), ვინაიდან ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას კიდევ უფრო მეტად სვანეთის ყოფა იძლევა.

დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვხვდებით სიმღერებს: „კირიაღესა“, „კირიაღესო“, რაც ეჭვგარეშეა, რომ კირიელელისონის ხალხურ სახესხვაობას წარმოადგენს. საფრთხეელია, რომ „კვირიაც“, სხვა არაფერია თუ არა ბერძნული თეონიმის (ბერძ. კირიე – ღმერთი) გაქართულებული ვარიანტი.

საიდან შეიძლებოდა შემოსულიყო ბერძნული სიტყვა ქართულ ხალხურ შემოქმედებასა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შექმნილ სიმღერაში? ამის პასუხს

<sup>3</sup> საკულისხმოა, რომ „უფლის დღეს“ – კვირას ფერეიდნელი ქართველები ამჟამადც „კირია“-ს უწოდებენ (გოცირიძე: 1987: 67).



ეპოქობთ გიორგი მერსულესთან: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რემელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღსრულქვის. ხოლო „კვირიელისონი“ ბერძნულად ითქმის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა ყაჳ“, ანუ „უფალო შეგვიწყაღუნ“ (გიორგი მერსულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება). სწორედ ასეა დღემდე, წირვაზე ერთხელ მაინც იგალობება „კირიელისონ“. ანუ, სიტყვა „კირიე“ არ იყო ქართველისათვის უცხო და სავსებით შესაძლებელია, შესულიყო საგალობელში. საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია „ალილო“, რომელიც ებრაული „ალილოიას“ სახეცვლილი ვარიანტია და შინაარსობრივად არაფერი აქვს სერთო შობასთან, მაგრამ ყველა საშობაო სიმღერის რეფრენს წარმოადგენს.

ძენელია, ვისაუბროთ „კვირიასა“ და, თუნდაც, „კირიალესას“ მელოდიურ, ან რამე სახის მუსიკალურ მსგავსებაზე, რადგან, არათუ, სხვადასხვა კუთხის სიმღერები, არამედ, საკუთრივ, სვანეთში ჩაწერილი ვარიანტებიც საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მრავალი ფაქტორი მიუთითებს იმაზე, რომ საწესო-სარიტუალო სიმღერებში ქართველ მთიელთა მიერ მოხმობილი კვირია არის სწორედ ის ღმერთი რომელსაც რეალურად აღიღებენ ქრისტიანი ქართველები და უფლის სახელს – კირიე – მოიხსენიებენ იმ ენაზე, რომლიდანაც მოეფინა საქართველოს ნათელი ქრისტესი. უფრო მეტიც, სწორედ ასე იწყება გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ვ ახობაძის მიერ ჩაწერილი კვირიას ერთერთი ნიმუში: „კირიე, კირიე, კირიე“ (ახობაძე: 1957).

რასაკვირველია, დღეისათვის ზემოთ აღწერილი რიტუალების სემანტიკური ველი დასუსტებულია, მაგრამ ისიც, ცნობილია, რომ სვანეთი საერთოდ კონსერვატულობით გამოირჩეული მხარეა და ეს უპრეცედენტო კონსერვატულობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ქართველ მთიელთა რელიგიურ მსოფლადქმავია. სვანეთის საზოგადოება დღესაც რელიგიური საზოგადოებაა და მრწამსობრივი სიღრმეებისა და მოტივების მღვრადობა აქ ყოფით ნიუანსებშიც კი შეღავნდება. შესაძლოა, საგალობელი კვირია უძველესი დროიდან მომდინარეა. მაგრამ გასთვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გაქრისტიანების შემდეგ ყოველი იღვა ახალი – ქრისტიანული სწავლებიდან მომდინარე – არსის მატარებელი ხდება და ცხადია, რომ მურყვამობა-კვირიაობისა თუ აღბა-ლაღრალის დღეობების სიუჟეტების კონსტრუქციებსა და მრწამსშიც ხდება ცვლილებები, რომლის ვერტიკალიც, დაკვირვების შემთხვევაში, თვალსაჩინოდ იკვეთება. შესაბამისად, მკვლევარს აქვს სრული უფლება და შესაძლებლობა თანამედროვე რიტუალსა თუ დღეობაში არქაული ფესვების დანახვისა, მაგრამ როდესაც საუბარია რიტუალის მონაწილეთა მენტალობასა და რელიგიურ მსოფლადქმავზე, აქ, პირველ რიგში, სწორედ მათი სარწმუნოებრივი მრწამსი უნდა იყოს გათვალისწინებული და არა მკვლევრისეული ინტერპრეტაციები. დღეობათა მონაწილენი და მგალობელები კი ხოლოდ და მხოლოდ ღმერთს, ქრისტიანულ ღმერთს აღიღებენ და უგალობენ. ბუნებრივი და სასურველია, ეს მოტივი სამეცნიერო კვლევებშიც აისახოს. ამავე დროს, მკვლევარი არ უნდა აყენებდეს ეჭვქვეშ მდოცველთა სარწმუნოებრივ მსოფლადქმას და საზოგადოების ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. ობიექტურობა მოითხოვს, ამა თუ იმ დღეობისა და რელიგიური რიტუალის კვლევისას, გათვალისწინებულ იქნას ისტორიული ასპექტები და კულტურულ-სოციალური ტრანსფორმაციის საკითხები.

1. არაყიშვილი 1950 – დ. არაყიშვილი, სვანური ხალხური სიმღერები, თბ., 1950.
2. ასლანიშვილი 1954 – შ. ასლანიშვილი, ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ, I, თბ., 1954.
3. ახოზაძე 1957 – ვ. ახოზაძე, ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, თბ., 1957.
4. ბარდაველიძე 1938 – ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, – მსე, ნაკვ. I, ტფ., 1938.
5. ბარდაველიძე 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, ტფ., 1939.
6. გვახარია 1962 – ვ. გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, თბ., 1962.
7. გოცირიძე 1987 – გ. გოცირიძე, ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში, თბ., 1987.
8. თათარაძე 1976 – ა. თათარაძე, ძველი ქართული (სვანური) ფერხულები, თბ., 1976.
9. ლეკიაშვილი 1987 – ა. ლეკიაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა თეონიმებიდან: დვთაება კ ვ ი რ ი ა ს სახელები და ეპითეტები, – მსე, XXIII, თბ., 1987.
10. ლეკიაშვილი 1986 – ა. ლეკიაშვილი, კვირია – მაცხოვარი, მნათობი, №11, თბ., 1986.
11. მაისურაძე 1989 – ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1989.
12. მამალაძე 1972 – თ. მამალაძე, სვანური საწესო სიმღერების სტრუქტურა, – მსე, XVI–XVII, თბ., 1972.
13. ონიანი 1969 – ჯ. ონიანი, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (სვანური მურყვამობა-კვირიაობა), სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, თბ., 1969.
14. სურგულაძე 2003 – ი. სურგულაძე, მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003.
15. ჭანტურიშვილი 1969 – ს. ჭანტურიშვილი, შრომის სიმღერების კვლევის საკითხისათვის სვანეთში, – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVII – B, თბ., 1969.
16. ჯავახიშვილი 1950 – ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.
17. ჯავახიშვილი 1979 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი, I, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ., 1979.

სვანეთში წავალ

სვანეთში წავალ: კვლავ მეძახიან,  
წელსაც მიხმობენ ჭრელი ზღაპრებით;  
სულით ხორცამდე ჩემი ხალხია,  
ჩემი მთები და ჩემი ალაპები!

ზაფხული პირქუშ მთა-ბარს აჭრელებს,  
თეთრ ეცერს თოვლი, მთვლიან, გაღხვა,  
მაგრამ მე ეცერს რა გამაჩერებს,  
სულ მინდა მთელი სვანეთის ნახვა!

ცხუმარს და ბენოს მინდა ჩარბენა,  
ჩაეუჯდე მახეშებს უღვაშებიანს;  
უშტულში გავყვე მურზა მარგველანს,  
თეთნულდის ძირში – გურამ ჩეკიანს!

სვანეთში წავალ: კვლავ მეზახიან,  
წელსაც მიხმობენ ჭრელი ზღაპრებით;  
სულით ხორცამდე ჩემი ხალხია,  
ჩემი მთები და ჩემი ალაპები!

მინდა ჭუნირის ხმაზე ვგალობდე,  
სვანური სიმხნე სულში აღეზარდე,  
მინდა – გაეჯიქდე, მინდა – გავლომდე,  
მინდა – გავსვანდე, მინდა – გავსვანდე!

ხალდეს ჭალაში ჯიხვებს ავაფრენ,  
აღმა შეეყვები ჰადიშის ჩრდილებს,  
სხვას თუ არაფერს, სხვას თუ არაფერს,  
ორს ხომ ვისწავლი, “ზარსა” და “ლიდეს”.

რომ დასჭირდება ჩემს მამულს, ვიცი,  
(ფუ, ეშმას! მამულს სწერია ჯვარი!)  
ვიბარებ: ზვარაკს მშობელი მიწის –  
“ვოი-ვო!” – მითხრან სვანური ზარი.

“ვოი-ვო!” – კვნესა თუ ღრენა ჯიქის!  
“ვოი-ვო!” – მოდგეს სვანეთის ჯარი!  
არამიც იყოს “ვოი-ვო!” იგი,  
თუ მამულისთვის არ ვიქნე მკვდარი!

ჯერ კი ცხოვრებას ახ წედს ვაპირებ  
და უფრო მეტად მჭირდება "ლილე",  
აღმა სევდები ცისფერ ნაპირებს,  
კვლავ ვინახულებ ენგურის ჩრდილებს;

"ო, ლილე!" - მინდა მზისთვის ვგალობდე,  
სულში შვილივით სიმხნე გაეზარდე;  
მინდა - გავჯიქდე, მინდა - გავლომდე,  
მინდა - გავსვანდე, მინდა - გავსვანდე!

1964 წ.



ხალღე

თაქისუფლებების წარმტაცმა ძალამ  
 კაკეასის კლდეებს შეხიზნა ხალხი.  
 უმკლავდებოდნენ ჭირსა და ვარამს,  
 უღრუნდათ ყოფა მკაცრი და თალხი.

ოდონდ დამპყრობელს არ დაემონონ,  
 ფიც-ვერცხლის ხატებს თვიდე გათლიან.  
 მზეს უმდურიან ჰიმნებს სვანები,  
 ზე არის დღესაც მათი ნათლია.

ცად აუზიდავთ ღალი კოშკები,  
 ბრძოლა მუდმივი მათი ხვედრია.  
 ხან, მწვერვალეზე დაბურღაობენ,  
 ხან, ჭიუხებში ხარ-ჯიხვს ხედნიან.

მაგრამ არცერთ სვანს არ ავიწყდება,  
 მოურჩენელი ჭრილობა, – ხალდე.  
 ლაგურკას ცამდე ასული გმინვა  
 მოაქვთ ჩვენამდე რაინდთა ღანდებს.

არ დავიდგამთო მინობის უღელს,  
 რუსთა მოხარკე არცროს ვიქნებით!  
 ან გაეიმარჯვებთ, ან შევაკვლებით,  
 ვერ დავგვჯბნონო მძიმე კირთებით!

შევიცვს ხატზე ბოლომდე ბრძოლა,  
 არვინ ვენდოთო რუსთა სიფლიდეს.  
 ოცდაათ კოშკში გამაგრძნენ გმირნი,  
 ოცდაათივე ტყვიას ისროდნენ.

დამპყრობელ რუსთა სამიზნედ იქცა,  
 უღამაზესი, ამაყი ხალხე;  
 ზარბაზნებიდან ბომბავდნენ სოფელს  
 და ყოველს ირგველივ ბუგავდნენ, წვაავდნენ.

გამნელდა ბრძოლა... სვანნი არ გატყდნენ,  
 ეს მათ ღირსებას არ ეკადრება  
 ნეტავ იმ დედებს, ასე მამაცნი,  
 ვაჟკაცნი შვილნი რომ ებადებათ.

„სულ ამოვიძირკევავთ ამ წყევულს სოფელს!“  
ღუემორეული ხაოდა მტერი;  
„ისე დაბუგავთ თქვენს ციხე-კოშკებს,  
გეფინოთ მხოლოდ საფლავი მტვერი“.

ჯერ შებარბაცდნენ გაოგნებულნი,  
კოშკებმა ღომებრ იწყეს ღრიალი  
და მოტორტმანე ქონგურებიდან,  
მაინც ისმოდა თოფთა გრიალი.

მთლად ნაცარტუტად იქცა ყოველი,  
მაინც იბრძოდა უტეხი ხაღღუ,  
რუსთ გენერლები ჩაკლეს სვანებმა  
და საღდათებიც მრავალი ხანჯლეს.

ისე იბრძოდნენ როგორც ვეფხეები,  
ჩანდა, მშობლებმა ღაღად რომ ზარდეს.  
და თავგანწირვით აღტაცებულნი,  
თავისუფლების ზეგად მოზეგვდნენ.

კვლავ დაეძებენ მთათა კორდები,  
ათასეულთან მეგრძოლ რაინდებს;  
მთლად ამოწვიტეს მთელი სოფელი,  
არა სულდგმული აღარ დაინდეს...

ჯვარს ეცვენ, მაგრამ საზარელ ურჩხულს  
არ დაემონენ, არ დაუზავდნენ.  
ღარნა ღუგენდად და ნათლის სვეტად, –  
თავისუფლების შუქურა ხაღღუ.

*2010 წლის მაისი*

სმანი კაცი

სვანი კაცი უთქმელია ბუნებით,  
სვანი კაცი სხვა საწყავით აიწყოს,  
სვანი კაცი უთქმელია ბუნებით,  
მაგრამ იტყვის – ცამ ქუხილი დაიწყოს.

გიერთგულებს, მიგინდობს და გენდოდა,  
სვანი კაცი სიყვარულის მწველია,  
სვანს არ უყვარს განდგომა და კენტორბა  
საქართველოს ძველი დროშის მცველია.

ძმობას გუტყვის და ძმასავით ინდობა,  
გასაჭირში ჯელსაც გამოგიწოდებს  
მაგრამ ერთხელ თუ შეგატყო ფლიდობა,  
იქუხებს და არ დაგინდობს იცოდუ.

## დიდი ბვარის დიდი სვედა

 შესავალი  
 (პროლოგის მაგიერ)

სვანეთი.

კავკასიონი.

უშბა, შხარა, თეთნულდი...

ბობოქარი ენგური.

კლდეზე მიჯაჭვული ამირანი.

ნადირობის ქალღმერთი დალი.

სვანეთი – გამირების ქვეყანა.

ოქროს საწმისი.

ოქრო – სიმდიდრე.

ვერძი – სიწმინდე.

წყალი – ცოდნა.

ცაღაწვერილი კოშკები.

ციხე – სიმაგრეები.

სიღიადე და სიმტკიცე.

ქრისტიანობა – წმინდა რელიგია.

უფლისადმი დიდი სიყვარული, მოკრძალება და პატივი.

ძველი აღათ-წესების დაცვა.

წინაპართა ხსოვნა.

მოყვისადმი ერთგულება.

მეგობრობა – ფიცვერცხლის შესმა.

პატიოსნება.

მახვმის სიტყვა.

სვანური ქუდი – ნამუსის ქუდი.

ნამუსის ქუდი, ჯვრით გამოსახული – მძიმე სატარებელი.

რწმენა.

ლოცვა.

გალობა.

ქრისტეს ჯვარი.

ანდრია პირველწოდებული.

ეკლესიები, ეკლესიები. ეკლესიები.

უშგულის ღვთისმშობლის ტაძარი “ლამარია”. იგი 2500 მეტრისიმაღლიდან ამაყად

გაღმოსკურებს მთელ სვანეთს.

ადიშის მაცხოვარი და წმინდა გიორგი.

კალას წმინდა კვირიკე და წმინდა ივლიტე.

იფარის წმინდა გიორგი.

წვირმის მთავარანგელოზი მიქაელი, წმინდა ბარბარე და წმინდა გიორგი.

იელის ღვთისმშობელი, მაცხოვარი, მთავარანგელოზი მიქაელი, წმინდა იოანე ნათლისმცემელი, წმინდა იოანე ღვთისმეტყველი-მასწავლებელი, წმინდა ბარბარე და წმინდა გიორგი.

მულახის მაცხოვარი, მთავარანგელოზი და წმინდა გიორგი.

მესტიის საკათედრო ტაძარი, მაცხოვარი და მთავარანგელოზი.

ლენჯურის მაცხოვარი, წმინდა გიორგი, მთავარანგელოზი.

ლატალის მაცხოვარი, წმინდა გიორგი, წმინდა იონა წინასწარმეტყველი.

ბენოს მთავარანგელოზი გაბრიელი.

ეცერის ფხოტრერის მთავარანგელოზი.

ლახაშულას და ცხუმარის ღვთისმშობელი და წმინდა გიორგი...

და მრავალი, მრავალი სხვა.

უამი ილეოდა.

სანთლები დნებოდნენ ლოლუვებად.

მთელი სვანეთი ლოცულობდა.

უფაღს ადიდებდა.

მიცვალებულთ დაკრძალვის დროს ღვთისადმი სიტყვას აბარებდნენ, ზარს!

ზარს - სიტყვას ჭეშმარიტს!

## თავი I

### ჩეგიან-რუნეგიანები და სვანეთი (X-XVI ს.)

მეათე საუკუნეში აგებულ ადიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში კუდეღზე ნუსხურით აწერია: „წმინდაო თვედორე, შეიწყალე ჩემი“.

ჩეგი საეკლესიო პირი ყოფილა.

მისი სახელი „ლაზარეს ენაზე“ თეთრის მსგავსს ნიშნავს.

თეთრი სიწმინდეა, სინათლეა, სისუფთავეა. ცოდნაა.

აღბათ უფლის განგებისაგან მიეცა ასეთი სახელი.

ჩეგიდან იწარმოება გვარი ჩეგიანი.

მათ დუდიშელებს ესახიან, რამეთუ დუდიშის თემიდან არიან.

„დუდი“ ლაზარეს ენაზე თავს ნიშნავს, სწორედ აქედან მოდის სიტყვა თავადი.

თავადი, ერისთავი, ერისკაცი, დიდებული, ბატონი.

იმავე ადგილში მეთერთმეტე საუკუნეში აგებულ მაცხოვრის ეკლესიის შესახებ ვლელში ხელთუქმნელი ხატის გვერდით გამოხატულია დიდებულის ფრესკა. გვირგვინოსანს ოქროსფრად მოქარულ სამოსში ხელები ზეუპყრია, თითქოს ღმერთს ევედრებოდეს. მისი აშენებული ყოფილა ეს ღამაში ეკლესია, რადგან იქვე ასომთავრულად აწერია: „ქრისტე, შეიწყალე მიქაელ ჩეგიანი. აჰენ.“

გადმოცემით იგი ერისთავის წოდების მატარებელი სამეფო აზნაური ყოფილა.

მას და მის წინაპართ სხვაგანაც უშენებით ეკლესიები.

არსებობს ცოცხალი ლეგენდა ბუღა ჩეგიანზე.

ბუღა ისეთი დიდი ძაღლის პატრონი ყოფილა, რომ შეეძლო ჯახვი შუაზე გაეხლინა და დათვი წაეჭვია, მუჭის ერთი დარტყმით ხარი მოეკლა.

სვანეთში პატარა ბიჭებს ხშირად აგონებენ:

- ბუღასავით ძლიერი ყოფილიყავიო.

-ბუღალსაკით მამაცი ყოფილიყავიო.

-ბუღალსაკით კარგი მონადირე დამდგარიყავიო.

ბუღა ჩაგვანი ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ თურმე დევი მოუკლავს.

ეს ამბავი ასე მოხდარა.

ერთხელაც ნადირობიდან დაბრუნებულს მთაზე შემდგარი დევი გადაყრია.

დევს უთქვამს:

-ბუღა ჩევიანო, ცუდი დღე დაგადგება, უნდა გაგატყლიტო! - და წამოსულა.

ამასობაში ბუღამ ისარი ესროლა და მოკლა.

იმდენი სისხლი და დუქი დამდგარა, რომ ერთი კვირა მთაში ასასვლელი ბილი-  
კი ჩაკეტილი ყოფილა.

დეთისმორწმუნე ბუღას დიდ ხუთშაბათს მოჭედილი მშვილდ-ისარი ჰქონდა და  
იმიტომაც ღმერთი სწყყალობდა.

ქალღმერთი დალიც სწყყალობდა თურმე.

დრო გადიოდა.

შენდებოდა ეკლესიები, კოშკები...

სანთლები იღუოდნენ ღოღუგობად.

ლოცულობდნენ სვანები.

უფალს აღიდებდნენ.

დეთის განგებით ჩევიანთ გვარს წინასწარ „რუ“ დავმატა.

„რუ“ საწყისს ნიშნავს, სათავეს, ასევე თავანკარა ნაკადულს, რომელიც სიდი-  
დეზე მიანიშნებს.

ცოდნაზეც მიანიშნებს, რამეთუ წყალი ცოდნას ნიშნავს.

... და ასე და ამგვარად გახდნენ დუღისის თემელი ჩევიანები რუნევიანები.

ერთი გვარის, ერთი საწყისის და ერთი ჯიშის.

არსებობს გადმოცემა იმის შესახებ, რომ თამარ მეფის ეპოქაში ჩევიანებს 30  
ათასიანი ჯარი ხორციით და თაფლით დაუპურებიათ. თაფლი რომ გამოლევიათ, სკე-  
ბიდან გამოუტანიათ.

მაშინ სრულიად საქართველო ბრწყინავდა.

მდიდარი იყო ქვეყანა.

დრო გადიოდა.

სადაც ლხინია, იქ ჭირიცაა.

სადაც სიმართლეა, იქ უსამართლობაა.

სადაც აღმართია, იქ დაღმართია.

სადაც ცხვარია იქ მგელია.

სადაც ბედნიერებაა, იქ უბედურებაა.

სადაც ღოცვაა, იქ წყველაცაა.

სენეთს შავი წირი მოყდო:

იხოცებოდნენ ადამიანები,

პირუტყვები,

ფუჭდებოდა მოსავალი,

ბუნებაც ზიანდებოდა...

ასეთ დროს სვანები მოხერის მთავარანგელოზს და წმინდა ბარბარეს ევედრები-  
ან, რომ დაიცვან ყველანაირი უბედურებისაგან.

დღემდე შემონახულია ლატალის ლექციონარზე შესრულებული - გიორგი რუ-  
ჩევიანის ვედრება მოხერის მთავარანგელოზისადმი, სადაც წერილი: „ქრისტე, ესე ნიშა-



ნი დაგიწერე და მოგახსენე მე, გიორგი რუნევიანმა და ჩემთა შვილთა, თქვენ წმიდასა მთავარანგელოზსა მოხერისასა, მას ჟამსა, ოდეს პავისა ჟამისა შემოსვლამაჲსა ქუყანაი დააშავა, მოგანდევ ჩემი თავი და შვილნი, ვითარცა გამსახურებდეთ, პაგრეც გუწყალობდით”.

ეს ამბავი მეცამეტე – მეთოთხმეტე საუკუნეში მომხდარა.

წარწერიდან ნათად სჩანს, რომ გიორგი რუნევიანი გახლდათ ერისკაცი და არა რიგითი დიდებული, რადგან ქვეყანაზე წუხდა.

1361 წელს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეცერში ერისთავად დასვა გელოვანი, რამაც რუნევიანების უკმაყოფილება გამოიწვია... ამ ორი გვარში დაპირისპირება თითქმის ნახევარი საუკუნე გაგრძელდა.

გადმოცემით ასევე ცნობილია, რომ გელოვანებმა რუნევიანებთან დაპირისპირებას საცხოვრებლად ღვინუში გადასვლა არჩია... ამიტომაც მომდევნო საუკუნეებში ზემო სვანეთში ისინი არ მოიხსენიებიან.

მეთოთხმეტე საუკუნის ბოლოს უშუგულელმა სვანებმა რაჭის თავად სარგის ჯვარიძეს ძმა მოუკლეს, რის შედეგად თითქმის მთელი სვანეთი ჩაიკეტა.

მოსახლეობას საშუალება არ ჰქონდა ვაჭრობა ეწარმოებინა, რის გამოც სვანეთი უმძიმესი სოციალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

შვიდასმა ადამიანმა გაბედა და ცხენებზე ორ-ორად შემჯღარებმა რაჭა – ღვინუხუმისაკენ გასწია, ეგონათ, ამდენ ხალხს რომ დაინახავდნენ, არაფერს გაუბედავდნენ, მაგრამ ძლიერ მოტყუვდნენ.

იმერეთის მეფე აღექსანდრემ და ჯვარიძეებმა რამდენიმე ადგილას ჩასაფრება მოუწყეს და ყველანი ჩახოცეს.

მხოლოდ ამბის მიმტანი გადარჩა...

სვანეთი უარეს მდგომარეობაში ჩავარდა.

საჭირო იყო შერიგება.

ჯვარიძეების სასისხლო წერილში წერია, რომ „შევიყარენით სრულიად სვანთა ჩენილნი და ვკენით ვეზირი და მივედით ეცერს რუნევიანთან და დადეშქელიანთან და შევეხვეწენით, რომ ეშუამდგომლათ მამია დადიანთან რათა იმერეთის მეფისთვის აჯა ეთხოვა“.

მეფემ აჯა მიიღო და გეგუთის მინდორზე პირადად მისი თაოსნობითა და დიდი რუნევიანის შუამავლობით მოხდა სვანებისა და რაჭველ-იმერლების შერიგება.

დიდი რუნევიანის დინჯმა საუბარმა ყველა მოხიბლა.

– პირიდან თაფლი გადმოსდიოდაო, – ამბობდნენ.

შერიგების შემდეგ იმერეთის მეფემ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: სვანური სოფლები: ღებო, გლობა, და ჭიორა თავისი ეკლესია-მონასტრებით და ტერიტორიებით რაჭას გადაეცა, ამასთან ერთად სვანებს სხვა უძრავ მოძრავი ქონება აზღვევინეს.

სვანეთი ისევ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

დასავლეთ საზღვრებთან დადიანებისა და შერვაშიძეების გავლენა ძლიერდებოდა, სამხრეთ – აღმოსავლეთიდან კი იმერეთის მეფის.

მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს დიდი რუნევიანის შვილიშვილმა ბაძუ რუნევიანმა შეყარა სრულიად სვანთა ხუცეხნი, რის შედეგად მდგომარეობა ოდნავ შერბილდა. რუნევიანებსა და დადეშქელიანებს შორის სამსაუკუნოვანი სისხლიანი დაპირისპირება კი დაწყებული იყო.

## თავი II ფუთას მკვლელობა

დადეშქელიანთა დიდი წინაპარი უცხო სტუმარი ყოფილა.

დათვის კვლას გამოჰყოლია და ეცერში ჩასულა.

ძალიან მოწონებია მზიანი ეცერი.

მღვდელ კახიანის ოჯახს სტუმრებია.

უცხო სტუმარს სვანური არ სცოდნია, არც ვარსკვლავთამრიცხველობა, არც ხენა-თესვა, მხოლოდ ბატონობის საიდუმლო სცოდნია.

მასპინძლის გოგო შეურთავს ცოლად და გამრავლებულა.

მის შთამომავალთ დიდი საგვარეულო კოშკი აუგიათ, რომელიც დღესაც ამაყად გადმოსცქერის ეცერ-ცხუმარს.

ღრო გადიოდა.

თაობიდან თაობას გადაეცემოდა ბატონობის საიდუმლო.

როგორ უნდა დაემორჩილებიმათ და დაემონებინათ ხალხი.

მორჩილნი ნებდებოდნენ.

მხოლოდ რუწგვიანები ედგათ ჯიბრში, რომელნიც ამბობდნენ: თქვენზე აღრუ წყევით ამ მიწა - წყლის ბატონ - პატრონებით.

რამდენჯერმე მომხდარა სისხლიანი შეტაკება.

ორივე მხარე ფიხიკურად დაზარალებულა.

რუწგვიანების დამორჩილება შეუძლებელი იყო.

რუწგვიანების დარად დადეშქელიანებს უშგულებლებიც ქედს არ უხრიდნენ, იხინიც, ჯიბრში უდგნენ.

არც მათი დამორჩილება იყო ადვილი. ამაყ უშგულებლებს არ სურდათ მონები ყოფილიყვნენ და ბატონის იღელი დაედგათ.

მათ ლამარია ლოცავდა და მფარველობდა.

ღრო გადიოდა, ამ ორ გვარ შორის დაპირისპირება უფრო მძაფრი ხდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასპარეზზე ფუთა დადეშქელიანი გამოჩნდა.

ვინ იყო ფუთა?

იგი ვახლდათ უშგულებელი ძალის მოსავით კაცი.

ხალხი ისე არავის გაუმწარებია, როგორც ეს ფუთამ შეძლო.

რასაც უნდოდა იმას აკეთებდა.

საშინელი ჯარიმები დააწესა.

მკვლელობა, აკლება და დასჯა ჩვეულებრივად იყო ქცეული.

ქალი ვერ გათხოვდებოდა უნებართვით და და კაცი ვერ ითხოვდა ცოლს.

გლეხის ცხენი ან ხარი თუ მოეწონებოდა, მისი იყო. პატრონს არაფერს კეთებდა ბოლა.

საჩუქრად შეეძლო დაერიგებინა მთა, ხეობა, ბავშვები, ქალები, სოფლები, საქონელი.

მისი დანახვა შიშის ზარი იყო.

რისხვა.

თვალეების ერთი გადაბრიალებით კაცს გააქვავებდა თურმე.

თვალი უშგულისკენ ვჭირა.

ბევრჯერ შეუტია, მაგრამ უკან გააბრუნეს.

რუწგვიანებთანაც ვერ მოაგვარა საქმე.



ვერც ძალით, ვერც ნებით.

- ვინც უშუალოდ დაიმორჩილებს, მთელი სვანეთი მისიაო, - ხშირად ამბობდა და იხტიბარს არ იტყუხდა, - მე თუ არა, ჩემი შვილები მაინც დაიპყრობენო მთელ სვანეთს.

რუჩევიანები კბილებს აკრაჭუნებდნენ.

- ეს მიწა - წყალი ჩვენიაო.

ფუთა იცინოდა:

- კი იყო თქვენი, მაგრამ ჩვენი იქნება ... არ იციან რუჩევიანებმა ბატონობის საიდუმლო, ეს საიდუმლო მხოლოდ ჩვენ ვიცით, რუჩევიანები ვუჟაკცები არიან, ამაყები და ძლიერნი, ფიცხები, კარგი მეზობლანი, მონადირენი, ჩვენ კი მთავრები ვართ. ცხენი იმისია, ვინც გახედნის. სვანეთის იმისია, ვინც დაიმორჩილებს.

გრძელდებოდა დავა.

შუღლი.

უშგულისკენ ეჭირა თვალი ფუთას, მაგრამ უშგული კლდეხავით იდგა. დეთისმშობლის ტაძარ ლამარიასკენაც ეჭირა თვალი, მაგრამ ლამარია არ იყო მისი მფარველი.

ფუთა არა მარტო ძალ-ღონით სავსე, ცბიერიც ყოფილა.

ბევრჯერ ჩაუსაფრდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

- მე დავიპყრობო მთელ სვანეთს! - ხარხარებდა.

მის ხარხარზე კოშკები ზანზარებდნენ.

რუჩევიანები კბილებს აკრაჭუნებდნენ.

დამონებული ხალხის შველა კი არ იყო.

მოკლედ ფუთას ცა ქუდათ არ მოაჩნდა დადგადიწა ქალამნდა.

რასაც უნდოდა იმას აკეთებდა.

ვაჟისვიებსაც თავის ჭკუაზე ზრდიდა.

- რუჩევიანებო და უშგულელებო, მე თუ არა, ესენი მოგიდებენო ბოლოს! ურჩე-ბი კი ხართ, მაგრამ მაინც დაგიმორჩილებთო.

უშგული ჩემიაო.

მთელი სვანეთიც ჩემიაო.

უფროსი და უმცროსი უნდა იცოდეთო.

თუ დამემორჩილებით, წყენას დაცივიწყებო.

მაგრამ არა ...

დრო გადიოდა.

დავა და შუღლი გრძელდებოდა.

არც ერთიმხარე თმობდა და არც მეორე.

ერთხელაც ფუთას უშგულელებმა კაცი გაუგზავნეს და შერიგების ნიშნად ნა-ღმისხე დააბატოქეს.

ცბიერი ფუთა უშგულელებს არ ენდობოდა, მაგრამ როცა მძევლად უშგულის უფროსის ნახვიდა ნავგაშერის შვილი და ოცი უშგულელი აახლეს, თქვა:

- აღბათ ჭკუაზე მოვიდნენ, მიხედნენ, რომ ჩემთან არაფერი გაუვათ, ასეთ მძე-ვლებზე კა არც ირანის შახი იტყოდა უარს, - და სტუმრობაზე თანხმობა განაცხადა.

უშგულელებს ყველაფერი კარგათ ჰქონდათ აწონ-დაწონილი, როცა ფუთა უშ-გულში წამოვიდოდა, თუ როგორ უნდა გამოპარულიყვნენ მძევლები.

წავიდა უშგულს ფუთა.

თან მხებლები გაიყოლა.

### შერჩეული ვაჟკაცები.

მახეში ფუთას მეფური სუფრა გაუშაღეს.

სუფრის თავში მახეშის სკამზე დასვეს.

მის ყოველ მხებლებს გვერდით ორ - ორი კაცი მიუსვენს.

მრავალი ხარი და ჯიხვი დაკლულა იმ დღეს.

მაგიდაზე ხორცი ზეინაბათ ყვარა.

ხაჭაპურები, ჭიშღვარი, ღვეცმარი...

ხელიდან - ხელში გადადიოდა ხორბლის არაყი.

მოძღვარმა სიმონ გაბინამა სუფრა აკურთხა.

ღაიწყონადიში.

ფუთამ სახმისი აიღო, ახალი საყმე დალოცა, უშგულელებს დიდსულოვნება შეუნდო და მთაველობა შეახსენა; თუ როგორ მოქცეულიყვნენ მთავრის, დიდი ბატონის წინაშე.

იგი უშგულს უკვე თავისად თვლიდა და მხიარულობდა.

უშგულის უფროსმა ნასყიდა ნაგვაშერმა ჯიხვის ყანწით დალოცა სტუმრები და გამარჯვება უსურვა.

მოძღვარმა ფუთას ყურში ცასწურწულა: ბაერი არ დალიო, უშგულელები წითელ ღვინოს გიმზადებენო.

ფუთამ ვერ გაიგო რას ნიშნავდა ეს მინიშნება და ყურადღება არც მიუქცევია, უბრალოდ გაიდიმა.

რამდენიმე სახმისის შემდეგ სუფრა გახალისდა.

მასპინძლები მახეში ფუთას მორიდებით თვალებში შესცინოდნენ, თითქოს თავს იხრიდნენ მის წინაშე.

ფუთასაც ეგ უნდოდა.

- ჭკუაზე მოვიდნენო, - გაიფიქრა და უფრო გახალისდა.

მხოლოდ ორი ძმა გელოვანი, დუმდა წვეული რუნეგიანი და უშგულელი დვევლეთ ნიჟარაძე.

ფუთას არ ეჭეშნიკა მათი დუმილი და დვევლეთს შეხვდა:

- რუნეგიანის მესმის, პატარა მახეშის ძეა, ბატონია და არ მიკვირს, შენ რატომ სდუმხარ, რატომ არ მხიარულობ?

- რას მიბრძანებთ, დიღო ბატონო? - მიუგო დვევლეთმა.

- არაფერს არ გიბრძანებ, უნდა გველაქუცო, უნდა იცოდუ შენი აღვილი და კუდი აქიცირო, - უხერხული ხუმრობა გამოუვიდა ფუთას.

- ჩვენ ამისათვის ძაღლები გვეყავს, კუდის ქიცირო ხომ ძაღლებმა იციან?

ამაზე ფუთა ახარხარდა და კოშკი შეაზანზარა.

ნადიმი გაგრძელდა.

ჯიხვის ყანწი ხელიდან ხელში გადადიოდა.

ამ დროს კოშკის ბნელ კუნჭულში და ეკლესიის გაღვანში ფუთასთვის ტყვიას ასხამდნენ.

თავისუფლების ტყვიას.

- მოძალადის მოკვლისთვის პასუხს სოფელს არავის აგებინებს ღმერთის გარდა, ღმერთს კი ხალხის დამშონებელი არ უყვარს, - უთხრა ერთმა ტყვიის წამომსხმელმა მეორეს და თოკი დაგრიხა.

- დიხ, აღბათ ასეა, დიდება უფაღს, - მიუგო მეორემ.

შემდეგ თოკი თოფის სასხლეტს გამოაბეს და ყველამ ერთდროულად ხელი ჩაავლო.

თოფიანი კამლის თავზე დადგა.

სანადიმო სუფრაზე ფუთას სადღეგქელო ჩამოატარეს.

– წითელი ღვინო მოგვართვით! – დაიძახა ნასყიდამ.

ეს იყო მინიშნება.

ამის გაგონებაზე ფუთას ღოყები აუდავლაუდა.

ანაზღად სახე აელანძა.

ქვაურ დაოკდა.

თვალები ცქცხლად აენტო.

თითქოს გულმა უგრძნო და ხელები დამუშტა.

მოდგარი ბნელ კუთხეში ჩამუხლებული პირჯვარს იწვრდა.

– შეგვგათ დიდი ბატონის სადღეგქელო! – ნასყიდამ ჯიხვის ყანწი შემართა.

ამასობაში იტყუა თოფმა და ტყვიამ ფუთას მკერდი შეუნგრია.

ერთი დაღრიალება მოუსწრია.

კოშკი შეზანზარებულა.

სუფრა სისხლით შევლებილა.

თავადის ამაღასაც ფუთას ბედი ეწია.

მხოლოდ ე ერთი კაცი გადარჩენილა და ისიც კოკინაშერთა ქალებს ჩაუქო-  
ლაგო, თან დაუყოლებით: გადამთიელებს მხეველებათ არ გავეუსდებითო.

ეს ამბავი უმაღლ მოსდებია მთელ სვანეთს:

– უშგულში დიდი ბატონი მოუკლავთო!

– გოლიათი ფუთა!

– რუნეგვიანებმა და უშგულელებმა მოკლესო!

ამბობენ, რომ უშგულსი ღამარიას სწყენია სტუმრების უდეთოდ ამოვლეტა და სოფელი დაუსჯია, სამი წელი არც ერთი ძროხა არ დამაკებულა თურმე.

უშგულელები ზვარაკებს სწირავდნენ ღეთისმშობელს, პატივებს სთხოვდნენ.

ფუთას უმცროსმა ვაჟმა ისლამბერმა ღრიალით ცა და მიწა შესძრა: რუნეგვიანებს და უშგულელებს ემუქრებოდა: დედას გიტირებთო!

იმასაც ამბობენ, რომ იმ დამეს უშბა შეზანზარებულა, თოფლიანი კალთები და უბერტყავს, წამოსულა ზვავი, რომელიც ისადაც გაგიჟებულ ენგურს შერეგია და სავარგულეები დაუტბორია.

### თავი III

#### ისლამბერის ანდერძი

დრო გადიოდა და ცხოვრება მიდიოდა თავისი გზით, როგორც ბედი კარნახობდა. რუნეგვიანები და დადეშქელიანები არა მარტო მტრები, მოყვერაბიც ხდებოდნან. ერთ – ერთი ახალგაზრდა ოჯახი მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცი-  
ლებლად სამეგრელოში განიხიზნა.

ისლამბერს დამეგები არ ეძინა.

შურისძიაებაზე ფიქრობდა.

ემზადებოდა.

ათასნაირ გეგმებს აწყობდა.

ჯერ უშეუღლებლეს ავაწიოკებ და მერე რუხეგინანებსო.  
ემები შეყარა.

მოამზადა და დაიწყო მოქმედება.

თათარხან დადეშქელიანის რწმუნებით, რომელიც იმ დროის მემბრანე ყოფილა, გადმოცემულია შემდეგი:

„უშეუღლებლეს სხანაბელი გაუხდათო ფუთას მკვლელიობა.

ხალხს ვერ უშველა საერთო შურისძიებამ.

ისლამბერმა საშინელი ხოცვა – ჟლეტა მოაწყო.

ფეხშიძე ქალებს მუცელი გამოუფატრესო.

ბაეშეები ხანჯლებზე აავესო.

სიკვდილს მისცესო ყველა მამაკაცი, სამი ძმის გარდა, რომელნიც იმ დროს სხეგან ყოფილანო...

მამის სისხლის ყოველი წვეთი შეიდ კაცად შეფასებულა თურმე.

ბოლოს უშეუღლის ეკლესიაში ურჯულოსავით მოაწყო ისლამბერმა უწმინდური სამსხვერპლო“...

ასე უთქვამს თათარხან დადეშქელიანს.

მადლობა უფალს, რომ ეს ამბავი ტყუილი გამოდგა.

იგი არაფრით არ ჰგავდა სიმართლეს.

ისლამბერს არ აუწიოკებია უშეუღლი.

მან ეს ვერ შეძლო...

ვერც შეძლებდა.

უშეუღლი კლდესავით იდგა.

ღამარია კი იყო გამწურალი უშეუღლებლებზე და კიდევ აღზევინა, მაგრამ ღვთის მოწყალებით საშინელება არ დატრიალებულა.

უფრო სარწმუნო წყაროებით გადმოცემულია მამა – შეიდის საუბარი:

– შურისძიება თუ ქვლეხი? – უკითხავს ისლამბერს მამისათვის.

ფუთას ქვლეხი აურჩევია.

– ვერ მისისხლებთო, – უთქვამს და მტრობა ამით დამთავრებულა.

უშეუღლმა ხარკი მოუცილაო.

„დადეშქელიანებს მეტად არ უცდიათ მისი დამონება, ვინაიდან ფუთას სისხლიანი სამოსელი გუნებას უფუჭებდაო, დღემდე ღვთისმშობლის ეკლესიაში რომ არის შენახული, ისლამბერს რომ გაემარჯვა, ამ სამოსელსაც წაიღებდა და სოფელსაც დაიმონებდა“ (ა. გელოვანი „უკანასკნელი რეგიანი“).

იქვე ისიც წერია, რომ ისლამბერმა რუხის ღაშკარი მოიყვანაო უშეუღლის ასაკლებად, მაგრამ სანამ სოფელამდე მიღწევდა, იმდენი ხალხი გაუწვივტეს, შებმა ვერ გაბედა და სოფელს შერიგება სთხოვაო.

უშეუღლს ფუთას სისხლის საფასურათ წორი მიუცია.

დაბრუნებისას ისლამბერს მურყმელის წმინდა ბარბარეს ეკლესიასთან ცხენი დავარდნია და შეშინებულა.

წორიც ეკლესიას დაუტოვა თურმე.

გაფხეკილიდაბრუნებულა ეცერში.

უშეუღლთან ბრძოლაში დამარცხებულმა ისლამბერმა ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა რუხეგინანთა მახვშს, მოხუც რუჩაგს ხლებოდა და საქმე გაერკვია.

კაცი აფრინა და მახვშთან შეხვედრა ითხოვა.

დასტური მიიღო.

მივიდა.

მოსუცი რუხაგი მოვარაყებულ მახვშის სკამზე იჯდა.

სტუმრის ხილუბისას წამოდგა, სახეზე ეტეობოდა, რომ მაინც და მაინც არ ესმოდა მისი მოსვლა.

ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს.

ისლამბერი მიესალმა:

ხოხა ლადელ, მახვში რუხაგ, როგორ გიკითხოთ.

ხოხა ლადელ, — მიუგო რუხაგმა და სკამისკენ მიუთითა დაბრძანებულყოფილად.

ისლამბერი ჩამოჯდა.

ჩემს მოსაკლავად არ გაირჯებოდით, ისლამბერ, მითხარი, რა გინდა?

როცა მამა მომიკლეს, შენი შვილიშვილიც იქ იყო.

ცხონებულ ფუთას უშვულის დანოქება უნდოდა, ამიტომაც მოკლეს იგი უშვულებმა.

თქვენი შვილიშვილიც მონაწილეობდა მამანემის მკვლელობაში, იგი უშვულებს აქეზებდა თურმე.

ეს ტყუილია.

თქვენს გარეშე ისინი ამას ვერ აგებდადნენ.

გაბედეს, იმიტომ გაბედეს, რომ გიმეორებ, მას უშვულის და მთელი სვანეთის დანოქება უნდოდა, ნელ — ნელა კიდევ აღწვდა საწადელს, გლეხები დატანჯული მყავდა.

აბა ბატონი რისი ბატონია, თუ გლეხებზე არ იბატონა?.. და არ დატანჯა...

— არიან კეთილი ბატონებიც, ვინც გლეხებს არ დატანჯავს, პირიქით ესმარე ბა, და არიან ბოროტი ბატონებიც.

— კეთილი ბატონი არ არსებობს, მახვში რუხაგ.

— არსებობს, როგორ არ არსებობს.

ისლამბერს გაეღიმა.

— ვინ არიან კეთილი ბატონები?

— ვერ გეტყვი რომ ყველა გვარის ბატონები ანგელოზები არიან, კარგი და ცუდი ყველაგანაა, სანამ თქვენ მოხვიდოდით, რამდენიმე საუკუნის წინ ჩვენი დიდი წინაპარი... მახვში წამით ჩაფიქრდა, — ადმის მაცხოვრის ეკლესიის შესასვლელში მისი ფრესკაა გამოსახული, მიქაელ ჩევიანის, რომელმაც ის ეკლესია ააშენა, დიდებული ოქროსფრათ მოქარგულ სამოსში, ხელები ზუუყარია, თითქოს ღმერთს ევედრებოდა, იქვე წერია, ქრისტე, შეიწყალე მიქაელ ჩევიანი. იგი ცუდი ბატონი რომ ყოფილიყო, ასეთ დიდ პატივს არავინ მიაგებდა. ეკლესიები საწყლებისთვისაა, საბრალო ხალხის რომელიც ღმერთს უყვარს. ბევრნი თავადები ანგარების მიზნით აშენებენ ეკლესიებს, მათ ღმერთის ეშინიათ და იმიტომ, მათ აშენებულ ეკლესიებს მადლი არა აქვს. მათ შეუძლიათ რაღაც მითითება მისცენ, ეკლესიებს კი გლეხები აშენებენ, საბრალო ხალხი ... ჩვენ გლეხები არასოდეს დაგვიარგავს, იმიტომ რომ დიდი წინაპარს ვცემთ პატივს, არც ჩვენ სისხლი... და გონში არ ზის ის, უკადრებელი, რასაც ბევრნი კადრულობენ, ბევრნი თავადი... თუნდაც ის, რომ გლეხს პატარმალთან პირველი ღამის უფლების მოპოვება... ეს ამაზრუნდა და სხვა არაფერი. ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ, ვიცავთ კი ღმერთის კანონებს? ეს მიწა-წყალი ხომ მარტო ჩვენი არ არის. ყვეუმი წერია, ვინც მახვილს მომართავს, თავისივე მახვილით გაინგმირება, ეს ყველაფერი

ფეფუში წერია და მართალია, ვინაიდან ღმერთის რჩეულ ადამიანთა მიერ არის დაწერილი.



ისლამბერმათავი ჩაკიდა.

ხმა ვერ გასცა.

ღინჯმოუბარმა რუჩაგმა გააგრძელა:

– ჩვენ მტრები არა ვართ, ისლამბერ, ჩემი შვილიშვილი შენი ნათესავი არ არის?

ცხონებულ ფუთას არ უსწავლევია შენთვის, რომ ყოველი ჩვენთაგანის შვილი თაობის წინაპარი სისხლით და ხორციით ნათესავები ვართ, პაპის მამას, მეხუთე თაობის წინაპარს რომ შამა ჰქვია, იმის მამას, მეექვსე თაობის წინაპარს ჰქვია ჯამა და მეშვიდე თაობისას კი ათა. აქედან მოდის ცნობილი გამოთქმა, ათადან ბაბამდე. სწორედ ათადან ბაბამდე ყველა ჩვენი ნათესავია, მარტო სვანი თავადები კი არ არიან ერთმანეთის ნათესავები, მთელია საქართველოს თავადებიც, ყველანი ერთმანეთის ნათესავები არიან. განა ჩვენ გვარებში გლეხების სისხლი არ ურევია?

ერთხანს სიწუმე ჩამოვარდა.

მახვშია რუჩაგმა ყანწი შეავსო და ასწია.

სტუმარი და მისი გვარი აღდეგქელა.

მთელი სვანეთი აღდეგქელა და თან დაამატა: ვინც სვანეთის დათრგუნვას შეეცდებოდა, თვითონაც დაითრგუნებოდა, – და შესვა.

ისლამბერმა თავი დაუქნია.

მანაც მიიღო სასმისი.

დამშვიდობებისას მაინც ახსენა სისხლი ...გმართებთო... ჩვენ ვერ შევრიგდებითო.

მახვშის არფერი უთქვამს.

ისლამბერი აძაგძაგდა.

თითქოს მთელი სხეული დაეძაგრა.

სახე აულანძდა.

შუბლი შეიჭმუნა და წარბი შეიკრა.

კოშკიდან გამოსულს დაბალი მოკუნტული მამაკაცი შეეფეთა, რუჩეგანთ კი ვინმე ციქვილდ ცალანი, რომელმაც თავი დაუკრა და კოშკის ეზომდე მიაცილა.

სადაც ისლამბერს ცხენი ელოდებოდა.

ეზოში მყოფი ვაჟკაცი რუჩეგანები სისხლიანგუბებულნი თვალების მწერით ისტუმრებდნენ სტუმარს.

სტუმარი წავიდა.

მერე რა მოხდა.

დიდხანს ფიქრობდა ისლამბერი, რა და როგორ ემოქმედა.

თვალწინ მამამისის სისხლიანი სამოსი ეღანდებოდა.

ღინჯმოუბარი მახვში რუჩაგის შეგონაზე ყოველწამს ახსენდებოდა.

ფიქრობდა.

ბევრი იფიქრა, და მოახდინა ის, რაც არ უნდა მოეხდინა.

დაუფონებლივ შეყარა ყმები.

და დაიწყო სასტიკი და დაუნდობელი ძმათა ომი.

ომი, რომელშიც არც ერთი მხარე არ არის გამარჯვებული.

რუჩეგანებმა იძალეს და კიდევ სძლიეს ისლამბერს.

ჩრდილოეთ კავკასიაში, ყაბარდოში გააქციეს.

ათი წელი დაჟყო ისლამბერმა ბერიანში თავად უსურბაყვთან.

მის მფარველობაში ყოფილა.

მუსულმანობაც მიუღია, ოღონდ ოცნება აესრულებინა.

რუნეგიანების გაწვევბა და მთელ სვანეთზე ბატონობა.

ათი წელიცოტა დრო არ იყო.

ათი წელი მუხლებზედანიოქილი ეხვეწებოდა უსურბავეს, რუნეგიანების დასახჯკლად ჯარი რომ მიეცა.

უსურბავეი სდუმდა.

რას არ შეპირდა.

დიდი ხვეწნა – მუდარის შემდეგ, როგორც იქნა დაითანხმა.

და წამოვიდა ქაშგართა ჯარი სვანეთისაკენ.

ჯარს წინ ისლამბერი მიუძღვოდა.

სვანურ პოეზიაში წერია:

„ამხტარა ციხეში

შებმია რუნეგიანებს.

ქვემო რუნეგიანებო,

თქვენი თეთრი ციხე.

ურჯულოებით სავსეა.

ზემო რუნეგიანებო,

ჩამწკრივებული თქვენი სასახლე

რაშბედაურით სავსეა“ (თარგმანი).

ენით აუწერელი სასტიკი ბრძოლა გამართულა.

რუნეგიანებმა ჯარი უკუაქციეს.

ისლამბერი მძიმეთ დაჭრეს.

ექიშბაშებმა თქვეს; ვერ გადარჩებაო.

სიკვდილის წინ შეიღებისთვის ანდერძი დაუტოვებია:

– როცა რუნეგიანებს საბოლოოდ გაანადგურებთ, მათ გვარს და ჯილაგს ამოსწვევთ, საფლავში ჩამძახეთ! საფლავში ჩამძახეთო! – რამდენჯერმე გაუმეორებია ეს სიტყვები, – საფლავში ჩამძახეთ და მკვრეთიდან აღვსდგებით.

#### თავი IV

#### ცილქვილდის ღალატი

ისლამბერს სამი ვაჟიშვილი დარჩა: დუდა, სორთმანი და ოთარი.

მამამ შვილებს ქონებათ სვანეთის მიწები დაუტოვა, დუდას ერგო დოლი, ქართვანი და ჰეპუთი, ოთარს ეცერი და ცხუმარი, სორთმანს კი ბენოს დანარჩენი სოფლები.

ასე შეიქმნა დადუშქელიანთა სამი შტო: დუდაშერების, სორთმანშერების და ოთარსერების.

ამ სამი მძიდან ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ოთარი გამოდგა, რომელიც დიდი ოთარად იწოდებოდა.

მაღე დიდი ოთარი თითქმის ბალსქვემო სვანეთის ენგურის ხეობის მბრძანებელი გახდა.

სწორედ მან აღასრულა ანდერძი მამის.

მელაიუა ციკვილდი სულ გვერდით დაყვებოდა, უკვე კარგა დაბერებული ჭუა, მოკუნტული ჩია ბერიკაცი, რომელსაც ეშმასეული თვალები სულ უსარსარებდა. ვინ იყო ციკვილდი?

გადმოცემით იგი იმერეთიდან ყოფილა, ახალგაზრდობაში დანაშაული ჩაუდენია და სვანეთში ამოსულა.

რუნეგვიანებთან შეუფარებია თავი.

რუნეგვიანებს შეცოდებით გზააბნეული, ჟამკარარეული უპატრონო და ყმად მიუღლიათ.

ცბიერი ციკვილდი მისი ბატონების მონა-მორჩილი ყოფილად.

პირნათლად ასრულებდა მათ დავალებებს.

რუნეგვიანები ენდობოდნენ მას და ცოტა ხანში კარისკაცობა უბოძეს.

ეს ძალიან დიდი პატივი იყო.

გვარ-სახელი შეიცვალა, ცალანი გახდა, რადგან ხანამ რუნეგვიანები შეიკედლებდნენ ცალანებთან იმლებოდა თურმე.

ჰოდა, ცხოვრობდა ციკვილდი რუნეგვიანებთან.

ყველა კარგად ეპყრობოდა.

ციკვილდის სიტყვასაც ჰქონდა ფასი თურმე.

ენდობოდნენ.

ცბიერი ციკვილდი სულ თვალებში შესციცინებდა მამა-მარჩნალთ.

მათ ჭირ-ვარამს იზიარებდა.

მათი ოჯახის წევრივით იყო.

ვითარც ერთგული მეგობარი.

ნადიმზეც ეპატიუებოდნენ.

თითქოს შეისისხლხორცეს.

რუნეგვიანებს სჯეროდათ მისი.

დრო გადიოდა და გრძნობდა ცბიერი ციკვილდი, რომ დაღეშქელიანები აღზევდებოდნენ და თვალი სულ მათი კოშკისკენ გაუბოდა.

– მამაშენას რომ ჩემთვის დაეჯერებინა, რუნეგვიანები კარგა ხნის დამარცხებულები იქნებოდნენო, – აგონებდა დიდ ოთარს.

დიდი ოთარი თავიდან ყირადღებას არ აქცევდა, ბოლოს დაფიქრდა: რაში უნდა გამოეყენებინა ეს ტაკი მასხარა ქვეყნის მაიმუნი, სულ რომ მოკუნტული იდგა მის წინაშე სახედამანჭულს.

– რითი შეგიძლია მემსახურო, – ჰკითხა ოთარმა სხვათა შორის.

– მე მათ კარგად ვიცნობ, ვიცი მათი ხასიათი, მენდობიან – უმალ მიუგო ციკვილდმა. – ისიც ვიცი, რომ მათი დამარცხება ძალიან ძნელია.

– მეც ვიცი რომ ძნელია... გენდობიანო? ისეთი არნაირი ნდობა დაიმსახურე?

– რასაც ვეტყვი იმას გააკეთებენ, ძალიან მენდობიან. ორმოცი წელია მათთან ვარ, ყველაფერი ვიცი მათ შესახებ.

– რა იცი?

ციკვილდმა თავი დაუკრა:

– ისე მოვუწყო სიკვდილს, რომ ვრთმანეთი დახოცონ.

– როგორ?

– მე ეს შემეძლია.

დიდმა ოთარმა თავი გააქნია, ერთხანს იფიქრა, მერე უთხრა:



– არ არის ეს ვაჟკაცის საქმე, სიცრუე და ორპირობა, ღალატი. ისეთი გულგრილი რყვილონი არიან, შენ რომ დაგიჯერონ?

ციქვილდმა სახე დამანჭა.

– მე ვიცი ჩემი საქმისა.

– რა საქმეა ისეთი? და რა არის ამისათვის საჭირო?

დიდი ოთარი მძიმედ ჩაფიქრდა.

– მხოლოდ და მხოლოდ ერთი ხბო, – მიუგო ციქვილდმა.

– ერთი ხბო არაფერს ნიშნავს.

მისცა ხბო და ციქვილდი შეუდგა საქმეს.

რუწვეგიანებს ასეთი ტრადიცია ჰქონდათ. ყოველ ადვოკატს დღეს ერთმანეთს ეპატივებოდნენ.

ღარდღერედმა რუწვეგიანებმა თორმეტი ისკარელი რუწვეგიანი დააპატივეს.

ისკარელებმაც ამდენივე ღარდღერეელი.

პურობამდე ყველანი ერთად ეკლესიაში შევიდნენ.

უფადს პატივი მიიღეს.

სანთლები აანთეს და ილოცეს.

პურობაზე ბეჭრი რამ წყდებოდა, ძირითადად სვანეთის ბედზე და მის მომავალზე საუბრობდნენ.

თუ ვინმე ვინმეზე იყო ნაწყენი, დაუფიქრებლად რიგდებოდნენ.

ერთმანეთს ძობას ვფიცებოდნენ.

წინაბრებს იხსნებდნენ.

ციქვილდს ხბო დაუკლავს, ცოტა მოუღხენია, შემდეგ ხბოს სისხლით სახე და ტანსაცმელიდა კვანჭალ – კვანჭალით, ვითომ ფეხში იყო დაჭრილი, ღადღურში მისულა რუწვეგიანებთან.

მის დანახვაზე ყველანი შეშფოთებულნი აყრილან სუფრიდან.

– რა დაგეშართა ციქვილდ?! – გასძახა ახმახმა გული რუწვეგიანმა, – რა გჭირს? დათვი ხომ არ დაგესხა თავს?

ციქვილდმა წაიწიკინა და ხელები თავში ირტყა:

– ნეტავ მართლა მასე ყოფილიყო, დათვს შევეკამე, ოღონდა ეს ამბავი ჩემი თვალით არ მენახა!

– რა ამბავი მოხდა ციქვილდ?

– დიდი უბედურება მოხდა, რომ გითხრათ...არ ვიცი როგორ გითხრათ, ენა ვერ მიბრუნდება, ასეთ რამეს ვინ იფიქრებდა, თან აღდგომა დღეს, აღბათ ზოროტმა ჯადოქარმა ან ეშმაკმა დაგეწყველა.

– გვითხარი, ციქვილდ, რა მოხდა!

– ვერ დაიჯერებთ, დაუჯერებელი რამ მოხდა!

– თქვი მალე! ამოიღე ხმა! – დაუყვირა არანაკლებ ახმახმა ყირიმ რუწვეგიანმა.

ციქვილდი ატირდა.

სუფრა ახმაურდა.

ყველა დაიძაბა.

– ისკარიდან მოვიდვარ, შენ ძმას, – ციქვილდმა ეშმაკური თვალებით ახედა გულის.

– რაა, ჩემს ძმას!? რა მოუვიდა?

– უბედურება მოუვიდა.

- როგორ, ის ხომ ჩვენს ნათესავებთან წავიდა, თან მარტო არ წახულა, თორემ

- ტი კაცი წავიდა.
- ჰოდა, იქ მოხდა უბედურება.
- თქვი, რა მოხდა! - დაუღრიალა გუდიმ.
- შენ ძმას როსტომთან ჰქონდა რაღაც ხაქმე გასარკვევი.
- მერე ვერ გაარკვიეს?
- ვერ მხელავთ რა დღეში ვარ, ძლივს გამოვასწარი!
- დაჭრეს ერთმანეთი?
- უარესი!

სუფრა აირია:

- როგორ?
- ერთმანეთი გაწირეს?
- არ იქნება მართალი!
- მე არ მჯერა!
- შეიძლება მართალი იყოს!
- ციქვილდი ტყუილს არ იტყოდა.
- როგორ უჯერებთ ამ მონას! აფორიაქდა ერთ-ერთი სტუმარი, - ეს ხომ სიცრუეა!

- მართალი იქნება, როსტომი ბათარზე იყო ნაწყენი! - დაიდრიალა გუდიმ, - არ ვაპატიებო! ხანჯალი დააძრო და გვერდით მდგარ ერთ ერთ ისკარულ რუნეგიანს მკერდში ჩასცა.

ატყდა კვილი.  
ღრიალი.

ხანჯლებსი ტრიალი.

გაწვე - გამოწვევა.

მოსისხლე მტრებივით დაეირივნენ ერთმანეთს.

ერთი ვაი-ვიში იღვა.

სისხლით შეიღება სააღდგომო სუფრა.

ციქვილდი უცებ განყრიდა იქაურობას და ისკირში გაიქცა.

იქაც იგივე სცენა გაითამაშა.

იქაც ამოუხოცავთ ერთმანეთი რუნეგიანებს.

არ დაუნდიათ ერთმანეთი.

იქაც სისხლით შეღებილა სააღდგომო სუფრა.

ეს ამბავი წმინდა ადღგომის დღეს მოხდა.

როცა რუნეგიანები ერთმანეთს უფერებოდნენ და ესიყვარულდებოდნენ.

ამბობენ იმ დღეს მაცხოვარს თვალებიდან ცრემლმირონი გადმოუღინდაო.

ღვთისმშობელიც ტიროდა თურმე.

მთავარანგელოზიც.

წმინდა ბარბარეც.

წმინდა კვირიკეც.

წმინდა გიორგის ხატზეც გადმოდიოდა მირონი.

იგივე ღვთიური ცრემლი.

დიდმა ოთარმა მოღალატე ციქვილდის ფარას თემში ოცდარვა კომლი უბოძა თურმე.

შენ ეს დაიმსახურეთ.

ეტყობა ძვირად უღირდა რუნევიანთა სისხლი.  
ამ დღიდან ისინი ვერ აღზევდებიანო.  
მათი მზე ჩაესვენაო.  
მამა მიცხონდებო.  
საფლავეში ჩასახეს ისლამბერს.  
საფლავე თურმე შეტოკდა.  
მიცვალებული ისლამბერის სული ხარობდა და ზეიმობდა.  
მერე რა მოხდა:  
მალეჟეა ციქვილდმა დიდად შეიფერა ამხელა ნადავლი და ფარელებს თავზე  
წამოაჯდა.

მე ვარ თქვენი ბატონი და რასაც გიბრძანებთ უნდა შემისრულოთ.  
თქვენი თავი დიდმა ოთარმა მე ჩამაბარაო.  
მე ვარო, მე, თქვენი ბატონი და გიხაროდეთო!  
დაუწყო შევიწროება.  
ყოველ კომლს სხვადასხვა სახის ხარკი დაუწესა.  
ზუბდა ციქვილდი.  
ამაყი გახდა.

გულცივი და კადნიერი.  
ფარელები ერთხანს ემორჩილებოდნენ, დიდი ოთარის შიშით თავს უხრიდნენ,  
ბოლოს ვერ მოითმინეს, პირი შეკრეს და ციქვილდი კატასავით მოახრჩვეს.

ციქვილდის მოკვლის შემდეგ მამაკაცები ერთხანს ტყეში იმალებოდნენ თურმე,  
რადგან დიდი ოთარისაგან დასჯას მოელოდნენ.  
დიდ ოთარს ეს ამბავი რომ მიუტანეს, თურმე ჩაიცინა და უთქვამს:  
ასე მოუხდებოდა ყველა მოღალატესო.  
ფარელების დასჯაზე კი არ უფიქრია.

### თავი V სინანული

შუადამე გადასული იყო.  
დიდი ოთარი ღოგინში წრიალებდა.  
ხენეშოდა და ბორგავდა.  
ანაზღათ მთელი სხეულით აიწია და საშინლად ადრიალდა.  
ღრიალზე სასანთლე ჩამოვარდა.  
სანთლები ჩაქრა.  
— ეს რა უბედურებაა, წყულო, რა გინდა ჩემგან, — ჩაიხენეშა და გვერდი იბრუნა.  
თვასაწიერზე მზე სისხლისფრად ელავდა და მთებზე შერწყნილ თოვლს წით-  
ლად ღებავდა.  
სისხლის მდინარე მოდიოდა.  
თოფმა იქუსა.  
არწივები აყარყარდნენ.  
ჯიხვები აბღაკლდნენ.

ღათკეები აღმუქვდნენ.

მთიდან საშინელი გარეგნობის ჯუღურათავეიანი ღრჯოლ-ემუკებიანი არსება იყურებოდა.



დიდი ოთარი ხელეებს აქნევდა.

– მოშორდი! მომწყდი თავიდან!

ბოდაედა.

გმინავდა და ოხრავდა.

საშინელი არსება წამით გაქრა და მის ადგილას სხვა არსება გაჩნდა.

უფრო საშინელი.

თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა.

პირიდანაც გამოუშვა ცეცხლი და საზარლად აწიკინდა.

ხელში გველის მათრახი ეჭირა.

მოიქნია თუ არა, კლდე ჩამოინგრა.

ჩამონგრეული კლდიდან სისხლის ჩანჩქერი გადმოვიდა.

ოთარს ყელზე შემოახვია გველის მათრახი და სისხლის გუბეში ჩააგლო.

ოთარი უმაღ ადგა და საშინელ არსებას ქვა ესროლა.

გველის მათრახი მოიშორა და მოისროლა.

გველმა თავი უკან მოაბრუნა, ერთი დაისისინა და სისხლიან მდინარეში გასროლა.

საშინელმა არსებამ ციქვილდის სახე მიიღო.

– გამანებე თავი! – დაუღრიალა, – შე გველის მათრახით მოსახრწობო.

ციქვილდი სასაცილოდ წიკინებდა, უცბათ ენა გამოუყო და აყვავდა.

ოთარმა ხანჯალი ამოიღო, მოუქნია თუ არა, ციქვილდი გაქრა.

ისევ წრიალი.

ხელების ქნევა.

ოხერა და ხრიალი.

ანაზღათ ზარის ხმა მოესმა.

მაღლა აიხედა.

ეკლესიის დანახვაზე თვალეები აუცრემლდა.

ღამარია ტიროდა

ისევ იქუხა თოფმა და ფრინველები ააფორიაქა.

ყელგამოჭრილი და გულში ისარგარტობილი დევივით მამაკაცები მთიდან მოახე გადადიოდნენ.

უცებ ყველამ ერთად მოიხედა და დიდი ოთარი გაქანებული ცხენიდან გადმოვარდა.

ზარი უწყვეტად რეკავდა.

დიდი ოთარი ღრიალებდა.

ჯიხვები ბღაოდნენ.

ციქვილდი ისევ გამოჩნდა.

ხელში სისხლიანი ნაჯახი ეჭირა.

– ტახი მოვკალი! ტახი მოვკალი! – იძახდა.

უხაროდა და ცეკვავდა.

სახაცილოდ დაკვანჯალეებდა.

– ტახი! ტახიო!

უცებ ხოს ყელი გამოღადრა და სისხლიანი თავი ფეხებთან დაუგლო.

ხბოს თავმა ენა გადმოყო, თვალებიდან სისხლიანი ცრემლი მოსდიოდა.  
 ციქვილდმა ნაჯახი ესროლა თუ არა, გახველებული ოთარი ღრიალით  
 ლოგინიდან.

შემკრთალი ერთბაშათ ახან'ხარდა.

მთელი სხეული დაეძაგრა.

თვალები დააბრიალა და ხელები დამუშტა.

- ეს რა უბედურება მჭირს, - ჩაულულუნა, - ასე მუხანათურათ, არაკაცურად  
 ვის ვენდე, ეს, ეს რამხელა ბოროტება ჩავიდინე, ჯოჯოხეთშიც არ მიმიდებენო.

ეძინებოდა, მაგრამ ძილის ეშინოდა.

ხანჯლით ხელი გაიჭრა და ჭრილობაზე მარილი დაიყარა.

თვალები ცეცხლათ აენთო.

შახე გაუჭარხალდა.

- წყეულიმც იყავ წყეული...

ამოხენეშა და მიწვა.

სიმწრით თავის სისხლს სწოვდა.

ძილს არ იკარებდა, რადგან ძილის ეშინოდა.

გათენდა თუ არა, ეკლესიაში წავიდა.

ღმერთს ზვარაკად ხარი სესწირა.

მაგრამ ღმერთს არ ესმოდა მისი.

ღამეებს თეთრად ათენებდა.

შიშმა შეიპყრო.

ცოდვის შიშმა.

თვალწინ სულ ციქვილდი ელანდებოდა.

დახოცილი ვაჟაკებიც.

წუხდა.

ცოდვას ინანიებდა.

მოდეარტან მივიდა ზიარებისათვის.

მოდეარმა კი შეუნდო, მაგრამ ვერ უშველა.

დიდი ბოროტება ჰქონდა ჩადენილი.

შკითხავთანაც იყო.

ვერც შკითხავმა უშველა.

- ალბათ სულში ეშმაკი ჩამისახლდაო, - ფიქრობდა.

- ბოროტებას ეშმაკს აბრალებდა.

არც ეშმაკს ესმოდა მისი.

დარდობდა.

სირცხვილი ქეჯნიდა.

იტანჯებოდა.

ღრო გადიოდა და სულ მთლად შეიცვალა.

იგი არ ჰგავდა დიდ ოთარს, დიდ ვაჟაკად მინეულს.

უფრო გავდა.

სიტყვაძუნწი გახდა.

არავის დანახვა არ უნდოდა.

გულწათხრობილი ღამდამობით ღოცულობდა.

ღმერთს პატიებას სთხოვდა.

შენდიობას...

დიდი ოთარი თავისი საგვარეულო კიოშკის ეზოში მახვშის სკამზე იჯდა და ფიქრობდა.

გუნებაზე არ იყო.

უცებ ჭიშკარი გაიღო და ეზოში ახალგაზრდა მამაკაცი შემოვიდა.

მამაკაცს კვიცი შემოჰყავდა.

დიდ ოთარს ძალიან გაუხარდა სტუმრის მოხვლა.

იგი მისი ძმიშვილი გახლდათ, დუღას უმცროსი ვაჟი ღაზარე.

ერთმანეთს გაადეხვიენ.

ერთმანეთი მოიკითხეს.

— ეს კვიცი საიდან ღაზარე?

— მამამ მოგართვა სანუქრათ.

დიდმა ოთარმა კვიცს ფაფარზე ხელი გადაუსვა, კბილები და მუხლები გაუსინჯა.

— კარგი ჯიშისაა, დიდი მადლობა გაადეცი დუღას.

— გადავცემ, ძია ოთარ. კვიცი კვიცია, მაგრამ მე სხვა საქმისთვის ვარ მოხული.

— გასმენ, ძმიშვილო.

— შენი დახმარება მინდა.

დიდ ოთარს გაეღიმა და ხელი გადახვია.

— შენ ჩემი უსაყვარლესი ძმიშვილი ხარ, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ არ შეგისრულო.

— ცოლის მოყვანას ვაპირებ ძია ოთარ.

— ოო, ეს კარგი საქმეა, — გაუხარდა ოთარს, — დროც არის, ოცის ხომ ხარ?

— გაისად ვხდები.

— საცოლვე შერჩეული გეყოლება.

— კი, — მორცხვით დახარა თავი.

— კეთილი, ვინ არის?

ღაზარე უხერხულად შეიშმუშნა.

ოთარმა ჰკითხა:

— არ თქვა ახლა, გლეხის გოგოაო.

— არა, გლეხის გოგო არ არის.

— რუნეგიანი ხომ არ არის?

ღაზარემ თავი ასწია და თვალებში შეხედა.

— კი, რუნეგიანია.

დიდმა ოთარმა ამოიხენწეშა, თითქოს უზარმაზარი ტვირთი ჩამოეხსნას ზურგიდან.

სახე გაუნათდა.

— მართლა?

— მართლა, ძია ოთარ.

— რა ჰქვია სახელი?

— ელენე.

— ვისი შვილია?

— ბაინარის.

— აა, ბაინარის? უბედურის ერთია ის შეჩვენებული, — ჩაიციანა. !

ლაზარემ გაუღიმა.

- გოგო კი ღამაზია.

- ღამაზი იქნება, აბა შენისთანა ვაჟკაცი მახინჯს ხომ არ ითხოვს?

- არ ვიცი როგორ მოვიქცე.

- სად გაიცანი?

- კვირიკობის დღესასწაულზე, გავიგე მასაც მოვწონვარ.

- მამაშენმა იცის?

- არა, არაინ არ იცის.

- კუთილი, მაშინ ასე მოვიქცეთ, საღამოს შევიკრიბებით და მოვილაპარაკებთ, მივაღო, ვნახათ, დავნიშნათ, წამოვიყვანო და კარგ ქორწილსაც გადავიხდით.

- გმადლობთ ძია ოთარ.

- ასეთი საქმისთვის მადლობა იქეთ უნდა გიხადო.

ძმიშვილი ბიძას გადაეხვია.

- ჯერ ალბათ მახვშისთან მიხვალთ.

- მახვში რუჩავთან?

- კი

დიდი ოთარი წამით ჩაფიქრდა.

- არვიცი ვნახოთ, საღამოს შევიკრიფებით და გადავწყვიტო.

საღამოთი ძმები შეიკრიფნენ.

ლაზარეს გადაწყვეტილება მოიწონეს.

- ჯერ მახვში რუჩავთან არის მისვლა საჭირო, წესი წესია, - თქვა ოთარმა.

- ვინ მივა? - ჰკითხა დუღამ.

- შენ მიდი, შენ გეკუთვნის მისვლა, მამა ხარ.

- კუთილი მივაღ.

მახვშისთან კაცი გაგზავნეს.

მახვშიმ შეხვედრაზე თანხმობა განაცხადა.

დუღამ მივიდა.

- მოყვრად მოდიხარ თუ მტრად? - შემოსვლისთანავე ჰკითხა მახვშიმ დუღამს.

- მოყვრად მოვედი, მახვში რუჩავ.

- რავიცი ჩვენი ბოლომდე გაწყვეტა გინდათ, მაგრამ არ გამოვია, მართალია შეიღი კომლიდა შეერჩით ეცერს, თქვენ კი არა, ირანის შაჰიც რომ სემოგვესიოს, მაინც არ დავნებდებით.

- მოყვრად მოვედი, მახვში რუჩავ.

- რა საქმე გაქვს?

- ჩემს ბიჭს ბაინნარის გოგო შეუყვარდა.

მახვშიმ თავი ასწია, გაკვირვებით შეხვდა და ჩაილაპარაკა.

- უყვარს.

დუღამ თავი დაუკრა.

- უყვარს მახვში რუჩავ.

- სიყვარული, ჰოთ, ხშირად ხდება ასე, სიძულვილს სიყვარული ცვლის, ბოროტებას სიკეთე, ასე იყო და იქნება, კარგია სიყვარული, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია. დიდმა შოთამ თქვა. ჩვენმა შეიღებმა რა დააშავეს, რატომ არ უნდა უყვარდეთ ერთმანეთი?

დუღამ ისევ დაუკრა თავი მორიდებით.

- მართალს ბრძანებთ მახვში რუჩავ.

მახეშმა დარბაისულად ჩაიქნია თავი და ყანწები შეავსო.  
უფალი ადიდეს.  
მეორე დღეს ბაინჩართან კაცი გაგზავნეს.  
ბაინჩარმა მოგიქრებისათვის დრო მოითხოვა.  
რამდენიმე დღეში დადებითი პასუხი მოვიდა.  
ეპატრიუბოდნენ.  
ბაინცარს ხუმრობით უთქვამს: აბა სხვას ვის გავატან ჩემს გოგოს.  
ბაგრატონები სვანეთში არ ცხოვრობენო.  
დიდებული ქორწილი გადაიხადეს.  
ზეინებათ ეყარა მაგიდებზე ჯიხვის და ხარის ხორცი.  
ღვინით სავსე ყანწები ხელიდან ხელში გადადიოდა.  
ნეფე-დელოფალს ადღეგრძელებდნენ, ბედნიერებას უსურვებდნენ.  
ბევრი ღვინო დაილია იმ დღეს.  
არავის არც ერთი ზედმეტი სიტყვა არ დასცდენია.  
თითქოს არაფერი ცუდი მომხდარიყო ამ ორ გვარს შორის.  
თითქოს წყენა დავიწყებას მისცემოდა.  
ყველაზე ხალისიანად დიდი ოთარი გრძნობდა თავს, რომელიც თამაღის საპა-  
ტიო მოვალეობას ასრულებდა.  
გულს მაინც რაღაც კბენდა, ის ეშმასეული რაღაც, რამაც დიდი ცოდვა ჩაადე-  
ნინა.  
თითქოს დაავიწყდა ცოდვა.  
თუ ცოდვამ დაივიწყა.  
ოღნავ მაინც თუ დაიოკა სულში ჩაკლული სევდა.

## თავი VII დიდი ოთარის სიკვდილი

ქორწილის შემდეგ ვგონა ცოდვა დავიწყებას მიეცემოდა, მაგრამ ეს არ იყო და-  
სასრული, პირიქით.  
ისევ კოშმარები.  
მოღანდებები.  
- სულიდან ეშმაკი არ გამოდისო, - ფიქრობდა, - წყეული არსება სამუღა-  
მოთჩამისახლდაო.  
იტანჯებოდა.  
ღამეებს თუთრად ათენებდა.  
ძილის ეშინოდა.  
ეკლესიაში ვერ შედიოდა.  
ვერც მკითხავთან მიდიოდა.  
- გუნებას გამიფუჭებსო.  
ეკლესიისაც ეშინოდა. და მკითხავისაც.  
ღმერთისაც და ეშმაკისაც.  
ერთ ღამეს საშინელება ესმანა.



ბნელ გვირაბში მიჰქროდა.

შორიდან უყურებდა თავის გახრწნილ სხეულს და ეზიზღებოდა. ეშმასეულ არსებებს სამი კუბო მიჰქონდათ.

ბნელი გვირაბიდან გამოვიდნენ და ვიწრო ბილიკს გაჰყვნენ.

კუბოები ტრიალ მინდორში ერთმანეთის გვერდი-გვერდ დადგეს. ისმოდა ყვავების ამაზრზენი ყრიალი.

ძაღვების ყმუილი.

ვირთხების წრიპინი.

გველეხის სისინი.

ერთ კუბოს თავი აუხადა.

კუბოში ფუთა იწვა.

მთელ სხეულზე მორიელები, გველები და ხვლიკები ეხვია.

ფუთამ თვალი დაჭყიტა და გადაიხარხარა.

მის ხარხარზე მთები შეხანზარდნენ.

ოთარს პირიდან სისხლიანი დუჟი გადმოუვიდა.

თვალები სისხლისფრათ ენთო.

- სად ხარ ამდენ ხანს? - ჰკითხა ფუთამ.

- სანადიროდ ვიყავი.

- მერე რა მოინადირე?

- დალი არ მიშეგებს, დალი, - ატირდა.

ფუთამ თვალები დააბრიალა, ერთი ამოიხენეშა და ქვეწარმავლები მიფანტა-ფანტა.

კუბოს თავი დაეხურა და ახლა მეორეს აუხადა.

მეორეში ისლამბერი იწვა.

მასაც ეხვეოდნენ ქვეწარმავლები.

ისლამბერიც ხარხარებდა და ისიც მთებს აზანზარებდა.

ორბი მისრს კორტნიდა.

- მე ხომ არა ვარ, - ჩაიდუღლუნა ოტარმა და კარგატ დააკვირდა - მკონი მე ვარ.

- შენ ხარ შენ, - უთხარ ისლამბერმა - საფლავეში რომ ჩამძახე. გგონია გამიხარდა?

- აბა არ გავიხარდა?

- შენ ჩემი პირობა ვერ შეასრულე შენ მე მიღლატე.

ოთარი ისევ ტიროდა.

ანაზღად საშინელი არსება გამოჩნდა.

არსებას ძაღლის თავი, ეშმაკის რქები, ხარხი ტანი და გველის კული ჰქონდა.

ფუთა და ისლამბერი კუბოებიდან ამოხტნენ და არსებას შემოახტნენ.

ორივე ახარხარდა.

არსება ყმუოდა.

- ეინ არის, რა ცხოველია? - ჰკითხა მამას ად ბაბუა.

- ცერბურია, - მიუგო მამამ.

- რას ნიშნავს?

- რომ მოხვალ გაიგებ.

- სად, სად უნდა მოვიდე?

- ჩვენთან უნდა მოხვიდე.

- იქ რა უნდა ვაკეთო?

– რასაც ჩვენ ვაკეთებთ.

ყვაგები ჩხაოღნენ.

ვირთხები წრიპინებღნენ.

გველები სისინებღნენ.

– რას აკეთებთ?

– ვქეიფობთ.

ფუთამ და ისლამბერმა გველი გახლიჩეს, ხელით გაატყავეს და გადაყლაბა და უპირეს.

– არაა! – დაიდრიალა ოთარმა, – არ მინდა თქვენთან!

– ჩვენც არ გვინდოდა, მაგრამ მოგვიყვანეს.

თვალსაწიერზე ცველიანი არსება გამოჩნდა.

– აი იმან, – ისლამბერმა ხელით ანიშნა.

– ვინ არის?

– იმან მოგვიყვანა, მიქეილ გაბრიელის მოციქულია, ჩვენ ხომ მოგვიყვანა, ახლა შენ წამოგიყვანს.

– უნდა მოემზადო, უთხრა ფუთამ, – გახსოვს პატარა რომ იყავი ჯოხის ცხენზე რომ იჯექი?

– მახსოვს, ბაბუა მახსოვს.

– რას იბახდი?

– ეგ არ მახსოვს.

– მე პატარა ოთარი ვარ და როცა გაეიზრდები, დიდი ოთარი გავხდები.

– ჰოო, მერე ხომ გაუხდი.

– არა, ვერ გახდი, ისევე პატარა ოთარი ხარ. წავედით ახლა გელოდებით.

– სად მიდიხარ?

– სუუ, არ გაეღვიძოს...

– ვის?

– ვის და ჯოჯოხეთის მეფეს.

კუბოებში ჩაწვენენ.

ეშმასეულმა არსებებმა კუბოები ზურგზე მოიკიდეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

– აქ ვინ წევს, – გაიფიქრა ოთარმა და კუბოზე ჩამოჯდა, – ალბათ ჩემთვისაა.

უნდა თავი ახადოს მაგრამ ეშინია.

– მიდი, მიდი, ჩქარა! – მოესმა ხრინწიანი ხმა.

– ვინ ოხერია ნეტავი?

– ჯოჯოხეთის ბატონი ვარ, ჯოჯოხეთის ბატონი!

– ჩვენც იქაც ვემსახურებოდით.

– ვის?

– მეფეს, ოღონდ ის არ იყო ჯოჯოხეთის მეფე.

– იყო როგორ არ იყო და იქნება კიდევ.

ფუთამ და ისლამბერმა საშინელი სახე მიიღეს, ცხვირი და ყურები გაეზარდათ და კული გამოებათ.

– ნახვამდის, – უთხრეს და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

კუბოს თავი ნელა აეხადა.

ოთარმა კუბოში ჩაიხედა.

– ცარიელია ხომ ვთქვი, ჩემთვისაა – მეთქვი:

ის ისაა უნდა ჩაწოლილიყო, რომ ვიდაცა უკნიდან მოაწვა და კუბოდან გადააგლო.

თვალები გაუშტერდა.

კუბოში ვიღაც ჩაწვა.

ეშმასეულმა არსებებმა კუბოს თავი დაახურეს, ზურგზე მოიკიდეს და გაიქცნენ. ოთარი უკან გაეკიდა.

წრიპინებდნენ ვირთხები.

სისინებდნენ გველები.

ყრიალებდნენ ყვავები.

ყმუოდა ცერბერი.

ჯოჯოხეთის მეფის და ბელზებელის ხარხარი მთელ ბნელ სამყაროს აზანზარებდა.

ანაზად კუბოს თავი აეხადა და მიცვალებული წამოჯდა.

- შენ ვინ ხარ?

- მე ვარ ბიჭო მე!

- ვერ გიცანი!

- ციქვილდი ვარ ციქვილდი!

- სად მიდიხარ ციქვილდ?

- ჩქარა ჩქარა გამოიქეცი ჩახტი!

- სად ჩახტე?

- სისხლიან მდინარეში ჩახტი!

- არ მინდა!

- შენი ნება არ არის! ჰი-ჰი-ჰი! წაიწიკვინა, სახე დამანჭა და ენა გამოუყო.

ოთარს მთელ სხეულზე ქვეწარმავლები ადებოდა.

კმენდნენ.

საშინლად ოხრავდა და კვნესოდა.

იტანჯებოდა.

სხეულიდან წურბელასმაგვარი პატარა არსებები ამოუდიოდნენ და ფრტებს ისხამდნენ. ოთარი მათ ხელებით სრესდა და სისხლიან მდინარეში ყრიდა.

- ჩახტი! - მოესმა ბოხი ხმა.

ჩახტა.

ღრიალით გამოეღვიძა.

შუბლზე ხელი მიიღო.

რაცაც არსება ეჯდა თავზე.

საშინელ ტკივილს გრძნობდა.

არსება მოისროლა.

მაგრამ გვიან იყო.

მაგრად დაეკბინა.

ეს უკვე არ იყო სიზმარი.

პირიდან ღუჭი გადმოსდიოდა.

საშინლად ხრიალებდა.

- უნდა წავიდე აქედან, აქ ჩემი დარჩენა არ შეიძლება, - ალბა და დარტო გაიხედა.

ეცვრი თოვლში იყო ჩაფლული.

ხეზე ყვავი შეამჩნია, რომელიც ნისკარტით სხეულს თოვლისგან იბერტყავდა.

გუნდებ - გუნდებ მოდიოდა თოვლი.

თოფი ჩამოიღო და ყვავს დაუმიზნა.

თითქოს მიუხვდა მყრალი არსება, ფრთა ფრთას შემოჰკრა და თოვლიან ზეცაში გაუწინარდა.

- რას ვერხი, იქ ყვაევები მეტი რა იქნება, - გაიფიქრა.

თავზე ხელი მოისვა.

საშინლად სტკიოდა თავი.

ძალიან მტკიენული ყოფილა მორიელის გესლიანი შხამი.

მთელი სხეული აუძაგზავდა.

სახე დაეძაგრა.

თვალეები სიმწრისგან გაუწითლდა.

- მიდი! - ჩასზახა შინაგანმა ხმამ.

- მივალ... მივალ...

დაინოქა და...

უცეპ იქუხა თოფმა.

მთელ ეცერს მოედო მისი ხმა.

ოთარი სისხლისგან იცდებოდა.

ოთახში ცოლი შემოვარდა.

მისი წივილ - კივილი მთელ ეცერს ესმოდა.

ხალხი შეიყარა.

- დიდი ოთარი მომკვდარაო!

- დიდ ოთარს თავი მოუკლავსო!

- ეშმაკი ჩაუსახლდაო!

- გააგიჟაო.

რას არ იძახდენენ.

- ცოდვამ უწიაო, - ჩიფნიფუბდნენ ერთმანეთში ეცერელი დედაკაცები.

დიდი პატივით მიაბარეს მიწას.

ზარი მიაგეს, სიტყვა დააბარეს, ოღონდ ვისთვის.

მეზარეუბმა ეს არ იცოდნენ, ისინი უბრალოდ თავიანთ ღვთიურ მოვალეობას ასრულებდნენ.

### თავი VIII ვიცბილ - მაცბილი

გლეხების ცხოვრება აუტანელი იყო.

ყველანაირი შევიწროება - დამცირებასთან ერთად ბატონები ბავშვებსაც ართმევდნენ თურმე.

გასაყიდად მიჰყავდათ.

ორი ობოლი ძმის, დოღელი ვიცბილის და მაცბილის (ვიცბი და მაცბი, გადმოცემით კიბოლანები ყოფილან) სახელი ოქროს ასოებით არის ჩამოწერილი სვანეთის მემარტიანეში.

დედ - მამა ადრე დაღუპვიათ.

დედა - უკურნებელი სენით.

მამა სანადიროთ წასულა და ვედარ დაბრუნებულა.

კლდეში გადაჩეხილა თურმე.  
ბობოქარ ენგურს წარუტაცნია მისი სხეული.  
ობლებს სოფელი პატრონობდა.

ძმებს უმცროსი დაც ჰყოლიათ, უღამაზესი და უსათნოესი.

სახელად რქმეფია ზენათი.

ეკლესიაში იზრდებოდა თურმე.

ლოცვას, გალობას ად სიკეთეს სწავლობდა.

ქარგვასაც და ხატწერასაც.

საოცარი გოგონა იზრდებოდა.

ყველას უყვარდა.

ყველა ეფერებოდა.

ძმები წამოიზარდნენ.

კარგი ვაჟკაცები დადგნენ.

მთელი დღე შრომობდნენ.

დაუზარელნი იყვნენ.

ნადირობაც კარგი იცოდნენ.

ობლებს დაღი სწავლობდა თურმე.

ხელცარიელი არასოდეს დაბრუნებულან ნადირობიდან თურმე.

ცხოვრება მიდიოდა თავისი გზით, როგორც ამას ბედი განაგებდა ად კარნახობდა.

კვირა არ გავიძოდა რომ სოფლიდან ჩვილი არ წაეყვანათ.

წუხდნენ დედები.

იღბა ერთი ვაი – ვიში.

გლოვა.

მთიქმა გოდება.

ყველაზე მეტად დოღელებს და მთლიანად ბუნოს ხეობას სორთმანი ავიწროებდა.

შბულო დეკაცი.

დიდთავა სორთმანი.

დიდი ოთარის სიკვდილის შემდეგ უფრო მეტად გაბოროტებულა და გააგებულა.

არავსი ინდობდა.

ყველა დაჩაგრული პყავდა.

საწყად ხალხს მთმინების ფიალა ევსებოდათ.

განსაკუთრებით ძმებს, რომელთაც არ უნდოდათ მონობის მძიმე ურელი კისერ-ზე დაედგათ.

ერთხელაც ყანიდან გვიან დაბრუნებულებს ზენათი სახლში არ დაუხვდათ.

მეზობლსი ქალებისაგან გაიგეს, რომ ბატონს წაუყვანია მოახლედ.

თითქოს ამაში არაფერი იყო უჩვეულო, გლეხის გოგაოები ბატონყმურ წესისამებრ ემსახურებოდნენ ბატონებს და მათ ოჯახის წევრებას, მაგრამ ზენათი დაკარგულა.

ზოგი გადმოცემით იგი ბატონის სტუმარ მოწონებია და ტფილისში წაუყვანია.

ერთხანს ხარჯად ჰყოლია თურმე, ბოლოს მიუტოვებია.

ზენათი ადიღებულ მდინარეში გადავარდნილა.

ძმებმა ბარი გადადეს და ფინდიხი აიღეს.

– დიდთავა სორთმანის სისხლი უნდა დაველიოთო!

– ბატონები უნდა გავწვევითო!

– გვეყო რაც მოვითმინეთო.

კბილებს იღესავდნენ.

დოღასუფას მონღორში თითქმის მთელი ბენოს ხევი შეიყარა.

– ბოლო უნდა მოედოს ჩვენ ტანჯვა – წამებასო!

– უსამართლობასო!

გაიძახდა დიდი და პატარა.

ვიცბილმა და მაცბილმა ერთგული მეგობრები შემოიკრიბეს.

სამი წელი ამზადებდნენ ტყვია წამალს.

ზამთარი დგებოდა.

ძმებმა მიზანში ეცერსი განაპირას მღვარი საგუშაგო კოშკი აიღეს, სადაც მობრდაპირე მხარეს სორთმანის საცხოვრებელი კოშკი იდგა.

თუ სორთმანი აივანზე გამოვიდოდა, ძნელი არ იქნებოდა მისი მოკლა.

მითუმეტეს ძმები სროლაში გაწაფებულები იყვნენ.

ტყვიას ტყვიაში აჯენდნენ თურმე.

მოითათბირეს და შუაღამისას, როცა ეცერი თოვლში იყო გახეყული და კოშკში არავინ იმყოფებოდა, შეიპარნენ და დაიკავეს.

მეორე დღეს ეს ამბავი მთელ ეცერს მოედო.

– დადუმქელიანების საგუშაგო კოშკში გლეხები შესულანო!

– დოღელი ძმები!

– ვიცბილი და მაცბილი.

– ეს როგორ გაბედესო?

– დიდი სორთმანი ორივე ძმას და მათ მეგობრებს თავებს დააყრვენიებსო.

– სორთმანი ბრაზობდა.

ღრიალებდა.

მისი ღრიალი მთელ ეცერს აზანზარებდა თურმე.

– ეს როგორ გამიბედესო.

სასწრაფო ყმები იხმო და ძმების განადგურება დაავალა.

ლაშქარი შეიკრა.

მეთურად ვინმე ავლავი დააყენა, ქედმადლობით და ამაყობით ცნობილი.

თეთრ ცხენზე შემჯღარი თეთრჩოხოსანი ავლავი წინ გაუძღვა ლაშქარს.

ძმებმა თოფები შემართეს.

– ეი შენ, ავლავო! პირსისხლიანო მპორიჭამიავ! – დაუძახა ვიცბილმა, – ვის ემონები, ოთარშერებს და თავგასიებულ სორთმანს? აქ მოსვლას შენს წარბსელებილ ცოლს მიუწვევ გირცეკვია!

– ეცერელებო, მონებო! ახია თქვენზე! ყვიროდა მაცბილი, – ვის ელაქუცებით! გირჩენიათ გვერდით დაგვიდგეთ! მტერს ერთად ვებრძოლოთ.

– ვიცბილ და მაცბილ! – გასძახა ავლავმა, – გამოდით გარეთ თუ მაგარი ვაჟკაცები ხართ, ჭლას მთებში ყვაე-ყორნები თქვენი თვალების ამოსაკორტნად ემზადებიან!

– ვნახოთ! ვის თვალებს ამოკორტნიან!

– ეცერელებო, მონებო! ლაქუცებო! სანამ დროა გონს მოეგეთ! ბეგარა თქვენი ხელით მივაქეთ! ნუთუ არ მოგბეზრდათ მონობა? თქვენს გასაროზგ მათრახს თქვენივე ხელით უწვევთ და აძლევეთ! ცოლებიც საკუთარი ფეხით მიგყავთ პირველ ღამეს! გუგუნებდა მაცბილი, – გონს მოეგეთ და ის თოფები, ჩვენსკენ რომ გაქვთ მომართული, თავგასიებულ სორთმანს მიუშვირეთ!

– ეი, თქვენ საცოდავებო ვიცბილ და მაცბილ! – ისევ გასძახა ავლავმა, ცხენი ყალყზე შეაყენა და ისროლა.

ძმებმა სროლითვე უპასუხეს. თან მიამახეს:

- გონს მოდი ავლავ, გაბრუნდი თორემ ინანებ!
  - ავლავ, დაგეწევა ჩვენი ტყვია იცოდუ.
  - თუთრი ჩოხა გაგიწითლდება!
  - შენს თვაღწარბა ცოლს დაღუშქელიანებსი ნაბიჭვრები მიუწევიან!
- ავლავი გამწარდა.  
ისევ გაისროლა.

ლაშქარი კოშკისაკენ დაიძრა თუ არა, ვიცბილის თოფმა იქუხა და ავლავს თუთრი ჩოხა წითლად შეეღება.

ცხენიდან გადმოვარდა ქედმაღალი ავლავი.

იქვე განუტევა სული.

ლაშქარი უკუიქცა.

ძმებმა რამდენიმე ტყვია დააწიეს.

ერთ-ერთი ტყვია სორთმანის კოშკისკენ გაქანდა.

- ეი სორთმან! თავგასიებულო! ღორის შვილო! რა გინდოდა ჩვენგან, რას გვერ-  
ლოდი! რა დაგისავა ჩვენმა საწყაღმა დაიკომ? - ღრიაღებდა ვიცბილი.

- გამოუთრეთ შე ღორო! ბიღწისხლიანო! - მაცბილის ნასროღმა ტყვიამ აიე-  
ნის კედეს უწია და შეღეწა - არ გექნება მშვიდი ძილი! შენ და შენნაირ ავსორცებს  
მაღე მოგიღებთ ბოლოს!

კოშკი ღუშდა.

ცოტა ხანში ისევ გამოჩნდა ლაშქარი.

ძმებმა ისევ უკუაქციეს.

თოფდა.

ღრო გადიოდა და ღარღერის კოშკიდან მისელას ვერაინ ბეღავდა.

ზამთარი გაიღია.

გაზაფხულზე ისევ შეუტეეს, ამაჯერად ლაშქარს წინ „მართალი გაგული“ მიუძ-  
ღვოდა.

ახეთი სახელი თვით ბატონმა შეარქვა რადგან მისი ყურმოჭრილიმონა იყო.

- შენ რა დაგემართა, ცოდვით სავეს გაგული! - გასძახა მაცბიღმა, - რა გაჭა-  
- ს(უღს)ა მეუღლისა მისსა მართას დიდსა დიდებულსა შ(ეუ)ნ(ღო)ს ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა საოშს ისლამის გამზრდელსა, სიოშს, მამაცსა კაცსა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა ჭყეანსა დადიშგელიანსა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა... რუჩეგაიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა ჯანყვათ დადიშქელიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა ციოყ დადიშგელიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა თამარს ჩარეგაიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა ისლამ დადიშგელიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა დადაშის დიდებულსა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- [ს(უღს)ა] რუჩეგაიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა უფროს მამაცსა დიდებულსა...
- ს(უღს)ა ასთიულს დადიშგელიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა რუჩეგაიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა . . . . .
- ს(უღს)ა მარგეანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა მარგეანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა ისლამ... დადიშგეანიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა შვილებს... შახსო დადიშქელიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა დაქეს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა ყაზმაჯარს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა რამზი დადიშქელიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა ელიზბარს რატიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.
- ს(უღს)ა . . . . .
- . . . . .\*\*

ესე არს ყო[ველ]ად წ(მიდა)მ უბიწო, რო(მელ)ნი დასხნენ, გ[ან]წყესენ წ(მი)და ესე მარტიანი, მოასვენე ღ(მრ)თისა იერუსალიმისა მონასტერთა და ქალაქთა და ეკლესი-

\* შთაერდება მეოთხე ნაკვეთი.  
\*\* შთაერდება მეხუთე ნაკვეთი.



ათა. უ(ფალო) ღმერთო? აღაშენე და აკურთხე სა[ხ]ლი და საყოფელი სლხელთდინ(?)  
დიდებულს ბატონს გ[კ]ლახსანს.

ს(ულს)ა გელახსანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა მის მეუღლესა კაკუს დიდებულს დადიშქელაფხეს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ-  
მ)ან, ა(მენ)!

ს(ულს)ა ახლავს დადიქელიანსა შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთმ)ან, ა(მენ)!

ს(ულს)ა მირზაყანს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა თემირყანს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა თათარყანს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთმ)ან.

უ(ფალო) ღ(მერთო) თ(ვე)ნო! ს(ულს)ა გელახსანს შ(ეუნდ(ო)ს.

ს(ულს)ა კაკუს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა ხოსის ხორგვანისა შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა სუმაილს შეუნდოს ღმერთმან.

ს(ულს)ა ფამელიას\* შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთმ)ან\*\*.

[ღმერთო აშენე], აკურთხე სახლი და საყოფელი ბატონის ციოყს დადიშქე-  
ლიანს ოცდაათი ათასი შესწირა ს(ულს)ისა საკსრად მარტიან მოახვეწეს დდე[ს] მის[ს]  
სადიდებლად.

ს(ულს)ა ციოყს დადიშქელ[ი]ან[ს] კ(უალა)დცა [შეუნდვე]ნ ღმერთმან.

ს(ულს)ა მას... ქაუს მამაც კაცსა კუჭილას შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა ციოყს დადიშქელ[ი]ან[ს]ა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა მეუღლე მისსა აბლას იოს[კ]ლიანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა ფუთა დადიშქელ[ი]ან[ს]ა ერთგულ(?) შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა გაუს ულანს(?) შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა ეტ[ა]ს გურჩ[ა]ან[ს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა ისლამს დაჩქელ[ი]ან[ს] შეუნდვე)ნ ღმერთმან.

ს(ულს)ა მის მეუღლე მარინია რუზაგ[ი]ანსა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა ჯანსოხს დადიქელ[ი]ან[ს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა ფუთა [დადიშქელიანს] შეუნდვე)ნ ღმერთმან.

ს(ულს)ა მირზა დაჩქელ[ი]ან[ს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა ილამაზ დადიშქელიანსა შეუნდვე)ნ ღმერთმან.

ს(ულს)ა სუმას დაჩქელ[ი]ან[ს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა ას[ლ]ანბექს დაჩქელ[ი]ან[ს] შეუნდვე)ნ ღმერთმან.

ს(ულს)ა საველუხს დაჩქელ[ა]ან[ს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა შ[ე]რზა დაჩქელ[ი]ან[ს] შეუნდვე)ნ ღმერთმან.

ს(ულს)ა სორთმანს დაჩქელ[ი]ან[ს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა ციოყს შვილ[ე]ბსა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა მის ჯანსოხსა და ყაფსუყს დაჩქელ[ი]ან[ს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა გაზდილ კახას გუშუანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა მაქას იოსელ[ი]ან[ს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

ს(ულს)ა ყანგუხს დაჩქელიანს შეუნდვე)ნ ღმერთმან.

ს(ულს)ა ბერდიხს დაჩქელ[ი]ან[ს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან, სულსა უ[ფალო].

ს(ულს)ა შენვიერს წიფიანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმ)ან.

\* ფამელია - ფამლი - ზოგადი მნიშვნელობით ყმას, ვიწრო - შინაბმას ნიშნავს.

\*\* მთავრდება მეექვსე ნაკვეთი.

ს(უღს)ა ბღ... ბადვანარ[ს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა აზერის დანქელ[იანს] შ(ეუნდვე)ნ.

ს(უღს)ა მარ[იხა] დანქელ[იანს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა ბიყაღღუს ცაღანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა ჯახუს ... შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა ციოყს [ღადიქელიანს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ქკირ[იკ], მუშვიანას\* ს(უღს)ა მის მოქმედს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

[ს(უღს)ა] თაშღ... შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან\*\*.

ღ(იღებ)ა ღ(მერთ)ო! აშენე, აქურთხე, ს[ა]ხლი და საყოფ[ელი], ჯანყვათ ჩარგვიანს ზემო უშქულს, ღადვერს\*\*\*, ყველაი, აწ ესე, ხუცესბან, ახ[ალ] მოწესესა ოცდაათი ოთხი შესწირე ს(უ)ღისა მის(ის)ათ(ვის). ესე მატია[ნე] მოახყვენ[ს] ს[უ]ღლ[ის] ს[ა]კს[რა]ღ.

ს(უღს)ა ჯანყვათა ჩარკვიანს ღ(მერთ)მან შ(ეუნდვე)ნ.

ს(უღს)ა მირაგუს ღ(იღებ)ს(უღს)ა დანქელ[იანს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა შარამხათ ჩარკვიანს ღ(მერთ)მან შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა ციოყს ჩარკვიანს ღ(იღებ)ს(უღს)ა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა მელმის [ღა] დესნას დებდარ[იანს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა მირაგუ მთბღლომა(?)...(0).

ს(უღს)ა ჯანყვათას შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა ჯადარბღლ(?) მარისს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა გედის ღ(მერთ)მან შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა ნაგჭ[უს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა ჩარკ[უს]ს(უღს)ა ღ(მერთ)მან შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა მანის შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა მირანგუს ღ(მერთ)მან ჩ(ა)რკვიანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა ანა ჩარკვიანს ღ(მერთ)მან შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა ღ(იღებ)ს(უღს)ა...

ს(უღს)ა ქუარ[იას] ღ(იღებ)ს(უღს)ა ჩ(ა)რკვიანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

ს(უღს)ა კაკუ ღ(მერთ)მან ჩარკვიანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

\* მუშუქვიანი (სვანი, მუ-შენი = მუ-შვანი) – გვარი უნდა იყოს.

\*\* შიარღება მუშვიდ ნაკეთი.

\*\*\* საისტორიო ძეგლებში უშუალო და ღადვერი (ღადვერი) ხშირად უპირისპირდება ერთმანეთს. ეს მისი მარჯვენაღივანაა, რომ ისინი ენგურის ხეობის სვანეთის უკიდურეს დასახლებულ პუნქტებს წარმოადგენდნენ. მ. ქაღდანის განმარტებით, ღადვერი ღადვერდელი წუბეხევის ძეგლი სახელია, რომელიც აერთიანებდა ნაკსა და შვიდორს შუა (მდ. ნაკის შუა სართავამდე) მოქცეული ხეობის მოსახლეობას. ღადვერის სახელწოდება ღადვერ შემორჩა წუბეხევის სოფ. ღადვერთან მდებარე ერთ მინდორს (იხ. მ. ქაღდანი, სვანური ერის წუბეხეური მეტყველების თავისებურებანი, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI, 1959, გვ. 213-215). აღნიშნულ მინდორში, უკანასკნელ დრომდე ტრადიულად წუბეხევის მოსახლეობის რელიგიური დღესასწაულები: წირვა-ლოცვა, ცხენოსნობა („კლიშობა“) და სხვ. მ. ბერძენიშვილის ჩვენებით, ღადვერი უდრის თანამედროვე ჭუბურის ხეობას (იხ. მ. ბერძენიშვილი, სვანური დოკუმენტები როგორც წყარო XIV-XV საუკუნეთა სვანეთის სოციალური ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, თბ., 1968, გვ. 111). უღაია, რომ ჭუბურის ხეობა და მისი დასავლეთის მოსაზღვრე ტერიტორია, სვანეთის სახლდურებში შედიოდა, მაგრამ იმ დროისათვის და უფრო ადრეც, როდესაც ხსენებული დოკუმენტები დაიწერა ე. ი. XIV-XV სს. ჭუბურის ხეობა დასახლებული არ იყო. ივარაუდება, რომ აქაური მოსახლეობა ადრე ამოწყვეტილა (აქ სვანთა ნამოსახლარი ძველთაძველი გვადილა შემორჩა), შესაძლებელია, იგი VI ს. მისიმიანთა ამოწყვეტას ან ბიზანტია-ირანის დავას უკავშირდება. ჭუბურში ხელახალი დასახლება მხოლოდ XIX ს. მოხდა, უპირატესად წუბერხევის მოსახლეობათა ხარჯზე.

ს(უღს)ა სათოთხ დბ შ(ეუნდვენ).

ს(უღს)ა ბავირ(?)

ს(უღს)ა მირზა დბ ჩარკვიანის შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

ს(უღს)ა გუდე რ[უჩქეკ]იანის დბ შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

ს(უღს)ა მირ[იხს ჩ]არკვიანის ღ(იდებ[ია] შ(ეუნდვენ).

ს(უღს)ა მარის\*.

უ(ფალო) ღ(მერთო)! აღდგერქელე სორთმან დადიშქქელიანი და მისი შვიტლები, ღ(მერთო)! აკ(ურთ)ხე და ა(ა)შენე სახლი და საყოფელი სორთმან დადიშქქელიანისა კრება შეგყარეს ოცდახუთმეტი ჭარი შესწირეს და სხ(უა)ე უმრ[აველი კიდეე.

სულკურთხეულსა სორთმან დადიშქქელიანისა შ(ეუნდლო)ს ღ(მერთმან) და მის მეუღლეს ელდარუფხს დევდარიანის ქალსა შე[უ]ნდოს ღ(მერთმან) და ს(უღს)ა მის მამას ილამახსა დადიშქქელიანის შ(ეუნდლო)ს ღ(მერთმან).

ს(უღს)ა მის მეუღლესა შგვილიფხს შ(ეუნდლო)ს ღ(მერთმან).

ს(უღს)ა მის ძმასა თათარსაუს და ყარაშაას შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

მის გამზდელს დეკოს დვენოზიანს შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

ს(უღს)ა მის დასა ღ(მრ)თის მოშიშს ანას შ(ეუნდლო)ს ღ(მერთმან).

მის დასა სათვის შ(ეუნდლო)ს ღ(მერთმან).

ს(უღს)ა ხუვაშის შ(ეუნდლო)ს ღ(მერთმან).

ს(უღს)ა მის მეღიქიფხს ბიბუს მახეჯგიანისა შ(ეუნდ(ნეს) ღ(მერთმან) და ღ(მერთო) კ(უალა)დ ამრთელე და აღდგერქელე სორთმან დადიშქქელიანი და მისი შვიტლები და მეტად საღმთო და კრება ქნეს, შეგუყარეს სამოცდაათი ხუცეს. უ(ფალო) ო (იხ)უ ქ(რისტ)ე! გაუდე კარი სამოთხისა და მის დასა მირანგუს, შე[უ]ნდოს ღ(მერთმან) და ხაჩირს დვენოზიანსა შ(ეუნდლო)ს ღ(მერთმან).

ს(უღს)ა შ(ი)ს დიასახლიშს ყახმაქვას შ(ეუნდლო)ს ღ(მერთმან)\*\*.

ესე არს ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ე უბიწო კრება, რ(ომელ)ნი დასხნეს და განაწყნეს წ(მიდა)თა მოციქულთა ბრძანებითა, ღ(მრ)თისა, ყრომს და იერუს[ალი]მს და ყ(ოველ)თა მონასტერთა და ქალაქთა და სოფ(ელ)თა და ეკლესიათა. დაიწერა წ(მიდა) ესე მარტიანე სალოცველად ყ(ოველ)თა სვანეთისა კრებისა შემომწირველთა და შემოვედრებულთათ(ვის). ვ(ი)ნთა ეცერს ამა კრებისა მოეგება მ(ა)თ ყ(ოველ)თა შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

ღ(მერთო)! აშენე, აკ(ურთ)ხე სახლი და საყოფელი ისლამ დადიქქელიანისა.

ს(უღს)ა ისლამს და და[ღ]იშქქელიანისა სუანეთის ხუცესთა მალხინებულსა ახალ კრებისა მოწესება შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან). მის მიცვალებულ[თა] ყ(ოველ)თა შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

ს(უღს)ა მარიხა რუჩეგიანისა შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

ს(უღს)ა ისლამს შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

ს(უღს)ა ციოყს დადიშგელიანისა შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

ს(უღს)ა ისლამს შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

ს(უღს)ა გლახაკსა ნახვის(?) შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

ს(უღს)ა ჭყვანს დაღ[ი]შქქელიანისა შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

ს(უღს)ა ჯანსუხს შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

ს(უღს)ა სათოთის შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან).

\* მთავრდება მერვე ნაკვეთი.

\*\* მთავრდება მეცხრე ნაკვეთი.

- ს(ულს)ა ქვარიას შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ყანგეზ[ს] შ(ეუნდვე)ნ.
- ს(ულს)ა ყაზმაქვას და[დი]შგეღლიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა თამარს ჩარკვიანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ყაზმს და მრანგუს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა კუკუნისლ და კაკუნისლ შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ფ(რია)დ ცოდვილსა ისლამს [შეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან].
- ს(ულს)ა ბაგუს და ღ[ქ]შახს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა მის სიძეთა დადაშის და ნაგვუს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ისლამს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა საჭუქეს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ქაღინას და მაქას შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან, ა(მენ)!
- ს(ულს)ა ისლამს და ათაბეყ თახუს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ისლამის სტუმართა ჯიბერდის, შაოშს და ბადრის შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან, ა(მენ უ(ფალო)!
- ს(ულს)ა ისლამს და მის დედამამასა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა გურანგუ წით[ი]ანისა შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ისლამს და მის მეუღლეს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა მაწკ[ა]ვას შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა სიოშს მდღელსა, ისლამის ერთგულსა, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა კაზ შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა კახ[ა]ბერს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ჩართველიანისა გუგას შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან, მის შვილსა გოგნას შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ამის მხხრეკელსა... შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან, უყავ და უყავ\*.
- ს(ულს)ა ჩარგ[ას] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ღ(მერთ)ო! აშენე, აკ(ურთ)ხე სახლისა საყოფ(ე)ლი ყორმ[ღ]შხუ გოშ[უ]ანის, ოც-დაათი ათასი შესწირეს ს[უ]ლ[ის]ამისთ(ე)ის ღ(მერთ)სა.
- ს(ულს)ა დიდსა დიდებ[უ]ელს ყორმ[ღ]შახს გოშ[უ]ანის შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან კ(უალად)ცა მი...
- ს(ულს)ა დიდსა დიდებ[უ]ელი ელდარუპუსს ოღლეუყუს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ბინაგორ გოშოანის შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა მაქუს ანნაბანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ყორმ[ღ]შხუ ბატონის, კეთ[ი]ლ მოქმედი, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან, ფ(რი-ა)დ ც[ო]ლ[ე]ილი, შ(ეუნდვე)ნ.
- ს(ულს)ა მეუღლე მის, ღმრთისა მუშიშ კ[ა]ც[ს], საყვარ[ე]ლ ელდარუპუსს].
- ს(ულს)ა ყაზისი გუშუანის, მამაცს კაცს, შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ყამალ...
- ს(ულს)ა ელბრუეს გუწუანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა აღფაან გოშუანს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ბახარ გოშოანიფხ[ს] შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა ყორმი[ღ]შხუს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.
- ს(ულს)ა მის მიცვალებ[უ]ლთა ყ(ოველ)თ შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.

\* მოავრდება მეთუ ნაკვეთი.

ს(უღს)ა შუიღს უიფხ... შუფხეს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა ბინაგორ გონუანის შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა... აბექს გოშუანის შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა მაქვას შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა ანოყუს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა გუაშხვადს ანმურუახვა(?)...  
 ს(უღს)ა ყქრმქმქმიქეს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა აყშქედუ... ანუ(?)... შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთ)მან\*.

ქ(რისტე)ო ღ(მერთ)ო! აშენე და აკ(ურთ)ხე სახლი და საყოფელი სახელთ ღა-  
 ზ[ა]რეს სვიფლიანს, წ(მიდა)ი გ(ორგ)ის სვიფშის, ა(მენ) ღ(მერთ)ო! გ(ორგ)ის ყქრმა  
 შვილი მიეც ღ(მერთ)ო, ა(მენ)!

ს(უღს)ა ღაზარს სვიფლიანს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა მის მექუქლ(ღეს) მაქას გ[ა]ღრაფხეს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა მეორეს ცოლსა ანას ცალაფხეს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა მის გაზრდილს ჯანბულათს დადიშქელიანს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა იეზას შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 [სუღსა] ყადუს სუფლიანს შ[ეუნდ]ვენ ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა მი... ღს(?) შაქას დეერიფხეს შ(ეუნდ[ვენ] ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა გიერგს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა ტაზას შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა ქერს შ(ეუნდ[ვენ] ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა ყანუს შ[ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა მაქას სვიფლინფეს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა მტგს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა მ(ი)ს მეუღლეს მაქაილს სვიფლიფხეს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა ქაუზაის გურჩ[ი]ანს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 [სუღსა] მი[ს] მეუღლეს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა ემუს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა მი[ს] მეუღლეს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა... სვანს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა ღაზარქეს მიცვალებულთ ყოკველთა შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა ამ მარტიანს ვინც შენდობას მომიხსენებთ ყ(ოველ)თ შ(ეუნდ(ო)ს  
 ღ(მერთ)მან.  
 ს(უღს)ა მზადოს შ(ეუნდ(ო)ს ღ(მერთ)მან, ა(მენ)\*\*.

უ(ფაღო) ღ(მერთ)ო! აშენე, აკურთხე ს[ა]ხლი და საყოფელი სახელთ ბექის და  
 მის ძმას ქოჩუს, კრება ბედნიერს შეგიყარეს ღ(მერთ)ის საღოცველად, სუღი[ს]  
 საჯსრად, ღ(მერთ)ო კაიშის\*\*\* მთავარ-ანგელოზ(ო), შენი სახ[ე]ლი არს.

ს(უღს)ა ბექის ჩხუმიანს შ[ეუნდ]ონ ღ(მერთ)მან.  
 [სუღსა] მის მეუღლ[ეს] მირანგუს შ[ეუნდ]ვენ ღ(მერთ)მან.

\* მთავრდება მეთერთმეტე ნაკვეთი,

\*\* მთავრდება მეთორმეტე ნაკვეთი.

\*\*\* კაიში შედიტს ფარის თემი.

ს(ულს)ა მას ქუჩუს ჩხე[იმი]ანსა შ[ეუნ]დვექნ ღ(მერთმა)ნ.

[სულსა] მეუღლეს მაქას შ[ეუნ]დვექნ ღმ[ერთმა]ნ.

ს[ულს]ა... ჩხუმიანს შ(ეუნ)დ[ოს] ღ(მერთმა)ნ.

ს[ულს]ამის მეუღლეს ანის შ(ეუნ)დ[ოს] ღ(მერთმა)ნ.

ს[ულს]ა თხესუს შ(ეუნ)დ[ოს] ღ(მერთმა)ნ.

ს[ულს]ა ფუთას და მის ძმაებს კაცოის და... ანღირს შ(ეუნ)დ[ოს] ღ(მერთმა)ნ.

ს[ულს]ა შინმ[\*]რზას და... ათმ[\*]რზას შ(ეუნ)დ[ოს] ღ(მერთმა)ნ.

ს[ულს]ა ეზას და...

ს[ულს]ა ჩხუმიანს შ(ეუნ)დ[ოს] ღ(მერთმა)ნ.

ს(ულს)ა მის მეუღლ[ეს] ბიქეშის შ(ეუნ)დ[ოს] ღ(მერთმა)ნ.

ს[ულს]ა ქუჩუს სუფღეანს შ(ეუნ)დ[ოს] ღ(მერთმა)ნ.

ს(ულს)ა შუტუს და მ[ეუ]ღლ[ეს] გეღდას შ(ეუნ)დ[ოს] ღ(მერთმა)ნ.

ს[ულს]ა ბექას მის მეუღლეს ძღს(?) და... ხას მათ ყ[ო]უ[ელ]თ შ(ეუნ)დ[ოს] ღ(მერთმა)ნ\*.

\* მოავრდება მეცამეტე - უკანასკნელი ნაკვეთი.



**ლუბა ბოჭორიშვილი - ამაგდარი მეცნიერი (1914-1952).** ქალბატონი ლუბა ბოჭორიშვილი ქართულ ეთნოლოგთა პირველ პლენადან მიეკუთვნება. უხეშვად ხანმოკლე სიცოცხლიას, ლუბა ბოჭორიშვილმა დატოვა მდიდარი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, რომელიც წვენი ეთნოლოგიური მეცნიერების ოქროს ფონდშია შესული.

ლუბა ილიას ასული ბოჭორიშვილი დაიბადა 1914 წლის 17 სექტემბერს თელავის რაიონის სოფელ ბუშეთში. 1935 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მას გამოცემული აქვს მონოგრაფიები და ცალკეული ნაშრომები, რომელთაგან გამოვეყიფთ რამდენიმეს: "კახური ჩაცმა-დახურვა (ქალის ჩაცმულობა)", - ანალები, ტ. I, 1947 წელი; "ქართული კერამიკა", ტ. I, 1949 წელი; "შასალები კახეთის ქალაქების ოქრომჭედლობის შესახებ", - მსე, ტ. VIII, 1956 წელი და სხვ.

მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, ლუბა ბოჭორიშვილის კვლევის არგალი შეტად მრავალფეროვანი და მასშტაბურია. ის სწავლობდა ქართულ კერამიკას, სამოსს, სამკაულებს, ოქრომჭედლობის ისტორიას და სხვა ფუნდამენტურ საკითხებს. უმნიშვნელოვანესია ქალბატონ ლუბას მიერ გამოთქმული დაკვირვება, ქართული ხალხური კერამიკის ტიპოლოგიური ერთიანობისა და მისი ძველი ქართული მეთუნეობის კულტურიდან მომდინარეობის შესახებ. საერთოდ, ლუბა ბოჭორიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა იმ მხრივაც არის განსაკუთრებით ფასეული, რომ იგი ყოველ საკითხს ისტორიული განვითარების ჭრილში იკვლევდა და დიქტონული კუთხითაც ამომწურავ პარადღეებს პოულობდა. შეორე თავისებურებას გაზიარჩევს ლუბა ბოჭორიშვილის ნაშრომებს - ის არის საოცრად თავისუფალი მკვლევარი - მისი ყველა ნაშრომი ობიექტური და იდეოლოგიური კონსისტენტისგან თავისუფალია.

ამ კრებულში იბეჭდება ლუბა ბოჭორიშვილის ერთი გამოკვლევა - "ოქრომჭედლობა სვანეთში". ნაშრომი გამოქვეყნდა 1946 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში (ტ. VII, №5). დღეისათვის ეს გამოცემა უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და ამიტომაც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მისი ხელახალი გამოცემა. ნაშრომი მრავალმხრივ არის საყურადღებო. მკვლევარს შესწავლილი აქვს ოქრომჭედლობის განვითარების ეტაპები სვანეთში, მოაყავს საინტერესო ლეგენდა-გადმოცემები, რომელთაც უკავშირებს ანტიკური ხანის კულტურულ წრეებს; გამოთქვამს სრულიად ორიგინალურ დაკვირვებებსა და დებულებებს. ვფიქრობთ, ნაშრომით დაინტერესდებიან ახლავაზრდა მეცნიერებიც და ვაზარძობენ ამ მმართულებით კვლევას.

**ლუბა ბოჭორიშვილი**

**ოქრომჭედლობა სვანეთში**

„დაბადება“-ში წარმოდგენილი ცნობებიდან და ბერძენ-რომაელი მწვერვალების თხზულებებიდან ჩანს, რომ ქართველი ტომები ლითონის დამუშავების ხელოვნებით ძველი დროიდანვე ყოფილან განთქმული; ხალიბურ რკინას, მოსინიკურ სპილენძს და სვანურ ოქროს, იმდროინდელ კულტურულ მსოფლიოში, საყოველთაო ქება და სახელი ჰქონია მოხვეჭილი.



ლითონის მოპოვებისა და დამუშავების ადრინდელი ტრადიცია ერთიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად ჩამოყალიბებული ერის ცხოვრებაშიც გაგრძელდა და განმარტების ხანებში მან ჩვენს დრომდეც კი მოაღწია\*. ლითონის ჭედვით და კერძოდ კი ოქრომჭედლობით ცნობილ კუთხეთა შორის სვანეთს იმთავითვე საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი. აკად. გ. ჩუბინიშვილია დაადგინა, რომ „ქართული ოქრომჭედლობის ნივთები, რომლებიც სვანეთშია შემონახული, სვანეთის საოქრომჭედლო სახელწოდებით შეიქმნა დაწინაურდა“ [1].

ოქრომჭედლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ზემო სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღესაც ცოცხლობს. ოქრომჭედლობის ძირითადი ცენტრები ბალსქვემო სვანეთშია წარმოდგენილი; ბალსზემო სვანეთის ოსტატთა უმრავლესობასაც, როგორც გადმოგვცემენ, სახელწოდებით განათლება ბალსქვემო სვანეთში აქვს მიღებული.

საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, სვანეთშიც რკინას, მამაკაცები სჭკადენ, ოქრომჭედლობას კი მამაკაცებთან ერთად ქალებიც მისდევენ.

მოხუცი სვანების მონათხრობიდან ირკვევა, რომ სვანი ოქრომჭედელი – წყლნი მუშეიდი, ძველად უპირატესად ოქროს ამუშავებდა. ოქრომჭედლობის სფეროში გაბატონებული ადგილი ოქროს ეჭირა. ოსტატი ამჟამად უმთავრესად ვერცხლს (ვარჩხილ) ხმარობს და დროდადრო კი ოქროს (ოქრტ), თითბერს (თითბირ) და სპილენძსაც (ჩეძ) იყენებს. სვანეთის მოსახლეობის მოთხოვნილებას ამჟამადაც სვანური ოქრომჭედლობა აკმაყოფილებს; იარაღის შემკულობას, ცხენის საკაზმის მორთულობას და მამაკაცისა და ქალის მრავალსახოვან სამკაულს ადგილობრივი მუყერი ამზადებს\*\*. სამკაულის ზოგი სახეობა სვანურ ჩაცმულობას მუდამ თან ახლავს. ამის გამო, რომ სამკაულების ბეჭდვას აქაური ოქრომჭედლის საქმიანობაში ახლაც დიდი ადგილი უჭირავს. სვანი ოსტატი დღესაც ჭედს სხვადასხვაგვარ ლილკაბრს (ლილიკა-ებს, ლილკას), მესკაბრს (ბეჭქვს), „ჰერწამ“-ად სახელდებულ სამრგოლა ბეჭქვს, პეტქაქაღებებს (სამაჯურს), ლემტმარბლს (საყურებს), სამკერდე კებზარს, „ჯინჯილ“-ებსა და „დადუღდამი“-თაგან შედგენილ ჩაფრბლსტს და სხვა სამკაულს.

ოქრომჭედელი მცირე ზომის ნივთებს აკეთებს და მისი სამჭედლოს ე. წ. ლაშკდაშის მოწყობილობასაც მცირე ზომის იარაღები შეადგენს. საოქრომჭედლო სახელწოდების ხელსაწყო-იარაღთაგან შეიძლება დავასახელოთ: ბწლ – ცეცხლის გასაძლიერებლად განკუთვნილი საბერველი; ტუნი – გასადნობი ლითონის მოსათავსებლად ხმარებული პატარა ჯამი, ძირმრგვალი და ტუნგამოწეული; ღვებილ – ნავისებურად მოყვანილი; ბოლომოკაუჭებული რკინის ჭურჭელი რომელშიც გამდნარ ლითონს ასხამენ; კვან – რკინის პატარა გრდემლი; კალპეტ – მცირე და მოზრდილი ნაწერეტებით დაფარული, თქანისგან დამზადებული ლითონის კალაპოტი; ლაკაღებტ – ლურსმანის მსგავსად მოყვანილი ლითონის იარაღი (კალაპეტსაც და ლაკაღებტსაც დიდების კუთხის დროს იყენებენ); კვთხ – კვერი; მარწახტ – მარწეხი; ლაგზენ ფიცარ – ნაწერეტებიანი რკინის ფირფიტა, ლითონის ძაფის გამოსაყვანად ხმარებული.

ოქრომჭედლების მუშაობის დროს ამათუი მსახის ლითონთან ერთად, სხვა დამხმარე მასალაც ესაჭიროებათ: ხშიშ – ღორის ქონია გახურებულ ღვებილს უნდა წაუსვან, რომ გამდნარი ლითონი მის კედლებს არ მიეკრას, წაქ – რძის შრატია; გა-

\* ქართული ოქრომჭედლობის საკითხს შეეხო პროფ. გ. ჩიტია, სასოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მეხუთე სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში („ოქრომჭედლობის საკითხისათვის საქართველოში“).  
\*\* ოსტატს სვანურად მუთერი ეწოდება.



დადნობილ ლითონს გაცელების შემდეგ, ადუღებულ წაქში ათავსებდნენ, წაქში ამოვლებულ ლითონს ბზინვარება ემატება (მაგ. „ვერცხლს ათუთრებს“-ო). ბორაკი გადნობის პროცესში დებულობს მონაწილეობას. ტუნუში ლითონთან ერთად ათავსებენ. ბორაკი ლითონს აწმინდავებს, უვარგის ნაწილს ე. წ. წიდას ლითონისაგან გამოჰყოფს. ქართველი ოქრომჭედლებისათვის ეს ნივთიერება ძველ დროშივე უნდა ყოფილიყო ცნობილი. ბორაკი ანუ ბაერიკი – ამბობს საბა „მარილს ჰყავს, ოქრომჭედელნი იხმარებენ ოქროსა დასადნობად“-ო და იქვე დასძენს: „ელვარე წყალი არს, რომელი ხაშურის მსგავსთა გამოჰყრის“-ო ([2] – ამ სიტყვის განმარტების დროს, საბა დაბადებამდე მისუთითებს).

სვანური ოქრომჭედლობა გარკვეულ ნათესაურ მსგავსებას პოულობს ადგილობრივ რკინის მჭედლობასთან, გადაწყვეტას მოითხოვს გრდემლთან დაკავშირებულ საკითხი (ქვის გრდემლი (ქვის „კვან“-ი), რომელსაც რკინის მჭედელნი თითქმის უკანასკნელ დრომდე იყენებდნენ\*, ოდესღაც საოქრომჭედლო სახელოსნოშიც ხომ არ ბატონობდა? რთ იყო გამოწვეული მელითონეებით ცნობილ კუთხეში ქვის გრდემლის ხანგრძლივი არსებობა? მომავალი კვლევა-ძიება, რომელიც სვანური ოქრომჭედლობის მონოგრაფიულ შესწავლას ვარაუდობს, ამგვარი ურთიერთობის მაშვიდანებულ ფაქტებს, ალბათ, უფრო ნათელჰყოფს და, შესაძლებლობის ფარგლებში, თითოეული მათგანის განვითარების გზებსაც გაარკვევს\*\*.

სვანეთის წარსული ეოფის მცოდნეთა ნაამბობიდან ვგებულობთ, რომ ოქროს მოპოვების ხალხური წესები სვანეთის ისტორიის ახალ პერიოდშიც კი განაგრძობდა არსებობას. ხალხმა გამოცდილებით იცოდა, რომ სვანეთის მდინარეებს ოქრონარევი ქვიშა მოჰყვებოდა. წიფნისის, ლაგნას, ძედდარის, მორელის, სვიმელდის, დევრაკის, გიქილი ლეცარის, მეკაშის, პეავრალის, ჭვერდას, პარშლას, ლაჩარლის, ცერის და სხვა ოქროვან მდინარეთა სიმდიდრე სვანებს მუდამ ახსლავდა; ოქროთი მდიდარი ღანისიდი უწინაც სახელგანთქმულ ადგილსამყოფელს წარმოადგენდა. მდინარეთა ჭაღლებში სვანები, ზოგჯერ დიდრონ ნატეხებსაც პოულობდნენ; ხალხს ახლაც ახსოვს გიფ, თუ შაითუ კვებლიანის მიერ ნაპოვნი ოქროს ღოდის ამბავი: კვებლიანს ვერ შეუცვნია მოპოვებული საგნის დირებულება და თავისი სახლის ეზოში დაუგდია. უპატრონოდ მიტოვებული ოქრო თავად დადუშქელიანს უნახავს და წაუღია, ამის სანაცვლოდ მას კვებლიანი დიდად დაუსაჩუქრებია\*\*\*.

ოქროს მოპოვების ხალხურ საშუალებათა შესახებ საყურადღებო ცნობები მოვაწოდეს: 101 წლის ბესი აბის-ძე სამსიანმა (სოფ. ეელი), მისმა თანასოფელმა – 72 წლის ლაზარე გიოს-ძე ხვიბლიანმა და 64 წლის გიორგი გუას-ძე ხვისტიანმა (სოფ. ზეგანი). ოქროს მოპოვებას სვანები ცხერის ტყავის (ცხერის ტუფის)\*\*\*\* დახმარებით ახერხებდნენ. ფიცარზე გაჭიმულსა, თუ სხვაგვარი ხერხებით გაშლილს ცხერის ტყავს წყალში ჩაჰფენდნენ (სამსიანის სიტყვით მდინარის ნაპირას, ხოლო ხვისტიანის სიტყვით კი – მდინარის შუაგულში) და სათანაოდ დაამაგრებდნენ, რომ წყალს არ

\* ქვის გრდემლი – რომელსაც, სეტში (მესტია მცხ. მჭედლის მამრზა ბაის-ძე ნიგურიანისა და ზარდლაში მცხ. მჭედლის დავით მირიანის ძე დადვანის თქმით. მათი წინაპარი მჭედლები ხმარობდნენ – დავით დადვანის სამჭედლოში აქამადაც ძეგს.

\*\* სვანეთის ოქრომჭედლეთა ნაწარმის ზოგიერთი ნიმუში საქ. მუზეუმის ეთნოგრ. განყოფილებაში და მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არის წარმოდგენილი.

\*\*\* დადუშქელიანმა კვებლიანს „სამი ხარი“, „ერთი ცხენი“ და ძვირფასად შემკული „სამი სვანური თოფი“ აჩუქაო.

\*\*\*\* წერილფეხა საქონლის ტყავს „ტუთ“-ს უწოდებენ და მსხვილფეხა საქონლის ტყავს კი „გეარე“-ს.



მოეტანა, ტყავის ბეწვიანი მხარე ზემოთ უნდა ყოფილიყო მოქცეული. „ბეწვი ოქროს დაიჭურდა და წყალი კი გადაიფლიდა“, „სველი ტყავი ოქროს კენჭებს მიიწებებდა“, რადგანაც ოქრო უფრო მიიმეა, ვიდრე სილა, ამიტომ „ქვიშა ზევით რჩებოდა და ოქრო ძირს ჩადის“. განსაზღვრული დროის შემდეგ ტყავს ამოიღებდნენ და გასაშრობად გაშლიდნენ. გამშრალ ტყავს დაბურტყავდნენ და „ოქროს კენჭებს“ გადმოჰყრიდნენ.

ოქროს მოპოვების ეს წესი შორეული წარსულის მემკვიდრეობას წარმოადგენს. სტრაბონის გეოგრაფიაში სვანების სამხედრო ძლიერების მაუწყებელ ამბებთან ერთად შემდეგი გარემოების შესახებაც ვკითხულობთ: „ამბობენ, წერს სტრაბონი – რომ მათ მდინარეებს მოაქვთ ოქრო, რომელსაც ბარბაროსები აგროვებენ ძირგანვრეტილი ვარცხლებისა და ბეწვიანი ტყავების დახმარებით“ ([3], გვ. 138). სტრაბონის ამ სიტყვებს მე-12 საუკ. მწერალი ვესტალიც იმეორებს თავის კომენტარებში. ეს უკანასკნელი ძირგანვრეტილ ყუთებზე არ მიუთითებს და მხოლოდ „ცხერის ტყავი“- გამოყენების შესახებ აღნიშნავს ([3], გვ. 203-204).

ამ საყურადღებო საკითხს ისტორიკოსი აპიანეც ეხება (ა.ხ. წ. მე-2 საუკ.) პომპეუსის აღწერილობაში. „ბევრ წყლებს – მოგვითხრობს აპიანე – რომელნიც კავკასიონიდან მომდინარეობენ, თან მოაქვთ შეუშნეველი (პაწია მარცვლებისაგან შემდგარი) ოქროს შლამი; იმ მიდამოთა მცხოვრებნი, ხშირმატყლოვანი ცხერის ტყავების წყალში ჩაშვების მეოხებით, აგროვებენ მათზე მიწებებულს ოქროს შლამს“ ([4], გვ. 531). ბერძენ-რომაელი მწერლები, ზღაპრულ სამოსელში გამოხეული გადმოცემების საფუძველზე, მთელი კოლხეთის სამეფოს სიმდიდრეზედაც მოგვითხრობენ: „არსებობენ აგრეთვე გადმოცემანი ჯადოსან მედეას შესახებ და იმ ქვეყნის სიმდიდრეზე – ოქროს, ვერცხლის და რკინის სახით წარმოდგენილზე“ – ამბობს სტრაბონი ზემოხსენებულ თხზულებაში ([3], გვ. 94-95). პლინიუს სეკუნდი კოლხეთის აღწერის დროს საგანგებოდ მიუთითებს ამ გარემოებაზე: კოლხეთის მეფემ, ეიტის შთამომავალმა სავლაქმა, როგორც ამბობენ „სვანთა ტომის მიწაზე და საერთოდ, ოქროს საწმისებით განთქმულს თავის სახელმწიფოში, უადრესად დიდი რაოდენობის ოქრო და ვერცხლი ამოიღო“ ([5], გვ. 197-198).

ამ ძვირფასსა და პატივცემულ ლითონთან დაკავშირებით სვანეთში მრავალ ზღაპრულსა და ნახევრად ზღაპრულ ამბებსაც გავიგონებთ (სოფ. ზეგანი).

გიორგი გუანს-ძე ხეისტანის (სოფ. ზეგანი) ნაამბობის მიხედვით: ვიღაც მონადირეს ცერში უნახავს მიწის ქვეშ დამარხული, ხალხის რწმენით, ოქრო-ვერცხლის შესანახავად განკუთვნილი ეკლესია, მაგრამ ხელახალი მგზავრობის დროს ვეღარ მიუგნია მისთვის. გიორგი აღმახის-ძე ავალიანის (სოფ. ჰადიში) სიტყვითაც: წვრნი სვეტის გამოქვაბულში ერთ ცნობილ მონადირეს ოქრო შეუშნევია. ოქრო ჯოხების მსგავსად ყოფილა კლდის კედლებზე ჩამოკიდებული, გამოქვაბულიდან ოქროს გამოტანის გამო მას ღმერთი გასწერომია და ავად გამხდარა. მონადირეს ოქრო უკანვე დაუბრუნებია, ღმერთისათვის მსხვერპლი შეუწირავს და გამოჯანმრთელდება. ასლანბეგ მურხანს-ძე გულბანის (სოფ. ბოგრეში) გადმოცემით, მის მამას, ყოშარაში ალაჭაღაზე უხილავს ვეკლებშემოხეული ოქროს საგნების გროვა. ალაშიანის დანახვისთანავე ვეკლებს ოქროუწინარუქმნიათ. აღექსი გიორგის-ძე ხაჭვანის (სოფ. ნაიფარი) თქმით: მათი გვარის წინაპარს, ძველ დროში, სადღაც ოქროს თავი უპოვნია და ზეციური ძალის ზემოქმედების შედეგად ის ნაკოფარის „ჯვრეგისათვის“ შეუწირავს.

სვანური ოქრომჭედლობის და საერთოდ ლითონდამუშავების დიდხნოვანობის დასადასტურებლად, მთხრობლები სვანი ოქროსმაძიებლების მიერ შემთხვევით ნა-

ხულ ნივთებსაც ასახელებენ ხოლმე ილარიონ აზაის-ძე პირველის (სოფ. ნაკიფარი) გადმოცემით, ოქროს მაძიებლობის ერთ-ერთ უბანში სპილენძის სატეხი (ასაღმოსავლეთით). ალექსი ხაჭვანის მოწმობით, ღასალში, ოქროს ნივთების სატეხად ხმარებული კვერი (კვთხ) და პატარა ცული (კადწ) აღმოუჩნიათ. 100 წლის მოხუცი – სოზარ თათაის-ძე გულბანი (სოფ. ნაკიფარი) იფრებს ელეელი აბი სამსიანის მონათხრობს და ამბობს: ნაქდერას ძირში ხშირად უნახავთ სარტყელის შესაბნევი ხარჯიკები და ყალიონო. კოსტა ყარაბის-ძე ხეიბლიანმა, ვარდან გიორგის-ძე ფანგანმა და ბიქტორ დავითის-ძე ხეიბლიანმა (სოფ. ძლი) გვაუწყებს, რომ ოქროს ძიების დროს, ღასალში და აცის უბანში, მათ და მათს ამხანაგებს ხშირად შეხვედრიათ ნაჯახები და ორკაპიანი ისრები, ორჯერ უპოვიათ ბაყაყისნაირი და თვეზისნაირი გამოსახულებანი, სგომი რიყეში ნაპოვნი ბაყაყი ოქროსი ყოფილა. ორიოდე წლის წინ, აკაკი სამსიანის მეთაურობით მომუშავე ჯგუფს, ჯგრაგილა რიყეზე, სპილენძისაგან ჩამოსხმული ცხვრის გამოსახულება უნახავს. ეს უკანასკნელი სოფ. ელის მცხ. ყათლან სამსიანს წაუღია, მაგრამ, როგორც იგი ამბობს, შარშან დაჰკარგვია. არცხელის თავში მუშაობის დროს, იფარელს გიორგი პირველსა და მის ამხანაგს, თუ ზემოხსენებულ მთხრობლებს დაეუჯერებთ, ოქროს გველი მოუპოვებიათ. გველის მას გამოსახულება, თუ სხვა ადგილას ნაპოვნი ოქროს გველოთევა, ერთ დროს მასწავლებელ იაკობ მარგიანს (სოფ. ჭოლაში) ჰქონდა შენახული. სხვადასხვა სახის რამდენიმე ნიათი სვანეთის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამაც მოიპოვა 1944 წელს. ეს ნივთები ამჟამად საქ. მუზეუმის ეთნოგრ. განყოფილებაში ინახება.

ხალხში შემონახული ლეგენდარული გადმოცემის მიხედვით, ძველი ეპოქის სვანეთი ოქრომჭედლობით განთქმული კუთხე ყოფილა. სვანეთის სახელოსნობაში ნაქედი ნივთები ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილ ტაძართ შესამკობადაც უხმარიათ.

ჭოლაში, ადგილ ლეშხვარაზე, იქ, სადაც ამჟამად ლეჟ ჯგრაგია, ორსართულიანი ქვითკირის ეკლესია მდგარა. ეკლესიის ქვედა სართული მიწის ქვეშ ყოფილა მოქცეული და ზედა სართული კი მიწის ზემოთ, ქვემოთა სართულში ოქროს განძეულობა ინახებოდა. აქვე იყო მიბმული ოქვრა ნაჭათი ოქროს ვერძო (ოქტრა ვიცწრ). ხალხის ჯიუტი საქციელით გაჯავრებულ ღვთაებას ქვიშარის მთიდან მეწყერი მოუვლენია და ოქროს ვერძის სამყოფელი ტაძარი შთაუნთქავს. ხალხს, განსაკუთრებული მცდელობის შედეგად, ტაძრის „კუნჭილ“-ისათვის მიუგნია და იქ წმ. გიორგის სახელობის ეკლესია აუშენებია\*.

სვანეთში გაერცვლებული, ამირანთან დაკავშირებული თქმულების ზოგი ვარიანტი დარჯელანს ოქრომჭედლობის ოსტატადაც წარმოგვიდგენს. მგშკიდ დარჯელანს სამჭედლო ღასუნყერში ჰქონია და დასამუშავებელი ოქრო კი გვალარიდან მოჰქონებია. ჰაკნაშა და ღასუნყერს შორის დაღს თმების მოჭრის ამბავი რომ შეუტყვია (დარჯელანის ცოლმა ხომ დაღს ოქროს თმები მოაჭრა) უკივლია, დაღის კივილის ძაღას კლდე კლდისათვის დაუჯახებია და სოფელი სოფლისათვის. შემზარავ კივილს შუა სოფელი დაუნგრევია და სახელგანთქმული სამჭედლოც დედამიწის პირიდან ალუგვია. ამ უხსოვარი დროიდან მომდინარეობს ხალხში შემონახული გამოთქმა: „ეეთინი გაინძრაო და შუა მულახი დაინგრაო“\*\*.

\* ლეგენდა ჩაგვაწერინა სოფ. ჭოლაშის მცხ. 62 წ. ქემეზ დადავის-ასულმა ღუხუტაშვილმა.

\*\* ლეგენდა ჩაგვაწერინეს: სოფ. არცხელის მცხ. 58 წ. ილარიონ გურამაჩის-ძე დაღვანმა და სოფ. ჭოლაშის მცხ. 96 წ. ემეზა გუჯეჯიანმა.

ახლადამოწმებული თქმულებები ოქრომჭედლობით (და საერთოდ მჭედლობით) სახელმწიფოებრივ ქალაქ ნაკერას შესახებაც მოგვითხრობენ. ამჟამად თოვლ-ყინულით დაფარულ ნაკერაში (ლასილის თავზე), ოდესღაც, თურმე, საქალაქო ცხოვრება ჰყვაოდა: ნაკერას სამჭედლოებში ოქროს, ვერცხლის, სპილენძისა და რკინის ნივთები იჭედებოდა. „რაც სვანეთში ხატია სულ იქ არის ნაჭედი“, „გადაღმა სვანეთიდან და გადმოდმა სვანეთიდან იქინე ქალაქობდნენ, ყველა იქინე ვაჭრობდა“ – გადმოგვცემენ მთხრობლები. გახლადარებული ამბის მომთხრობნი ნაკერადან მიმავალ სავაჭრო გზებსაც კი გვისახელებენ. ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო გზა, რომელიც ნაკერას ჯვართან აკავშირებდა, მთა ლაკერაზე გადადიოდა და მეორე გზა კი უშგულის მიმართულებით მიდიოდა. ნაკერა კავკასიის ბევრ ქალაქთან აწარმოვდა სავაჭრო ურთიერთობას, მაგრამ ყველაზე ცხოველი კავშირი სოხუმთან ჰქონდა. თქმულებაში ნაკერას დაღუპვის ამბავიც არის განვითარებული. ნაკერას ძირთან მდებარე ადგილი მეფეაში მღაშე წყლებით ყოფილა მდიდარი. ჯიხვების ჯოგი მუდამ იქ იყრიდნენ თავს და ხალხიც ყოველთვის ამ ადგილას ნადირობდა, სვანს სვანისათვის რომ ეკითხა: „მიიჯნე ლეღებ?“ (რა გყავს ადებაში დასაკლავადო), პასუხს ასეთს მიიღებდა „მეფეაში ჯრ“ ე. ი. მეფეაშის წყალობით (რამე მეყოლებათ). ხალხის ზნეობრივი დაქვეითების გამო, ჯიხვების ჯოგის მეთაურის – ლენშინე დეაშის (ნიშნინი ჯიხვის) მოკვლის მიზეზით, მეფეაშის წყალთან კატის დაკვლის შედეგად, თუ ამის გამო, რომ მამის მიერ დამწყვედი სამი მერცხალი გაუშვა, განრისხებულმა დედაებამ ნაკერელები სასტიკად დასაჯა, აყვავებული ქალაქი ყინულეთად გადააქცია\*.

ხუმთ წარმოდგენილ ცნობებთან დაკავშირებით, ჩვენ უნებლიეთ გვაგონდება ელინური ლეგენდა არგონავტების შესახებ. მას კარგად იცნობს ბერძენ-რომაელი და ბიზანტიელი მწერლების დიდი უმრავლესობა: ჰომეროსი, ჰესიოდე, ვერიპიდე, ჰეკატეოს მილეტელი, ჰეროდოტე, აპოლონ როდოსელი, ლიკოფრონი, აპოლოდორი, დიოდორე სიცილიელი, აპიანე, სტრაბონი, არიანე, ენეუსი, ვალერი კატული, პორციუს ფლავი, პლინიუს სეკუნდი, პლუტარქი, პროკოპი კესარიელი, ეფსტათი, თონე ცეცვა და სხვანი. რამდენიმენიარ ვარიანტით დაცულ ლეგენდის ძირითადი შინაარსი, როგორც ვიცით, ამგვარია: პელეოსის ბრძანებით, ბერძენი ვაჟაკების რაზმი იასონის მეთაურობით კოლხეთისაკენ გამოემგზავრა. იასონის ლაშქარი კოლხეთის სანაპიროს არგოს ნავით მოადგა. იასონმა, კოლხეთის მეფე ეგეისაგან, ფრიქსის გადმოწყვანი ვერძის ოქროსმატყლოვანი ტყავი მოითხოვა (ფრიქსმა ხომ, მოსვლისთანავე ვერძი ზევსს შესწირა მსხვერპლად და მისი ტყავი კი არესის ტაძარში მოათავსა). ეეტმა მას უაღრესად ძნელი გამოცდის ჩაბარება მოსთხოვა. იასონმა ვიტის ასულის – ჯადოსან მედეას დახმარებით წარმოდგენილი პირობები შეასრულა და ბრწყინვალედ გამარჯვებული, მედეასა და ომგადახდილ ლაშქართან ერთად, სამშობლოში დაბრუნდა.

ამ ლეგენდის ერთი ვერსიის მიხედვით – ფრიქსის ვერძი ოქროს მატყლოვანი იყო, მეორე ვერსიის მიხედვით კი – ვერძის ტყავი ვიტმა მოაოქროვებინა. ზოგიერთი მწერალი ცდილობს გაარკვიოს ლეგენდის წარმოშობის საფუძველი და რეალური ახსნა მისცეს მას. სტრაბონი აბვიდუწერს რა ოქროს მოპოვების სვანურ წესებს, ბოლოს

\* ლეგენდა ჩაგაწერინეს: სოფ. ელის მცხ. 101 ბესი აბის-ძე სამხიანმა, ამავე სოფლის მცხ. მცხ. 72 წ. ლაზარე გიოს-ძე ხვიბლიანმა და 45 წ. კოსტა ყარაბის-ძე ხვიბლიანმა, სოფ. ნაიფარის მცხ. 105 წ. სოზარ თათაიის-ძე გულბანმა და ამავე სოფლის მცხ. 80 წ. ილარიონ აზაიის-ძე პირველმა.

დასქენს: როგორც ამბობენ, ამის გამო შეიქმნა თქმულება ოქროს საწმისის შესახებ (3], გვ. 138). დაახლოვებით ასეთსავე აზრს გამოსთქვამს აპიანეც ([4], გვ. 531). ეხება რა ცხერის ტყავის გამოყენებას ოქროსმადიებლობაში, ის ასკენის: შეიძლება ამგვარივე იყო ეიტის ოქროს საწმისიო. ევსტათიცი იმეორებს სტრაბონის მოსაზრებას და მასთან ერთად მოჰყავს ამ საკითხის შესახებ არსებული სხვაგვარი განმარტებაც: „ოქროს საწმისი სხვა არა არის-რა, თუ არა ტყავებზე აღბეჭდილი წესები ოქროს მოპოვებისა“-ო ([3], გვ. 203-204).

ანტიკური მწერლების ზემოთყვანილი შეხედულება ჭეშმარიტებას უნდა უახლოვდებოდეს; ელინური მითის საფუძველი შეიძლება, ქართველ ტომთა კულტურის სამყაროში მოიძებნოს.

*საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
აკად. ფ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი  
თბილისი  
(რედაქციაში შემოვიდა 10.5.1946)*

### ციტირებული ლიტერატურა

1. გ. ჩუბინაშვილი, X-XIII სს. სვანური საოქრომჭედლო სახელოსნოების შესახებ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია მიძღვნილი საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისადმი 1946 წლის 26/II-2/III, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები).
2. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1928.
3. В. В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. I, вып. I, Санкт-Петербург, 1893.
4. В. В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. I, вып. II, Санкт-Петербург, 1896.
5. В. В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, т. II, вып. I, Санкт-Петербург, 1904.

„სრულიად სუანთა ჩენილების“ წინამძღოლებად ჯერ რუჩაგინია დასახელებული და შემდეგ დადიშეკლიანი, როდესაც მათ შუამავლობა სთხოვეს ჯაფარიძის მკვლელმა სვანებმა მამია დადიანის წინაშე იმერეთის მეფესთან აჯისათვის: „მერმე შევეყარებით სრულიად სუანთ ჩენილები და ვქენით ვაზირობა. მივედით ეცერს, რუჩაგინასა და დადიშეკლიანსა შევეხუქვებით და დადიანთან გავეზავნეთ“.

*პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვეთი მეორე, ტექსტები, I სვანეთის საისტორიო აქტები, 2. მატიაზე სვანეთისა კრებისა, თბ., 1941, გვ. 114.*

### „დაწერილი ბიორბი რუჩაგინისა მოხმარის მთავარანგელოზისაჲში“

XIII-XIV სსაუკუნეების საბუთი: „დაწერილი გიორგი რუჩაგინისა მოხმარის მთავარანგელოზისაჲში“. ის მიწერილია X -ის შესანიშნავი ხელნაწერის – კაღის ლექციონარის ერთ-ერთი ფურცლის (245ე) აშიაზე საბუთი სამჯერა გამოცემული (*ე. თაყაიშვილი, პ. ინგოროყვა, ვ. ხილოვაგა*) და მისი დათარიღება XIII-XIV სს. ერთხმად მიღებულია. საბუთისეული რუჩაგინი იგივე რუჩაგინია, რადგან აქ ადგილი აქვს ოს და უს მონაცვლობას, რაც უცხო არაა ქართული წერილობითი ძეგლებისათვის და ცნობილია, სულ ცოტა, X ს-იდან მაინც გვიან შუა საუკუნეებამდე.

„ქ. ესე ნიშანი დაგიწერე და მოგაკვსენე მე, გიორგი რუჩაგინამა და ჩემთა შვილთა, თქუენ, წმიდასა მთავარანგელოზსა მოხმარისა სასა, მას კამსა, ოდეს ჰავისა უამისა შემოსლვამა ქუეყანა დააშავა; მოგანდევ ჩემი თავი და შვილინი – ვითაცა გამსახურებდეთ, პავრეც გუწყალობდით.“

ესე ნიშანი მე, ნიკოლოზს და მიწაყვია და მოწამეცა ვარ“.

*სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატიაზეები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ეალური ხილოვაგამ, თბ., 1986, თბ., 38-139, №38.*

### მოსახსენებელი ბაძუ რუჩაგინის სახლისა (XVI-XVII სს.):

სულისა მისისათვის სრულიად სვანეთისა ხუცეკნი შეგეყარა.

“ბაძუ რუჩაგინისა – მის გამზრდელსა ოდიშარს, მამაც კაცსა – დიდებულსა ბაძუს რუჩაგინს – კუალდცა მას დიდებულსა კაკუნას დაქქლიანს, რუჩგენს რუჩაგინს, სოსიას რუჩაგინს, მამაც კაცსა, გოგიას რუჩაგინს, აიდარუეს რუჩაგინს, უთეშის რუჩაგინს, გუსდანს რუჩაგინს, დადაშის რუჩაგინს, კაჭუას რუჩაგინს, ანას დიდებულს რუჩაგინს, ოქოდუფხეს რუჩაგინს, სათუთს, ბაძუ შაცო ... კეთილის მოქმედს, კაკუნას, ღმრთის მოშიშ კაცს საყიარელსა, ელენეს რუჩაგინს, ხოს... რუჩაგინს, კაჭუას, აზაუს გუშოანის, ჯდს, ბაძუს ბაბუას დიდს რუჩაგინს, რამაზს, მათ შვილს, დოდას რუჩაგინს, გუგუნიას რუჩაგინს, ოტიქს რუჩაგინს”.

*სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატიაზეები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ეალური ხილოვაგამ, თბ., 1986, თბ., გვ., 296, №31.*

ბმარი-ლეგენდა

ცხრაასი წელია ადიშურ ფრესკიდან  
მწველი რადისი ისმის:

“ღმერთო შეიწყალენ მიქაელ ჩეგიანი  
და შთამომავლობა მისი!”

ადიშს სამუდამოდ შემორჩა ლეგენდა,  
უბერებელი და იმედიანი,

თუ როგორ ომობდა დათევბთან, დევებთან,  
სვანთა სიახვე ბუღა ჩეგიანი.

სისხლით დწერილი გვარის ისტორია  
მიცქერს ლატალიდან, თვალუბ სვედიანი.

“ეს სინამდვილეა და არა მისტერია”,  
დინჯად მიდასტურებს ჯოყოლა ჩეგიანი.

და სვედის ბუდესთან ინთება იმედი,

უნდა საუკუნემ გვარი გაამრავლოს,

უდიდეს გვარიდან ოჯახი ჩვიდმეტი,

ხომ შემოგრჩენია, დედაც, – საქრთველოც!

“ძველად ლატალის ხევი იყო ცალკე ხევი, ლაილას იგივე ლაჰლას ხევი კი ცალკე ხევი. ლაილას//ლაჰლა ჭალაის მაცხოვრებლები იყვნენ ხაკიანები, იველიანები, კოწახრიანები. ლაჰილელები არიან შავრეგიანები (შარეგიანები), პაიკელანები (პაკელიანები), ცავიანები, მესიანები, მუგელიანები, გელიანები, შქერიანები, ქოცხიანები, მიქელაძეები, მუმელაძეები, მელიანები, ათრეჯიანები, ასკარიანები. ეს არის ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელის მიხედვით. საერთოდ ამ ტერიტორიაზე 22 გვარია დაკარგული. ისინი დღეს აღარ არიან, გარდა სამი შარეგიანისა.

მე ვამიგია, რომ ლატალის პირველი, ძირძველი მაცხოვრებლები ყოფილან რქეგიანები-რიჩგვიანები. ესენი ცხოვრობდნენ ლაჰლა ჭალაის ტერიტორიაზე. შემდეგ გადასული არიან სგობულში (ესეც ლატალია, ლაჰილის მიმდებარე ტერიტორია, ოღონდ მდინარე ენგურის გაღმა, ლაჰილი არის გამოღმა – ვუგლისხმობთ ლაჰილის მხრიდან), შემდეგ – ლახუშდში და იქვე უკვე არიან ჩამბეღლანები, სგობულში მაცხოვრებლები არიან ჩორგოლიანები და ლაჰლა ჭალაისა და ეცერში მცხოვრებნი რქეგიანები იგივე რიჩგვიანები. ე.ი. რქეგიანების ფორმა შეცვლილი გვარებია რიჩგვიანი, ჩორგოლიანი, ჩეგიანი, ჩამბეღლანი. აღნიშნული გვარის სათემო სახელი ყოფილა – „ჩეგამშურ“ ალბათ აქედანაა „რიჩგვიანების“ ფორმა შეცვლილი გვარი ჩეგიანი – ჩორგოლიანი-ჩამბეღლანი. თავიდან ესენი ყოფილან ოთხი ძმა:

- 1) ჩეგიან რქეგიანი
- 2) ათმურზა ჩეგიანი დედულები ყოფილან მუგელიანები.
- 3) ბულა ჩეგიანი (ღუნჯერში) იქ ყოფილა ამათი სამოსახლო.
- 4) გრიგოლ ჩეგიანი – ამოუწყვეტიათ ქაშუეთელებს.

ჩეგიანები ყოველად გამორჩეული გვარი ყოფილან ზნით, შექლებით, აღნაგობით. არ იყვნენ ქალის დამშავრელი, საკუთარი კუთხის მოყვარე, კეთილშობილნი. ისინი არც სხვას ნაგრაუდნენ და არც თავს ანაგვრინებდნენ ვინმეს. მათ თავიანთი ზნის და შექლების გამო იმთავითვე მტრობდნენ სხვა გვარები, განსაკუთრებით დადემქელიანები. მათ შორის ომი სამი საუკუნე გაგრძელდებოდა. ამის გამოა მათი მაცხოვრებელი სხვადასხვა ადგილასა დაფიქსირებული – ლატალი, ეცერი, ჰადიში, ხაღდე, ლატალში კი, როგორც აღნიშნეთ, მათი გვარი ცხოვრობდა სამ საუკეთესო ადგილას ლაჰლა ჭალაიში, სგობულსა და ლახუშდში. ამ გვარს ეკუთვნის მკვრივად ნაგები კოშკები – „მკრივდ ნაგებ მურყმად“. ესაა პირველად ნაგები კოშკებია. ცნობილი, რომ ყველაზე ძველ კოშკებს კარი მიწის ზედაპირიდან 7 მეტრის შემდეგ უკეთდებოდა. ამ ტერიტორიაზე სხენებული ტაძრები ჩეგიანების გვარს უკავშირდება. ლაჰლა ჭალაის ტერიტორიაზე 5-ეკლესიაა, ლაჰილში – 4, მათ შორისაა – ლაჰლა მაცხვარი, რომელშიც ინახებოდა ლაჰილის ოთხთავი და სხვა უამრავი განძი, რომელიც ჩვენს ისტორიას ასე ძალუმად ამშვენებს; სგობულში არსებობს ორი ეკლესია, ლახუშდშიც – ორი და ა. შ.

ამას თუ დავუმატებთ გარკვეული ფუნქციის მქონე წმინდა ადგილების – (საჯვარე, ტბა, ტყე და დღემდე საოცრად შემონახული ტყის მასივს და ბაღებს ხეხილისას) არსებობას, დავრწმუნდებით აღნიშნული გვარის დიდებულებაში. „ტაძართა მაშენებელნი“ შეგვიძლია ეს ზედსახელი ვიხმართ ამ გვარის შეფასებაში ალბათ, ამიტომაც შემორჩათ მათ წინაპრებს ჩეგიანებს კალაში ლაგურკაზე საგალობლის პირველი თქმის უფლება – დამღერება, გალობა, ღმერთისთვის სადიდებლის მიძღვნა. ისინი იყვნენ „მანკი პერი მეკად!“ – პირველი საგალობლის თქმის უფლება მათ ეკუთვნო-



დათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როცა სვანეთში „ლაღხორი“ იკრიბებოდა, მთავრად, კვირიკეზე, პირველი სიტყვა ჩეგიანებს ეკუთვნოდათ.

ლაჰილში, სვობულსა და ლახუმდში ერთად მკვრივად ნაგები კოშკი ოცამდეა. ძალიან ძველად დამთავრებულია სვობულში ჩეგამშა//ჩეგიანშა (ჩეგიანების) მურყვამის აგება. ამ კოშკს დღესაც „ჯოყვე მურყვამს“ ეძახიან – ჯოყოლას მურყვამი. სვობულში დღესაც ლაყრილ (საყარაულო) კოშკს ეძახიან. ტაძრის „ლაჰლა მაცხვარის“ საძირკველი ჩაუყრიათ „ჩეგამშერს“ და დაუმთავრებიათ შავრეგიანებს. როცა ჩეგიანები აყრილან სვობულიდან, თავიანთი შექლება და მიწაწყალი დაუტოვებიათ მესიანებისათვის. რადგან ესენი მათი დედულები იყვნენ. სოფლისთვის პირობა დაუდებინებიათ, რომ მესიანებს არაფერს არ ავნებდნენ. მესიანებიდან ჩვენთვის ცნობილია სარგის მესიანი. სანადიროდ ამ გვარის დაუკითხავად ვერავინ ვერ მიდიოდა, სამაგიეროდ დებულობდნენ ტყვია წამაღს. გადმოცემით, დღეს ლატაღის თემში მცხოვრები ჩამგელიანები ჩეგიანების გვარის განშტოება ყოფილან. ლეგენდარული გმირი კახიანი გვარად ჩემგელიანი ყოფილა.

*მთხრობელი ჯანიკო კვანჭიანი დაბადებული 1961 წელს,  
ლატაღის თემი, სოფელი კვანჭიანარი.  
მასალა ჩაწერა ჯოყოლა ჩეგიანმა 1 მაისს, 2010 წელს.*

„ძველად დროშა ლეში ინახებოდა ხალდეში, ხალდეს მაცხოვრის ეკლესიაში, ის თამარ მეფეს ამ მხარეში სტუმრობასთანაა დაკავშირებული. გადმოცემით, სვანეთს ქაშეგების ლაშქარი შემოსევია. ამ დროს თამარ მეფე სვანეთში ბრძანებულა. მას საკუთარი თვალით უნახავს, როგორ განდევნა სვანეთის ჯარმა მტერი და გამარჯვება იხილა“.

*მთხრობელი ნამო კაკრიაშვილი.  
მასალა ჩაწერა ჯოყოლა ჩეგიანმა.*

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, როგორც ცალკე ეპარქია ისტორიულად 2002 წლის 17 ოქტომბერს, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის და წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით შეიქმნა.

მესტიისა და ზემო სვანეთის პირველ ეპისკოპოსად გამოირჩეულ იქნა ილუმენი ილარიონი (ქიტიაშვილი), რომელიც მსახურობდა რუსისა და ურბნისის ეპარქიაში სოფელ წრომის მაცხოვრის ამბლღების ტაძარში, სოფელ ახალსოფლის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში, სოფელ ხცის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში და ითანე ნათლისმცემლის მამათა მონასტრის წინამძღვრად.

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსის ილარიონის კურთხევა შედგა 2002 წლის 3 ნოემბერს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

2002 წლის 7 ნოემბერს მუყუყე ილარიონი მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში წარადგინა, რუსისა და ურბნისის მიტროპოლიტმა იობმა (იმუამად ქორეჟისკოპოსმა). ამ დროისათვის მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში მსახურობდა დეკანოზი გიორგი (ნართლანი).

მუყუყე ილარიონს ეპარქიაში წამოყენენ სტიქაროსნები: გიორგი კურტანიძე და ლაშა გელაშვილი. ლაშა გელაშვილი მუყუყე ილარიონის მორჩილი იყო ხუთი წლის განმავლობაში, ხოლო გიორგი კურტანიძე 2003 წლის 2 აგვისტოს მუყუყე ილარიონის კურთხევით ბერად აღიკვეცა წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში. 2003 წლის 4 დეკემბერს იგი იკურთხა მღვდელმონაზვნად და 2001 წლის 18 იანვარს დადგენილ იქნა სოფელ ლატალის მაცხოვრის ამბლღების სახელობის ტაძრის წინამძღვრად.

2008 წლის 30 მარტს ყოვლადღუსამღვდელოესმა მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსმა ილარიონმა იეროდიაკონმა თეოფანე (არდელიანი) მღვდელმონაზვნად აკურთხა და ის დადგენილ იქნა სოფელ ივარში (ნაკ ივარის) წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად. 2007 წლის 23 ნოემბერს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსმა ილარიონმა გიორგი ნიგურანი აკურთხა დიაკვნად. 2008 წლის 13 აპრილს მუყუყე ილარიონმა დიაკონი გიორგი აკურთხა მღვდლად დადგენილ იქნა სოფელ ჭუბურის წმ. ანდრია პირველწოდებულის ტაძრის წინამძღვრად.

2008 წლის 12 ივლისს მუყუყე ილარიონმა დიაკვნად აკურთხა ბასილი ფიფღანი, 2008 წლის 23 ნოემბერს დიაკონი ბასილი მუყუყე ილარიონმა აკურთხა მღვდლად და იგი დაინიშნა მესტიის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მღვდელმსახურად.

2010 წლის 7 იანვარს მესტიის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში მუყუყე ილარიონმა მორჩილი მანუჩარ იკაშვილი აღკვეცა ბერად და სახელად უწოდა მარკოზი.

2010 წლის 5 იანვარს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსმა სოფელ ივარში (ნაკივარის) წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მონაზვნად აღკვეცა მორჩილი თამარ კორძია, სახელად უწოდა თეოდულა. 2010 წლის 19 იანვარს მუყუყე ილარიონმა მესტიის სეტის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში დიდ სქემაში აღკვეცა მონაზონი თეოდულა და სახელად ნინო უწოდა.

2010 წლის 27 მარტს მუყუყე ილარიონმა მორჩილი გიორგი გელაშვილი ბერად აღკვეცა და სახელად ლაზარე უწოდა. 2010 წლის 6 მაისს ბერი ლაზარე სოფელ ხაიშის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, მუყუყე ილარიონმა აკურთხა იეროდიაკვნად. 2010 წლის 21 ნოემბერს მესტიის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტა-

ძარში იეროდიაკონი დაზარე მეფე ილარიონმა ადკვეცა დიდ სქემაში და სახელად შიო უწოდა. 2010 წლის 23 ნოემბერს სეტის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში მეფე ილარიონმა სქემ იერი დიაკონ შიოს ხელი დაასხა სქემმღვდელ მონაზვნად და დადგენილ იქნა მესტიის საეპისკოპოსო რეზიდენციაში წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის და ილარიონ ქართველის სახელობის მონასტრის წინამძღვრად.

2010 წლის 28 ივლისს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსმა ილარიონმა უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა კურთხევით თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის იერო დიაკვანი თევდორე არღვლიანი სოფელ კალაში წმინდა კვირიკესა და ივლიტას ტაძარში მღვდელმონაზვნად აკურთხა. მღვდელმონაზონი თეოდორე მცხეთა თბილისის ეპარქიიდან გაღმოვიდა მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში და 2010 წლის 23 ნოემბერს დაინიშნა სოფელ მულახში (ჭოლაშში) წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრად.

2005 წლის მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის ხელისუფლებამ გადასცა შენობა, რომელიც შემდეგ გაკეთდა საეპისკოპოსო რეზიდენციად.

2006 წლის მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში ამოქმედდა საპატრიარქო რადიო „ივერია“. რეზიდენციის შენობის რეკონსტრუქციის შემდეგ, დეკანოზ გიორგი (ჩართოლანის) მიერ დაარსებულმა მესტიის ქრისტიანულ და კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრ „ლაგუშედაშ“ მოქმედება გააგრძელა საეპისკოპოსო რეზიდენციის შენობაში. კულტურულ ცენტრში ისწავლება: ქორეოგრაფია, გალობა, ხეზე კვეთა, გობელენი, ჭრა-კერვა, ხატწერა და რელიგია.

2009 წელს ეპისკოპოსის ილარიონის ლოცვა-კურთხევით სოფელ ლატალში იდუმენმა ეგნატე (კურტანიძემ) დააარსა წმინდა თამარ მეფის სახელობის სამრევლო სკოლა, სადაც ისწავლება: გობელენი, მინანქარი, თექა, ოქრომკვდით ქარგვა. აგრეთვე სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკა და იმართება მოძღვართან შეიმცნებითი საუბრები.

სოფლებში: ლანჯერში, მულახში და იფარში მიმდინარეობს შენობების რეკონსტრუქცია და მომავალი სასწავლო წლიდან დაარსდება სამრევლო სკოლები.

ყოვლად უსამღვდელოესმა მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსმა ილარიონმა 2003 წლის 3 ნოემბერს აკურთხა მესტიის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი, ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა დეკანოზი გიორგი.

2004 წლის 28 აგვისტოს სოფელ ბენოს (უშხევანარის) დვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი იკურთხა. ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა სქემ მღვდელმონაზონი ეგნატე. 2006 წლის 11 სექტემბერს იკურთხა სოფელ ლატალის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი და ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა სქემ მღვდელმონაზონი ეგნატე. 2008 წლის 6 ნოემბერს იკურთხა ცხუმარის მაცხოვრის შობის ტაძარი და წინამძღვრად დაინიშნა სქემ მღვდელმონაზონი ეგნატე.

განახლდა და წირვა-ლოცვა აღსდგა: ლატალის მაცხოვრის ამადლეების სახელობის ტაძარში, იონა წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარში, ლატალის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში, ლატალის (თანდილის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში.

განახლდა აგრეთვე სოფელ კალაში კვირიკესა და ივლიტის სახელობის ტაძარი. 2007 წლის 30 ივნისს, მეფე ილარიონის ლოცვა კურთხევით, წმინდა კვირიკესა და ივლიტას ტაძარში დაცულმა, მაგრამ ათეისტური რეჟიმის დროს სეიფებში გამოკეტილმა ასობით ხატმა და ჯვარმა დღის სინათლე იხილა. სიწმინდეებმა ტაძრის კედლებზე ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს.

განახლდა და წირვა ღოცვა აღსდგა იფარის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, იფარის (ზეგანის) ღვთისმშობლის ტაძარად მიყვანების ტაძარში, წვირმის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძარი; იელის მაცხოვრის ფერიცვალების ტაძარი და წინამძღვრად დაინიშნა სქემ მღვდელმონაზონი თეოფანე (არღვლიანი).

განახლდა და წირვა ღოცვა აღსდგა მულახის (ლახირის) იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარი, მულახის (ჭოლადის) წმინდა გიორგის ტაძარში, მულახის (ჩვაბიანის) მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში და წინამძღვრად დაინიშნა მღვდელმონაზონი თეოდორე (არღვლიანი).

განახლდა და წირვა ღოცვა აღსდგა ლენჯერის (ნესგუნის) მაცხოვრის ფერიცვალების ტაძარში, ლენჯერის ჯვართამაღლების ტაძარში, ლენჯერის მხერის მთავარანგელოზის ტაძარში წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი ბასილი (ფილფანი).

განახლდა და წირვა-ღოცვა ხაიშის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი გიორგი (ნიგურიანი).

ყოვლადუსამღვდელოესი მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსის მეუფე ილარიონის ღოცვა-კურთხევით ეპარქიაში აშენდა, სოფელ ჭუბურში ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი, ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა მღვდელი გიორგი. სოფელ ჭუბურში აშენდა წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარში წინამძღვრად მღვდელი გიორგი დაინიშნა.

საეპისკოპოსო რეზიდენციის ეზოში აშენდა წმინდა ნიკოლოზის სახელობის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა სქემ მღვდელმონაზონი შიო (გელაშვილი). აგრეთვე საეპისკოპოსო რეზიდენციის ეზოში აშენდა წმინდა ილარიონ ქართველის სახელობის ტაძარი, წინამძღვრად დაინიშნა სქემ მღვდელმონაზონი შიო.

ყოვლადუსამღვდელოესის მესტიისა და ზემო სვანეთის ეპისკოპოსის ილარიონის ღოცვა-კურთხევით შენდება ტაძრები: სოფელ ნაკრასში, ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი და წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძარი. სოფელი მულახში (მაჯვდიერში) აშენდა წმინდა სამების სახელობის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი. შენდება უღვთის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი. დაბა მესტიაში აშენდა ელია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარი და წმინდა მოციქულთა თავთა პეტრეს და პავლეს სახელობის ტაძარი. შენდება სოფელ ჯორკვალში მაცხოვრის აღდგომის სახელობის ტაძარი. სოფელ ლატალში (ლელბაგში) მაცხოვრის შობის სახელობის ტაძარი. შენდება ტაძარი სოფელ კალაში წმინდა გიორგის სახელობის.

მესტიის სეტის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძარში დაიგო ქვის ფილები, დაიდგა ქვის კანკელი, გაიღესა ტაძარი, მოიხატა საკურთხეველი და განახლდა ტრაპეზი.

მეუფე ილარიონის ღოცვა-კურთხევით სოფელ ლატალში იონა წინასწარმეტყველის სახელობის ტაძართან აშენდა სამრეკლო და მიმდინარეობს სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა.

2010 წლის 3 ნოემბერს მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში გაიხსნა ილარიონ ქართველის სახელობის გიმნაზია.

- მეუფე სტეფანე, გვიამბეთ, სად მოღვაწეობდით მანამ, ვიდრე ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსად გაკურთხებდნენ?
- თავდაპირველად გახლდით საფარის მონასტრის წინამძღვარი, შემდეგ აბასთუმნის, ბოლოს კი ჭულევის მონასტრის წინამძღვარი და სწორედ ჭულევის მონასტრიდან, წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, ამომირჩიეს და დამადგინეს მღვდელმთავრად, ცაგერი-ლენტეხის ეპისკოპოსად.
- რომელ წელს მოხდა თქვენი ეპისკოპოსად კურთხევა?
- 2002 წელს, მას შემდეგ ვმოღვაწეობ ამ კუთხეში.
- როგორი სიტუაცია დაგხვდათ იქ?
- იქ, მაშინ მხოლოდ ერთი ტაძარი მოქმედებდა აქტიურად. ეს იყო ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, აი, ლენტეხში კი მე ვაკურთხე ამაღლების ტაძარი. იმ დროს მაქსიმე აღმსარებლის ეკლესიაც უმოქმედოდ იყო; ასევე მე მომიწია წმინდა გიორგის ტაძრის კურთხევა, ლენტეხში.
- ხალხის განწყობა როგორი იყო იმ დროს?
- ძალიან კარგი! ეტყობოდა, რომ მონდომებული იყვნენ, თავიდანვე ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას და მოწადინებას, რომ ჯერ კიდევ უმოქმედო ეკლესია-მონასტრებში სულიერი ცხოვრება აღდგენილიყო.
- თქვენამდე ვინ მოღვაწეობდა ამ კუთხეში?
- ჩემამდე იქ იყვნენ სხვა მეუფეები, მაგალითად, ჩემს წინ იყო მეუფე ნიკოლოზი, მანამდე კი იყო მეუფე დავითი თიკანაძე, ბოდბელი მთავარეპისკოპოსი. მეუფე ნიკოლოზი ახლა ახალქალაქის და კუმურდოს მიტროპოლიტი გახლავთ.
- მთა სპეციფიური კუთხეა, აქ ძირძველი, ნახევრად წარმართული რიტუალები ისევ პატივშია, როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ მოიქცა ხალხი წმინდა ქრისტიანობისკენ, თუ ისევ ძველი ტრადიციების მიმდევრებად რჩებიან?
- ქრისტიანული აღმსარებლობა ამ რეგიონში ყოველთვის მაღალ საფეხურზე იყო და ასე რჩება დღესაც. ხალხი მართალია თავის ტრადიციებს არ დაღატობს, მაგრამ დიდი ხანია ეს ტრადიციები ქრისტიანულ რწმენასთან არის შერწყმული, ამიტომ მრევლი მასიურად დადის ეკლესიაში და ღვთისმსახურებაც ყველა მომქმედ თუ ნახევრად მომქმედ ეკლესიაში სათანადოდ აღესრულებს;
- ესე იგი, ეკლესიაში ხალხი სვანური ძირძველი წესითაც წირავს და წმიდა ქრისტიანულ წესსაც მისდევს?
- რა თქმა უნდა, ხალხი ჩვეულებრივად დადიოდა და დადის ეკლესიებში, მაგალითად, ღვთისმშობლის ეკლესია საკმაოდ აქტიური იყო.

- სოფლებში თუ იყო მომქმედი ეკლესიები?
- სოფლებში სალოცავები, ისე რომ მომქმედი ყოფილიყო, არა, მაგრამ ხალხი დღე-სასწაულებზე მიდიოდა, მსახურებაც ხანდახან ხდებოდა.
- გვიამბეთ სვანეთში თქვენი მოღვაწეობის შესახებ, იმაზე, რომ დღეს ძალზე აქტიურად შენდება ეკლესიები ამ კუთხეში, თქვენი შეწევნით და ხელშეწყობით.
- მე არაფერ შუაში ვარ, ყველაფერი ღვთის შეწევნით და ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით ხდება.
- ფაქტია, რომ ეს ყველაფერი თქვენი თაოსნობით კეთდება.
- მხოლოდ უფლის ნებით, თავად ხალხისგან არის მოწადინება, რომ აშენდეს და აღდგეს უძველესი ეკლესიები; ისე რომ მე თვითონ ვაკეთებდე ან ვაშენებდე რამეს, ასე არ არის; რა თქმა უნდა, მე ყველანაირად ხელს ვუწყობ, რომ ეს პროცესი არ გაჩერდეს და მუდმივად მიმდინარეობდეს, ვეხმარები რაც შემიძლია, ჩემი მწირი შესაძლებლობებით, მაგრამ თვითონ ხალხის მოწადინებაა იმდენად დიდი, რომ შედეგი მართლაც შთამბეჭდავია. იმდენი ეკლესია აშენდა, რომ მე ვეღარც დაბითვლია; აი, ახლა, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ეკლესია აშენდა, ესეც საზოგადოების უდიდესი მოწადინებით, სწორედ ხალხმა გამოთქვა სურვილი, რომ ყველანაირად დაგვეხმარონ, - ფიზიკურადაც იმუშაონ და მატერიალური სახსრებიც შემოსწიონ ამ საქმეს, ვისაც როგორ შეუძლია, ზოგმა 5, ზოგმა - 10, ზოგმა კი 2000 ლარი და მეტი გაიღო ამ საქმისთვის.
- ადგილობრივები აკეთებენ ამას თუ სხვებიც?
- ადგილობრივებიც და სხვებიც, ანგარიშიცაა გახსნილი, თავად სახელმწიფოც აქტიურადაა ჩართული ეკლესიების აღდგენა-შეკეთების და მშენებლობის საკითხში. სწორედ პრეზიდენტის ხელშეწყობით გადმოირიცხა თანხა ცაგერის წმიდა მაქსიმე აღმსარებლის მონასტრისთვის;
- კიდევ რომელი ეკლესიები შეკეთდა?
- ლასურიაში დაარსდა მამათა მონასტერი, ცაგერის რაიონში, ლენტეხში დაარსდა დედათა მონასტერი, აშენდა სამღვდელმთავრო რეზიდენცია, ბატონი გოგი ლიპარტელიანის მხარდაჭერით, ჩოლურში, ჭველიურში, სასაში შეარემონტეს საყდრები. ვახუნდერში ეკლესიას აკეთებს გრიგოლ ჯანხოთელი. ერთი სიტყვით, ყველა სოფელში ტაძრის აღდგენა მიმდინარეობს, ზოგი უკვე აღდგენილია, ზოგის აღდგენა ამჟამადც მიმდინარეობს; მაგალითად, ფეხბურთელი მალხაზ ასათიანი აღადგენს ტაძარს თავის სოფელ მახაში; გაკეთდა სამლოცველოები ტეხვილში, ალპანაში, ორბელში; ზურაბ და ზვიად ლიპარტელიანებმა აღადგინეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ლექსურაში. კახურა, სკალდი აღადგინეს ძმებმა ჩაქსელიანებმა - ნერუმი და გოდერძიმი, სხვათაშორის, ზურაბ და ზვიად ლიპარტელიანებმა მიიღეს მონაწილეობა მაქსიმე აღმსარებლის მონასტრის, მისი სათავესების და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში, მონაწილეობა კი არა, მაქსიმე აღმსარებლის მონასტერი, ფაქტიურად, მაგათ ააშენეს. აშენდა ზუბის ეკლესია, იანტეკლიძის მიერ, ამჟამად, გია გახდელიანი აღადგენს მონასტერს ხელეთში და ლენტეხის წმინდა



გიორგის ეკლესიას; იმდენია კიდევ, მეშინია არ გამოძრწეს... გამახსენდა, მაშინ რამ გოღეთიანი, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა... მისი მეშვეობით, ჯანის ხეობის მრავალ სოფელში, შეკეთდა და აიგო საყდრები; ლენტეხის რაიონში, ჩოღურის თემში, სოფელ ტეიბში სამების ეკლესია ადადგინა ჯოჟოლა ჩეგანმა, რომელიც თავისი ქველმოქმედებითაა ცნობილი მთელ ხეობაში; მოგახსენებთ, რომ სამების სახელობის ეკლესია ერთადერთია ცხენისწყლისა და ენგურის ხეობებში; ასევე სოფელ ტეიბში გენური ზურაბიანმა, რომელიც მთელ ხეობას უდგას გვერდით და აქტიურად ეხმარება, შეაკეთა ერთ-ერთი ეკლესიის გუმბათი. ზევით, მთებშიც შენდება კიდევ პატარ-პატარა ეკლესიები, ყველა რომ ჩამოვთვალო, ძალიან შორს წავაღ...

- გვიამბეთ გიმნაზიის შესახებ, რომელიც ცაგერში გახსენით.
- ჩვენ ცაგერში გახსენით წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია, რომელიც მეორე წელიწადია, ოლიმპიადის შედეგების მიხედვით, საუკეთესო სკოლების ოცეულშია საქართველოში; ამის გამო განათლების სამინისტრომ, შარშან და წელსაც, 3000-3000 ლარით დაგვაჯილდოვა.
- ეს სასულიერო სასწავლებელია თუ საჯარო სკოლა?
- არა, ეს ჩვეულებრივი ზოგად-საგანმანათლებლო სკოლაა, ოღონდ ეკლესიასთან არსებული; თავისთავად, არის იქ საეკლესიო სწავლებაც, მაგრამ სხვაფრთვ ეს ჩვეულებრივი სკოლაა, სადაც ფიზიკაც ისწავლება და ქიმიაც. ამჟამად ლენტეხშიც იგეგმება მსგავსი გიმნაზიის გახსნა, რაშიც ბატონი გოგი ლიპარტელიანი გვეხმარება, თუმცა ეს ქველმოქმედი ადამიანი არამარტო ამ გიმნაზიის გახსნაში, არამედ გვერ სხვა სასიკეთო საქმეშიც გვეხმარება, რაც, კონკრეტულად სვანეთს, და, ზოგადად სრულიად საქართველოს, შეეხება. სემინარია გაიხსნა ლასურთაში.
- რამდენი წელია რაც სემინარია გაიხსნა?
- პირველი წელია... გოგონათა უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა ცაგერშიც, სადაც მხოლოდ ერთი კურსია, მცირეა, მაგრამ კომპაქტური.
- ზედა სოფლებში როგორაა საქმე, რომლებიც საზღვრებთან უფრო ახლოა?
- აღმშენებლობითი პროცესი იქაც აქტიურად მიმდინარეობს. მაგალითად, სოფელ ცანაში, წელიწადში ერთხელ, როცა მოსახლეობა დღესასწაულზე იკრიბება, ჩვენც აუცილებლად ავდივართ. ასევე ვესწრებით ყველა დღესასწაულს მაგ. ხვამლზე, სკადლზე და ა.შ. ჩვენ ვცდილობთ რომ ყველა ეს დღესასწაული ჩვენს ხალხთან ერთად აღვნიშნოთ, ეს, ძირითადად, ზაფხულობით ხდება.
- ბოლო წლები, ცაგერი-ლენტეხის ეპარქიაში, როდესაც ასე აქტიურად მიდის საეკლესიო ცხოვრება, თქვენთან არის დაკავშირებული, რას გვეტყვით ამის შესახებ?
- ისევ იმას, რაც წედან მოგახსენეთ, მე მხოლოდ დეთის მსახური გახლავართ და რასაც ვაკეთებ მხოლოდ დეთის ნებით და ხელშეწყობით ვაკეთებ.
- სადაც ჩვენი ეკლესიაა, განსაკუთრებით საზღვრისპირა რაიონებში, მიჩნდება შეგრძნება, თითქოს იქ ქართული ჯარი დგას, რომელიც იცავს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას.

რიულ მთლიანობას და მის სიმშვიდეს. ამაში ახლახანს საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ კუთხეში მოგზაურობამ დამარწმუნა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

- სულიერი მამების უდიდესი მისია სწორედ თავისი ხალხის და ქვეყნის სადარაჯოზე დგომა, მისი სასიცოცხლო ინტერესების დაცვა და ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეზე ზრუნვაა, ასე რომ თუ ამგვარი სიმშვიდის და დაცულობის გრძნობა გაგინდათ, გამოდის, რომ ჩვენი სასულიერო მოღვაწენი, ღვთის მადლითა და წყალობით, სანიმუშოდ იღწვიან...



- ბატონო ჯოჯოლა, თქვენ გიცნობენ როგორც მრავალი სასიკეთო საქმის, მათ შორის, თქვენი უღამაზესი კუთხის, სვანეთის ეკლესია-მონასტრების აღმდგენს. ტაძრების მშენებლობა ყოველთვის მეფეთა ან დიდებულ გვარის შვილთა ხევედრი იყო, რას გვეტყვით თქვენს გვარზე?
- არც ჩვენი გვარი ყოფილა რიგითი გვარი, ჩვენი გვარი უძველესი და უპირველესი გვარი ყოფილა სვანეთში, ჩვენს გვარს ხშირად საყდრის შვილებსაც ეძახდნენ. ეს გვარი, მართლაც, გამორჩეული ყოფილა ამ ნიშნით; მათ სახელს უკავშირდება მრავალი ეკლესია-მონასტრის მშენებლობა თუ აღდგენა-რესტავრაცია. მე-11 საუკუნის უძველეს ფრესკაზე გამოსახული პიროვნება, რომელიც ქტიტორის ადგილასაა გამოსახული, გვარად ჩვეიანი გახლავთ. ესაა დიდი მიქაელ ჩვეიანი, რომელიც ერისთავის სამოსშია გამოწყობილი და აშკარად მაღალ იერარქიას განუკუთვნება. ის თავისი ეპოქის გამორჩეული პიროვნება ყოფილა. აი, როგორ წარწერას ვხვდებით ფრესკაზე: „ქრისტე შეიწყალე მიქაელ ჩვეიანი“; მე-13 საუკუნის ერთ-ერთ ხატზე სიტყვა-სიტყვით წერია: – „ესენი, ჩვეიან-რუჩეიანები იყვნენ ტაძრის მაშენებელი ხალხი“. ამავე პერიოდშია მოხსენიებული ბუღა ჩვეიანი, რომელიც ან მამა უნდა იყოს მიქაელ ჩვეიანის, ან ძმა. მას ახასიათებენ, როგორც გასაოცარ, ზებუნებრივი ძალის მქონე ადამიანს, რომელიც თურმე ნანადირეუ ჯიხვს ხელთ შუაზე ხლენდა. ჩვეიანები, მოგვიანებით, უკვე მე-13, მე-14 საუკუნეებში იხსენიებიან რუჩეიანების ფორმით. წინაპრები მუსულმანური და კატოლიკური ადამიანები ყოფილან. მათ მერე აღზევებული დადემშქელიანებისგან განსხვავებით, ისინი არც პირველი დამის უფლებას ითხოვდნენ თურმე და არც სხვა უაზრო პრივილეგიებს, პირიქით, ხელმედაკაპიწებულები იბრძოდნენ ჩვენი სახელმწიფოს დიდებისათვის.
- უდიდესი პატივისცემით წარმოთქვამთ სიტყვას – „წინაპრები“, რას ნიშნავს ეს თქვენთვის?
- რას ნიშნავს და უდიდეს სიამაყეს, რადგან მათი კვალი ყოველთვის ნათელი იყო და მათ სიავკაცეზე დღემდე არაფერი გვსმენია, პირიქით, სადაც წავედი მათი სახელი მეფერება მუდამ და მათი სასახელო საქმეები მინათებენ გზას. სწორედ წინაპრების გადმოცემით ვიცით ჩვეიანების და დადემშქელიანების საგვარეულო დაპირისპირების შესახებ. მრავალი ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს ამის თაობაზე. წინაპრებს, ბოლოს, მე-17 საუკუნეში ქონდათ ამგვარი დაპირისპირება დადემშქელიანებთან. ცნობილია, დადემშქელიანებმა ჯერ თურქებთან დაიჭირეს კავშირი და მათმა ერთმა ნაწილმა ისლამიც კი მიიღო, რომ ამით უკეთ ებატონათ თავიანთ ხალხზე; ზოგიერთი მათგანი რუსიციკატორულ პოლიტიკასაც კი ატარებდა, მაგალითად, თენგიზ დადემშქელიანი. ცნობილი ფაქტია, რომ თავიანთ სოფელში დადემშქელიანებმა მხოლოდ საკუთარი კოშკი დატოვეს, დანარჩენი კოშკები კი დაანგრეს და დალეწეს, არცერთ საგვარეულოს არ დაუტოვეს ისინი, რათა მათ არ შემძლებოდათ წინააღმდეგობის გაწევა და სვანებისათვის დამახასიათებელი თავისუფალი სულის გამოვლენა. დამეთანხმებით, საკუთარი საბრძოლო კოშკი ასეთი სიამაყის საგანი ნამდვილად არის. სწორედ ასე მოხდა ხალდეს ტრაგედიის დროსაც. თენგიზ დადემშქელიანმა დიდი დახმარება აღმოუჩინა მტერს და დაეხმარა მათ ხალდეს აჯანყების ჩახშობაში. ამისი დახმარებით რუსის ჯარმა მთელი



ჯოყოლა ჩეგიანი შვილებთან,  
გურამისა და გიგისთან ერთად



მურმან ჩეგიანი უვილებთან,  
საბასა და მოსესთან ერთად.



სოფელი, უღამაზესი ხალდე, რომელიც ჩიტის ბუდესავით იყო კლდეზე მიკრული და თავისი 12 კოშკით იწონებდა თავს, მიწასთან გაასწორა; დადუშქელიანმა ეს იმიტომ ჩაიღინა, რომ იმ 12 კოშკთაგან სამი ჩევიანების სამიოდე ოჯახს ეკუთვნოდა, რომლებიც დადუშქელიანებთან სამსაუკუნოვან ბრძოლას გადაურჩნენ. მოგვსენებათ, კოშკები, რომლებიც ასწლეულობის წინ ააშენეს ჩვენმა წინაპრებმა მთელი საქართველოსთვის იყო და არის სიამაყის საგანი. სწორედ ამან ათქმევინა ჩვენს სასიქადულო პოეტს მურმან ლებანიძეს უდიდესი ტრაგიზმით და დანაწებით:

„შუე გადიღალა და გაღიხარა,  
 ღამეს უკოშკო ხალდეში ვათევე;  
 შენ რქამოტეხილს პგავხარ წიქარას,  
 შენ ვინ დაგტოვა უკოშკოდ ხალდევი?“

სწორედ ამიტომ მეამაყება ჩემი გვარი, რომ ის ეკლესიის მშენებლად და არა კოშკების დამანგრეველად შევიდა საქართველოს მხედრული დიდებით მოხილ ისტორიაში. ხალდეს აჯანყებაში მონაწილეობდნენ და მათი გმირობის შესახებ დღესაც ბევრი რამ არის ცნობილი. ესენი იყვნენ მომი, გუა, ბუღა, ხიშღუ, გიორგი, ივანე, გოგი ჩევიანები. ისინი ბოლომდე იბრძოდნენ რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ და უკან არ დაუხევიათ, ბოლომდე დაიხარჯნენ თავიანთი სამშობლოს, მათი უღამაზესი კუთხის დასაცავად. ისინი ციმბირში გადაასახლეს, თუმცა ციმბირიდან დაბრუნებულმა მომი ჩევიანმა, ჩემმა უშუალო წინაპარმა კვლავ აღადგინა მიწასთან გასწორებული ხალდე და მისი ეკლესიები და სოფელმაც თავიდან დაიწყო დროის ათვლა.

- რატომ და როდის დამატა წინსართი „რუ“ თქვენს გვარს?
- „რუ“ უნდა მიანიშნებდეს იმ ადგილს, სადაც ტერიტორიულად ცხოვრობდა ჩევიანების ეს შტო. სვანეთში არის მსგავსი მაგალითები; მაგალითად, ცნობილია, ყიფიანები და ლეკიყიფიანები, სადაც ლეკი სწორედაც რომ ერთ-ერთი ტოპონიმის სახელია..
- რატომ წერდნენ ჩვენი მწერლები და მეცნიერები, რომ ეს გვარი გადაშენდა?
- ჩვენს გვარს სხვადასხვა ფორმით მოიხსენიებდნენ, მაგალითად, მათ რინევიანებად მოიხსენიებს გერონტი გასვიანი, რეჩვიანებად – აკაკი გელოვანი, რეჩევიანებად – ხარაძე და რობაკიძე, ხოლო სერგო კლდიაშვილი კი რინევიანებად იხსენიებს მათ; რაც შეეხება ისტორიულ წყაროებს, იქ ცალსახად ჩევიან-რუჩევიანებად მოიხსენიებიან ისინი; დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ მე-15 ს-ის ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელი და მე-16 ს-ის სულთა მატეანეში შემონახული დიდებული ბაძუ რუჩევიანის სულის მოსახსენებელი, სადაც წერია: „სრულიად სვანთა ხუცესნი შეგვიყარა დიდებულმა ბაძუ რუჩევიანმა“-თ. აგრეთვე, დოკუმენტში, მე-13 საუკუნეში, როცა გიორგი რუჩევიანი პირობას აძლევს მოხერის მთავარანგელოსს. რაც შეეხება იმას, რომ ზემოთ მოყვანილი ბატონები ამოწვევტილად თვლიდნენ ამ გვარს, საქმე იმაშია, რომ ისინი არ იცნობდნენ შესაბამის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალას და არ ჰქონდათ ბოლომდე გამოკვლეული გვარის ისტორია. ცოტა გვიან, მაგრამ მაინც მინდა პასუხი გავცე აკაკი გელოვანსა და გერონტი გასვიანს, რომლებიც, როგორც ჩანს, არ ფლობდნენ შესაბამის ეთნოგრაფიულ მასალას და გვარს გადაშენებულად მიიჩნევდნენ. ეს დამიდასტურა კიდევ ბატონმა გერონტი გასვიანმა პირად საუბარში, როცა ვკითხე მას ახრი ჩევიან-რუჩევიანე-



ბის გვარზე. მან დამიდასტურა, რომ ეს, რა თქმა უნდა, ერთი გვარია, მაგრამ მე ძირფესვიანად ამ საკითხებზე არ მიმუშავიაო. ჩვენ ყოველთვის გულს გეტკენდა ის ფაქტი, რომ ამბობდნენ – ეს გვარი გადაშენდაო, არადა, ჩვენ არ გადავშენებულვართ, ჩვენ ვარსებობთ, ვართ 17 ოჯახი და ქრისტე ღმერთის იმედით კვლავც ვიარსებებთ, ჩვეიანთა გვარის ისტორია კვლავ გრძელდება. კრებულში წარმოდგენილია ბოლო წლებში მოძიებული და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი ეთნოგრაფიული მასალა, რომლითაც აშკარაა ჩვეიანებისა და რუნევიანების ერთიანობა და რომ ეს დიდი ფეოდალური საგვარეულო კვლავაც არსებობს ამჟამად ძველი ფორმით – ჩვეიანი.

- ბატონო ჯოჟოლა, კიდევ რა სასიტორიო წყაროებია შემონახული თქვენი გვარის შესახებ?
- არის კიდევ ერთი საინტერესო ცნობა, უფრო სწორედ არსებობს ისტორიული წყარო, ე. წ. „სულთა მოსახსენებელი“ („მოსახსენებელი ახლავ და ბაძუ რუნევიანების სახლისა“), სადაც სიტყვა-სიტყვით წერია: „დიდებულ ბაძუ რუნევიანის, რომელმაც შეგვეყარა სრულიად სვანთა ხუცესნი“. ამ პერიოდში, აღმოსავლეთით, ჯაფარიძეებმა წაიღეს ე. წ. შერიგების სახლური მიწა-წყალი სვანეთისაგან, ანუ მათ ეს გადაიხადეს ჯარიმის სახით, შვიდწლიანი იზოლაციის შესაწყვეტად, სამხრეთით კი, ლეჩხუმის მხრიდან – გელოვანებმა, დასავლეთიდან დადიანებმა ჩამოაჭრეს მიწები სვანეთს. სწორედ ამ დროს, მე-16 საუკუნის დასასრულს, უცდია ჩემს წინაპარს მდგომარეობის შეცვლა და შეუერთა სრულიად სვანთა ხუცესნი სვანეთის ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური მდგომარეობის განსახილველად. სულის მოსახსენიებელში არის ეს აღნიშნული – „შეყვარე სრულიად სვანეთის ხუცესნი უშეუღლიდან ლალვერამდე“.
- რით დამთავრდა ბრძოლა დადუშქელიანებსა და ჩვეიანებს შორის?
- ჩემი წინაპრები ბრძოლას არ წყვეტდნენ და წინააღმდეგობის უწყვეტად დაღუშქელიანებს. დადუშქელიანებმა შემდეგაც არაერთხელ მიმართეს იმგვარ ინტრიგებს, რომლებზეც ამ წიგნშია საუბარი, მაგრამ ეს წინააღმდეგობა უფრო თავდაცვითი ხასიათის იყო, თავის გადარჩენის მიზნით წარმოებული, ვიდრე შემტვეი და გამანადგურებელი. სწორედ ამ პრინციპული სხვაობის გამო იყო, რომ ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩანს, გვარის გადარჩენის მიზნით, რათა ჩვეიანების შტო მილიანად არ ამოწყვეტილიყო, გვარის თავკაცებს გადაუწყვეტიათ ვასცლოდნენ დადუშქელიანებს. ეს უნდა ყოფილიყო მე-18 საუკუნის დასაწყისში. მათ მესტიის თემში შეუფარებიათ თავი, მაგრამ ბედის ირონიით, მესტიაში კაცი შემოკვდომიათ და იქიდანაც აყრილან. ზოგიერთი მკვლევარი ამბობს, რომ ისინი ჩრდილო კავკასიაში გაქცეულანო, მაგრამ ეს არ არის სწორი, – რუნევიანებს ხალდეში ბადიში ყოლიათ და სწორედ მასთან შეუფარებიათ თავი. ეს ბადიში უნდა ყოფილიყო დუდიშა თემისა. ამის შემდეგ ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ ხალდეში ჩვეიანის გვართ. რაც შეეხება ჩრდილო კავკასიაში რუნევიანების გადასვლას, ეს შესაძლოა, ბევრად ადრე მომხდარიყო ერთ-ერთი დაპირისპირების დროს. ამბობენ, რომ იქ დღესაც უნდა ცხოვრობდნენ ჩვეიანები, მაგრამ რუსეთთან დაპაბული ურთიერთობების გამო დღემდე არ მომეცა საშუალება გადავსულიყავი ჩრდილო კავკასიაში და მომეძებნა ისინი. ამავე დროს, ცნობილია, რომ ჩრდილო კავკასიაში საკმაოდ ვრცელ ტერიტორიებს ფლობდა სვანეთის საერისთავოც და სამთავროც, სადაც, ბუნებრივია, ცხოვრობდნენ ჩვეიანებიც. დღემდე არის ტოპონიმი ჩვეემი.

ასევე, გადმოცემებით, ცნობილია, რომ რუწყვიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში, დაშქვლიანებისათვის დახმარება აღმოუჩენიათ გელოვანებს და დადიანებს, რის შედეგადაც საბოლოოდ დაუმარცხებიათ რუწყვიანების გვარი. ეს გადმოცემა შემონახულია ქვემო სვანეთში, ჩოღურის თემის სიფელ მამში, სანუ ჯამბურძის ოჯახში. სხვათაშორის, იგივე ჯამბურძეების ოჯახის, კერძოდ, სანი ჯამბურძის შვილიშვილების – ჟორდან და რომან ჯამბურძეების გადმოცემით, ნაკოფარის სახელგანთქმული წმინდა გიორგის სახელობის ტაძარიც ჩევიანების აშენებული უნდა იყოს.

- ბატონო ჯოყოლა ბადიში შვილიშვილია, არა?
- ბადის ჩვენთან უახიან შვილიშვილს; როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენი საგვარეულო ისტორია მოგვითხრობს, რომ ჩევიან-რუწყვიანებს ხალდეში, დღეიშა თემში ასული ჰყოლიათ გათხოვილი. ანუ ჩვენი შტოს შთამომავალთან – ბადიშთან – დღეიშა თემის წარმომადგენელთან შეუფარებიათ ჩემს წინაპრებს თავი. საუბარია ჩევიან-რუწყვიანებზე, რომლებიც ისტორიულ-წყაროებში მოიხსენიებიან რუწყვიანებად.
- რამდენადაც ვიცი, სვანების ლაშქარს ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავა ქართულ ლაშქარში, რა იცით ამის შესახებ?
- არსებობს უამრავი გადმოცემა ჩვენს გვარზე, ერთ-ერთი გადმოცემით, როცა დასავლეთ საქართველოს აფხაზთა სამეფო ერქვა, სვანეთში აფხაზთა მეფეების საყრდენი სწორედ ჩევიანების გვარი ყოფილა. არსებობს კიდევ ერთი გადმოცემა, რომელიც ეცერელი კაცის ბიძინა გურჩიანის ოჯახმა შემოავინახა. რუწყვიანს ეცერში ყოლია აფხაზთა ჯარი და როგორც ჩანს ის იყო მისი მასპინძელი, ანუ დამპურბელი; მეორე გადმოცემით, ჩვენს წინაპარს, ბუღა ჩევიანს, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, უნდა ყოფილიყო ან მამ ან მამა მიქაელ ჩევიანისა, დაუპურებია მთელი სვანეთის ლაშქარი; ეს უნდა ყოფილიყო მე-11 საუკუნის დასაწყისში, როცა თურქ-სელჩუკები შემოსევან სვანეთს. დღესაც არის მულახის თემში „თურქმა ლაარა“ (თურქების მინდორი). სწორედ ამ ადგილას, ბუღა ჩევიანს თითო ლაგაფითა (ხორცის დიდი ნაჭერია) და კათხა თაფლით დაუპურებია მთელი ლაშქარი – 20 000 კაცი და როცა თაფლი გამოლევიდა, ფიჭები გამოუღიათ და ისე შეუყვსია მარავი. თაფლით ძალამოცემული ლაშქარი შეკრებილა უღვირის უღელტეხილზე და როგორც ფუტკრის ნაყარი, რომელიც გორგალივითაა შეკრული, ისე მომწყდარა მთიდან, დაგორებულა და ზეაივით დასცემია თურქებს თავზე. მათ ერთიანად ამოუწყვეტიათ თურქი-სელჩუკები და ამბის მიმტანიც არ გაუშვიათ ცოცხალი.
- სვანეთი მითების და ლეგენდების ქვეყანაა, ხომ ვერ გაიხსენებთ ამ ლეგენდებიდან ისეთს, რომელიც ასე თუ ისე უკავშირდება ჩევიანების გვარს?
- გუთანხმებით, სვანეთი ლეგენდების და მითების საუფლოა, რაც შეეხება ჩვენს გვარს, ერთ-ერთი მითოლოგიური გადმოცემით, ჩევიანები დევს დაუწყველია. ეს მაშინ მომხდარა, როცა ბუღა ჩევიანს დევი მოუკლავს პადიშის თემში.
- რატომ გადაწყვიტეთ „სვანეთის სულთა მატჩანის“ თქვენს კრებულში დაბეჭდვა?
- მე ამას ჩემს მოვალეობად მივიჩნევ, რადგან ეს არა მხოლოდ ჩემი გვარის, არამედ სრულიად სვანეთის ისტორიაა, რომელიც ხშირად სპეციალისტებისთვისაც უცნობია. ამასთანავე, ეს წყაროები უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობებია. კრებულში შეტანილია ორივე მატჩანი, პავლე ინგოროყვასა და გერონტი გასვიანის გამოცემები. სიმართლე გითხრათ, მეონია, რომ თუკი საფუძვლიანად გაეცნობით ამ ის-



ტორიულ დოკუმენტებს, მიხედვით, რომ მთელი დასავლეთ საქართველოს გვირგვინის უდიდესი ნაწილი სვანური სინამდვილიდან მოდის. ეს იქნება კიდევ ერთხელ მოგონება და პატივის მიგება ჩემი ამაგდარი წინაპრების სულის მიმართ. მე მინდა მთელმა საქართველომ წაიკითხოს სვანეთის სულთა მატრიანეები.

- შეგიძლიათ ჩამოგვითვალოთ ეკლესია-მონასტრები, რაც ჩეგიანებს უშენებიათ სვანეთში?
- მომი ჩეგიანს აუშენებია ლამარიას ეკლესია ზეგანში, ივარის თემში, აგრეთვე, ფეხის ეკლესია, ასევე, ივარის თემში; ქვემო სვანეთში ჩოლურის თემში მთავარანგელოზის ეკლესია ააშენა მომის უფროსმა ძმამ, ბაბუაჩემმა, ივანე ჩეგიანმა, რომელსაც თან ახლდა შავრეშიან-შარვაშიძეების ოჯახის წევრი – დავითი.
- ხალდეს აჯანყების ჩახშობის შემდეგ სად გააგრძელა არსებობა თქვენმა გვარმა?
- ხალდეს აჯანყების დროს, ხალდეში, ჩვენი წინაპრები სულ 3 – 4 ოჯახი იყო, მათ 3 კოშიკი ჰქონიათ. წინაპრები, რა თქმა უნდა, ემდუროდნენ თენგიზ დადეშქელიანს, არ იყვნენ მადლიერი ბესარიონ ნიჟარაძისაც, რომელსაც ამბობდნენ, რომ ის მეფის მოხელე იყო და ამიტომ იძულებით მოქმედებდაო ხალდეშელების წინააღმდეგ. დადეშქელიანებს ხალდეს მოვლენების დროს, ახლდათ თან ერთი გარდაფხაძეც. მაგრამ როცა ხალდეს მცხოვრებლები იძულებულებით ჩაბარდნენ მთავრობას, სწორედ ალი გარდაფხაძემ შეიფარა ქვემო სვანეთში მომის ძმის, ივანეს ოჯახი და გადაარჩინა ის კატორღას, რისთვისაც გარდაფხაძეებს მადლობას ვუხდით. ივანეს ცოლი ჰყოლია ჩოლურის თემიდან, სოფელ მუწდიდან. ის კვასტიანების ასული ყოფილა. ბაბუაჩემი ივანე, მომის ძმა უფროსი ყოფილა. ივანეს ჰყოლია 2 ვაჟი – გიორგი და საბა, გიორგი უშიშროდ გადაეგო, საბას კი ორი ბიჭი ჰყოლია – მოსე და ვლადიმერო.

ბაბუაჩემი საბა უკვე ღუშურშია დაბადებული. როცა ჩეგიანების ოჯახმა მუწდის შეაფარა თავი. ხალდე ჯერ კიდევ გაუკაცურებული იყო. 12 წლის შემდეგ მომი ციმბირიდან დაბრუნდა და ხალდეში ავიდა, მოქებნა მეუღლე, წამოიყვანა ისიც და თავისი შვილიც და 12 წლის მერე ისევ ააგუზგუზა კერია მტრისგან ივარყოფილ ხალდეში.


საბას შთამომავალ ვლადიმერს ტროცკისტობა დააბრალეს და 1937-ში გადაასახლეს ციმბირში, საიდანაც სტალინის სიკვდილის შემდეგ დაბრუნდა. მას ციმბირელი ცოლი ჰყავდა, ციმბირშივე გაუჩნდა ბიჭი – ვალოდი.

მამაჩემი – მოსე, მოსოხტრ ჩეგიანი, რომელიც 1928 წელს იყო დაბადებული, თვითნასწავლი ისტორიკოსი იყო. საოცრად უყვარდა თავისი ქვეყანა და მუდამ იკვლევდა მის ფესვებს, რომლებიც მისი აზრით ძალზე დრამატიკული და შუშურებადი მიდიოდა. როცა უმაღლესში აბარებდა, არ მიიღეს, ტროცკისტების ოჯახიდან ხარო. ჩვენ 4 ძმანი ვართ.

- ბატონო ჯოყოლა, ცოტა რამ თქვენზეც გვიამბეთ, თუ შეიძლება!
- დეთის შემწვობით, ჯერ-ჯერობით რაც შეეძლო, გავამაგრე ხალდეს მაცხოვრის ეკლესია, 2009 წელს გადავიღე ფილმი ჩემს წინაპარ მიქაელ ჩეგიანზე და ჰადიშის ეკლესიაზე. ვაპირებ გადავიღო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ხალდეს ტრაგედიაზე და ხალდელების გმობაზე, რომლის სცენარიც უკვე მზადაა. შევადობინე ღვეშერის მთავარანგელოზის ეკლესია და სასაფლაოები. ავაშენე ჩო-

ლურის თემში სოფელ ტვიბის სამების ეკლესია, რომელიც მე-19 საუკუნეში და-  
გრეულა. ეს არის სვანეთისათვის ტიპური ერთნაირი ბაზილიკა, რომელიც უსე-  
ცესების გადმოცემის მიხედვით აღვადგინეთ, ზუსტად ისე, როგორც იყო. სხვათა-  
შორის, სამების ეკლესია სვანეთში ერთადერთი ყოფილა და ეს არის სწორედ  
ლევშერის ახლოს, ჩოღურის თემში მდებარე მე-8, მე-9 საუკუნის სოფელ ტვიბის  
სამების ეკლესია. მე დიდი ხანი არ არის, რაც საქართველოში ჩამოვედი, მანამდე,  
სამოქალაქო დაპირისპირების დროს, ვცხოვრობდი მოლდავეთში, ქალაქ კიშინი-  
ოვში. ჩამოვედი და აქ დავოჯახდი, ბინა მცხეთაში დავიდე, მაქვს მცირე ბიზნესი,  
მაგრამ ვცდილობ საზოგადოებრივი ცხოვრებითაც აქტიურად დაგვაგდე. 2008  
წელს მეგობრებთან ერთად ჩამოვაყალიბეთ საზოგადოება „შუმერი“, რაც მამანე-  
შის დიდი ხნის ოცნება იყო და მას მისი გარდაცვალების შემდეგ შევასხი ფრთა.  
მამის აუხდენელი ოცნება იყო ერთიანი კავკასია და კავკასიის ერთ პოლიტიკურ  
ძალად ჩამოყალიბება, რის გაკეთებასაც მე აუცილებლად შევეცდები, ყოველ შემ-  
თხვევაში, ხელს შევეუწყობ ამ პროცესების განვითარებას, როგორც შევძლებ. ამა-  
ზე უკვე ვმუშაობ და ვიმედოვნებ, რომ მიზანს მივალწევ, მით უფრო, რომ დღეს  
რეგიონში მოვლენები სწორედ ამ კუთხით ვითარდება. მეავს გოგონა და ორი ვა-  
ჟი – მარიამი, გივი და გურამი. ვარ ტრადიციების ერთგული და გამგრძელებელი,  
ასეც ვზრდი შვილებს. ვემსახურები ჩემს ერსა და ქვეყანას. ეს არის და ეს!..





ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვალერი სილოგავა.

ვალერი სილოგავა დაიბადა 1945 წლის 20 აპრილს ქ. ფოთში. 1963 წელს დაამთავრა ფოთის V კლასშუალო სკოლა. 1964 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც სტუდენტობის წლებშივე გამოავლინა დიდი ინტერესი მეცნიერული კვლევისადმი. პირველი სამეცნიერო ნაშრომი სწორედ ამ დროს მოამზადა პროფესორ შოთა მესხიას ხელმძღვანელობით, რომელიც მისი მეგობარი

გახდა ისტორიულ მეცნიერებაში. 1969 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის დეკანის შოთა მესხიას ინიციატივით გაიგზავნა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც გაიარა წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის კურსი პროფ. ნოდარ შოშიაშვილის ხელმძღვანელობით.

ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლის დროს, 1970 წელს, ვალერი სილოგავამ მუშაობა დაიწყო ხელნაწერთა ინსტიტუტში (ახლა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), სადაც ჩამოყალიბდა როგორც მკვლევარი და გამოიკვეთა მისი სამეცნიერო ინტერესების წრე-ეპიგრაფიკა, პალეოგრაფია, დიპლომატიკა.

1972 წელს ვალერი სილოგავამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე *„დასავლეთ საქართველოს IX-XIII საუკუნეების ლაიქარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო“* და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. აღნიშნული ნაშრომი 1980 წელს გამოიცა *„ქართული წარწერების კორპუსის“* II ტომის სახით. 1989 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია *„სვანეთის წერილობითი ძეგლები“*, რომელიც ორ ტომად გამოიცა 1986 და 1988 წლებში.

1990 წლამდე ვალერი სილოგავა მუშაობდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ხოლო 1990 წელს დაინიშნა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგედ. ამ პერიოდიდან იწყება ვალერი სილოგავას დაინტერესება სამცხე-ჯავახეთის წარსულითა და მატერიალური კულტურით. იგი გახდა მესხეთის მუდმივი სტუმარი, მკვლევარი და გულშემატკივარი.

1992 წლიდან პალეოგრაფიის კურსს კითხულობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თსუ სოხუმის ფილიალსა და თსუ მესხეთის (ახალქალაქის) ფილიალში.

2006 წლიდან არჩეული იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორად, პარალელურად იყო ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ახალქალაქის სავანმანათლებლო დაწესებულების პროფესორი და საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი. მისი ხალკეციო კურსები საქართველოს ისტორიის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის, წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში გამო-

ირჩეოდა მასალის დრმა ცოდნითა და ევმპტური გადმოცემით, სტუდენტებთან პქრ და საოცრად თბილი და მეგობრული დამოკიდებულება. იყო მათი და დამკვლიანებელი მეცნიერებაში.

ვალერი სილოგავა არის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 20-მდე მონოგრაფიისა და ერთი სახელმძღვანელოს თანაავტორი საქართველოს ისტორიაში. მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორი უმნიშვნელოვანესი სერიის „ქართული წარწერების კორპუსისა“ (II ტომი) და „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ (I ტომი) გამოცემაში.

ვალერი სილოგავას წიგნები „ქართული წარწერების კორპუსის“ II ტომი (1980), „სვანეთის წერილობითი ძეგლები“ I და II ტომები (1986, 1988), „კორიდეეთის საბუთები (X-XIII სს)“ (1989), „ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები“ (1994), „კუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა“ (1994), „ბეთანის წარწერები“ (1994), „წარწერები გარეჯის მრავალწაროდან (IX-XIII სს)“, „ბაგრატიონ ხელმწიფეთა ავტოგრაფები (XI-XIII სს)“ (2003), „დავით აღმაშენებლის ანდერძი“ (2003), „სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა“ (2004), „ოშკი. X საუკუნის მემორიალური ტაძარი“ (2006), „ტაო-კლარჯეთი“ (2007) (თანაავტორი კახა შენგელია), „საქართველოს ისტორიის ფერადი, ილუსტრირებული სახელმძღვანელო“ (2003) (თანაავტორი კახა შენგელია), კამთააღმწერელი, ასწლოვანი მატრიანე (ნაწვეტი-ხელნაწერი - 1067) (2009) და სხვები სამუდამოდ დარჩება ქართული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენად.

ბოლო დროს განსაკუთრებული ინტენსიურობით მუშაობდა „ქართლის ცხოვრებაზე“, რომელიც თითქმის დასრულებული დარჩა და იმედი გვაქვს ეს ნაშრომიც დღის სინათლეს იხილავს.

ვალერი სილოგავა სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა: ბაკალავრებთან, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებთან. იყო რამდენიმე საკანდიდატო დისერტაციისა და მრავალი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი. არაერთი მეცნიერ-მკვლევარის, განსაკუთრებით მესხეთის მკვიდრთა, დამკვლიანებელი და მეგზური ისტორიულ მეცნიერებაში.

პროფესორ ვალერი სილოგავას დიდი ამაგი მიუძღვის სვანეთის ისტორიისა და კულტურის შესწავლის საქმეში. ბატონ ვალერის მთელ სვანეთში განსაკუთრებული სიყვარულით იხსენიებდნენ, რადგანაც მან მოაზადა და გამოსცა სვანეთში დაცული ქართული წერილობითი ძეგლების კორპუსი. ეს ნაშრომი ორი ტომის სახით გამოიცა გასული საუკუნის 80-იან წლებში და ამ მონოგრაფიას ეპოქალური მნიშვნელობა გააჩნია.

ვალერი სილოგავამ დიდი ამაგი გაწია საქართველოს საპატრიარქოს მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციის (2006 წელი) – „სვანეთი ქართული კულტურის სვანე“ – მასალების გამოსაცემად მომზადების საქმეში.

ამ ბოლო წლებში სვანეთთან დაკავშირებულ ბატონ ვალერი სილოგავას გამოქვეყნებულ ნაშრომთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა შემდეგი სტატიები: „მესტიაში დაცული იშხნის ოთხთავი 1033 წლისა და მისი ანდერძ-მოსახსენებლები“, „ადიშის ოთხთავის ერთი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის დათარიღების და მასში დასახელებულ ხელნაწერთა იდენტიფიკაციისათვის“, „ადიშის XI საუკუნის უცნობი ნაკაწრი წარწერები“ და სხვა.

ერთ-ერთი ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომი – „სვანების გადაწერილი ან შეკვეთილი ძველი ქართული ხელნაწერები და საბუთების გადაწერილი სვანი მწიგნობრები“ – იყო უაღრესად მაღალმეცნიერულ დონეზე გაცემული, არგუმენტირებული პასუხი იმ მიმართულების საწინააღმდეგოდ, რომელიც სვანებს უმწიგნობრო



ენის მატარებლებად მიიჩნევა და ამით დიდი ქართული კულტურისაგან აცალკევდა. ამ საკითხს ბატონი ვალერი მეტად განიცდიდა. ჩვენ ბევრჯერ გვისაუბრის პრობლემაზე და იგი მუდამ გულისტკივილს გამოხატავდა ზოგიერთი უცხოელი და ქართველი მეცნიერის მიერ გამოთქმული ტენდენციური და სვანების შეურაცხყოფილი განცხადებებისა და სამეცნიერო პროექტების გამო. მისთვის მიუღებელი იყო ყველა ის პროექტი, რომელშიც მიზანმიმართულად იყო იგნორირებული ის ისტორიული რეალობა, რომ სვანეთში დღეაენად მუდამ ქართული ენა მოიაზრებოდა და სწორედ დღეაენაზე იქმნებოდა ხელნაწერები. ვინ თუ არა, ბატონმა ვალერიმ იცოდა, რომ სვანეთისათვის ოდიტანვე ქართული ენა იყო სახელმწიფო, საისტორიო, სალიტერატურო და საეკლესიო ენა. ჩვენთან ერთ-ერთ უკანასკნელ საუბარში ბატონმა ვალერიმა გამოთქვა სურვილი, მის მიერ ბოლო წლებში გამოქვეყნებული სვანეთთან დაკავშირებული პუბლიკაციები ერთ კრებულად გამოცემულიყო და ამ კრებულს სახელად დარქმეოდა “სვანი მწიგნობრები ერთობილი საქართველოსათვის”. იმედია, კრებული მომზადდება და გამოიცემა.

ბატონი ვალერის ნაშრომებში არა მხოლოდ ეპიგრაფიკული მასალის ანალიზია მოცემული, მასში მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული ინფორმაციაა დაფიქსირებული. იგი ფართო დიაპაზონის მკვლევარი იყო და ყოველ საკითხს კომპლექსურად სწავლობდა. ამგვარი კომპლექსური კვლევის ბრწყინვალე მაგალითია ვალერი სილოგავას ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი – “ჩეგინთა//რუხეგინთა გვარის ისტორიის ფურცლები”, ამ კრებულშია წარმოდგენილი.

შემდეგაც, ვიდრე ბოლო წუთებამდე, ბატონი ვალერი დაუცხრომლად იღვწოდა ქართული კულტურის განვითარებისათვის. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული ეპიგრაფიკისა და საისტორიო აქტების მოძიების, წაკითხვის, გამოცემისა და შესწავლის მხრივ.

ყოველთვის, სვანეთში ჩატარებულ ყველა ეთნოლოგიურ ექსპედიციაში, სვანეთის ნებისმიერ თემში, ადგილობრივი მცხოვრებნი ბატონ ვალერი სილოგავას აუცილებლად მოიკითხავდნენ სიყვარულით და კეთილი სურვილებით. სვანეთში ბატონი ვალერი ლამის ადგილობრივ მოსახლედ მიიჩნდათ, რადგან მას ფეხდაფეხ ჰქონდა მთელი სვანეთი შემოვლილი და შესწავლილი. ის ყველგან უყვარდათ და ემადლიერებოდნენ, ხარობდნენ მისი მეცნიერული წარმატებებით. იქ მას სიყვარულით “დიდ სვანს” ეახდნენ და რაოდენ დასანანიცა, რომ იგი ესოდენ ნაადრევად დაგვაკლდა ყველას – მთელ საქართველოს, სამეცნიერო საზოგადოებას, სტუდენტებს...

ნაადრევად წავიდა ბატონი ვალერი ამქვეყნიდან, მაგრამ ნათელი კვალი დატოვა – იგი 300-მდე ნაშრომის, 16 მონოგრაფიისა და უამრავი პოპულარული სტატეის ავტორი გახლდათ. კიდევ რამდენს მოასწრებდა. ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი სული. ამაგდარი მეცნიერის ხსოვნა მარადიულად იარსებებს ქართველ ერში.

წუთისოფელს განუერთა დიდი მეცნიერი, არანაკლები ადლითი და მეცნიერული ინტუიციით დაჯილდოებული მკვლევარი. კარგი მასწავლებელი, მეგობარი და კოლეგა, რომელმაც თავისი მეცნიერული მემკვიდრეობით სამარადისოდ გადაინაცვლა უკვდავებაში.

*ლია ახალაძე  
როზეტა გუჯუჯვიანი  
ჯოყოლა ჩეგინი*



პროფესორ სოსო ჭანტურიშვილის გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა. ეს წელი მძიმე იყო მისი ყველა ახლობლისათვის. ბატონი სოსო მოულოდნელად წავიდა ამქვეყნიდან და მძაფრი ტკივილი სამუდამოდ დაგვიტოვა.

ბატონი სოსოს დაგვაკლდა ყველას – მეგობრებს, კოლეგებს, მოწაფეებს, სტუდენტებს. ის ყველა გარშემომყოფს უშურველად უნაწილებდა სიყვარულს და სიბოძს, რჩევას და დარიგებას.

ბატონი სოსო ჭანტურიშვილი ჩემი მასწავლებელი გახლდათ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ჩარიცხვისთანავე გადაწყვეტილი მქონდა ეთნოლოგობა და ბატონმა სოსომ შეიტყო რა ჩემი სურვილის შესახებ, თავიდანვე მხარში ამომიდგა. ბატონი სოსო მრავალმხრივ საინტერესო გამოკვლევების ავტორი გახლდათ და მათ შორის განსაკუთრებით მიყვარდა მისი “ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში”. ფაქტობრივად, ამ მონოგრაფიით საქართველოს ეთნოლოგიაში ახალ მიმართულებას ჩაეყარა საფუძველი – ისტორიულ ეთნოლოგიას. მეცნიერი ქართული ყოფისა და კულტურის ყველა ელემენტს სწავლობდა ისტორიულ ჭრილში და ამგვარი მასშტაბური ხედვით მის ყველა სემინტს ავლენდა ისტორიული განვითარების დინამიკაში. სწორედ კვლევის ასეთი ფორმატი იყო ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. როდესაც ამ საკითხზე ვსაუბრობდით და ჩემი დამოკიდებულება გამოვხატე, ბატონ სოსოს თვალები გაუბრწყინდა და მიჩნია, სწორედ ამ კუთხით და ასეთი ჭრილით შემეხედა ყველა კულტურული ფაქტისათვის. ეს რჩევა ჩემთვის დღესაც კვლევის მთავარი ორიენტირია, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე მეორე წელია ბატონი სოსოს მოწაფეები მის გარეშე ვაგრძელებთ კვლევას. ბატონი სოსო ჭანტურიშვილის მოწაფეები და უკანასკნელი სტუდენტები სამეცნიერო კრებულს ვუძღვნით ძვირფასი მასწავლებლის ხსოვნას, ეს კრებული მალე იხილავს დღის სინათლეს.

პროფესორი სოსო ჭანტურიშვილი იმ ქართველ მეცნიერთა რიცხეშია, რომელთა მეცნიერულ ნაღვაწს დრო და უამი ვერაფერს აკლებს. მისი დიდი მასწავლებლის – მიხეილ გეგეშიძის დარად, სოსო ჭანტურიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობაც – თავისუფალი შემოქმედის კალმის ნაყოფია და, შესაბამისად, ყველა დროში აქტუალური.

სოსო ჭანტურიშვილი დაიბადა 1940 წლის 26 აგვისტოს თბილისში გრივოლ ჭანტურიშვილისა და ვეგენია ჯაჯანიძის ოჯახში. სწავლობდა თბილისის ვაჟთა V საშუალო სკოლასა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში ვიოლინოს სპეციალობით. 1959 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1964 წელს დაამთავრა ეთნოგრაფიის სპეციალობით.

სოსო ჭანტურიშვილი გამორჩეული სუდენტი იყო, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით მან ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში არაერთი სამეცნიერო მოხსენება მოამზადა. იყო სტუდენტ-ეთნოგრაფთა საკავშირო სამეცნიერო საბჭოს წევრი.

სოსო ჭანტურიშვილი უნივერსიტეტის დამტავრების შემდეგ სწავლობდა ივანე ხიშივილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის პირანტურაში პროფესორ ვერა ბარდაველიძის ხელმძღვანელობით. ასპირანტობის წლებშივე გამოაქვეყნა ბატონმა სოსომ საყურადღებო გამოკვლევები ქართული ეთნო-მუსიკოლოგიის საკითხებზე.

სწავლის პარალელურად სოსო ჭანტურიშვილმა მუშაობა დაიწყო სიმონ ჯანაშიას ასახელობის სახელმწიფო მუზეუმში. იგი მონაწილეობდა მუზეუმის მიერ განხორციელებულ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებსა და სამეცნიერო ფორუმებში.

1968-70 წლებში სოსო ჭანტურიშვილი კითხულობდა ლექციების ციკლს ეთნოგრაფიაში გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1970 წელს სოსო ჭანტურიშვილმა მუშაობა დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ეთნოგრაფიის კათედრაზე.

სოსო ჭანტურიშვილი უნივერსიტეტში არაერთი თაობის ამავდარი აღმზრდელია. იგი იყო ყველა თაობის სტუდენტის გამორჩეულად საყვარელი ლექტორი. მან გაზარდა და სამეცნიერო ასპარეზზე გამოიყვანა არაერთი ახალგაზრდა მკვლევარი.

1970 წელს სოსო ჭანტურიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: “ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის ისტორიიდან (შრომის სიმღერები სამეგრელოში)”.

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას რჩევით სოსო ჭანტურიშვილმა დაიწყო მუშაობა ისტორიული ეთნოგრაფიის სფეროში. მან, ფაქტობრივად, ჩამოაყალიბა კვლევის ეს მიმართულება. საისტორიო წყაროების (არქეოლოგიური მასალა, წერილობითი ძეგლების) გამოწვლილვითი კვლევისა და მოძიებული მასალის ანალიზის საშუალებით ეთნოგრაფიული რეალიების აღდგენა იყო სრულიად ახალი და პერსპექტიული სფერო. დაძაბული და ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად სოსო ჭანტურიშვილმა წარმოადგინა ნაშრომი “ყოფა და კულტურა V-X საუკუნეების საქართველოში”. ნაშრომი სადოქტორო დისერტაციად იყო წარდგენილი და მისი დაცვა შედგა 1985 წელს. სადისერტაციო ნაშრომი მძლე მონოგრაფიის სახით გამოიცა, ასევე, ითარგმნა და გამოიცა რუსულ ენაზეც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოსო ჭანტურიშვილის წვლილი სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის მხრივ. “ეთნოლოგიის საფუძვლები”, “ეთნოლოგია”, “ეთნოლოგიის ქრესტომათია” და სხვა რამდენიმე წიგნი იყო ერთადერთი ქართულენოვანი და საქართველოს ეთნოლოგიის სახელმძღვანელოები სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ხანგრძლივი დროის მანძილზე.

ბატონ სოსოს ჰქონდა საოცარი უნარი, მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, ძალიან ბევრს შრომობდა და თვით ბოლო სიცოცხლის ბოლო წლებშიც რამდენიმე ახალი, მონუმენტური ნაშრომი შეჰამატა ქართულ მეცნიერებს.

სოსო ჭანტურიშვილის ერთ-ერთი ბოლო დიდი მეცნიერული მიღწევა “ეთნოლოგიური ლექსიკონია”, რომელიც მან საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გამოსცა, მუზეუმის ადმინისტრაციის დიდი დახმარებითა და ხელშეწყობით.

ბატონი სოსო ჭანტურიშვილი სიცოცხლის ბოლო წლებშიც ეროვნულ მუზეუმში მუშაობდა, უნივერსიტეტის პარალელურად. ჰქონდა რამდენიმე საინტერესო თემა ჩაფიქრებული, მაგრამ ადარ დასცადდა.

უკვე მძიმე ავადმყოფმა გასაოცარი რუღუნებით მოამზადა მასწავლებლის – დიდი ქართველი მეცნიერის, მიხეილ გეგეშიძის ხსოვნის საღამო, რომელიც, ასევე,

ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით 2010 წლის 22 დეკემბერს გაიმართა. სოსო ჭანტურიშვილმა მიხეილ გეგეშიძის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა: ეს სიტყვა და, საერთოდ, მთელი მისი დამოკიდებულება მასწავლებლისადმი – ყველა ჩვენგანისათვის მოწაფე-მასწავლებლის ურთიერთობის ნიმუშად დარჩება.

ბატონი სოსო ბოლო პერიოდში ხშირად სევდიანი იყო, მეგობრების დაკარგვას განიცდიდა, განიცდიდა საქართველოს თავს დატრიალებულ ტრაგედიას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას. სამწუხაროდ, მას ზოგიერთმა ახლობელმაც ატკინა გული, მაგრამ ბატონი სოსო ჭანტურიშვილი წმინდანის შთამომავალი იყო, მისი ბაბუა ახალმოწამეთა დასში ჩარიცხული – გერმანე ჯაჯანიძე გახლდათ და ამიტომაც თვითონაც ჭეშმარიტად ქრისტიანული მიმტკეპელობით უმაღურ ადამიანებს და ბოროტებას პასუხს სიკეთით მიაგებდა.

დიდი მოკრძალებით მინდა ფართო საზოგადოებას მოუყუევ ბატონი სოსოს დამოკიდებულებაზე ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობასთან – სიცოცხლის ბოლო წლებში იგი განსაკუთრებით მადლიერი იყო ეროვნული მუზეუმის დირექტორის – აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძისა და დირექტორის მოადგილის – ბატონ ზურაბ თვალჭრელიძისა, მადლიერი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელის პროფესორ ქეთევან ხუციშვილისა და პროფესორ როლანდ თოფჩიშვილისა, რომელთა დიდი მონდობითაც სტუდენტებს კვლავ მიეცათ სოსო ჭანტურიშვილის ლექციების მოსმენის შესაძლებლობა. ბატონი თავის ყველა გულისტკივილს უზიარებდა ბატონ ნოდარ შოშიტაშვილს.

უკვე მეორე წელია, ყველა ჩვენგანს გვაკლია და გვენატრება ერთგული მეგობარი, ძვირფასი მასწავლებელი და კოლეგა – ბატონი სოსო ჭანტურიშვილი.

წელს, 26 აგვისტოს, საქართველოში არყოფნის გამო, ბატონი სოსოს დაბადების დღეს, სტამბოლის ბერძნულ ეკლესიაში ვილოცუთ და მოვიხსენიეთ ძვირფასი მასწავლებელი და მეგობარი, რომლის ხსონაც მუდამ დარჩება ჩვენს გულებში. იქვე დავასვენეთ მისი დიდი წინაპრის – წმიდა გერმანე ჯაჯანიძის ხატი, რომლის მადლითაც ეხაროს ბატონი სოსოს კეთილშობილ ოჯახს, მის მეუღლეს – ქალბატონ მანანას, შვილს – ბატონ პაატას და მის შთამომავლებს.

*როზბეა გუჯუჯიანი*

რედაქტორისბან.....	4
როლანდ თოფჩიშვილი სვანეთი.....	5
ვალერი სილოგავა ჩეგიანთა//რუჩეგიანთა გვარის ისტორიის ფურცლები.....	8
მარინე ყენია ჰადიშის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა.....	22
როზიატა გუჯეჯიანი ქართულ ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიიდან (ჩეგიანები, რუჩეგიანები).....	31
ტარიელ ფუტკარაძე სვანები: საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები.....	41
ნოდარ შოშიტაშვილი ხალდეს აჯანყება (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი).....	51
როზიატა გუჯეჯიანი, მალონა ჩამბელიანი, ღავით ცინცაძე, გიორგი ჭეიშვილი „კვირია“ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში.....	62
მურმან ლეპანიძე სვანეთში წაგად.....	70
ჯულიეტა მილდინი ხალდე.....	72
ავთო მარბიანი სვანი კაცი.....	74
ნარო კოლხელი დიდი გვარის დიდი სვედა.....	75
ერეკლე საღლიანი ხალდეს აჯანყების გმირს მოში ჩეგიანს.....	113
მურმან ლეპანიძე ხალდე.....	114

ბერონტი ბასვიანი  
სუანეთის საეკლესიო კრების მეორე მატიანე..... 180

ღუბა ბოჭორიშვილი  
ოქრომჭედლობა სუანეთში..... 190

„ჯაფარიქმთა სასისხლო სიბელო“ 1503 წლისა..... 197

„ღაწერილი ბიორბი რუჩაბიანისა მოხერის მთავარანბელოზისაღმი“ ..... 197

მოსახსენებელი ბაქო რუჩაბიანის სახლისა (XVI-XVII სს.)..... 197

თემურ ღამბაშიძე  
გვარი-ღეგენდა..... 198

ეთნოგრაფიული მასალა..... 199

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია..... 201

ინტერვიუ ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოს  
მეუფე სტეფანესთან..... 204

ინტერვიუ ბატონ ჯოყლა ჩიბიანთან..... 208

ნეკროლოგი – ვაღერი სილოგავა..... 214

პროფესორ სოსო ჭანტუბრიშვილის მოსაბრუნარი..... 217



